

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

IV. Javakhishvili Tbilisi State University

Arn. Chikobava Institute of Linguistics

ქართველურ ენათა სტრუქტურის
საკითხები

XVII

Issues of the Structure of Kartvelian
Languages

თბილისი 2025 Tbilisi

მთავარი რედაქტორი

გიორგი გოგოლაშვილი

Editor-in-Chief

Giorgi Gogolashvili

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული
თეა ბურჭულაძე
ლელა გიგლემიანი
ნანა მაჭავარიანი
მურმან სუხიშვილი
ხათუნა ყანდაშვილი (სწავლული
მდივანი)

ვაჟა შენგელია
მერაბ ჩუხუა
გიორგი ცოცანიძე

Editorial Board

Avtandil Arabuli
Tea Burchuladze
Iela Giglemiani
Nana Machavariani
Murman Sukhishvili
Khatuna Kandashvili (scientific
secretary)

Vazha Shengelia
Merab Chukhua
Giorgi Tsotsanidze

მ ი ს ა მ ა რ თ ი :

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ.8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :

0108, 8 Ingorokva Str., Tbilisi
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: contact.icege@gmail.com

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

ISBN

თეა ზურჭულაძე

ვინ ნაცვალსახელის სინტაგმატიკის ზოგი თავისებურებისათვის

ქართულ ენაში ნაცვალსახელთა სინტაგმატიკას განაპირობებს ის ძირითადი ფუნქციური დატვირთვა, რაც მათ, როგორც ნაცვალსახელებს, ენობრივი გამოყენებისას ეკისრება. ნაცვალსახელი, როგორც ცნობილია, რომელიმე სხვა სახელის მონაცვლედ გამოდის შესიტყვებაში, ზოგადად წინადადებაში. შესაბამისად, თუ ნაცვალსახელი არსებით სახელს ენაცვლება, მას სუბსტანტიური დატვირთვა აქვს, ხოლო თუ ზედსართავსა და რიცხვით სახელებს – ფუნქცია ატრიბუტული იქნება (ახ. ქართული ენა, 2016 : 281).

სწორედ ეს სხვაობა განსაზღვრავს ნაცვალსახელების ადგილს შესიტყვებაში. ნაცვალსახელი, რომელსაც სუბსტანტიური ფუნქცია აქვს, უშუალოდ ზმნა-შემასმენელთან ქმნის სინტაგმას, ხოლო ატრიბუტული შინაარსის ნაცვალსახელთა სინტაგმატური ურთიერთობა მსაზღვრელ-საზღვრულთან მიმართებით თავსდება (ახ. ქართული ენა, 2016 : 281).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სინტაგმატური პოტენციის თვალსაზრისით ის შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ:

1. უშუალოდ ზმნასთან შესიტყვების უნარი მქონე
2. ატრიბუტული დანიშნულების მატარებელი (ახ. ქართული ენა, 2016 : 281).

ამგვარი, ატრიბუტული ფუნქციითაა გამოყენებული ენაში **ვინ** ნაცვალსახელი ისეთ სიტყვათშეხამებებში, რომლებშიც მას მოსდევს საკუთარი სახელი ან რომელიმე პრეფესიისა თუ სტატუსის აღმნიშვნელი სიტყვები: „**ვინ მარშალი**, რას ამბობთ?“ (დოჩ.); „**ვინ ვასიკოა**, რა ფოტოატილიე?“ (დოჩ.); „**ვინ სულელს** მოეპრიანება ერთთავად მოღერებული ხმლის ქვეშ ყოფნა“ (დოჩ.); „**ვინ ლაცაბიმე**? – ჰკითხა ქვიშხეთის ბატონმა სუმბათაშვილმა“ (ჯავ.); „**ვინ სულხანი**? ძმა რომ დაუხვრიტეს, ის ხომ არ არის?“ (ჯავ.); „**ვინ** უარზე შედგნენ: „**ვინ არსენა, რის არსენა!** ან არსენას ბიჭებს ამ ხეობაში რა ენდომებათ!“ (ჯავ.); „**კეთილ ცხოვრებას ვინ გიჟი** გაექცევა, ბატონო?“ (ჯავ.); „**ვინ მათგანი** არ მიაპყრობდა ნდომის თვალს ამ ალვის ხესავით ლაღად ასულს და მშვენიერ ყვავილებად გადაფურჩქვნილ ჭაბუკებს?“ (ბარნ.); „**ვინ მტერი**? სად? როგორ? – არევით იკითხა იმან“ (ყაზბ.). დასახელებულ წინადადებებში **ვინ რომელიც** ნაცვალსახელის მნიშვნელობით გამოიყენება, შევადაროთ: **ვინ სულელს** მოეპრიანება? **რომელ** სულელს მოეპრიანება; **ვინ** სულხანი? / **რომელი** სულხანი?; **ვინ** გიჟი

გაექცევა / **რომელი** გიჟი გაექცევა... აღსანიშნავია, რომ როცა **ვინ** ნაცვალსახელი ზმნა-შემასმენელს მიემართება, მაშინ მასთან ქმნის შესიტყვებას მართვის სახით. როგორც წესი, ზმნის პირი და რიცხვი გადმოცემულია გრამატიკულად, ხოლო პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ლექსიკურად გამოხატავენ პირსა და რიცხვს. მაგრამ როცა ის ისეთ სახელს უკავშირდება, როგორც ეს ზემოთ მოხმობილ წინადადებებშია დადასტურებული, მაშინ, მაგალითად, **ვინ სულელი, ვინ გიჟი, ვინ არსენა** და მსგავსი ფორმები ვერ შექმნიან შესიტყვებებს (განსხვავებით რომელი სულელი, რომელი ლაცაბიმე, რომელი მტერი სიტყვათშეხამებებისა...). ვფიქრობთ, აქ სინტაგმის შექმნას ხელს უშლის **ვინ** ნაცვალსახელის ფორმაწარმოების სპეციფიკური შესაძლებლობა. როგორც ცნობილია, მას ნაკლები ბრუნება აქვს (ვინ, ვის). ამიტომ ვერ ეთანხმება ის მსაზღვრელ სახელს, როგორც ეს შეუძლია **რომელი გიჟი, რომელი სულხანი** და სხვა ამ სახის შესიტყვებებს. შინაარსობრივად კი აქ **ვინ რომელი** ნაცვალსახელის სემანტიკითაა, მაგრამ ფორმობრივად, სინტაქსური თვალსაზრისით მის მსგავსად დაკავშირება არ შეუძლია.

ზეპირმეტყველებაში ასევე ხშირია კითხვით წინადადებაში **რომელი** ნაცვალსახელის ფუნქციით **აბა** ნაწილაკის გამოყენება შესაბამის არსებით სახელთან ერთად. ამ სახით ის დიალოგებში დასტურდება (ხშირია კილოებშიც):

- ის გიორგი დროულად მისულა თურმე.
- **აბა გიორგი?**
- მათი ახალი მეზობელი.

- მარიამს მიუცია ამის უფლება.
- **აბა მარიამი?**
- ჩვენი დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი.

შევადართ: **აბა გიორგი? / რომელი გიორგი?; აბა მარიამი? / რომელი მარიამი?**

როგორც ცნობილია, ზეპირი მეტყველებისათვის ნიშანდობლივია ე.წ. მყარი გამოთქმების უხვად მოხმარება. ზოგი ასეთი გამოთქმა აგებულია თავისებური მოდელით, კერძოდ, იგი შექმნილია დამხმარე სიტყვისა და **ყოფნა** ზმნის მონაწილეობით, სუბსტანტიური კომპონენტის ადგილას არის ნაცვალსახელი (ეს, ის, ვიღაც, რაღაც) და ზმნისართი. გვაქვს ასეთი შეხამებები: ეს არის (ეს-ეს არის), ის იყო (ის-ის იყო), ვიღაცა არის (ვიღაცაა), რაღაცა არის (რაღაცაა)... მიჩნეულია, რომ რაკი ასეთი შეხამება ლექსიკურად შემოფარგლული, მყარი, სემანტიკურად დაუშლელი და ზმნისართის ეკვივალენტია, წინადადებაში ერთი წევრის – დროის გარემოების – ფუნქციას ასრულებს. პირობითად მას ფრაზეოლოგიურ ერთეულს (ან ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას) უწოდებენ (კვანტალიანი 1990 : 35). ზოგჯერ ქართულ ზეპირ მეტყველებაში დამოკიდებული წინადადება (სადაც არის) ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად იქცა, სხვა ქართველურ ენაში კი (მა-

გალითად, ზანურში) – სიტყვად (როგავა 1987 : 48). **ეს არის / ეს-ეს არის** დროის ზმნისართის მნიშვნელობით გვხვდება და წინადადებაში დროის გარემოებაა. იგი შეიძლება შეეწყოს ზმნის თხრობითი კილოს ფორმებს და, ჩვეულებისამებრ, ზმნა-შემასმენლის წინ დგას.

გარდა დასახელებული შემთხვევებისა, მრავალფეროვან ზეპირმეტყველებაში დასტურდება ისეთი სახის წინადადებები, რომლებიც შედგენილია არაერთი სპეციფიკური გამოთქმით, დაუშლელი ერთეულებით. კერძოდ, ასეთია **ვინ** ნაცვალსახელის შემცველი ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი: „**ვინ ვინ და** ეს კაცი დივერსიაზე არ უნდა საუბრობდეს“; „**ვინ ვინ და** ნარმანია შორსაა ძველბიჭური ტერმინოლოგიისაგან“; „**ვინ ვინ და** ყველასათვის საყვარელი მომღერალი არის დღეს ჩვენი სტუმარი“ (ქეეკი).

ამგვარ შემთხვევებში არ გვაქვს ფუძის გაორკეცება, როგორც ეს, მაგალითად, **ეს-ეს არის, ის-ის იყო** შესიტყვებებში გვხვდება. თუმცა მისი გამეორებით დასახელებულ კონსტრუქციებში ის ექსპრესიის გამომხატველი ჩანს, ისეთი, როგორიც ზემოაღნიშნულ გამოთქმებში გვაქვს. სავარაუდოა, რომ **ვინ** ნაცვალსახელის გამეორებით გამოიხატება, ერთი მხრივ, სათქმელის გაძლიერება, მეორე მხრივ, დაპირისპირება, წინააღმდეგობა დასახელებულ პირსა და მოქმედებას შორის, რომელზედაც წინადადებაში კეთდება აქცენტი. შევადაროთ: „**ვინ ვინ და ეს** კაცი დივერსიაზე არ უნდა საუბრობდეს“ – დივერსიაზე განსაკუთრებით ეს კაცი არ უნდა ლაპარაკობდეს; „**ვინ ვინ და** ნარმანია შორსაა ძველბიჭური ტერმინოლოგიისაგან“ – განსაკუთრებით ნარმანიაა შორს ძველბიჭური ტერმინოლოგიისაგან.

ვინ ნაცვალსახელი ამგვარი ფუნქციით გვხვდება სხვა ბრუნვაშიც: „**ვის ვის და**, ქართველ მრეწველებს არ ესწავლებათ, რომ დუმილი ოქროა“; „**ვის ვის და**, თქვენ კი დიდი პასუხისმგებლობა გმართებთ სახელის შერჩევისას“; „**ვის ვის და**, ბატონ რობერტს კარგად მოეხსენება, რომ ანტრეპრიზის (სხვა თეატრებიდან მსახიობების მოწვევა) დანერგვა ჩვენთანაც აუცილებელია“; „**ვის ვის და**, ტყავის ბურთის დიდოსტატს ნამდვილად დაეჯერება“ (ქეეკი). აქაც გამოთქმაში **ვის ვის და** გამოიხატება სათქმელის გაძლიერება და დაპირისპირება, წინააღმდეგობა დასახელებულ პირსა და ზმნით გამოხატულ მოქმედებას შორის. შდრ.: განსაკუთრებით ქართველ მრეწველებს არ ესწავლებათ, რომ დუმილი ოქროა; განსაკუთრებით თქვენ დიდი პასუხისმგებლობა გმართებთ სახელის შერჩევისას; განსაკუთრებით ტყავის დიდოსტატს ნამდვილად დაეჯერება.

შევნიშნავთ. რომ ამგვარი ფუნქციით ქართულ ზეპირმეტყველებაში ასევე დასტურდება **რა** კითხვითი ნაცვალსახელიც: „**რა რა და**, ეს უკანასკნელი პროგნოზი ნამდვილად არ გამართლდა“; „**რა რა და**, წყალი ჩვენში სამეზნელი ნამდვილად არ არის“; „თქვენი ფედერაცია მარტო რომ ვერ გაწვდება ამხელა სამუშაოს, გასაგებია. **რა რა და**, მთელი ქვეყნის მასშტაბით უნივერსიადის ჩატარებას საკმაო ენერგია და ფინანსები სჭირდება“; „**რა რა და**, ჭორების გავრცელება ამ უკანასკნელმა კარგად იცის“ (ქეეკი).

ასეთი სემანტიკა უცხო არაა ქართულ ენაში. ამგვარ შემთხვევას შევადარებთ **სად** კითხვითი ზმნისართის ერთ სინტაგმატიკურ გამოვლენას.

კერძოდ: **სად** კითხვითი ზმნისართია, რომლის ძირითადი ფუნქცია გარკვეული ადგილის აღნიშვნაა: რა ადგილას, რა მიმართულებით, საით, საითკენ. ასევე შესაძლოა მან გამოხატოს რისამე შეუძლებლობა: „სად შემიძლია მე ამის გაკეთება?“, „სად შემიძლია ამდენი?“ გარდა ამისა, ქართულში მას სხვა დატვირთვაც აქვს, კერძოდ, შეიძლება ერთგვარი შეპირისპირება გადმოსცეს (ქეგლი): „სად მე და სად შენ?“ (ქეევი); „სიტყვაშიც ასეა, სად „კარცერი“ და სად „ლუქსი“ (გ. დოჩ.); „სად შენ და სად ჩვენი კოლეგები“ (ქეევი); სად თეირანი და სად ახმეტა? იქ ყოველიფერი თვალს იტაცებს, გრძნობა-გონებას ჰხიბლავს და კუჭს ატკბობს!“ (აკაკი); „სად ღვთის ნაბრძანები და სად ჩვენი გამოგონებული!“ (ქეევი)

სპეციფიკურია ის, რომ პირველ შემთხვევაში, როცა რისამე შეუძლებლობაა გამოხატული, მაშინ **სად** ზმნიზება ერთხელაა გამოყენებული წინადადებაში, ხოლო მეორეგან შეპირისპირების გადმოცემა **სად** ზმნისართის ორმაგი გამოყენებით ხერხდება. შევადაროთ: „სად შემიძლია მე ამის გაკეთება“ და „სად მე და სად შენ“.

აშკარაა, რომ ენა ამგვარ სიტყვათა გაორკეცებას ერთგვარი დაპირისპირების გამოსახატავად იყენებს (ბურჭულაძე 2025).

დასახელებული მყარი გამოთქმების შემცველ წინადადებებში დგება მათი სასვენი ნიშნებით გაფორმების საკითხი. კერძოდ, თუ წინადადებაში გამოყენებულია **ვინ ვინ და, ვის ვის და, რა რა და** ერთგვარი გამოთქმა, მაშინ ის მძიმით უნდა გამოეყოს ფრაზას: **ვინ ვინ და**, ეს კაცი დივერსიაზე არ უნდა საუბრობდეს; **ვინ ვინ და**, ნარმანია შორსაა ძველბიჭური ტერმინოლოგიისაგან; **ვინ ვინ და**, ყველასათვის საყვარელი მომღერალი არის დღეს ჩვენი სტუმარი; **რა რა და**, ეს უკანასკნელი პროგნოზი ნამდვილად არ გამართლდა; **რა რა და**, წყალი ჩვენში სამეზნელი ნამდვილად არ არის; **ვის ვის და**, ქართველ მრეწველებს არ ესწავლებათ, რომ დუმილი ოქროა; **ვის ვის და**, თქვენ კი დიდი პასუხისმგებლობა გმართებთ სახელის შერჩევისას.

ცნობილია, რომ ექსპრესიის გამოსახატავად ენა ერთ ფრაზაში იმეორებს ხოლმე გასაძლიერებელ სიტყვას. ამდაგვარია შემდეგი სტრუქტურის წინადადებები: „**ვინ, ვინ** გააკეთა ეს?“; „**ვინ, ვინ** შეძლებს ჩემთვის ამის შესრულებას!“. ხოლო სასვენი ნიშნის გარეშე **ვინ** ნაცვალსახელის გამეორებას ენა იყენებს ერთი პირის აღსანიშნავად, ოღონდ მეორე **ვინ**-ის საშუალებით გამოხატავს ვინაობას, თუ რომელია/როგორია ის: „ამ დაკვირვებელთაგან **ვინ ვინ** არის?“; „იქნებ გამაგებინოთ, ამ ფილმში **ვინ ვინ** არის?“

თავისებურებით გამოირჩევა ასევე **ვინ** ნაცვალსახელის შემცველი შემდეგი ტიპის წინადადებები: „შენისთანა კაცისგან მიკვირს, **ვინ შენ და ეგეთები?**“, „**მე ვინ და შენ ვინ!**“ ცნობილია, რომ დასახელებულ შემთხვევებში შინაარსობრივად შეპირისპირება იგულისხმება – რა შესაფერია? რა შესადარებელია? რა შესათავსებელია? (ქეგლი). ამგვარივე დაპირისპირება ჩანს შემდეგი სახის წინადადებებში: „**ვინ** ქართველი და **ვინ** გულგატეხილობაო?“ (აკაკი); „**ვინ** ბიჭი-მეთქი, და **ვინ** წიგნის კითხვა!“...; „**ვინ** ჩვენ და **ვინ** წიგნი!“...; „ჩვენ **ვინ** და ისინი **ვინ!** ორი სხვადასხვა ქვეყანა“ (ქეევი).

ამგვარ წინადადებებში ზუსტად ისეთი შინაარსის გამოხატვაა, როგორიც გვაქვს **სად მე და სად შენ** ტიპის შეპირისპირებაში.

გაბმულ მეტყველებაში **ვინ** ნაცვალსახელის გამოყენება მრავალფეროვანია. ადამიანის ჯგუფის აღსანიშნავად ენაში მის გვერდით ზოგჯერ **რა** ნაცვალსახელიც დასტურდება: „მინდა აქაურმა ქართველებმა უფრო კარგად იცოდნენ **ვინ ვარ** და **რა ვარ**“; „თუ თქვენ ჩემს ნათქვამში გეპარებათ ეჭვი, ნებისმიერს, ვინც იცის, **ვინ ვარ** და **რა ვარ**, ჰკითხეთ“; „თავად არ ვიცი, **ვინ ვარ** და **რა ვარ**“; „გარკვევით ვიტყვი: **ვინ ვარ** და **რა ვარ!**“; „მე დავიბენი, აღარ ვიცი **ვინა ვარ**, **რა ვარ**“ (ქეევი). მეტი ილუსტრაციისათვის მოგვყავს ვახუშტი კოტეტიშვილისეული თარგმანი ჯალალ ედ-დინ რუმის ერთი ლექსისა, რომელშიც ექსპრესია სწორედ **ვინ ვარ**, **რა ვარ** შესიტყვების საშუალებით მკვეთრადაა გამოხატული:

„მე დავიბენი, აღარ ვიცი, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?
სული ვარ, გონი თუ სხეული, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?
მე კაცი მქვია, თუმც არ ვიცი კაცობის არსი,
აზრი ვარ, ფორმა თუ სახელი, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?

როგორ აღვწერო საკუთარი თავი, ცეცხლი ვარ,
წყალი ვარ, მიწა, თუ ჰაერი, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?
უგონო ვარ თუ გონიერი, განშორებული,
თუ მასთან მყოფი, აღარ ვიცი, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?

ამ სამყაროში მაქვს თუ არა ადგილი ჩემი,
არარაობა თუ რაობა, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?
განდეგილი თუ მოქეიფე, მთვრალი, ფხიზელი,
მწდე ვარ, ღვინო თუ სასმისი ვარ, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?

სიყვარული ვარ, მოყვარული თუ საყვარელი,
მოძღვარი ვარ თუ შეგირდი ვარ, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?

მე ქრისტიანი ბერი ვარ თუ სუფი დერვიში,
ან იქნებ თავად მესია ვარ, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?
მე უსხეულო სული ვარ თუ უსულო გვამი,
ცოცხალი ვარ თუ გარდაცვლილი, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?

სანთელი ვარ თუ უკუნეთი, შხამი, ბადაგი,
მახინჯი ვარ თუ მშვენიერი, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?
მე ზღვის გმინვა ვარ თუ გოდება გაოგნებისა,
ოკეანე ვარ თუ ხომალდი, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?

უნიშნოდ იქცა ნიშანი და უენო ენა,
უნიშნობათა შემნიშნავი, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?
ვინმემ რომ მკითხოს, ვინაობა, რა ვუპასუხო
შტერად შთენილმა და უბირმა, **ვინა ვარ**, **რა ვარ**?“

ზოგადად, ქართულს არ ახასიათებს ადამიანთა **რა** ჯგუფში მოქცევა, ენა მას მხოლოდ **ვინ** ჯგუფში აერთიანებს, მაგრამ დასახელებულ ფრაზებში ეს ვლინდება. ამგვარი შემთხვევები შესაძლოა გავიაზროთ **ვინ ვარ და როგორი/რანაირი ვარ** სემანტიკით. საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უგულებელსაყოფი არაა ისეთი შემთხვევები, როცა მოსალოდნელი **ვინ**-ის ნაცვლად **რა** იხმარება: „სულ ესა ვარ, რაცა ვარ, რასაც მხედავთ თვალდათვალ“ (აკაკი); „რა ხარ, რა სულიერი ხარ“ (ზღაპრებში) (ფოჩხუა 1974: 133). დასახელებულის გარდა, **რა** ადამიანთან მიმართებით სხვა შემთხვევაშიც დასტურდება, ოღონდ მაშინ, როცა ის **როგორი** ნაცვალსახელის შინაარსითაა: „ვაიმე, ჩემო დისწულო, **რა კაცი** იღუპებიო?!“ – სთქვა მწუხარებით“ (აკაკი); „... **რა კაცი** ხარ, ქათამიც ვერ დაგიკლავს!“ (მ. ჯავახ.). აქ დავამატებთ სასაუბრო მეტყველებაში დღეს განსაკუთრებით გავრცელებულ გამოთქმას **რა კაცია!** ის გამოიყენება ვინმეს განსაკუთრებული მოწონებისა თუ შექების დროს, ან მისით აღფრთოვანებისას, რასაც ზეპირმეტყველებაში თან ახლავს ხოლმე შესაბამისი ინტონაცია.

ცნობილია, რომ ქართულში **რა** ნაცვალსახელი **როგორი, რანაირი** შინაარსითაც გამოიყენება (რა შეუბრალებელია ადამიანი). ვფიქრობთ, აქაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მართალია, **რა** ადამიანთან ძირითადად გამოიყენება თავის მსაზღვრელთან ერთად (რა კაცია!), მაგრამ **ვარ** შემასმენელთანაც დასტურდება.

კიდევ ერთ მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას, კერძოდ, **ვინ** ნაცვალსახელთან ზეპირ მეტყველებას ერთგვარ მსაზღვრელად ახასიათებს **ოხერი** სიტყვის გამოყენება: „მე რომ არა, ნიკას **ვინ ოხერი** მისცემდა ქალს!“; „**ვინ ოხერია** ამ დროს? კაცს მოსვენებას არ აღირსებენ! – გაანჩხლებით თქვა სოლომანმა“; „ნასვამი ვიყავი, თორემ **ვინ ოხერი** გაუყადრებდა თავს“; „ეს **ვინ ოხერი** გადაგარჩინე?! – წამოიძახა და გულიანად გადააფურთხა“ (ქეევი). დასახელებულ სიტყვათშეხამებებში ის დაუშლელი კომპონენტი, მყარი გამოთქმა.

მაშასადამე, გამოიკვეთა, რომ **ვინ** ნაცვალსახელის სინტაგმატიკა მრავალფეროვანია. ენაში ის გამოიყენება როგორც ტრადიციული, ისე განსხვავებული დანიშნულებით, რაც ნათლად ავლენს ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს.

ლიტერატურა

ახალი ქართული ენა 2016 – ახალი ქართული ენა, ზოგადი. სახელი, წიგნი I, თბილისი, 2016.

ბურჭულაძე 2025 – თ. ბურჭულაძე, ერთი სახის გარემოების ფუნქციისათვის, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეთერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 2025.

ბურჭულაძე 2025 – თ. ბურჭულაძე, ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები თანამედროვე ქართულში, თბილისი, 2025.

კვანტალიანი 1990 – ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი, 1990.

როგავა 1987 – გ. როგავა, არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVI, თბილისი, 1987

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950-1964, – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1950-1964), თბილისი, 1950-1964.

Tea Burchuladze

Some Features of the Syntagmatics of the Pronoun *vin* (“Who”)

Summary

The syntagmatic behavior of the pronoun *vin* (“who”) is diverse and multifunctional. In the language, it is used with both traditional and different purposes, which clearly demonstrates the inexhaustible possibilities of the language. In Georgian, the pronoun *vin* (“who”) is used with an attributive function in such word combinations in which it is followed by a proper name or words denoting some profession or status: *vin mteri? vin sulxani?* (“Which enemy? Who is Sulkhani?”). Oral speech is characterized by using the pronoun *vin* (“who”) in the meaning of the pronoun *romeli* (“which”); compare: *vin sulcls moeprianeba? romel sulcls moeprianeba?* (“Which fool will wish it?”); *vin sulxani? / romeli sulxani?* (“Which Sulkhani?”) – In such sentences, in terms of content, *vin* (“who”) is semantically similar to the pronoun *romeli* (“which”), but in terms of form and syntax, it cannot connect in the same way.

The sentences which are composed of a number of specific expressions or indestructible units are attested. In particular, phraseological syntagms containing the pronoun *vin* (“who”): *vin vin da, vis vis da, ra ra da*.

In order to denote a group of people, in the language, alongside the pronoun *vin* (“who”), sometimes the pronoun *ra* (“what”) is attested as a kind of syntagm: *vin vardara var* (“Who am I?”). Here, the contrast is meant in terms of content – *ra šesaperia? ra šesadarcbelia? ra šesatavsebelia?* (“Is it suitable? Is it worth comparing? Is it compatible?”). A similar contrast can be seen in the following types of sentences: *vin qarTvelida vin gulgatexilobao?* (“A Georgian and heartbreak? As if!”); *vin biči-metkida vin çignis kixva!* (“I said, ‘which boy’ and him, reading a book?”).

ლალი ეზუგბაია

XIX-XX საუკუნეების ოჩამჩირის ლაზური თემის ეთნოლინგვისტური სურათი

შესავალი

მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში, რუსეთ-თურქეთის დიდი ომის შემდეგ, როცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა სამხრეთ საქართველო (ისტორიული ტაო-კლარჯეთი) და, მათ შორის, ლაზეთის ნაწილიც – გონიო-მაკრიალის მხარე, ინტენსიურად მიმდინარეობდა ლაზების მიგრაცია ოსმალეთში დარჩენილი ლაზური რეგიონებიდან – ათინა, ვიწე, არქავე, ხოფა – საქართველოს შავიზღვისპირეთისკენ: ერთი მხრივ, ბათუმის მიმართულებით, მეორე მხრივ, სამეგრელოში – ფოთისა და ანაკლიის მიმართულებით, მესამე მხრივ, აფხაზეთის საპორტო ქალაქებისკენ: სოხუმი, ოჩამჩირე. უფრო მეტიც, გუმისთის, ეშერა-ცხარა – შუბარის ხეობაშიც ჩნდება ლაზური თემი. ეს უნიკალური მოვლენაა, როგორც საპირისპირო პროცესი ამავე პერიოდში მიმდინარე მუჰაჯირების დევნისა აფხაზეთიდან, ასევე რუსეთის მიერ შემოერთებული მთიანი ლაზეთიდან (ჩხალა, ბელღევანი). ბუნებრივია, ამ პროცესს სჭირდება ახსნა და კვლევა, თუმცა ამჯერად ეს საკითხი ვერ იქნება ჩვენი მსჯელობის საგანი. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა თურქეთმა ყარსის ხელშეკრულებით დაიბრუნა ტერიტორიები, მიგრირებული ლაზები დარჩნენ აფხაზეთსა და სამეგრელოში. ისე მომძლავრდა ლაზური თემი, რომ გასაბჭოების შემდეგ მდ. კოდორთან, აძიუბჟის მახლობლად დაარსდა ლაზების კოლმეურნეობა სახელწოდებით „მჭითა ლაზისტანი“ (წითელი ლაზეთი), რომელშიც, ს. ჟღენტის გადმოცემით, მხოლოდ არქაბელები და ხოფელები იყვნენ გაერთიანებული (ჟღენტი, 1938). ასე ჩამოყალიბდა ლაზური ეთნოლინგვისტური კუნძულები სამეგრელოსა და აფხაზეთში. ეს იმდენად კომპაქტური და თვითიზოლირებული ეთნოჯგუფი იყო, რომ აფხაზეთის ლაზურ სოფლებში ჩაწერილი მდიდარი ენობრივი მასალის საფუძველზე არნ. ჩიქობავამ გამოყო და ლინგვისტურად დაახასიათა ლაზურის ვიწურ-არქაბული და ათინური კილო-კავები (ჩიქობავა, 1936). საკუთრივ თურქეთში, ათინაში, არქავესა და ვიწეში გადასვლა და ამ ნიმუშების გადამოწმება 30-იანი წლებისთვის უკვე შეუძლებელი იყო.

აფხაზეთსა და სამეგრელოში წარმოქმნილი ლაზური ენობრივი კუნძულების არსებობას პირველი საშიშროება დაემუქრა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, როცა რეპრესიების შიშით მასობრივად დაიძრნენ

ლაზური ოჯახები, უპირველესად ისინი, რომლებსაც თურქეთის მოქალაქეობა ჰქონდა, და შავი ზღვით დაბრუნდნენ ისტორიულ ლაზეთში. ლაზური ენობრივი კუნძულების არსებობას წერტილი დაუსვა 1949-1953 წლებში მიმდინარე მასობრივმა გადასახლებებმა ყაზახეთში. თანდათან მოიშალა „კუნძულოვანი“ იზოლაცია და დაიწყო ლაზთა ინტენსიური ინტეგრაცია, ერთი მხრივ, აფხაზურ, მეორე მხრივ, ქართულ საზოგადოებაში. ნიშანდობლივია, რომ ეს პროცესი არ გამოჰპარვია დიდ მეცნიერს, არნ. ჩიქობავას და მან საგანგებოდ მიავლინა ოჩამჩირესა და ანაკლიაში თავისი ასპირანტი ირინე ასათიანი. ეს იყო მე-20 საუკუნის 60-იანი წლები. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ირინე ასათიანის მიერ მოპოვებული ლაზური მეტყველების ნიმუშები არის უკანასკნელი და მკირფასი მასალა აფხაზეთსა და სამეგრელოში არსებული ლაზური ეთნოგუგუფების ლინგვისტური და სოციალურ-ანთროპოლოგიური კვლევებისთვის.

საკვლევი მასალა და მეთოდოლოგია

ირინე ასათიანის ტექსტების პირველი ნაწილი წიგნად გამოიცა 1974 წელს, ხოლო მეორე ნაწილი - 2012 წელს. ანაკლიისა და ოჩამჩირის ნიმუშები თვალსაჩინოს ხდის ლაზურ ენაში მიმდინარე ინტერფერენციულ პროცესებს: მეტყველებისას ერთმანეთს ენაცვლება ლაზური, მეგრული და ქართული სამეტყველო კოდები, თავს იჩენს აფხაზური და რუსული ლექსიკური ნასესხობები, თავისთავად დასტურდება თურქული ლექსიკაც. აშკარაა სოციოლინგვისტური ხასიათის ცვლილებები. ამავე დროს ამ ტექსტებში არის იდენტობისა და ისტორიული მეხსიერების გამომხატველი ნარატივები, მათ შორის, მიგრაციის პროცესებზე. გამოსაყოფია მეგრელების თურქეთში, ხოფაში მიგრირებისა და შემდგომ იდენტობის ცვლის ფაქტებიც, რასაც მთქმელი ზოგიერთი ლაზური გვარის ანალიზისას იხსენებს (ჯორდან-ოღლი<ჯ/ჟორდანია, ბათალ-ოღლი<ჩიქვანი...), ასევე საყურადღებოა მეგრელებისა და ლაზების, აფხაზებისა და ლაზების იდენტობის ურთიერთმიმართების ამსახველი ტექსტები. ამგვარ სოციოლინგვისტურ და ეთნოლინგვისტურ საკითხებზე მცირე კომენტარების სახით ყურადღებას ამახვილებს ი. ასათიანიც 2012 წელს გამოცემული „ლაზური (ჭანური) ტექსტების წინასიტყვაობაში, სადაც ვკითხულობთ: „ტექსტები ჩაწერილია საქართველოს შავი ზღვისპირეთში, შიდა ჭანეთიდან ჩამოსახლებულ ჭანურ მოსახლეობაში. 60-იან წლებში (1960, 1968, 1969 წწ.) საკუთრივ ჭანეთი მაშინ ისევე ნაკლებისაწვდომი იყო, როგორც, სამწუხაროდ, დღეს უკვე აფხაზეთის მკვიდრი ლაზებია. არადა თავის კუთხეს მოწყვეტილი მომძე ქართულ-მეგრული მეტყველების არეში მოხვედრილი ლაზების მეტყველება თავისებურად საინტერესოა თუნდაც იმ თვალსაზრისით, თუ რა ზეგავლენა მოუხდენია მასზე ახალ გარემოცვას“ (ასათიანი, 2-12, 5). საერთოდ, ამ ტექსტებზე დაკვირვებისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ერთგვარი თვითცენზურა გაიარა თავის დროზე მკვლევარმა,

1974 წლის „ქანური (ლაზური) ტექსტების„ გამოცემაში რომ არ შეიტანა ტექსტების ეს ნაწილი.

როგორც ცნობილია, ტერმინი „ლინგვისტური კუნძული“ გულისხმობს ისეთ ენობრივ-კულტურულ ჯგუფს, რომელიც სხვა ენობრივი და კულტურული გარემოთია გამოყოფილი საკუთარი ენობრივი ერთობიდან, ბირთვული არეალიდან (ბერიძე, ბაკურაძე, 2022). თავად ირინე ასათიანიც წინასიტყვაობაში მიუთითებს, რომ ლაზური კუნძულისთვის ბირთვული არეალი იყო ლაზეთი, კონკრეტულად, ვიწე-არქაზე-ათინა, სადაც დიდი იყო თურქული ენობრივ-კულტურული გავლენა, ხოლო სხვა გარემოს ჰქმნიდა მეგრულ-ქართული ენობრივი სივრცე. ენობრივი კუნძულის განმარტებაში შემოდის მეორე მარკერი – იზოლირება არა მხოლოდ არეალური ბირთვისგან, არამედ ახალი ეთნოკულტურული არეალისგან. ამ გზით ლაზები ახალ გარემოში დიდხანს ინარჩუნებდნენ თავიანთ სამეტყველო კოდს კილო-კავური თავისებურებების ჩათვლით, ეწეოდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავას და ს. ჟღენტის მიერ აფხაზეთის ლაზებთან ჩაწერილი ტექსტები არა მხოლოდ ენობრივ თვითიზოლირებას აჩვენებს, არამედ მათში გადმოცემული ამბები, ზღაპრები/არაკები, ანეკდოტები თემატურ სიახლოვეს ამჟღავნებს ადმოსავლურ/თურქულ ფოლკლორულ მასალასთან. მაგრამ აბსოლუტურად იცვლება თემები და ამბების ხასიათი ირინე ასათიანის მიერ ჩაწერილ ტექსტებში - წინა პლანზე წამოიწევს საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და ყოფის ამსახველი ისტორიები. შესაბამისად, კარგად ჩანს ამ იზოლაციის რღვევის პროცესი და ენობრივ-კულტურული შედეგიც. ფაქტობრივად, არნ. ჩიქობავას კვლევა და ირინე ასათიანის ტექსტები ფრაგმენტებია იმ ფართომასშტაბიანი სურათისა, რომელიც ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: მე-19 ს. 70-იანი წლებიდან თანდათან იწყება ლაზური ლინგვისტური „კუნძულების“ ჩამოყალიბება სამეგრელოსა და აფხაზეთში; მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ამ კუნძულებს ახასიათებს სრული ენობრივი თვითიზოლაცია და „წამოყოლილ“ კილოკავურ მეტყველებას მტკიცედ ინარჩუნებს ვიდრე 30-იან წლებამდე; ეს კარგად გამოჩნდა არნ. ჩიქობავას კვლევებით. ამ ეტაპს უნდა მოჰყოლოდა ენობრივ/ეთნიკური საზღვრების მოშლისა და ასიმილაციის პროცესის დაწყება, რაც, ფაქტობრივად, არც ყოფილა დაკვირვების საგანი. მხოლოდ გარკვეული ვარაუდების გამოთქმა შეიძლება, არქივებში მუშაობამ შეიძლება წარმოაჩინოს 30-40-იანი წლების ძირითადი ტენდენციები. შემდგომი ეტაპი ძლიერი ინტერფერენციით გამოიხატა, რომელიც ლაზურ-მეგრულ-ქართული კოდების შერევის შედეგია, შესაბამისად, ეს პროცესი ირინე ასათიანის 60-იან წლებში ჩაწერილ მასალებში აშკარად დადასტურდა; ბოლო ეტაპი იყო ლაზური თემის საბოლოო დაშლა და ლაზური ენის გაქრობა ახალ თაობებში.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ვიდრე მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებამდე საუკუნოვანი მონაკვეთია ჩვენი ქვეყნის ისტორიისა. ლაზური თემი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ოკუპაციის პირველი ტალღის დროს მხარს უჭერდა, საბოლოოდ სასტიკად იქნა განწირული იმავე რეჟი-

მის მიერ ისე, რომ მათ არსებობას აფხაზეთსა და სამეგრელოში ტაბუ დაედო საზოგადოებაშიც და სამეცნიერო წრეშიც.

ვფიქრობთ, დადგა დრო ამ საკითხებს სათანადო სამეცნიერო კვლევა მიემდგნას, რაც საარქივო მასალების მოძიებასა და ანაკლიელი თუ ოჩამჩირელი ლაზების კვალზე გასვლას მოითხოვს. ამგვარ კომპლექსურ კვლევამდე კი მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ირინე ასათიანის ტექსტების საფუძველზე აღწეროთ ოჩამჩირელი ლაზების ეთნოლინგვისტური და კულტურული თავისებურებები. ასევე დავემყარებთ მნიშვნელოვან ეთნოკულტურულ ინფორმაციას თედო სახოკიას პუბლიცისტური ნარკვევიდან „სამურზაყანო“, რომელიც 1896 წელს „მომამის“ რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა ცალკეულ ნაკვეთებად. ჩვენ ხელთ გვქონდა 1985 წელს გიორგი ჩიტაიას რედაქტორობით გამოცემული წიგნი - თედო სახოკია, „მოგზაურობანი“, რომელშიც შესულია მთლიანად ზემოთ აღნიშნული პუბლიკაცია. ვფიქრობთ, ირინე ასათიანის ტექსტებთან ერთად თედო სახოკიას ინფორმაცია იძლევა საშუალებას, ვაჩვენოთ ოჩამჩირელი ლაზების „კუნძულოვანი“ სოციალური ჩამოყალიბების პროცესი და სამეტყველო კოდების ურთიერთმიმართების წინაპირობები.

კვლევის შედეგები

1. ოჩამჩირის ლაზური თემის ფორმირება და ეთნოლინგვისტური გარემო

თედო სახოკიამ დასავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნის 90-იან წლებში იმოგზაურა. სამურზაყანოში მოგზაურობის შესახებ თავის ნარკვევში ხაზგასმით წერდა, რომ ოჩამჩირე არის სამურზაყანოს კარი, ხოლო შავიზღვისპირა ქალაქებს შორის მეოთხე ადგილი უჭირავს, როგორც სავაჭრო ცენტრს ბათუმსა, ფოთსა და სოხუმს შემდეგ (სახოკია, 319). ჩვენთვის საყურადღებოა ავტორისეული ხაზგასმა, რომ ოჩამჩირის ამგვარი ზრდა და დაწინაურება ბოლო 30 წლის შედეგია და მისი რესპონდენტებიც სწორედ ისინი არიან, ვინც ამ პროცესს უშუალოდ მოსწრებიან. უფრო მეტიც, თ. სახოკია აკონკრეტებს წლებს: „რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის შემდეგ (1877-1878) სურათი საგრძნობლად გამოიცვალა. დუქნების გარშემო რომელიც დაბის საკუთრება მიწები იყო, 350 ოთხკუთხ საყენიან ადგილებად დაიყო და გაიყიდა. მეპატრონეთ შინ სახლები ჩაიდგეს და მოქალაქობრივ ცხოვრებას საფუძველი ჩაეყარა“ (სახოკია, 320). ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, ვინ იყვნენ ეს ახალმოსახლენი? მწერლის თქმით, მე-19 ს.-ის 90-იანი წლებისთვის ოჩამჩირეში ორივე სქესის 608 სული იყო, მაგრამ იქვე აკონკრეტებს: 26 კომლი ლაზია, 3 – ბერძენი, 1 – სომეხი, 1 – პოლონელი, დანარჩენი მეგრელები არიან (სახოკია, 320). თუმცა ლაზური კომლის რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო 60-იან წლებამდე, რაც ჩანს ნარკვევის იმ თავში, რომელიც ეხება აფხაზთა აჯანყებას 1864 წელს და მთავრის, მიხეილ შერვაშიძის გადასახლებას რუსეთში. კერძოდ, თედო სახოკია წერს: „მთავრის წაყვანის მეორე დღეს ოჩამჩირეში ბოქაუ-

ლად ვინმე კაცმანი დანიშნეს. მისი პირველი განკარგულება ის იყო, რომ აქ დასახლებულ 700 კომლ ლაზებს გამოეცხადა: პასპორტები მოიტანეთ, ან ყველანი გადასახლდით აქედანო. უმეტესმა ნაწილმა ქონება ნახევარ ფასებში მიჰყიდა-მოჰყიდა და იქაურობას თავი დაანება“ (სახოკია, 394). აშკარაა, რომ ლაზური თემი მძლავრად იყო წარმოდგენილი ოჩამჩირესა და მის შემოგარენში და „მუჰაჯირობის“ ტალღას მიჰყვა უმრავლესობა. თუმცა ოჩამჩირელი ლაზების წიაღში თედო სახოკია გამოყოფს საკუთრივ მეგრული წარმომავლობის სოციუმსაც. ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი ჩანაწერი: „სიმინდი გააქვთ აქედან (ოჩამჩირედან) უმეტეს წილად თურქეთში... სიმინდის წამლებნი ლაზები არიან. ნავების ნაპირად გამოტანის დროს ამ უკანასკნელთ მეგრულ ლაპარაკს ყური მოვკარი. გამოვეხმაურე, ვკითხე სადაურობა, წინაპრების ვინაობა, გვარი და სახელი, ასე მიპასუხეს: ჩვენი წინაპრები სამურზაყანოდან არიან წასული ლაზისტანშიო. ... მართლაც, ზოგს გვარები უცვლელად შერჩენიათ... მარღანია, ნარაკია, მარშანია და სხვ. მხოლოდ სახელები ოსმალური აქვთ. მეგრულად ლაპარაკობენ, მაგრამ ისე დამახინჯებულად, რომ თუ ყური არ შეაჩვიე მათ ლაპარაკს, გაგება გაგიჭირდებათ“ (სახოკია, 321). ერთი რამ უდავოა, რომ შავიზღვისპირეთში მიგრაციული პროცესები ორმხრივი იყო: ლაზისტანიდან სამეგრელო-აფხაზეთისკენ და პირუკუ - სამეგრელო-აფხაზეთიდან ლაზისტანისკენ. ამ რთული ისტორიული პროცესის კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ამჯერად ამაზე მსჯელობისგან თავს შევიკავებთ.

ლაზების საქმიანობაზე დაკვირვებით, თედო სახოკია აღნიშნავს, რომ სურსათ-სანოვავის მთავარი გადამზიდავები როგორც ზღვით, ასევე ხმელეთით ლაზები არიან. ეს ეხება არა მხოლოდ სიმინდით ვაჭრობას, არამედ „ლაზებს მოაქვთ აქ გასასყიდად მსხალი, ვაშლი და სხვ. ლაზებივე ჰყიდიან აქ აჭარიდან მოტანილ ერბოსა“ (სახოკია, 322). რა თქმა უნდა, არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ ლაზები ისტორიულად და მაშინაც სახელგანთქმული მენავეები იყვნენ: „ამათ ვერ წარმოუდგენიათ, თუ ზღვის გარეშე რამე სიამოვნება არის, ვერ წარმოუდგენიათ მიწის მუშის მყუდრო ცხოვრება, ვერ წარმოუდგენიათ თავის თავი უნავოდ“ (სახოკია, იქვე). ასეთია ოჩამჩირელ ლაზთა ეთნოკულტურული ვითარება მე-19 საუკუნის მიწურულს...

ოჩამჩირელი ლაზების საქმიანობის გარდა, თედო სახოკია აღწერს ოჩამჩირეში შექმნილ ენობრივ ვითარებას: „სალაპარაკო ენა მეგრულია, თუმცა ქართულიც ყველამ იცის. მეგრელებში (მეტადრე ვაჭრებში) ბევრია ბერძნული და თურქული ენების ზედმიწევნით მცოდნენიცა“ (სახოკია, 320). ისმის კითხვა: შეიძლება ჩაითვალოს, რომ ლაზებმაც იცოდნენ მეგრული ან ქართული, ან ორივე? თუ მხოლოდ ბერძნული და თურქული იყო ლაზებისა და მეგრელების საკომუნიკაციო საშუალება, რადგან მეგრელების ეს ენობრივი მახასიათებელია ხაზგასმული მწერლის მიერ? სავარაუდოა, რომ ლაზებს მეგრული სცოდნოდათ, რადგან ლაზურის ფლობა უმარტივესი გზაა მეგრულის ათვისებისკენ. მეორე მხრივ, შესაძლოა, ამის საჭიროება არც იყო და სავაჭრო ურთიერთობისთვის თურქული ყოფილი-

ყო კომუნიკაციის საშუალება. ამ საკითხის სიღრმისეული კვლევისთვის არქივის მასალების დამუშავებაა საჭირო, თუმცა ჩვენ ვიხრებით იმ მოსაზრებისკენ, რომ ოჩამჩირელი ლაზების უმცირესობა, სავარაუდოდ, ფლობდა მეგრულს და ქართულსაც. აღსანიშნავია, რომ ოჩამჩირეში მხოლოდ 1885 წელს გაიხსნა რუსულენოვანი სკოლა, ხოლო ოქუშის ქართული სკოლა, იგივე „ქართული წიგნსაცავი“ თ. სახოკიას მოგზაურობამდე ერთი თვით ადრე გახსნილა, ანუ 1896 წელს (სახოკია, 335). ამდენად, არათუ ლაზთა შორის, მეგრელთა შორისაც ძალიან ცოტა იყო ქართული წერა-კითხვის მცოდნე. სავარაუდოდ, საყველპურო ქართული შესაძლოა ლაზ ვაჭრებს სცოდნოდათ.

ჩნდება კითხვა: ხომ არ იმეორებდა ოჩამჩირის ენობრივი ვითარება იმავე სურათს, რაც ზოგადად დამახასიათებელი იყო შავიზღვისპირა საპორტო-სავაჭრო ქალაქებისთვის? ამ მხრივ საინტერესოა ირინე ასათიანის 1974 წელს გამოცემული ტექსტებიდან 122-ე ეპიზოდი, სადაც რესპონდენტის მიერ დახასიათებულია ხოფის ეთნოლინგვისტური იერსახე:

ხოფაშ იშო ესქი ტრაბუზანი – მთელი გურჯიფე რენან. 15. ართელი ლაზი ვა მიმოკათუნ. 16. ხოფაშ-კულე იყვენ. 16. ვიწეშ აშო, ათინაშ აშო, 17. გურჯიჯე ღარღალაფან. 18. ხოფას მეგრელჯე, გურჯიჯე, აბაზაჯე კათთაის უჩქინა(!). 19. ჯვეში ვაჭარეფეს მთელის უჩქინა. 20. მეთუთუნეფე იჩალიშეფტეს – ენთეფეს უჩქინა. 21. აწი სი ხოფაშ იდა-ნა. 22. გურჯიჯე ოღარღალუმ კოჩის ოშ ქოძიროფ. [ხოფას იქით ძველი ტრაპიზონი – სულ ქართველები არიან. 15. ერთი ლაზი არ ურევია. 16. ხოფას შემდეგ არის კილომეტრი. 16. ვიწეს აქეთ, ათინას აქეთ. 17. ქართულად ლაპარაკობენ. 18. ხოფაში მეგრული, ქართული, აფხაზური ყველამ იცის. 19. ძველმა ვაჭრებმა ყველამ იცის ("იციან"). 20. მეტამბაქოები მუშაობდნენ – იმათ იციან. 21. ახლა შენ ხოფაში რომ წახვიდე, 22. ქართულად მოლაპარაკე ("ლაპარაკის") კაცს ასს ნახავ.] (ასათ., 1974, 209-210)

ეს ვრცელი ამონარიდი ადასტურებს, რომ ხოფაში ლაზურთან ერთად ისმოდა მეგრული, ქართული და აფხაზურიც კი. ხაზგასმულია, რომ ამგვარ მრავალენოვნებას შეხვდებოდით ვაჭრებსა და მეთუთუნეებში. ეს სწორედ ის კატეგორიაა, რომლებიც ინტენსიურად მიმოდიოდნენ შავიზღვისპირა ქალაქებში და ლოგიკურია, რომ ოჩამჩირეც ჯდებოდა ამ ქალაქთა ენობრივ ლანდშაფტში.

შესადარებლად საინტერესოა ტრაპიზონის ენობრივი დახასიათება. აქ ყურადღებას იქცევს თურქული მოსახლეობის შეფასება, კერძოდ, მათ „ლაზებად“ სახელდების შესახებ განმარტება, რომელიც ი. ასათიანის რესპონდენტის მიერ ასეა ახსნილი:

სტამბოლიშა... პოლითა. 2. ლაზური პოლი ჯოხონი 3. (ტრაპიზონი – თურქე. ლაზური – ტრამტრა). 4. ირიზული, ტრამტრული პოლიშა ვანა ბაშეს თურქეფეშ შეჰერეფეშა ნა იდან, ენთეფეს ლაზი უწუმელან. 5. მუშენი? 6. ტერიტორია ლაზიში... ემ დერეფე ლაზიში ნა რენ შენი. 7. ლაზი ვა რენ, თურქი რენ. 8. ლაზური ვა უჩქინ. 9. ლაზი ვა რენ ია. 10. ირიზული რენ. 11. ამა თურქეფექ ირიზულეფეს-თი ლაზი უწუმელან. [სტამბოლში...

პოლში... ლაზურად პოლი ჰქვია. 2. ტრაპიზონი – თურქულად, ლაზურად ტრამტრა. 4. ირიზელი, ტრამტრელი, პოლში ან სხვა თურქებს, ქალაქებში რომ წავიდნენ, იმათ ლაზს უძახიან. 5. რატომ? 6. ტერიტორია ლაზისა... ის ადგილები ლაზისა რომ არის, იმიტომ. 7. ლაზი არ არის, თურქი არის. 8. ლაზური არ იცის. 9. ლაზი არ არის ის, ირიზელი არის. 11. მაგრამ თურქები ირიზელებსაც ლაზს უძახიან.] (ასათ., 1974, 211).

ირკვევა, რომ თურქების და ლაზების განმასხვავებელი მარკერი ლაზურის ცოდნაა, თუმცა ტერიტორიული ნიშნით ლაზებად ითვლებიან თურქებიც. აქ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მე-20 საუკუნის თურქეთში „ლაზი“ ტერმინი ჩანაცვლდა ტერმინ „შავიზღვისპირელით“, რითაც გაერთმნიშვნელიანდა თურქი და ლაზი ეთნიკური ჯგუფები ლაზეთის ტერიტორიაზე (ახალაია, ბაწაში და სხვ., 2015).

საინტერესოა ოჩამჩირელი ლაზის ხედვა, როცა ლაზისტანის, როგორც ისტორიული საცხოვრისის, ტერიტორიულ მარკერს შეუსაბამებს ანალოგიით აფხაზეთის მაცხოვრებელს:

აფხაზეთიშენ არ კოჩი ბაშქს... გურჯისტანიშა იდას-ნა, 13. რუსეთიშა იდას-ნა, 14. აბაზა უწუმელან... [აფხაზეთიდან კაცი სხვა გურჯისტანში რომ წავიდეს. 13. რუსეთში რომ წავიდეს. 14. აფხაზს უწოდებენ.] (ასათ., 1974, 211).

ცხადია, რომ ოჩამჩირელ ლაზებს შორის თვითიდენტიფიკაციის საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ისინი მუდმივად ფიქრობდნენ ამაზე არა მხოლოდ ლაზური თემის შიგნით ერთიანობის მისაღწევად, არამედ გარემომცველ საზოგადოებაში ინტეგრაციის მიმართულებითაც. თუ ტრაპიზონ-ხოფის შემთხვევაში თურქულ გარემოსთან ინტეგრაციის საკითხი იდგა, ოჩამჩირეში და ზოგადად, აფხაზეთში, ქართულ (resp. მეგრულ) და აფხაზურ სოციალურ ინტერფერენციის პრობლემა იდგა.

ოჩამჩირელი ლაზების შესახებ თ. სახოკიას მიერ მე-19 საუკუნეში შექმნილ ეთნოლინგვისტურ სურათს აკლია რამდენიმე პაზლი, თუმცა კიდევ უფრო ნაკლებია ეს სურათი მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე. ამ პერიოდს უკავშირდება ლაზური ენისთვის ანბანისა და სახელმძღვანელოს შექმნა, ლაზური დაწყებითი სკოლების დაარსება, როგორც ოჩამჩირეში, ასევე სოხუმისა და გუდაუთის რაიონებში, რომლებიც 1938-39 წლებში რეორგანიზდა ქართულ ან რუსულ საშუალო სკოლებად (გვანცელაძე და სხვ. 2024. 144-209); გამოდიოდა ლაზური გაზეთიც. ამავე პერიოდში ასევე ფუნქციონირებდა თურქული სკოლებიც, რის საჭიროებას ადასტურებს ოჩამჩირელი რესპონდენტის ხ. ნარაკიძის მიერ აღწერილი ვითარება – ოჩამჩირელი ლაზების დამოკიდებულება ადგილობრივ მეგრელებთან და თურქებთან:

აწი ლაზი. აღნე მოხთიმიეი ლაზი ფთქვათ ჩამჩირეშა (ჩქინ ჩამჩირე უწუმელთ) მოხთას-ნა, 31. ჩამჩირეს მეგრელებე დიდიო რენან. 32. თურქე-თი რენან ხოლო. 33. ოხორეფე უდუნან. 34. მუსაფიი ახჩამდან თურქიშა ვა ნულუნ. 35. მეგრელიშა მეხთას-ნა, კაი აწონენ. 36. მუშენი? 37. მუშენი დო ნენა ართო ენ დო მჯვემ ჯუმა მუში ენ. 38. ... ამ დიციბირითენ ლაზი

დო მარგალი არ რენ. [ახლა ლაზი, ახალი მოსული ლაზი ვთქვამთ ოჩემჩირეში (ჩვენ ჩამჩირეს ვუძახით), რომ მოვიდეს, ოჩემჩირეში მეგრელები ბევრნი არიან. 32. თურქებიც არიან. 33. სახლები აქვთ. 34. სტუმრად სადამოს თურქთან არ მოვა. 35. მეგრელთან რომ მივიდეს, მოეწონება. 36. რატომ? 37. რატომ და ენა ერთი არის და ძველი მისი ძმა არის.] (ასათ., 1974, 201)

60-იანი წლების ეს ჩანაწერი ადასტურებს, რომ ოჩამჩირეში დიდხანს მოსახლეობდნენ თურქებიც, თუმცა ლაზების მათთან გაუცხოების პროცესი ქართულ/მეგრულ სოციალურ დაახლოების კვალდაკვალ აშკარაა. რაც მთავარია, სიახლოვე-სიშორის მარკერად გვევლინება ენა: ერთი მხრივ, ლაზური და მეგრული, როგორც ერთიანი სამეტყველო კოდის ვარიანტები, მეორე მხრივ, ქართული, როგორც საერთო გამაერთიანებელი ენა:

ემუშენი ლაზის, მეგრელი-კალა ნა ტას, კაი აწონენ. 45. საერთო ქორთუ რენ. 46. ამ ნენა არ რენ. 47. რაზნიცა ვა ულუნ. [ამიტომ ლაზს მეგრელთან ერთად რომ იყოს, მოსწონს. 45. საერთოდ ქართველი არის. 46. ენა ერთი არის. 47. განსხვავება არ არის.] (ასათ., 1974, 201).

სავარაუდოდ, 50-60-იან წლებში სწრაფად მიმდინარეობდა ოჩამჩირელი ლაზების გამეგრელების პროცესი, რასაც ხელს უწყობდა ქალაქის ცხოვრებაში ლაზების აქტიური ჩართულობა. ეს პროცესი ჯერ კიდევ რუსეთის ნიკოლოზ მეფის დროიდან იწყება, რაზეც მეტყველებს შემდეგი ამონარიდი:

1. მთელი ოხორეფე ნიკოლოზიშ დროს... 2. გორსავეტი ლაზიში რტუ კარა-ხასანიში. 3. ენკავედე – კუნტა ხუსენიში. ... 6. ჩამჩირეს ქვამ შენობაფე გვერდი... ნახევარი... ლაზეფეში რენა(!). 7. ბილიარდნი – ლაზიში. ჯვეში სუდია – ლაზეფეში. 8. მარგალეფე ხოლო სანაია დო ჭაჭია – ვაჭარეფი. 9. თურქეფე ტაბაკა... 10. თუთუნს იხალიშეპტეს... [1. მთელი სახლები ნიკოლოზის დროს... 2. ქალაქის საბჭო ლაზისა იყო კარა-ხასანის. 3. „ენკავედე“ – მოკლე ხუსენისა ... 6. ოჩემჩირის ქვის შენობები – ნახევარი ლაზებისა არის („არიან“). 7. საბილიარდო – ლაზისა, ძველი სასამართლო – ლაზებისა. 8. მეგრელებიც – სანაია და ჭაჭია – ვაჭრები. 9. თურქები თამბაქოს მისდევდნენ („მუშაობდნენ“)]. (ასათ. 1974. 210).

ქალაქური ყოფა არ იყო უცხო ლაზებისთვის, ამიტომაც ოჩამჩირის ლაზური თემი გაცილებით უფრო სწრაფად ინტეგრირდებოდა ადგილობრივ სოციალურ, ვიდრე აფხაზეთის სხვა მხარეში. როგორც გამოჩნდა, ოჩამჩირელი ლაზების ენობრივ გარემოს ისტორიულად ჰქმნიდა რამდენიმე ენა: ერთი მხრივ, საკუთრივ მონათესავე ენები – ქართული და მეგრული, მეორე მხრივ, ბერძნული და თურქული. თედო სახოკიას მოგზაურობისას არათუ ოჩამჩირეში, არამედ სოხუმისა და გაგრის მიდამოებშიც არ ცხოვრობდნენ აფხაზები მუჰაჯირობის შედეგად, ამიტომაც არცაა ნახსენები აფხაზური ენა. თუმცა ეს სურათი შეიცვალა მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან და აფხაზურიც შემოდის ლაზურის გარემოცვაში, თუმცა ოჩამჩირეში ჩაწერილ ტექსტებში არ ჩანს აფხაზური სამეტყველო კოდის ელემენტე-

ბი. მოგვიანებით კი დომინანტურ პოზიციას იკავებს რუსული ენაც და რუსიზმები იჩენს თავს ლაზურ მეტყველებაში. ამდენად, ნახევარ საუკუნეში ოჩამჩირეში ლაზურის ენობრივი გარემოცვა შეიცვალა და სამეტყველო კოდების მონაცვლეობის მიმართულებაც გამოიკვეთა.

2. ენობრივი თვითიდენტიფიკაცია

ოჩამჩირის ლაზური თემის ენობრივი თვითიდენტიფიკაციის საკითხი კარგად ჩანს ი. ასათიანის მიერ ჩაწერილ ტექსტებში. ზემოთ უკვე აღვწერეთ ენობრივი გარემო, რომლისგან იზოლირებისა და ამავდროულად ინტეგრაციის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა. ბუნებრივია, ლაზები აკვირდებოდნენ ამ ვითარებას და ცდილობდნენ თვითიდენტიფიკაციას რამდენიმე მიმართულებით: ლაზურის კილოკავური განსხვავების მონიშვნით, მეგრულთან და ქართულთან განსხვავებულის მონიშვნით, თურქულთან სხვაობის მონიშვნით.

რამდენადაც ცნობილია, ოჩამჩირეში ლაზურის სამივე კილოკავის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, თუმცა ი. ასათიანის რესპონდენტები ხოფურ და არქაბულ კილოკავზე მეტყველებდნენ. შესაბამისად, არქაბელები ხოფურს უდარებენ თავიანთ მეტყველებას და პირუკუ:

(1) „იყვენ“ – *ხოფურეფეში რენ*, „ივენ“ – *არქაბულეფეში...* [„იყვენ“ – ხოფელების არის, „ივენ“ – არქაბელების] (ასათ., 2012, 30)

ეს მაგალითი იმითაა საინტერესო, რომ კილოკავური განსხვავების მარკერად აღებულია ქართული ზმნური ფორმა ‘იყვენ’ და მისი დასავლურქართული ვარიანტი ‘იყვენ’. ერთი მხრივ, გვაქვს ნასესხები ლექსიკური ფორმა, მეორე მხრივ, ლაზურის კილოკავური სხვაობის მარკერად არის მიჩნეული განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტი.

კილოკავურ მახასიათებლად ზოგჯერ ლაზური, უფრო სწორად, საერთო ლაზურ-მეგრული ლექსიკა ითვლება, როგორც ეს შემდეგ წინადადებაშია: თურქული ‘ევლადი’ ჩანაცვლებულია ზანური ‘სქირით’, რომელიც დღეს საკუთრივ მეგრულშიც გამოსულია ხმარებიდან და ჩანაცვლებულია ‘სქუა’ ლექსემით:

(2) „ევლადი“-*სქირი*. 5. *ბაშკაფეჟ, ხოფურეფეჟ-თი...* 6. *მო იქომ, სქირი!* 7. *მო იქომ, ევლადი!* [„ევლადი“ – შვილი. 5. სხვებმა, ხოფელებმაც... 6. ნუ შვები, შვილო 6. („სქირი“)! 7. ნუ შვები, შვილო („ევლადი“)!] (ასათ., 2012, 24).

როდესაც ლაზურის და მეგრულის შედარება ხდება, შესაბამისად, დარდება ხოფური ან არქაბული მეტყველება მეგრულს. სხვაობის ასახსნელად რესპონდენტებს მოჰყავთ სიტყვები, რომლებიც საერთო ან განსხვავებულია, როგორც ეს (3) წინადადებაშია:

(3) *ხოფური დო მენგრელური: მენგრელჯა, კარდალა, ხოფური კარდელა, ჩქუნ – წუკალი*. 2. *„კარდალა, მუნ ორენ, წუკალი ვა გათქვინენ-ი?!“* ა [ხოფური და „მეგრელური“; მეგრულად „კარდალა“ (ქვაბი), ხოფურად

„კარდალა“, ჩვენ – „წუკალი“. 2. „კარდალა“ რა არის, „წუკალს“ ვერ იტყვიო!?”] (ასათ., 2012, 26).

ის ფაქტი, რომ მეგრული „კარდალა“ ხოფურ მეტყველებაშიც გამოიყენება ნაცვლად ლაზური „წუკალისა“, ქილიკის საგანი ხდება არქაბულად მეტყველისთვის. მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი, როცა ხოფურში ლაზური მეგრული სიტყვითაა ჩანაცვლებული:

(4) *ლორონთი მეგრელჯა რენ... 33. ხოფას ზოპონა ლორონთი... ჰო ლორონთი... 34. ჩქუ-თანგრი... [„ლორონთი“ (ღმერთი) მეგრულადაა... 33. ხოფაში ამბობენ „ლორონთი“-ს... ჰო, „ლორონთი“. 34. ჩვენ – „თანგრი“-ს...]* (ასათ., 2012, 27).

რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ ლაზურსა (ხოფურსა) და მეგრულს შორის დიდი სხვაობა არ არის ლექსიკის მიხედვით, ეს ეხება მეტყველების ყველა ნაწილს:

(5) *მენგრელური დო ხოფური დიდო რაზნიცა ვა უღუნ. 4. მენგრელური – „მორთი“, ლაზური – „მოხთი“.* [მეგრულსა და ხოფურს განსხვავება არა აქვს. 4. მეგრული – „მორთი“ (მოდო) ლაზური „მოხთი“.] (ასათ., 2012, 26).

(6) *ეჩი, ეჩიდოარ, „ეჩიდოართი“ – მარგალური ენ.* [ოცი, ოცდაერთი, „ეჩიდოართი“ მეგრულია.] (ასათ., 2012, 26).

(7) *ღულა – მარგალური-თ ითქვინენ, 36. ჩქონებური-თ, ღულა რენ... [„ღულა“ (მრუდე) მეგრულადაც ითქმის და ჩვენებურადაც; „ღულა“ არის.]* (ასათ., 2012, 27).

(8) *გობი მარგალური სარდა რე დო ლაზური ჩქინი, ხოფური ლაზური.* [გობი მეგრულად „სარდა“ არის და ლაზურად ჩვენი ხოფურით – „გობი“.] (ასათ., 1974, 218).

(9) *ოსური? ოსურე – ვარ. ჩქინ ოხორჯა უწუმელთ. კომში ქრის ოსური უწუმელან.* [„ოსური“? „ოსურე“ – არა. ჩვენ „ოხორჯა“-ს ვუძახით. მეზობელ სოფელში „ოსურს“ უძახიან.] (ასათ., 1974, 222).

მეგრელებთან შედარების ერთ-ერთი კრიტერიუმია ინტონაცია, ხმოვანება. მაგალითად, ოჩამჩირის არქაბელები ხოფელებს იმიტაც ახასიათებენ, რომ მეგრელებივით „გაწელილი“ მეტყველება აქვთო:

(10) *ჩქინ ორთა დეიშ ლაზეფე ბოეთ. 2. ნინა ჩქინი ვა პწინწოფთ „ზინდენა“.* [ჩვენ შუა ადგილის ლაზები ვართ. 2. ჩვენ სიტყვას არ ვწელავთ.] (ასათ., 2012, 30).

სხვათა შორის, ამ წინადადებაში გაწელების აღმნიშვნელ ლაზურ სიტყვასთან ‘პწინწოფთ’ ერთად გამოყენებულია მეგრული „ზინდენა“.

ისტორიული არქაბე ხოფასა და ათინას შუაა მოქცეული და ამ მარკერით იზომება არქაბული მეტყველების „ნამდვილობა“ მიგრაციის პირობებშიც კი.

ზოგადად, ოჩამჩირელი ლაზების ენობრივი თვითიდენტიფიკაციისას მნიშვნელოვანია მათი დამოკიდებულება როგორც მეგრული, ასევე

ქართული ენის მიმართ. დაბეჯითებით იმეორებენ იმას, რომ ლაზი, მეგრელი და ქორთუ 'ქართველი' ერთნი არიან:

(11) *მარგალი დო ქორთუ დო ლაზი ართი რე. 3. ლაზი უმოსი ქორთუმ გარეშე რენ.* [მეგრელი და ქართველი და ლაზი ერთი არის. 3. ლაზი უფრო ქართველს გარეთაა.] (ასათ., 1974, 218).

(12) *„სი ლაზიშ გამნარყი რექ“. 12. მარგალი, ლაზი დო ქორთუ ართი ვორეთ.* [შენ „ლაზის განაყოფი ხარ“ (მეგრ.). 12. მეგრელი, ლაზი და ქართველი ერთნი ვართ.] (ასათ., 1974, 216).

მეგრულად წარმოთქმული ფრაზა „სი ლაზიშ გამნარყი რექ“ თითქოს მეტ დამაჯერებლობას ჰმატებს რესპონდენტის მტკიცებას ლაზის, მეგრელის და ქორთუს ერთიანობის შესახებ. თუმცა ლაზი რომ მთლად ქართველი არ არის, ამის ხაზგასმაც ხდება (11) და (13) წინადადებებში:

(13) *ლაზი თამამ გურჯი ვა რენ. 11. ჭანი – გვერდი ხოჯი რენ. 12. გვერდი – კურო. 13. ჭანი კურო ვა რე დო. 14. ხოჯი ხოლო ვა რე. 15. ლაზი ხოლო მთელი გურჯი ვა რენ...* [ლაზი მთლად ქართველი არ არის. 11. ჭანი ნახევარი ხარი არის. 12. ნახევარი – კურო. 13. მთლიანად კურო არ არის და.] (ასათ., 1974, 209).

ძალიან საინტერესო მეტაფორა მოჰყავს რესპონდენტს: ლაზი/ჭანი ნახევრად ხარი და ნახევრად კურო არისო, ამიტომაც ლაზი არ არის მთლად გურჯი, რომელიც კუროა. ხარის სემანტიკის ორიგინალური გააზრება ამ ფრაზებში.

ოჩამჩირელი ლაზების დამოკიდებულება ქართულის მიმართ ლექსიკურ აღრევამიც ჩანს, კერძოდ, ქართული სიტყვები ზოგჯერ მეგრულ ერთეულებად არის მიჩნეული, მაგალითად:

(14) *ჩქუ მარი ბუწუმერთ მაყაყის. 39. მაყაყის მარგალური რენ. მარგალური-თ ვა რენ. 41. ხოფური? 42. მუ მიჩქინ!* [ჩვენ „მარ“-ს ვეძახით ბაყაყს. 39. „მაყაყი“ მეგრულია, 40. მეგრულიც არ არის, 41. ხოფური? 42. რა ვიცი!] (ასათ., 2012, 29).

სიტყვა „მაყაყი“ მეგრულად გამოითქმის, როგორც „გორდი“. ქართული სიტყვის მიკუთვნება მეგრულისთვის შეძლება იმით აიხსნას, რომ ლაზურში ქართული ლექსიკა ძირითადად მეგრულენოვანების გარემოცვიდან შემოდიოდა ზეპირი გზით. ზოგჯერ ნასესხები ქართული სიტყვა ლაზურადაც არის მიჩნეული, რაც (14) წინადადებაში გამოჩნდა და დასტურდება შემდეგი მაგალითითაც:

(15) *ჭაზდალულიშ ძეგნითე ჯინსი გუიქეთენ. 48. ძეგნი – ლაზური. 49. ქორთული – „ძეგლი“. 50. სუფთა ლაზური სიტყვა.* [ხედმეტი სახელის ძეგლით გვარი შეიცვლება. 48. „ძეგნი“ ლაზურია. 49. ქართული "ძეგლი". 50. სუფთა ლაზური სიტყვა.] (ასათ., 1974, 204).

ლაზური ენის თურქულ ნასესხობებსაც განმარტავენ ლაზი რესპონდენტები და ცდილობენ ახსნან ეს მოვლენა:

(16) *ლაზურის თურქული მიმოკათუნ დო 2. ემუშენი ლაზურის დო მეგრელეფეს ნენას 3. ჭიტა განცხვავება ულუნ.* [ლაზურში თურქული ურე-

ვია. 2. ამიტომ ლაზურის და მეგრელების სიტყვას ცოტა განსხვავება აქვს.] (ასათ., 1974, 208).

(17) *ენტეფე... ელაქთერი თქუმელან არქაბული... 24. გომუნტალამან ლაზური დო თურქული ათინორეფე.* [ესენი... გადასხვაფერებულად ლაპარაკობენ არქაბულს. 24. ურევენ ლაზურსა და თურქულს ათინელე-ბი.] (ასათ., 2012, 30).

(18) *ლაზური ოჭარუ, ოკითხუ ვა მილუტეს-შენი. ჩჳინ თურქულო კჳაუფტით, ვიკიხუპტით. 6. მიტრიკა-თი (ნუჭუსიმ ქარტალი) თურქეფე მომჩაფტეს. 7. დო თურქულო კჳარუფთ ჭამილია გემიძინან. 8. ჩჳინ მილუ-თიქ... [ლაზური წერა-კითხვა არ გვექონდა. იმიტომ ჩვენ თურქულად ვწერ-დით, ვკითხულობდით. 6. „მეტრიკასაც“ („ნუჭუსის ქაღალდი“) თურქები გვაძლევდნენ. 7. და თურქულად ვწერთ, გვარი გვაქვს...]* (ასათ., 1974, 221).

(19) *ფარას გეჭარელი უწუმელან ლაზეფე. 2. ფარა – თურქე.* [ფულს "გეჭარელს" უძახიან ლაზები. 2. ფარა – თურქულად.] (ასათ., 1974, 213).

(20) *არტაშენი... ათინა – აქოლე დო არტაშენი ექოლე იყვასინონ. 16. ლაზური დაა ონდი ენ... მსქვა ლაზური ვა რენ. 17. ხახოლისთი. 18. მთხას „შურონი“, ონტულეს – „ლივადი“, ჯოღორის – „ლაკი“. 19. ჩჳინიკელე მე-ლი ვა რენ – თილქი. თილქი – თურჩე. 20. კატირი – თურჩე. ლაზური – ჯოხო ვა უდუნ. 21. მონტკოი. მაფადი – თურქული.* [არტაშენი... ათინა აქეთკენ და არტაშენი იქეთკენ უნდა იყოს. 16. ლაზური ისაა... ლამაზი ლაზური არ არის. 17. ხახოლივით: 18. თხას – „შურონი“, ბოსტანს – „ლივადი“, ძაღლს – „ლაკი“. 19. ჩვენსკენ „მელი“ არ არის – თილქი. თილქი – თურქული. 20. „კატირი“ თურქულად. ლაზური სახელი არა აქვს. 21. მატყლი – „მაფადი“ – თურქული.] (ასათ., 1974, 211).

როგორც ბოლო მაგალითებიდან ჩანს, ოჩამჩირელი ლაზები ხაზგასმით მიანიშნებენ, რომ თურქული ნასესხები ლექსიკა ანაცვლებდა საკუთრივ ლაზურს, რაც დიდად მოსაწონი არ უნდა ყოფილიყო მათთვის. ყოველ შემთხვევაში, ოჩამჩირის ენობრივ-კულტურულმა გარემომ ლაზებს უბიძგა თვითიდენტიფიკაციისკენ სწორედ ენობრივი ნიშნით.

დასკვნა

ისტორიულად, ცხადია, ეგრისის თუ ლაზიკის სამეფოში ჭანური (ლაზური) მოსახლეობა ვრცელდებოდა მთელ შავიზღვისპირეთში, მათ შორის მთიანი აფხაზეთისა თუ სამეგრელოს ტერიტორიაზეც, მაგრამ ზანურენოვანი მოსახლეობის დიალექტური დიფერენციაცია საუკუნეების შემდეგ გეოგრაფიულადაც დაისაზღვრა: ლაზური მოექცა მდინარე ჭოროხის გაღმა, მაკრიალიდან ვიდრე ტრაპიზონამდე. ჩამოყალიბდა ლაზეთი, რომელიც ჯერ ტრაპიზონის იმპერიაში შედიოდა, ხოლო შემდეგ – ოსმალეთის იმპერიაში, რითაც გაწყდა ან შენელდა ურთიერთობები მეგრულენოვან მოსახლეობასთან, თუმცა შავი ზღვა და ზღვაოსნობა ვაჭრობასთან ერთად, იყო ის, რაც ლაზებს ყოველთვის აძლევდა დანარჩენ ქართულ სამყაროსთან შეზღუდული კომუნიკაციის საშუალებას. ამ ურთიერთობაში

ნამდვილი გარღვევა მოხდა რუსეთის იმპერიის მიერ თურქეთის დამარცხების შემდეგ, მე-19 საუკუნის 70-იან წლებში და მასშტაბური გახდა ლაზთა მიგრაცია შავიზღვისპირეთში, მათ შორის აფხაზეთში, კერძოდ, ოჩამჩირეში.

თედო სახოკია თვითმხილველია იმისა, თუ როგორ ჩამოყალიბდა ოჩამჩირე ქალაქის ტიპის დასახლებად სულ რაღაც 20 წელიწადში და ამ პროცესში დიდი იყო მიგრირებული ლაზების წვლილი. ოჩამჩირე იქცა სავაჭრო ცენტრად, სადაც ვაჭრები და ტვირთის ზღვით გადამზიდველები ლაზები იყვნენ. მალე ოჩამჩირე გახდა მრავალენოვანი ურბანული დასახლება, სადაც მეგრულთან, ლაზურთან და ქართულთან ერთად ისმოდა ბერძნული, თურქული და რუსული ენები.

არნ. ჩიქობავას, ს. ჟღენტის, ი. ასათიანის ტექსტები ადასტურებს, რომ ოჩამჩირელი ლაზები ძირითადად არქაბესა და ათინას მიმდებარე ტერიტორიიდან იყვნენ მიგრირებული და, შესაბამისად, მათ საიდენტიფიკაციო მარკერად შერჩეული ჰქონდათ თავიანთი კილოკავური მეტყველება, რომელსაც მიჯნავდნენ ენობრივი ნიშნით როგორც ლაზურის სხვა კილოკავისგან, ასევე მეგრულისა და ქართულისგან, ერთი მხრივ, თურქულისგანაც, მეორე მხრივ. ოჩამჩირელი ლაზების გარკვეული ნაწილი ფლობდა მეგრულსაც და ქართულსაც, ასევე თურქულსაც, თუმცა თურქულისგან გამიჯვნისა და ქართველურ ენებთან ინტერფერენციის პროცესიც დროთა განმავლობაში იზრდებოდა, განსაკუთრებით მე-20 ს.-ის 40-იანი წლებიდან, როცა ოჩამჩირის ლაზური სკოლა ქართულ სკოლად გადაკეთდა.

ოჩამჩირელი ლაზების ეთნოლინგვისტური სურათი იცვლებოდა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე მთლიანად არ გაიწოვა ლაზური თემი ქართულენოვან ან აფხაზურენოვან საზოგადოებაში, რაშიც დიდი როლი შეასრულა 50-იანი წლების მასობრივმა გადასახლებებმა ყაზახეთში და ამ თემის ტაბუირებამ მომდევნო პერიოდში. ი. ასათიანის ტექსტები ასახავს ამ თემის უკანასკნელ ამოსუნთქვას და საუკეთესოდ გვიჩვენებს სამეტყველო კოდების შერევის ფაქტებს, თუმცა ამ უკანასკნელს სხვა ნაშრომში წარმოვადგენთ.

ლიტერატურა

ასათიანი 1974 – ასათიანი, ი. ჭანური (ლაზური) ტექსტები. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1974.

ასათიანი 2012 – ასათიანი, ი. ლაზური (ჭანური) ტექსტები. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2012.

ახალაია, ზაწაში და სხვ. 2015 – ახალგია ნ., ზაწაში წ., ლორთქიფანიძე გ., ლორთქიფანიძე ქ., მემიშიში ო., ქავთარაძე ზ. ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. თბილისი, 2015.

ბერიძე, ზაკურაძე 2020 – ბერიძე, მ., ზაკურაძე, ლ. ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, 2020.

გვანცელაძე გ. და სხვ., 2024 – გვანცელაძე გ., გვანცელაძე თ., ჭაავა ს., ხობელია მ. ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია და ენობრივი პოლიტიკა 30-იანი წლების აფხაზეთში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2024.

სახოკია 1985 – სახოკია, თ. მოგზაურობანი/ გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი. თბილისი, 1985.

ჩიქობავა 1936 – ჩიქობავა, არნ. ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ. თბილისი, 1936.

ჟღენტი 1938 – ჟღენტი, ს. ჭანური ტექსტები / არქაბული კილოკავი. თბილისი, 1938.

Lali Ezugbaia

An Ethnolinguistic Picture of the Laz Community of Ochamchire in the 19th-20th Centuries

Summary

This paper presents the ethnolinguistic situation of the Laz of Abkhazia – in particular, the Laz community of Ochamchire – at the turn of the 19th and 20th centuries. It draws on both the journalism of Tedo Sakhokia and Laz-language texts recorded in Ochamchire by Irine Asatiani in the 1960s.

In the 1860s–1870s, following the Great Russo-Turkish War, when southern Georgia (historical Tao-Klarjeti), including part of Lazeti – the Gonio-Makrili region – became part of the Russian Empire, there was a significant migration of Laz from the Ottoman-controlled regions of Lazeti (Atina, Vitse, Arkabe, Khopa) to the Georgian Black Sea coast. Migrants moved toward Batumi, as well as Poti and Anaklia in Samegrelo, and the port cities of Abkhazia – including Sukhumi and Ochamchire. Laz communities also emerged in the Gumisti, Eshera-Tskhara, and Shubari gorges.

From the late 19th century, isolated Laz-speaking “islands” began to form in Samegrelo and Abkhazia. By the early 20th century, these communities exhibited strong linguistic self-isolation, preserving their inherited dialectal speech until the 1930s – a phenomenon clearly documented by Arn. Chikobava. This period was expected to be followed by gradual linguistic and ethnic assimilation, but such changes were largely undocumented, allowing only for speculative assumptions.

The next stage was marked by intense language interference, resulting from the mixing of Laz, Megrelian, and Georgian codes. This process is evident in

the materials recorded by Irine Asatiani in the 1960s. The final stage involved the disintegration of the Laz community and the eventual disappearance of the Laz language among younger generations.

This study focuses specifically on the Laz of Ochamchire, first described by Tedo Sakhokia. He was an eyewitness to Ochamchire's transformation into an urban settlement over just two to three decades – a development in which the Laz played a significant role. The town became a trade center, with Laz merchants and seafarers actively involved in commerce. Soon, Ochamchire evolved into a multilingual urban space, where Greek, Turkish, and Russian were spoken alongside Megrelian, Laz, and Georgian.

Texts and studies by Arn. Chikobava, S. Zhghenti, and I. Asatiani confirm that the Ochamchire Laz primarily migrated from areas near Arkabe and Atina. They adopted their dialect as a marker of identity, distinguishing it both from other Laz dialects and from Megrelian, Georgian, and Turkish.

The illustrative materials presented in this paper – based on the texts published by Irine Asatiani – show that some members of the Ochamchire Laz community spoke Megrelian, Georgian, and Turkish. However, there was a clear trend of detachment from Turkish and increasing interference with the Kartvelian languages, a process accelerated by the language policies implemented in Abkhazia.

ზაალ კიკვიძე

წინასწარი შენიშვნები კომპონენტთა რიგის შექცევადობის შესახებ ქართული ენის ტოლად შერწყმულ კომპოზიტებში¹

თხზულ სიტყვათა კლასიფიკაცია უძველესი დროიდანვე გახდა გრამატიკოსთა ინტერესის საგანი და ძველ ინდოეთში პანინიმ და მისმა თანამედროვე გრამატიკოსებმა კომპოზიტთა ისეთი ტიპები გამოყვეს და მათ აღსანიშნავად ისეთი ტერმინები შემოგვთავაზეს, რომლებიც კვლავაც აქტიურად გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში მათ მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაცია სტრუქტურული და სემანტიკური ნიშან-თვისებების ერთობლიობაზე იყო დამყარებული. აღნიშნული პრინციპი მართებული და გამძლე აღმოჩნდა. იგი მომდევნო ხანისა და თვით თანამედროვე გრამატიკულ აღწერებშიც წარმატებით გამოიყენება (შანიძე 1930; ჭუმბურიძე 2011). კლასიკური ტრადიციის ავტორიტეტულობას ხელი არ შეუშლია არსებულის ბადალი ქართული ტერმინების ჩამოყალიბებისათვის; ასე, მაგალითად, რასაც ძველინდოელი გრამატიკოსებისა და შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებლების კვალად გ. ახვლედიანი (1919: 113-114) აღნიშნავდა სანსკრიტული და ლათინური ტერმინებით „dvandva (copulativa)“, მოგვიანებით ეწოდა „ტოლად შერწყმული“ (ზოგჯერ ასევე გვხვდება „შეერთებული“ ან „შეერთებითი“). წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ უკანასკნელი ტიპის თხზული სახელების ზოგიერთ სტრუქტურულ თავისებურებას შევხებით.

ტოლად შერწყმული (შეერთებული) კომპოზიტი წარმოადგენს კოორდინაციულ სიტყვაწარმოებით კონსტრუქციას, რომლის შემადგენელი ფუძეები განეკუთვნება ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს, ძირითადად ინარჩუნებენ თავიანთ ამოსავალ ლექსიკურ მნიშვნელობებს და მათ შორის იწერება დეფისი, რომელიც სემანტიკური ფუნქციის მატარებელია, რადგანაც იგი და კავშირის (ან სხვა მაერთებელი კავშირის) ბადალია. ასეთი ტიპის კომპოზიტები იმითაცაა გამორჩეული, რომ ისინი არ წარმოადგენენ არც ენდოცენტრულ და არც ეგზოცენტრულ კონსტრუქციებს, რადგან არანაირი სახით არ ასახავენ (და არც გულისხმობენ) მსაზღვრელ-საზღვრულს შორის არსებულ რაიმე ტიპის ურთიერთობას; მათს შემადგენლობაში შემავალი ყველა კომპონენტი (ასეთი უმეტესწილად ორია; იშვია-

¹ წაკითხულია მოხსენებად ბესარიონ ჯორბენაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (თბილისი; 2023 წლის 10-11 მაისი).

თად სამი ან მეტიც შეიძლება იყოს) დომინანტს წარმოადგენს და ისინი ერთმანეთის მიმართ თანასწორია. ერთადერთი სტრუქტურული ხასიათის სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ბოლოკიდური კომპონენტი დაირთავს ფორმამაწარმოებელ სუფიქსებს და, შესაბამისად, სწორედ იგი ექვემდებარება მორფოლოგიურ ცვლილებებს. რაც შეეხება კომპონენტთა რიგის მდგრადობას, უნდა გამოიყოს შეუქცეველი და შექცევადი ტოლად შერწყმული კომპოზიტები. შეუქცევლის შემთხვევაში კომპონენტების რიგი ფიქსირებულია, ე.ი. ყოველთვის ერთი და იმავე თანამიმდევრობით დასტურდება, რაც შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით: $X-Y$. რაც შეეხება შექცევადს, ასეთად იწოდება ის ტოლად შერწყმული კომპოზიტი, რომლის კომპონენტები (შემადგენელი ფუძეები) შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა თანამიმდევრობით, ე.ი. როგორც $X-Y$, ასევე $Y-X$. აღნიშნული საკითხი ორგანულადაა დაკავშირებული კომპონენტთა რიგის განმსაზღვრელ კანონზომიერებათა დადგენის, ცალკეული კომპოზიტის რაობისა და, შესაბამისად, მართლწერის პრობლემებთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში იშვიათად თუ წავაწყდებით მსჯელობას კომპონენტთა რიგის შექცევადობის შესახებ. ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს ლ. კვაჭაძის სტატია „ტოლად შერწყმული სახელები ლექსიკური და გრამატიკული თვალსაზრისით“, რომელშიც ავტორი თავიდანვე ეხება ამ საკითხს და აცხადებს, რომ „შერწყმულ სახელთა რიგი, ჩვეულებრივ, მყარია, მაგრამ ზოგიერთ სახელთან მერყეობაც შეინიშნება: ერთი და იმავე შერწყმულ სახელთაგან ხან ერთია პირველ ადგილზე და ხან მეორე“ (კვაჭაძე 1967: 174); თვალსაჩინოებისათვის დამოწმებული მაგალითები შემდეგია:

- არსად ტყე-ჭალა შრიალებს (შ. მღვიმელი)
- ჭალა-ტყეები ჩნდებიან თეთრად საპნეტი ბამბისა (შ. მღვიმელი)
- აყვავებული ველ-მინდორი ჭრელად მოჩანდა (ვ. ბარნოვი)
- მინდორ-ველი სხვადასხვა ხმაზე ახმაურდა (თ. რაზიკაშვილი)
- ტურა-მელები ფრინველებს იპარავდნენ (აკაკი)
- დათვს იმის მესაედი ზარალიც არ მოუცია ჩვენთვის, რაც ამ მგლებმა და მელა-ტურებმა მოგვცესო (ვაჟა)

ღირსსაცნობია, რომ აქვე ავტორი საუბრობს რიგის შენაცვლების დიაქრონიულ ასპექტზეც: „ზოგჯერ შეცვლილია შერწყმულ სახელთა რიგიც. მაგ., ახალ ქართულში გვაქვს მხოლოდ *დედ-მამა*, ძველში კი ჩვეულებრივია *მამა-დედა*“, და მალევე შენიშნავს, რომ მის პარალელურად „სპორადულად ძველ ქართულშივე გვხვდება *დედა-მამა* (ხმოვნის მოუკვეცლად)“ (იქვე). ხსენებული ცვლილების დიაქრონიული ეტაპების აღწერას იგი შემდეგნაირად ასრულებს: „ამ რიგის ხმარება (ოღონდ ხმოვნის მოკვეცით) ხშირია საშუალ ქართულში. [...] ახალ ქართულში საბოლოოდ

დამკვიდრდა *დედ-მამა*“ (კვაჭაძე 1967: 175). ზემოაღნიშნულს არ მოსდევს მსჯელობა ამგვარი მოვლენების შესაძლო გამომწვევი მიზეზებისა და შექცევის შედეგად მომხდარი რაიმე სემანტიკური სხვაობის შესახებ.

ბ. ფოჩხუა თავის „ქართული ენის ლექსიკოლოგიაში“ (1974) განიხილავს ზემოაღნიშნულ საკითხს მეტწილად ხმაბაძვითი მასდარებისაგან შედგენილი კომპოზიციების მაგალითებზე დაყრდნობით: „*კივილ-წივილი*“ სიტყვაში და ასევე ზოგიერთ სხვა, ამ ტიპის სიტყვაში აშკარად ორი ფუძე შედის: *კივილ-* და *წივილ-*; სათანადო რთული სიტყვის (კომპოზიტის) მნიშვნელობა უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს: *კივილ-წივილი* ნიშნავს ‘კივილ’სა და ‘წივილ’ს ერთად... ეს კომპოზიტი გვხვდება შემადგენელ მარტივ ფუძეთა სხვაგვარი თანმიმდევრობითაც, ე.ი. ენაში არსებობს როგორც *კივილ-წივილი*, ასევე *წივილ-კივილი*: „განწირულთ *კივილ-წივილი* ... შავ ზვირთსავით მოგორავდა გაცოფებული“ (ვ. ბარნოვი) – „შექმნეს ქალბმა *წივილ-კივილი*“ (ვაჟა). კომპონენტთა ადგილის შენაცვლებას გავლენა არ მოუხდენია კომპოზიტის მნიშვნელობაზე: *წივილ-კივილი* და *კივილ-წივილი* იდენტური სიტყვებია. შემადგენელ ფუძეთა ადგილის შენაცვლება კომპოზიტის მნიშვნელობაზე გავლენას არ ახდენს ბევრ სხვა შემთხვევაშიაც: „მთის მიდამონი მოიცვა სისინ-ჰყვიტინმა, ხრიალმა, *კნავილ-ჩხავილმა*, ყროყინმა, თავზარდამცემმა ღრი-ალმა“ (ვ. მყაშვილი) – „შეიქნა *ჩხავილ-კნავილი*, წრუწუნი, ლაწალუწია“ (რ. ერისთავი). „დანარჩენთა შორის გაჩნდა თავშეკავებული *სივილ-ფრუტუნ*“ (ნ. ლომოური) – „შეკავებული *ფრუტუნ-სივილი*“ (შ. არაგვისპირელი)“ (ფოჩხუა 1974: 101). უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი გვთავაზობს ისეთ მაგალითსაც, როდესაც კომპოზიტი არ შედგება ბერწერითი ფუძეებისაგან: „სახლის უკან *კალო-საბძელია* და საბძელქვეშ –გომური“ (ილია) – „ბევრი ეძებს, გადააბრუნეს *საბძელ-კალო*, მაგრამ ვერ იპოვეს“ (ს. შანშიაშვილი) და სხვ.“ (იქვე). დირსაცნობია, რომ ავტორი მალევე დასძენს: „თუმცა ასეთი შენაცვლება ყოველთვის არ ხერხდება“ (იქვე: 102). უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ნაშრომში არ ჩანს ცალსახა განმარტება იმის თაობაზე, რა განაპირობებს ასეთი შენაცვლების შესაძლებლობას.

ალბათ, უპრიანი იქნება, თუ დავაზუსტებთ, რომ რიგის შეუქცევლობა ამ ტიპის რთულ სიტყვებში უფრო წესია, ვიდრე გამონაკლისი;¹ სწო-

¹ თავის სტატიაში თხზული სახელების შესახებ ა. კიზირია (1981: 98) საგანგებოდ ეხება კომპონენტთა რიგს და აღნიშნავს: „კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა რიგი სტაბილურია: არ შეიძლება ამ რიგის შეცვლა ნებისმიერად. გვაქვს *სახლ-კარი* და არა *კარ-სახლი*, *გულა-ნაბადი* და არა *ნაბად-გულა*, *მამა-შვილი* და არა *შვილ-მამა*, *ცოლ-ქმარი* და არა *ქმარ-ცოლი*.“ არადა შექცევის ასეთი მაგალითები ნამდვილად არსებობს და ზოგიერთ მათგანს ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებშიც კი დაუშსახურებია ცალკე სიტყვა-სტატიის პატივი; ასე, მაგალითად, „*ქმარ-ცოლი*“ (ქმარ-ცოლისა). იხ. ცოლ-ქმარი. წმიდათაგანი შვიდ-შვიდნი ტოლნი და არაწმინდა თითო ქმარ-ცოლნი შეკრიბე თესლადა, კიდობნად

შესვლადა მამალ-დედალნი (დ. გურამი).“ (ქეგლ 1962: 336). აღნიშნული და მისი მსგავსი სხვა შემთხვევები შეიძლება განვიხილოთ ამა თუ იმ საგანგებო,

რედ ტოლად შერწყმული კომპოზიციის აგებულება და შესაბამისი მახასიათებლები (განსაკუთრებით, ასინდეტური შეერთება და პროსოდიული ნიშნები) განპირობებს მისი კომპონენტების რიგის მდგრადობას; და მაინც, შექცევადი ტოლად შერწყმული კომპოზიტები არსებობს და მათ შესახებ სათანადო დასკვნებია გასაკეთებელი. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში პირველხარისხოვან ამოცანად იმის გარკვევა უნდა დავისახოთ, მართლაც შექცევადია თუ არა ყველა ის კომპოზიტი, რომლებიც ასეთადაა წარმოდგენილი ლექსიკოგრაფიულ წყაროებსა და სამეცნიერო ნაშრომებში.

სათანადო ემპირიული მასალის დამუშავების კვალად გამოიკვეთა სამი ჯგუფი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1) ჭეშმარიტად შექცევადი ტოლად შერწყმულები ($X-Y=Y-X$), ე.ი. ამ შემთხვევაში გვაქვს თავისუფალი შენაცვლება, რაც არ იწვევს არც კომპოზიციის მნიშვნელობისა და, შესაბამისად, მისი ტიპის ცვლილებას; მაგალითად,

- აბჯარ-აბგარი//აბგარ-აბჯარი
- სასმელ-საჭმელი//საჭმელ-სასმელი
- ლეიბ-საბანი//საბან-ლეიბი

ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ შექცევად ტოლად შერწყმულთა ერთი ნაწილი, რომლებშიც რიგის შენაცვლებისას ბოლოკიდური კომპონენტი უკვე მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი ($X.SN-Y.SN=Y.SN-X.PL$); მაგალითად,

- წეს-ადათი//ადათ-წესები
- ბაღ-ვენახი//ვენახ-ბაღები
- ბიჭ-გოგო//გოგო-ბიჭები
- ტყე-ჭალა//ჭალა-ტყეები

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში გამრავლობითება ქართული ენის ტოლად შერწყმულ კომპოზიტებში მოქმედი პროსოდიული წესის გამოვლინება უნდა იყოს, რომლის მიხედვითაც წინამავალი კომპონენტი მომდევნოზე მოკლეა (მარცვლების რაოდენობის მიხედვით; თუ ეს მონაცემი ერთნაირია, ამოქმედდება კომპონენტის შემადგენელი ფონემების რაოდენობის ქვეწესი და ა.შ.) (კიკვიძე 2011).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპში შემავალი $X-Y$ და $Y-X$ თანამიმდევრობითი ვარიანტების კომპონენტები თავისუფლად კი შენაცვლება ერთმანეთს, მაგრამ საკითხავი ისაა, რომელი წყობა უფრო ჩვეული და ხშირია. ასე, მაგალითად, აკაკი შანიძე ჩამოთვლის სინონიმებისაგან შედგენილ ტოლად შერწყმულ კომპოზიტს და მათ შორის მხოლოდ ერთის შექცევადობაზე მიგვითითებს: „ოხერ-ტიალი (ან შებრუნებით; ტიალ-ოხერი, ჭავ., 296,17)“ (შანიძე 1930: 191). ამ ორ ვარიანტს შორის უფრო სიხშირეულსა და, შესაბამისად, უფრო ჩვეულის გამოსავლენად მნიშვნელოვანი სამსა-

ერთჯერადი, კონტექსტით განპირობებული (ad hoc) კატეგორიის კოდირების მცდელობად; ეს საკითხი გამოწვლილვით კვლევას მოითხოვს, რის გამოც ამჯერად მასზე აღარ გვაგარძელებთ მსჯელობას.

ხურის გაწევა შეუძლია კორპუსს. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში მიემატა მოგვცა შემდეგი შედეგები: ოხერ-ტიალი – 40 კონტექსტი; **ტიალი-ოხერი** – 4 კონტექსტი. შესაბამისად, მათი პროცენტული განაწილება შემდეგია: 90.9% – 9.1%. იმდენად დიდი სხვაობაა, რომ უპირატესი ვარიანტის შესახებ კამათს აზრი ეკარგება. ამრიგად, ერთი მხრივ, არსებობს ამა თუ იმ კომპოზიციის შექცევადობის დამადასტურებელი მაგალითები, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი X-Y და Y-X ვარიანტები თანაბარი სიხშირის მქონე ენობრივ მოვლენებს წარმოადგენენ.¹

2) მეორე ჯგუფში შეგვყავს კომპოზიტთა ისეთი წყვილები, რომელთაგან შექცეულ ვარიანტს შეიძლება ვუწოდოთ „ცრუ ტოლად შერწყმული“ ($X-Y \neq Y-X$); ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ X-Y მართლაც ტოლად შერწყმულია, ხოლო Y-X ან ეგზოცენტრული (თხზული მსაზღვრელი, რომელიც კონსტრუქციის გარეთ მდებარე საზღვრულს მიემართება) ან ენდოცენტრული (მსაზღვრელ-საზღვრულის კომბინაცია) კომპოზიტია; მაგალითად,

• **მკვდარ-ცოცხალი** ‘მკვდარი და ცოცხალი’ – **ცოცხალმკვდარი** ‘სიკვდილის პირას მყოფი’

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ *მკვდარ-ცოცხალი* არ არის შეტანილი; არის მხოლოდ *ცოცხალმკვდარი*. სიკვდილის პირას მისული. || დარდისაგან გაოგნებული, ხასიათდაკარგული (ქეგლი 1964: 655-656).

შდრ. „ერთგვარი შედგენილობის კომპოზიტები ერთ შემთხვევაში ერთმნიშვნელობიანი შეიძლება იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში ორმნიშვნელობიანი. [...] ასევე, **ცოცხალმკვდარი** ერთმნიშვნელობიანია, თუ ნახევრად მკვდარ, სიკვდილის პირს მისულ ადამიანს აღნიშნავს, მაგრამ ორმნიშვნელობიანად გვესმის, თუ **ცოცხალი** და **მკვდარი** იგულისხმება ამ სიტყვაში“ (თოფურია, გიგინეიშვილი 1986: 149).

• **ყველ-ხაჭო** ‘ყველი და ხაჭო’ – **ხაჭოყველი** ‘ხაჭოსებრი ყველი’

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ გვაქვს *ყველ-ხაჭო* (‘ყველი და ხაჭო’) (ქეგლი 1962: 535) და *ხაჭო-ყველი* (‘ხაჭო და ყველი’) (ქეგლი 1964: 1360); სინამდვილეში ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ტოლად შერწყმულ კომპოზიტს, რადგან აღნიშნავს არა ხაჭოსა და ყველს, არამედ ხაჭოსებრ ყველს, და, შესაბამისად, არ უნდა დაიწეროს დეფისით.

ამკარაა, რომ მსგავს შემთხვევებში არ გვაქვს საქმე რიგის შენაცვლებასთან ანუ იმავე მოვლენასთან, რომელსაც პირველ ჯგუფს მიკუთვნებულ მაგალითებში ვხედავთ; ეს იმითაც ხდება საცნაური, რომ მათი მნიშვნელობები სინამდვილეში პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სწორედ ამის გამო მივიჩნევთ მათ „ცრუ ტოლად შერწყმულად.“²

¹ ამ სახის რაოდენობრივი მონაცემების გამოვლენა აშკარად ღირსსაცნობი შედეგების მომცემი იქნება როგორც შექცევადი, ასევე შეუქცევლად მიჩნეული ტოლად შერწყმულებისათვის, რაც ცალკე გამოკვლევის საგნად გვესახება.

² აქვე უნდა ვახსენოთ ისეთი ღირსსაცნობი მაგალითი, როგორიცაა *საწერკალამი*. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ იგი წარმოდგენილია

3) ჩვენ მიერ განსახილველი ბოლო კატეგორია უადრესად თავისებურ შემთხვევებს მოიცავს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ აქ X-Y ტოლად შერწყმულია, ხოლო *Y-X საერთოდ არ წარმოადგენს კომპოზიტს. აღნიშნულის ყველაზე კარგ თვალსაჩინოებას წარმოადგენს შემდეგი:

• *ნარ-ეკალი* ‘ნარი და ეკალი’ (ქეგლ 1958: 1357) – *ეკალ-ნარი* ‘ეკალი და ნარი’ (ქეგლ 1953: 1295)

ერთი შეხედვით, თითქოს არანაირ განსაკუთრებულ თავისებურებასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, თუმცა არც იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობა ეგების, რომ მსგავს გარემოცვაში *ნარ* უნდა იყოს არა ფუძისეული მორფემა, არამედ საწარმოქმნო ფორმანტი. იგი შემდეგნაირადაა განმარტებული „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“: „(რ- ნარევე ფუძეებთან -ნალ, მიღებული დისიმილაციით) – სუფიქსი, რომელიც დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს (უპირატესად – მცენარეთა სახელების ფუძეს) და გამოხატავს კრებითობას, ერთობლიობას: ნამც-ნარ-ი, ფიჭვ-ნარ-ი, წაბლ-ნარ-ი, მუხ-ნარ-ი, ბარდ-ნალ-ი (← ბარდ-ნარ-ი). [...] მცენარეთა სახელების გარდა, -ნარ ზოგჯერ გამოიყენება ნიადაგის ნაირსახეობათა აღმნიშვნელ სახელებთანაც, გამოხატავს ნიადაგის თვისებას: თიხა → თიხ-ნარ-ი, ქვიშა → ქვიშ-ნარ-ი... ამოსავალი მნიშვნელობა აქაც რაიმეს (თიხის, ქვიშის...) „კრებითობა“, ერთობლიობა“ (ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე 1988: 318). იმის მტკიცებას, რომ *ნარ* ამ შემთხვევაში ნამდვილად საწარმოქმნო სუფიქსია და არა თხზული სიტყვის ერთ-ერთი კომპონენტი (ანუ ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ფუძე), ხელს უშლის ის გარემოება, რომ იგი, როგორც სუფიქსი, „იწვევს ფუძის კუმშვას და კვეცას: წიფელი → წიფლ-ნარ-ი. მუხა → მუხ-ნარ-ი...“ (იქვე), და, თუ იგი სუფიქსია, შესაბამისად, უნდა გვქონოდა *ეკლნარი*. მაშ, რა გამოდის? *ეკალ-ნარი* მართლაც ეკალსა და ნარს ნიშნავს? იქნებ ორივე ვარიანტს (*ეკალ-ნარი* და *ეკლნარი*) აქვს მოქალაქეობის უფლება? მეტი სიცხადისათვის სათითოდ განვიხილოთ პოვნური ვარიანტები; ესენია: (1) *ეკალ-ნარი*, (2) *ეკალნარი*, და (3) *ეკლნარი*. ჩვენი აზრით, (1) ტოლად შერწყმული კომპოზიტი *ეკალ-ნარი* არ არსებობს; მის არსებობას ხელს უშლის რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის, კომპონენტთა თანამიმდევრობის განმსაზღვრელი მექანიზმი, რომელიც პროსოდიულ ნიშნებს ეყრდნობა (ეს არ გამორიცხავს სემანტიკური ფაქტორის პოვნირებას, თუმცა პროსოდი-

ტოლად შერწყმულ კომპოზიტად (შესაბამისად, იწერება დეფისით), რომლის მნიშვნელობაა „საწერელი (სამელნე) და კალამი“ (ქეგლ 1960: 924). თავისთავად ცხადია, რომ თანამედროვე ქართულში ეს მნიშვნელობა დაკარგულია; დღეს ეს სიტყვა ენდოცენტრული კომპოზიტის (მსაზღვრელ-საზღვრულის კომბინაციის) სახით გვხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი აღარაა დვანდვა (კომპონენტებს შორის არ აღდგება და კავშირი; როცა იგი ტოლად შერწყმული იყო, და კავშირიც აღდგებოდა და შექცეული რიგითაც ფიქსირდებოდა: *კალამ-საწერი* (ივერია, N17, 1898)); შესაბამისად, ეს სიტყვა დეფისით არ უნდა დაიწეროს. მართებულია *საწერკალამი*.

ული მთავარია განსაკუთრებული სემანტიკური პირობის არარსებობისას); ამ შემთხვევაში ორმარცვლიანი ფუძე წინ უსწრებს ერთმარცვლიანს, რაც დადგენილი წესის პირველი საფეხურის დარღვევაა (კიკვიძე 2011). აქვე უნდა გავითვალისწინოთ და კავშირის, როგორც საზომის, ფაქტორი: როგორც წესი, კონტექსტების უმრავლესობაში იგი აქ არ აღდგება. რაც შეეხება შემდეგს, (2) *ეკლნარი*, იგი, ჩვენი აზრით, საერთოდ წარმოადგენს არა კომპოზიტს, არამედ წარმოქმნილ სიტყვას და მართლწერის თვალსაზრისით არასწორ ფორმად უნდა ჩაითვალოს ისევე, როგორც ყველა ის კუმშვადი სიტყვაფორმა, რომელიც არარედუცირებული სახით გვხვდება (შდრ., მაგალითად, *ბლის* // **ბაღის*, *ირმის* // **ირემის* და ა. შ.). შესაბამისად, მისი საპირწონე მართებული ფორმაა (3) *ეკლნარი*, რომელიც კუმშვადი ფუძისა და საწარმოქმნო სუფიქსის კომბინაციას წარმოადგენს.¹

ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორი, სხვადასხვა მნიშვნელობისა და ფუნქციის მქონე ენობრივი ერთეული ერთმანეთს ემთხვევა გამოხატულების პლანის მიხედვით (ჰომოფორმა), რაც განაპირობებს ინტერპრეტაციების აღრევას. ეს გახლავთ მიზეზი, რომლის წყალობითაც ნათელი ხდება, რატომ ვუწოდეთ შესაბამის შედეგს „ცრუ კომპოზიტი.“

და კავშირის (ან რომელიმე მავრთებელი კავშირის) აღდგენა უდავოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი საზომია იმის გასარკვევად, მოცემული თხზული კონსტრუქცია ტოლად შერწყმული კომპოზიტია თუ არა (ან სულაც კომპოზიტია თუ არა), თუმცა არასაკმარისია. აქ შეიძლება მოვიხმოთ არნოლდ ჩიქობავას მიერ შემოთავაზებული ხერხი, რომელზეც იგი საუბრობს კომპოზიტისა და შესიტყვების გარჩევის შესახებ მსჯელობისას: „სახელდობრ: შემადგენელ ნაწილთა გათიშვა (გადასმის ან შიგ სხვა სიტყვის ჩასმით). სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა შეუძლებელი ხდება (კომპოზიტის მნიშვნელობა იშლება). სადაც გათიშვა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს, **შესიტყვება** გვაქვს და არა ერთი რთული სიტყვა, **კომპოზიტი**. სადაც გადასმა შესაძლებელია, მაგრამ საჩოთიროა, იქ კომპოზიტად ქცევის პროცესი დამთავრებული არაა: გარდამავალ, მდგომარეობასთან გვაქვს საქმე“ (ჩიქობავა 2008: 163). მიუხედავად იმისა, რომ აქ ავტორი არ გულისხმობს ტოლად შერწყმულ კომპოზიტებს (ეს მის მიერ დამოწმებული მაგალითების საშუალებითაც ხდება საცნაური), ჩვენი აზრით, გადასმის საზომი სულაც არ არის უგულებელსაყოფი ჩვენ მიერ განხილული მასალის შემთხვევაშიც; ვგულისხმობთ იმას, რომ, როდესაც ვარკვევთ, მოცემული თხზული კონსტრუქცია ნამდვილად ტოლად შერწყმულია თუ არა, **და** კავშირის შესაძლო აღდგენასთან ერთად შეიძლება გამოვიყენოთ კომპონენტთა შექცევის წესიც, რაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს, ნარჩუნდება თუ არააბა თუ იმ კომპონენტის მნიშვნელობა და ფუნქცია და/ან მთლიანად კონსტრუქციის მნიშვნელობა და ტიპი; ეს ნამდვილად არის ის საზომი, რომელიც არა მხო-

¹ შდრ. „*ეკლნარი* (ეკლნარისა) ადგილი, სადაც ეკლიანი მცენარეების ბლომად, ეკლიანი მცენარეებით დაფარული ადგილი“ (ქეგლ 1953:1306).

ლოდ დაადასტურებს მავანი თხზული კონსტრუქციის ტოლად შერწყმულობას, არამედ რიგ შემთხვევაში „ცრუ ტოლად შერწყმულებსა“ და, უფრო მეტიც, „ცრუ კომპოზიტებსაც“ კი გამოავლენს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ და კავშირის აღდგენა ‘განთხზვის’ ოპერაციას წარმოადგენს, კომპონენტთა რიგის შექცევა კი თხზული კონსტრუქციის ფარგლებში ხორციელდება. რაც მთავარია, ეს ორი საზომი ურთიერთგამომრიცხავი არ არის.

წარმოდგენილი დაკვირვებები მხოლოდ წინასწარი ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს რომ აქ ჯერ კიდევ მრავალ ასპექტს უნდა მოეფინოს შუქი და არაერთ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი, რაც შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად გახდება შესაძლებელი.

ლიტერატურა

ახვლედიანი 1919 – გ. ახვლედიანი, ენათმეცნიერების შესავალი. ლექციები (ხელთნაწერის მაგიერ). ტფილისი: გამოცემა ტფ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობისა, 1919.

თოფურია, გიგინეიშვილი 1986 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენოს ნორმები. პირველი კრებული. რედ. ივ. გიგინეიშვილი. თბილისი: მეცნიერება, 1986.

კვაჭაძე 1967 – ლ. კვაჭაძე, ტოლად-შერწყმული კომპოზიტები ლექსიკური და გრამატიკული თვალსაზრისით. ორიონი: აკაკი შანიძეს. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1967.

კიზირია 1981 – ა. კიზირია, კომპოზიტი ახალ ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები V, 1981.

კიკვიძე 2011 – Kikvidze, Z. The rule-governed word-order in Georgian copulative compounds: Prosodic and phonotactic factors. Abstract of the paper delivered at Conference on Caucasian Languages at Max Planck Institute for Evolutionary Anthropology, Leipzig; May 13-15, 2011. https://www.eva.mpg.de/lingua/conference/2011_caucasian_languages/pdf/Kikvidze.pdf

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1974.

ქეგლი 1953 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი III. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953.

ქეგლი 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი V. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1958.

ქეგლი 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VI. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. მეცნიერება, თბილისი, 1960.

ქეგლი 1962 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VII. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. მეცნიერება, თბილისი, 1962.

ქეგლი 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VIII. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. მეცნიერება, თბილისი, 1964.

შანიძე 1930 – აკ. შანიძე, ქართული გრამატიკა, 1, მორფოლოგია. ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1930.

ჩიქობავა 2008 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი. რედაქცია და წინასიტყვაობა გ. კვარაცხელიასი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008.

ჭუმბურიძე 2011 – ნ. ჭუმბურიძე, კომპოზიტი. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით. თბილისი, 2011.

ჯორბენაძე, კობაიძე, ზერიძე 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ზერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის). მეცნიერება, თბილისი, 1988.

Zaal Kikvidze

Preliminary Notes on the Reversibility of Constituents in Georgian Copulative Compounds

Summary

A dvandva (copulative) compound is a coordinate word-formation construction, constituent stems of which pertain to one and the same part of speech, largely retain their lexical meanings, and are joined by a hyphen in spelling. The hyphen carries a semantic function, as it stands for the conjunction *da* (“and”) – or, in some cases, another coordinating conjunction.

We refer to a compound as **reversible** if its constituent stems can be arranged in either order – that is, both X–Y and Y–X forms are acceptable. The issue relates closely to the constraints on constituent ordering, the semantic structure of individual compounds, and consequently, their orthographic representation.

It is the structure of copulative compounds and pertaining properties that provide for the irreversibility of constituent order; and yet, reversible copulative compounds occur, and appropriate inferences should be drawn. The pertaining data should be classified as follows:

1) Free reversal – X–Y=Y–X (does not change meaning and, respectively, the compound type): *ab̌ar-abgari* // *abgar-ab̌ari* (“weapons and arms”), *sasmel-sač'meli* // *sač'mel-sasmeli* (“food and drink”), *leib-sabani* / *saban-leibi* (“blanket and mattress”), etc.

2) X-Y is a copulative compound, while Y-X is a modifier-head combination – X-Y≠Y-X: *mk'vdar-cocxali* (“dead and alive”) – *cocxalmk'vdar i* (“being at death’s door”); the same happens in other cases: *q'vel-xač'o* (“cheese and curds”) – *xač'oq'veli* (“cream cheese”), etc.

3) X-Y is a copulative compound, while *Y-X is not a compound at all: *nar-ek'ali* (“thistle and thorn”) – *ek'alnari* (“thorny undergrowth”); here *nar-* is not a base morpheme but rather a derivational one taken on by a nominal stem (predominantly, referring to plants) and encoding an aggregate set.

Thus, if a given compound is truly copulative, then the conjunction *da* (“and”) should be reconstructed between its constituents in both ordering-patterns without changing the meaning (both those of individual components and that of the entire construction). If a coordinating conjunction cannot be reconstructed in case of either ordering pattern, then it either is a compound of some other type (mostly, a determinative compound, e.g., *xač'oq'veli*) or it is certain “false reversibility”, that is, *Y-X is not a compound at all, e.g., *ek'alnari*. These circumstances should, of course, be reflected in their spellings.

The presented observations are preliminary, and further studies are required to answer a number of questions about the case in point.

თამარ ლომთაძე, სალომე გუმბერიძე

საერთოებრაული მოვლენები ებრაელთა ქართულში და მათი კვალიფიკაციის საკითხი*

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ დიალექტოლოგიას ტერიტორიული დიალექტები საფუძვლიანად აქვს შესწავლილი, მეოცე საუკუნის 80-იან წლებამდე ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებების შესახებ ერთეული ნაშრომის გარდა (მაგალითად, როზა თავდიდიშვილის მიერ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩაწერილი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველი ყოფითი თუ ფოლკლორული ხასიათის ტექსტები; ი. შამელაშვილის მიერ შესრულებული „უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ“ (ქართველ ებრაელთა საქართველოში დასახლების, ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ წერს ისაკ შამელაშვილი ნაშრომში, რომელიც დღემდე ხელნაწერის სახით არის შემონახული. ხელნაწერის შესახებ გამოკვლევა „უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ“ გამოაქვეყნა ავტორის ძმისშვილმა, პროფესორმა რუსუდან ზექალაშვილმა. მისივე ვარაუდით, ნაშრომი ი. შამელაშვილის მოხსენების სახით წაკითხული უნდა ჰქონდეს სტუდენტთა კონფერენციაზე 1959 წელს (ზექალაშვილი 2014: 99), გ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით 1982 წელს ონში ჩაწერილი თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის ზამთრის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის მასალები, კ. დუმბაძის სტატია ლექსიკური ებრაიზმების შესახებ ქართულ ქალაქურ ჟარგონში და სხვა) ფუნდამენტური შრომა თითქმის არ გამოქვეყნებულა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო საფუძველი იმისა, რომ არც ივ. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიასა და ივ. ქავთარაძის მიერ გამოცემული „ქართული დიალექტოლოგია“ (1961), არც ბესარიონ ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგია“ (1989) თუ „ქართველურ ენათა დიალექტები“ (1998) არაფერს გვეუბნება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გაბნეული ებრაელების ქართული მეტყველების თავისებურებანის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა ცხოვრების ისტორია საქართველოში საუკუნეებს ითვლის (მამისთვალაშვილი 2014, ყაუხჩიშვილი, 1955, 1973; ჭიჭინაძე 1904; მელიქიშვილი 1970; ლერნერი 2008; ენოხი 2016, ჩიქო-

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გრანტის ნომერი FR -22-5180 – ქართველ ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი: მიგრაციები, ენობრივი კომპეტენციები და იერარქიები.

ვანი, ჩხაიძე და სხვები, 2014), ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, როგორი იყო ძველ საქართველოში ებრაელთა განსახლების მასშტაბი და გეოგრაფია (გარდა ლიტერატურულ თხზულებებში არსებული ინფორმაციისა, რომ ებრაელები მოსახლეობდნენ ქართლში, კერძოდ, მცხეთაში და ა. შ), მაგრამ ზუსტად შეგვიძლია ვისაუბროთ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების რეალობაზე (გოგოლაშვილი, ლომთაძე 2022).

მართალია, ზევ ლევინი მიუთითებს საბჭოთა სტატისტიკური აღწერების მეთოდოლოგიურ ნაკლზე, მაგრამ დაახლოებითი რიცხვებისა და განსახლების გეოგრაფიის სიზუსტე ექვემ არ დგას (ლევინი და კონსტანტინოვი 2025). სხვადასხვა სახის სტატისტიკური აღწერა გვიჩვენებს, რომ ებრაელთა რაოდენობა საქართველოში 1926 წელს მთელი მოსახლეობის 1.1%-ია, 1939 წელს – 1.2%, 1959 წლისთვის – 1.3%, 1970 წლისთვის – 1.2%, 1979 წლისთვის – 0.6%, ხოლო 1989 წლისთვის 0.3% პროცენტია. 2014 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში მუდმივ მცხოვრებლად მხოლოდ 1200-ამდე ებრაელია შემორჩენილი. მათი ძირითადი რაოდენობა ცხოვრობდა ურბანულ ზონებში. კერძოდ, 1926 წლისათვის ქართველ ებრაელთა 72% და აშქენაზ ებრაელთა 96% ცხოვრობდა საქართველოს ურბანულ ზონებში. 1939 წლის აღწერის მიხედვით, ებრაელთა 81%, ხოლო 1989 წლის აღწერით ებრაელთა 100% ცხოვრობდა ურბანულ ზონებში (ლევინი და კონსტანტინოვი 2025).

გეოგრაფიული განაწილება შემდეგია: ებრაელთა კომპაქტური დასახლებები არსებობდა საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, გარდა სვანეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებისა (თუშეთი, ხევი, ფშავი, ხევსურეთი). ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ სხვადასხვა ქართველურ დიალექტურ გარემოში: ქართლურში (სურამი, ქარელი, გორი, ცხინვალი, თბილისი...), კახურში (ნინოწმინდა), იმერულში (ქუთაისი, კულაში, ვანი, საჩხერე), რაჭულში (ონი), ლეჩხუმურში (ლაილაში), მესხურში (ახალციხე), აჭარულში (ბათუმი), მეგრულში (ბანძა, სუჯუნა, ფოთი, სენაკი), ებრაელები მოსახლეობდნენ აფხაზეთშიც (სოხუმი). ერთეული ებრაელი ასევე ცხოვრობდა თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, მაგრამ კომპაქტურ დასახლებებს ვერ ქმნიდნენ (ზესტაფონი, ჭიათურა, ტყიბული, ოზურგეთი, თელავი, ყვარელი...).

მეოცე საუკუნის ბოლოდან ებრაელთა მეტყველების თავისებურებების კვლევას ყურადღება მიექცა როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში. შესწავლილ იქნა ამ ერთეულის ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური თავისებურებები და მათი მიმართება სალიტერატურო ქართულთან თუ ქართულის დიალექტებთან (იხ. ბენ-ორენი, 1993, ლომთაძე, 2005ა, 2005 ბ, 2010, 2022, ენოხი, 2001, 2007, 2008, 2010, 2012, 2013 და სხვა). დღის წესრიგში დადგა მნიშვნელოვანი საკითხები: სხვადასხვა კუთხის ქართველ ებრაელთა მეტყველება ერთი ნაირსახეობაა ქართული ენისა თუ არა? როგორია სხვადასხვა კუთხის ქართველ ებრაელთა მეტყვე-

ლების მიმართება იმ ქართულ დიალექტთან, რომლის წიაღშიც ის არსებობს?

ქართველური ენობრივი სივრცე საფუძვლიანადაა აღწერილი ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში. შესწავლილია ყველა ენობრივი ნაირსახეობისა თუ დიალექტების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური თავისებურებანი, სოციოლინგვისტური ფუნქციები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები თითქმის ყველა დიალექტურ გარემოცვაში მოსახლეობდნენ, არცერთ მათგანში ებრაული კილოკავი ან ეთნოლექტი გამოყოფილი არაა. სწორედ ეს იყო საფუძველი იმისა, რომ ებრაელთა ქართული მეტყველები-სათვის სტატუსი არასოდეს მიუნიჭებიათ.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან იქმნება შრომები ებრაელთა ქართული მეტყველებისათვის სტატუსის დამკვიდრების შესახებ. მას ეთნოლექტის, ეთნოსოციოლექტის, დიალექტის სტატუსით მოიხსენიებდნენ, თუმცა საკმარის მონაცემთა ბაზების არარსებობის გამო საკითხზე არგუმენტირებული მსჯელობა მაინც ჭირდა. აღნიშნული გარემოება აზრკოლებდა, ერთი მხრივ, ქართველურ ენობრივ სივრცეში ებრაელთა ქართულ მეტყველები-სათვის სტატუსის დამკვიდრებას და, მეორე მხრივ, ებრაელთა ენებში ის არსად იყო მოხსენიებული როგორც საქართველოში მაცხოვრებელ ებრაელთა თემში საკომუნიკაციო ენა.

სწორედ აღნიშნული ნაკლის აღმოსაფხვრელად დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა რამდენიმე პროექტი: „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“ (2016), „ქართველ ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი: მიგრაციები, ენობრივი კომპეტენციები და იერარქიები“ (2022), „ქართველ ებრაელთა მეტყველების სტატუსი და მისი ადგილი ქართველურ ენობრივ სივრცეში“ (2021), „ებრაელთა თვალთა და ნახული საქართველო – ისრაელში გამოცემული ქართული ნაბეჭდი პროდუქციის არქივაცია და ლიტერატურულ-ენობრივი ანალიზი“ (2021), „საფრთხეში მყოფ ენათა დოკუმენტაცია: ებრაელთა ქართული“ (2021).

აღნიშნული პროექტების განხორციელებამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვეგროვებინა მონაცემთა ბაზები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლე ებრაელებისაგან, რომლებიც დღეისათვის ისრაელში ცხოვრობენ და რომელთაც საქართველოს განსახლების მიხედვით არსებული ლინგვისტური მარკენებლები დღემდე შენარჩუნებული აქვთ. მასალები დახარისხდა საქართველოსა და ისრაელში მათი განსახლების, ასაკის, სქესის, რეპატრაციის თარიღის მიხედვით. ასევე შესწავლილ იქნა ის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ დონეზე. ქართველ ებრაელთა მეტყველების ლინგვისტური თავისებურებები შედარდა გარემომცველ ქართულ დიალექტებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ებრაელები საქართველოში ძირითადად მოსახლეობდნენ ურბანულ ზონებში, მაგრამ რადგან ქალაქის ენა საქართველოში ნაკლებადაა შესწავლილი, უმეტეს შემთხვევაში ებრაელთა ქართული მეტყველება შევადარეთ შესაბამისი ურბანული ზონებისა და

ქალაქების გარემომცველ დიალექტებს (ეს მიგვაჩნია კვლევის ძირითად მეთოდოლოგიურ ნაკლად, რადგან ცნობილია, რომ ქალაქური მეტყველება განსხვავებულია იმ დიალექტური მეტყველებისაგან, რომელ ერთეულშიც ის მდებარეობს). ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების მიმართება ქუთაისურ მეტყველებასთან არის ყველაზე გამართული ნაწილი, რადგან ეს უკანაკნელი შესწავლილია. კულაშელ, ვანელ, საჩხერელ ებრაელთა მეტყველება შევადარეთ ქვემოიმერულ, შუაიმერულ და ზემოიმერულ მეტყველებას და ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე მოვახერხეთ ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენის შესაბამის ურბანულ ზონებთან მიმართება. ასევე შევაპირისპირეთ ონელ, ახალციხელ, ლაილაშელ, ნინოწმინდელ, ცხინვალელ, გორელ, სურამელ, ქარელელ ებრაელთა მეტყველება რაჭულ, სამცხურ-ჯავახურ, ლეჩხუმურ, კახურ, ლიახვის ქართლურ, ცენტრალურ ქართლურ და დასავლურ ქართლურ დიალექტებთან. ქვემოიმერულის გარდა შევადარეთ ვანელ, კულაშელ და ა. შ., ასევე ბანძაში, სუჯუნასა და სენაკში მცხოვრებელთა მეტყველება. ასევე, რადგან სოხუმში უმეტესად დასავლეთ საქართველოდან მიგრირებული ებრაელები ცხოვრობდნენ, სოხუმელ ებრაელთა მეტყველების ნიმუშებიც ქვემოიმერულს შევაპირისპირეთ.

დასკვნა ცალსახაა: საქართველოს ებრაელთა მეტყველება ეფუძნება თანატერიტორიულ დიალექტურ მეტყველებას და განსხვავდება მათგან რამდენიმე ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ნიშნით (ლომთაძე, კვირიკაშვილი 2024), რაც იმას ნიშნავს, რომ ახალციხელი ებრაელი მეტყველებს თითქმის ისევე, როგორც ახალციხის მოსახლეობა, ქუთაისელი – ქუთაისელთა მსგავსად, გორელი – გორელთა მსგავსად და ა. შ. სწორედ ეს არის საფუძველი იმისა, რომ ისრაელში მცხოვრები ებრაელები საუბრის მიხედვით განასხვავებენ საქართველოს რომელი კუთხიდან უნდა იყოს ესა თუ ის ებრაელი.

ამდენად, ებრაულ დიალექტში, ერთი მხრივ, გამოიყოფა ადგილობრივი დიალექტური ნიშნები და, მეორე მხრივ, ლინგვისტური მაჩვენებლები, რომლებიც ადგილობრივი დიალექტური ნიშნებისაგან განსხვავებულია.

ისმის კითხვა: რა არის ის, რითაც განსხვავდება ქუთაისელი ებრაელის მეტყველება არაებრაელი ქუთაისელის მეტყველებისაგან, ან გორელი ებრაელის მეტყველება არაებრაელი გორელისაგან, სურამელი ებრაელის არაებრაელი სურამელისაგან და ა. შ. ეს არის სწორედ ის საერთო ლინგვისტური ნიშნები, რომელთაც ყველა კუთხეში მცხოვრები ებრაელი გამოიყენებს. ამიტომ მათ ჩვენ საერთოებრაული ნიშნები ვუწოდეთ.

რა არის ის საერთოებრაული მოვლენები, რომლებიც ყველა კუთხის ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება?

ყველაზე ხელშესახებად წარმოჩენილი საერთოებრაული ნიშანი ენის ლექსიკურ დონეს უკავშირდება. კერძოდ, ებრაულ/არამეული ლექსიკისა და ზოგიერთი ქართული ლექსიკური ერთეულის თავისებური სახით

გამოყენება (მაგალითად, დამდღევნებულია, საბებრე, ედროვა, მონაობს და სხვა) გამოყენება. რადგან ებრაელთა დიდი ნაწილი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში ისრაელის ალიას უწოდებენ (გულედანი, ლომთაძე 2019), ებრაული ლექსიკის გამოყენებას ორ ნაწილად ვყოფთ: ა) ძველი ებრაული გავლენები, რომლებიც თავის მხრივ რამდენიმე ჯგუფად იყოფა – ა) რელიგიური ტერმინოლოგია (ფასუქი, კადიში...), ბ) ბიბლიური ებრაულისა და წმინდა წიგნების ებრაულის გავლენები (ფესახი, აგადა, ქაშერი...), გ) თარგმანის გავლენები (კერძოდ, ებრაული თორის ქართულ თარგმანში დასტურდება ებრაული დედნის გავლენები როგორც ლექსიკაზე (დაბეჭდული), ისე გრამატიკაზე, მაგალითად, ნაწევრის გამოყენება. და მეორე: თანამედროვე ებრაულის გავლენები (კვირიკაშვილი, ლომთაძე 2024), რომლებშიც ასევე რამდენიმე ქვეჯგუფი შეიძლება გამოვყოთ: ა) ქართულში არარსებული, ე.წ. უთარგმნელი ეკვივალენტები. ასეთი ტერმინოლოგია არის სპეციფიკური ისრაელური/ებრაული საზოგადოებისთვის და ზუსტი შესატყვისების მოძებნა ქართულ ან რომელიმე სხვა ენაზე საკმაოდ რთულია: „კიცონი“ (ფანატიკოსი, ულტრაორთოდოქსი იუდეველი), „მილუიმი“ (სარეზერვო სამსახური ჯარში), „კიბუცი“ (სასოფლო-სამეურნეო კომუნა ისრაელში), „იერიდა“ (ისრაელიდან ემიგრაცია), „ნეშირა“ (დიასპორის ქვეყნებიდან, მაგ., საბჭოთა კავშირიდან ებრაელების გადინება ამერიკის და ევროპის მიმართულებით) და ა.შ. ბ) ტერმინოლოგია, რომლის შესაბამისი ლექსიკა ქართულშიც არსებობდა, მაგრამ ებრაული ენის გარემოცვაში ცხოვრების წლებმა, ებრაულენოვან თანამოქალაქებთან ინტენსიურმა კომუნიკაციამ სამსახურებრივ გარემოში თუ სახელმწიფო-საზოგადოებრივ დაწესებულებებში ქართული სიტყვების (ძირითადად სამსახურებრივ-ტექნიკური) ებრაულით ჩანაცვლება გამოიწვია: „კაცინ“ (ოფიცერი), „ავოდა“ (სამსახური), „თოარი“ (ხარისხი, წოდება), „ჰისთადრუთი“ (მშრომელთა კავშირი), „მეტაპელეთი“ (დამხამრე ქალი) და ა.შ. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ასეთი სიტყვები უხვად შემოიჭრა და პრესაშიც აისახა (კვირიკაშვილი, ლომთაძე 2024).

გარდა აღნიშნული ლექსიკური თავისებურებისა, ებრაელთა ქართულს ახასიათებს საერთოგრამატიკული ნიშნები. აღნიშნულ გრამატიკულ ნიშნებზე ჩვენ 2005 წელს მივუთითებდით, რომ ებრაელები კვლავ ქართული გრამატიკული საშუალებებით მიჯნავდნენ არაებრაელთაგან (ლომთაძე 2005). ეს ნიშნებია:

1. ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებზე **ე**-ს დართვა: შენე, თქვენე, დღესე... შენე, თქვენე ფორმების შესახებ აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში (ენუქაშვილი 2001: 75; ლომთაძე 2005: 108). მაგალითები: *შენე სესხითაც არავის უმართამ ხეელ* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ამლამიდგან ფეხ დაიდგამო შენეო და ვაიშვილი გეყოლებათ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940). ... *ჩვენე ვეცადოთ, რომ ჩვენ სახენწიფოში ქურდები აღარ გვეყოლოს* (დადუნაშვილი... 1999: 12). მიცემითი: *თქვენეც ისევე*

დაგიტვებევო ჩემ ქონებასაო (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951) (გუმბერიძე 2020).

-ე აუსლაუტში, გარდა ქართველი ებრაელებისა, დამახასიათებელია იმერულის, ლეჩხუმურისა და აჭარულისთვის. „მაგრამ მას ყველაზე მეტად დიალექტებიდან გავრცელება ქვემოიმერულში აქვს: რამდენი წლის ხარ, ბიჭო, შენე... (მოწენიძე 1953: 61; მარტიროსოვი 1964: 91; კუბლაშვილი 1985: 106).

2. -თვის თანდებულის -თვის ნაირსახეობის გამოყენება: *ღმერთო, შენ ნუ შეინახამო ნურა დედას სიმწრისთვისაო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ან ზიარათებზე ვილოცოთო შვილის გულისთვისაო* (იქვე); *დიდი მადლობა გადაუხადა ამ კაცმა დარიგებისთვის* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); *არც ვიყავი მე ომისთვის მომზადებული* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *შაბათისთვის ხარჯამ ერთათერთ მანათ და იმა ზეაც ტირი* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

აღნიშნული მოვლენა ვლინდება ქართული ენის როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებშიც: ზემოიმერულში (ჯორბენაძე 1989:463), დასტურდება რაჭულის ოთხივე კილოკავში: შვილისთვის, სახლისთვის, თავისთვის ჯორბენაძე 1989:414), კახურში: კაცისთვის მიუცია, დედისთვის უყიდნია (ცოცანიძე, არაბული 2017: 118); ფშაურში: ჩემ დისთვისაც ეცემა, ჩემ მამისთვისაც (ცოცანიძე, არაბული 2017:121), მოხეურში: გლეხისთვის, ლხინისთვის... (ცოცანიძე, არაბული 2017:122)

3. საკუთარ სახელებზე, ანთროპონიმებზე, სახელობით ბრუნვაში -ი-ს დართვა: ვის არ ნახავდით ამ სახელდახელოდ გაწყობილ გრძელ სუფრებზე, აქ იყო: ქოსათ მორდებსა ცოლი ნათელაი, ლალოთ სონიკოი, შაოთ ხაისარაი, კონცოლათ სიკაი, ფიტიმათ სიმაი, ქოსათ ბესას ცოლი ყვითელათ სიმზაი, ქორბინოთ აშერას ცოლი თამარაი. ბიცოლაჩემი მაროი. ჰაჯიათ მაზალტობაი, ბულბულაანთ ჟუჟუნაი, პუტეთ სონაი... მათ შორის იყვნენ კოშტოი, კოწიკოი, პაჭოი, ტყუპის ცალები გულსუნდაი და სულსუნდაი... თორის მასწავლებელი, მელამედი ხახამ იონათანაი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ დეკასთან მიწები გამოუყო (ბოთერა 2016: 23, 25). *შალიკოი, სლავას მამა, მაგენ ძმები ხო იყვენ, ჟორაი?* (ფბ, 2018); *აქანა ცხორობდა ტული, მირზაი* (იქვე); *ლუბა თუ გახსოვს აქანა, ლუბაი?* (იქვე) (ვიდეომასალა განთავსებულია სოციალურ ქსელში: <https://www.facebook.com/mario.tzur.7/> ფბ, 2018). (გუმბერიძე 2020).

საკუთარ სახელებზე სახელობით ბრუნვაში -ო-ს დართვა დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც: იმერულში: კაკოი, ვარლამაი, მარგალიტაი (ჯორბენაძე 1989:458); ასევე ჯავახურში: შოთაი, პეტრეი, ნუნუი (ჯორბენაძე 1989: 385).

4. მიცემით ბრუნვაში -ს ნიშნის დაკარგვა ასევე საერთოებრაული მოვლენაა: ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში თანხმოდანფუძიან სახელებთან გავრცელებულია გაუფორმებელი მიცემითის ფორმები, განურჩევლად იმისა, თუ წინადადების რომელ წევრს წარმოადგენენ ისინი. ამ მოვლენის შესახებ მითითებულია ჯერ კიდევ ისაკ შამელაშვი-

ლის დღემდე გამოუქვეყნებელ ნაშრომშიც. მისი აზრით, თანხმომავანადიანი საზოგადო სახელები მხოლოდობითა და მრავლობითში მიცემით ბრუნვაში კარგავენ -ს ალომორფს, რასაც სისტემური ხასიათი აქვს (ზექალაშვილი 2014: 102).

რ. ენუქაშვილი ნაშრომში „შენიშვნები ქართველ ებრაელთა სამეტყველო ინტონაციის შესახებ“ ვრცლად განიხილავს თანხმომავანადიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშნის დაკარგვის შემთხვევებს. ამავე საკითხს ეხება თ. ლომთაძე ნაშრომში „ქუთაისური ქართული“. ავტორის აზრით, მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** თითქმის ყოველთვის იკარგება ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში თანხმომავანადიან სახელებთან: *საჭმელ ჭამს; თვალე არ უჯერი; წყალ არ დაგაღვები*. გამოწვევასად მიჩნეულია ემფატიკური ხმოვნით გავრცობილი სახელები (ლომთაძე 2005: 107).

ისაკ შამელაშვილის ნაშრომშიც აღნიშნულია იმავე მოვლენის შესახებ: თანხმომავანადიანი საზოგადო სახელები მხოლოდობითა და მრავლობითში მიცემით ბრუნვაში კარგავენ **-ს** ალომორფს, რასაც სისტემური ხასიათი აქვს (ზექალაშვილი 2014: 102). მაგალითები: *მამამ გაიგონა ხმა, მოუსვა ხელი შვილ დაძახა* (თსუფა 1982: №25155); *დადიან წყესად ცხვრი ჯოგ წყესობენ* (იქვე); *მერე ჩვენ ვალიდან ამოვდივართ, ჩვენ ვალ ვასრულებთ* (თსუფა 1982: №25127 ხო გეუბნები, არ გიყაბულებ მანათ, ქოსა მორდებხასი არა იყოს რა (ბოთერა 2016: 29).

ბრუნვის **-ს** ნიშანი იკარგება ქართული ენის დიალექტებშიც (კახური, ქართლური, აჭარული, ჯავახური, ლეჩხუმური, იმერული...): ას ნაბიჯზე კვერცხ-0 არტყამდა, ირმებ-0 ქამანდო იჭერდა (ქართლ.); ცხენ-0 საძოვარი მისცა, თათრებ-0 დაუძახა, ხურჯინ-0 პირი მოხსნა (ჯავახ.); მატყუარა ხალხ-0 ვერ იპოვნი იქა. ვექსილ-0 დოუწერდენ (ზ. იმერ.); მეზობლეფ-0 დურიგეს (რაჭ.)... მსგავსი ფაქტები დასტურდება სამხრულ კილოებშიც: შავმ.: პატარა წისქვილ ვიტყვით ბუჭულასა (ჩოხარაძე 2017: 68); ტაოური: აქ ქართოლ, ყველ, ერბოს ვიჯებით (იქვე: 70); სახლ ვაკეთეფ, წყალ ვასვამთ; კაცი ქოხებ აშენეფს; ობლეკარ ვდგები (დადიანი 2011: 61-62); იმერბ.: ცაცხვ უხლამურ ვეტყვით... (მიქაუტაძე 2010: 145). მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა თანხმომავანადიან სახელებთან ქვემოიმერულში უფრო იშვიათია, ვიდრე ზემოიმერულში (მოწინიძე 1973: 20).

5. ავ თემის ნიშნის ნაცვლად -ამ ნიშნის გამოყენება: ჩვენ ისრაელში-აც ვწერამთ სიმღერებ და ლექსებ საქართველოზე; მე არც დამირეკამს და არც მამიკითხია მის მერე. არავინ არ ხნამდა და ბარამდა საქართველოში გარდა ონელი ებრეელებისა. გულ არაფერზე არ მოუკლამდა, ქდჷ „სულამითი“; ქვეყანა იმათ ლოცამდა და აკურთხებდავე. პირველათ სულამითი შეიკერამდა და ჩაიცვამდა, გოგუები უვლიან ოჯახ, რეცხამენ, კერამენ, ართამენ, ქსოვენ, პურ აცხობენ და არიან თავისთვინაი („ფარჩხების მხიკავი).

მსგავსი ფაქტები დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისთვისაც. ეს პროცესი დასტურდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დიალექტებში: ქართლურში, კახურში, ინგილოურში, მესხურ-ჯავახურში, ზემოიმერულში, რაჭულსა და ლეჩხუმურში. მთის

დიალექტებიდან ადასტურებენ მთიულურ-გუდამაყრულში (გოგოლაშვილი 2017: 299)

6. სტატიკურ ფორმათა გამოყენება: გავიხედო აგერ ჩემ გვერში არ ზია ე ჩემი ძაღლი? ძირ გდია უყურემს და არ იღემს, რა უცინია მაგ უბედურ. მსგავსი მოვლენები დასტურდება ქართული ენის დიალექტებში. მაგალითად, დასავლურში არის ტენდენცია აწმყოში ია დაბოლოების უნიფიცირებისა: აკრია, ვარგია, ახურია... როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ამგვარი ფორმები მრავლადაა იმერულში და ადასტურებენ ლეჩხუმურსა და რაჭულშიც (გოგოლაშვილი 2017:387).

7. ენიანი ფორმების ხშირი გამოყენება: არ ეკვრინება აბელობაში ებრეელ ქალ; რა ეთამაშება ამ შუალამე, არ ეკვლეინება საკლავი შოხუტის გარდა არავის (ლომთაძე, ენოხი 2019).

8. შუალობითი კონტაქტის ნიშნად **-ეინ**: ვაკბეინო ახლაჩემ ძალ შენ ცოლზე? არ მათქმეინოს ახლა მაგან ყველაფერი, დააკლეინა ქათმები ხახამ და წაიღო სახში. მსგავსი ფორმები დასტურდება ქართული ენის იმერულ დიალექტში, კერძოდ, ქართლურის მოსაზღვრე თქმებში: -ევი-ინ ---ეინ (აკვლევივნებს-აკვლეინეფს აკლეინეფს, მოაკვლევინა, მოაკლეინა (ჯორბენაძე 1989: 482).

-ჰე ნაწილაკის გამოყენება ზმნებთან და ზოგჯერ სახელებთანაც. მაგალითად, -ვე ნაწილაკი შეზრდილია არსებითი სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმასთან. მაგალითად, მოქმედებითი: *ფეხითვე ჯახირით ქვა ზედ დადო* (თათარაძე, არაბული 2014: 166). გვხვდება თანდებულებიან ფორმებთანაც. -ში თანდებულებიან ფორმასთან წარმოდგენილია ა ელემენტიც: *დაიხოქა და გამჩენ მადლობა მუახსენა ლოცვის კარებშიავე* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ტებილიდგან ხო დაბრუნდა ე ემეთხაელი და გაიხადა, რას ნახამს, ლოცვის კარებშიავე* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946).

ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში (რ. თავდიდიშვილის ტექსტებში) არის -ვე ნაწილაკდართული -ზეავე ფორმებიც: *ე მზეთუნახავი ქალიც გვერდში მოიჯინა ამ ცხენზეავე და გააქროლა როგორც ქარ-ნიავი* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951); *მიუყვანეს თებაზეავე, მიუჯინეს გვერდით და დალოცეს* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946).

ტექსტებში შეგვხვდა იდგან+ა+ვე ვარიანტიც: *აბშლომი აკოშვიდგანავე შევიდა ოთახში* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947)... ა+ვე არის დროის აღმნიშვნელ ზმნისართთანაც: *თუ ამალამავე დამნიშნამ შენ ქალიშვილზე თვარამა, შენ ოჯახ თელათ ამოვხოცამ ამალამ* (იქვე).

-შიავე (-ზეავე) ფორმები ქართული ენის დიალექტებში არ გვხვდება, თუმცა -ვე ნაწილაკდართული -შიდა თანდებულებიანი ფორმები არის ზემორაქულში: ეს ძალიან უხარია ხემწიფი შვილს. ყავთ თავის სახლშიდავე (ქდვ: №3188: შ. ძიმიგური „ქართული დიალექტოლოგიის მასალები“, გამოცემის ავტორი: ნ. სურმაჯა); ზემოიმერულში: იმ თვეშიდავე თაველი ყვავილს გეილეფს (ქდვ: №3164).

ქართული ენის დიალექტებში **-ჰე** ნაწილაკიანი გავრცობილი ფორმები ძირითადად დადასტურდა უთანდებულო არსებით სახელებთან: თუ

ვერ გამომიგზავნო, ამ ბაწარსავე მოაზიო და წამოატანო და ავიტანო („ხემწიფე და მისი ქალიშვილი“, ჩამწ. დამანა მელიქიშვილი, გრინა ქსოვრელი, №1425); თხილისავე ჯოხს გავჩეხდით შუაზე (იოსებ მჭედლიშვილი, №3336, გარეკახური); ყველს ვადედებთ ბატკნისავე კუჭის ნაყოფით (ქდვ: „მეცხვარეობა“, №2935) (ჩამწერი ლუბა ბოჭორიშვილი, შიგაკახური).

-**30** ნაწილაკდართული სახელები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება როგორც სახელის ფუძესთან უშუალოდ, ისე თანდებულიან ფორმებთან. -**30** ნაწილაკი შეიძლება დაერთოს სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელს. მაგალითად:

პირის ნაცვალსახელები: *თქვენ თითვან გახსენით და თქვენვე წაიკითხეთო* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941). ქართველ ებრაელთა მეტყველებაში -ვე ნაწილაკი გვხვდება პირის ნაცვალსახელების ეხმოვანდართულ ფორმებთანაც: *რომენ კარშიდაც გახვალთ თქვენ, თქვენვე მოქცემთ ხელში* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *შენ ფარას შენვე დაგიბრუნებ და დანარჩენით ხელ მოვიბრუნებ* (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942)...

-**30** ნაწილაკთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ. სურმაკას მოხსენებაში „-ვე ნაწილაკის უცნობი ფუნქციისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“. ავტორის აზრით, -ვე ნაწილაკი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ქართული დიასპისტემისათვის უცხო ფუნქციას ავლენს, კერძოდ, იგი გამოხატავს ობიექტის მრავლობითობას. მკვლევარი ამ უნარის განვითარებას სამწერლობო ძეგლების მონაცემთა მიხედვით ხსნის (სურმაკა 2014: 60). უფრო ადრე -ვე-ს შესახებ მსჯელობს რ. ენოხი. ამ საკითხზე მკვლევარმა პირველი მოხსენება ჯერ კიდევ 1987 წელს წაიკითხა. მისი აზრით, დაუხატავე ფორმაში ე ობიექტის მრავლობითობის ნიშანია, ვ კი – ხმოვანთგასაყარი. როდესაც ხმოვანთა მეზობლობა არა გვაქვს, მაშინ არც **3** თანხმოვანი დაჩნდება (ენოხი 1990: 10-11).

9. მკვეთრად ებრაული კონოტაციის საკუთარი სახელები: მოშე, შამუელ, ფინხაზი, აბრაამ, სარა, დებორა... ებრაელთა საკუთარ სახელებზე მსჯელობა გვხვდება თ. ლომთაძისა და ს. გუმბერიძის სტატიაში (2023), ასევე არსებობს ცხინვალელ ებრაელთა მაგალითზე ლილი ელიშაკოვის შრომა „ცხინვალელ ებრაელთა ანთროპონიმები“ (1968). ფაქტია, საქართველოში მცხოვრები ებრაელები მსოფლიოში გაფანტული ებრაელების მსგავსად ინარჩუნებდნენ ძველ ბიბლიურ სახელებს, უმეტესად თორაში დადასტურებულს, რომლებსაც მკვეთრად ებრაული კონოტაცია ჰქონდათ.

როგორც აღვნიშნეთ, ებრაელები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოსახლეობდნენ. მათ მეტყველებრივ სახესხვაობას ახასიათებს 1. ქართულისა და ქართველური ქვესისტემებისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენების გამოყენება, 2 ქართულის რომელიმე ქვესისტემისათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოყენება და 3. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოყენება. თუ გადავხედავთ ზემოთ-დასახელებულ საერთოებრულ ნიშნებს, მათი უმრავლესობა (გარდა ლექ-

სიკური თავისებურებებისა), გრამატიკულია. ყველა დიალექტში გამოიყოფა სხვა ქართულ სისტემებთან საერთო და ასევე მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები. ებრაელებთან სპეციფიკური თავისებურებებიდან ზოგი მხოლოდ მათთვისაა დამახასიათებელი, მაგალითად, ებრაული და არამეული ლექსიკის გამოყენება, მკვეთრად ებრაული კონოტაციის ანთროპონიმთა ხშირი ხმარება, ასევე -ვე ნაწილაკის დართვა ზმნებსა და სახელებზე. მას ასევე უნიფიცირებული აქვს სხვა დიალექტებში არსებული თავისებურებებიც. მაგალითად, -ამ თემის ნიშნის გამოყენება -ავ ნიშნის ნაცვლად, ხმოვანფუძიან სახელებზე სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის დართვა და სხვა.

სირთულე სწორედ აქ იჩენს თავს: თუ ქუთაისელი ებრაელისათვის ხმოვანფუძიან საკუთარ სახელზე სახელობით ბრუნვაში -ო ნიშნის დართვა არის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არაებრაელი ქუთაისელის მეტყველებისაგან, გორში ან ცხინვალში მცხოვრებისათვის იგივე ნიშანი ებრაელსა და არაებრაელს შორის არავითარ სხვაობას არ ქმნის. რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ამ შემთხვევაში აღნიშნულ მოვლენას: არის ის საეთნოზოგივი ნიშანი თუ ქუთაისში ის არის ქუთაისურის ებრაული კილოკავისათვის დამახასიათებელი, ხოლო გორელ ებრაელთან ქართლური დიალექტის ერთ-ერთ ნიშნად უნდა ჩაითვალოს? ჩვენი აზრით, ამგვარ ნიშნებს უნდა მიეცეს კვალიფიკაცია როგორც ებრაელთა დიალექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები. რა გვაძლევს ამის საფუძველს? დავესესხებით ბ. ჯორბენაძის მოსაზრებას: „ყოველი დიალექტის სისტემა სინამდვილეში იმ ენითაა შეპირობებული, რომლის ნაირსახეობასაც წარმოადგენს იგი. ნიმუშად მოვიყვანთ უღლილების სისტემის აგების პრინციპს. გარდამავალი ზმნის პარადიგმები საყრდენი ფუძის განაწილების თვალსაზრისით სამი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: „წერს“ ტიპი, „მალავს“, „გმობს“ ტიპი. პირველ შემთხვევაში ფუძე უცვლელია ყველა პარადიგმაში. მეორე და მესამე შემთხვევებში ორი ფუძე უპირისპირდება ერთმანეთს: თემისნიშნის (მალ-ავ, გმ-ობ) და უთემისნიშნის (მალ-, გმ-). სხვაობა ისაა, რომ I შედეგობითი ერთ შემთხვევაში აწმყოს ფუძეს იყენებს (და-უ-მალ-ავ-ს), მეორე შემთხვევაში – ნამყო ძირითადის ფუძეს (და-უ-გმ-ი-ა). ესაა სამი შესაძლებლობა საყრდენი ფუძეების მიხედვით ქართულში გარდამავალი ზმნების პარადიგმათა განაწილებისა. ამ სახითაა პარადიგმები დაჯგუფებული სალიტერატურო ქართულში... არცერთ ქართულ დიალექტში არა გვაქვს პრინციპული სხვაობა ამ თვალსაზრისით. ყველა დიალექტური ნაირსახეობა ზემოდასახელებულთაგან ერთ-ერთს იმეორებს როგორც ფუძის სტრუქტურის, ასევე უღლილების თვალსაზრისით (ჯორბენაძე 1989:10).

ანალოგიურად, ებრაელთა ქართული მეტყველებაც ერთ რომელიმე მოდელს უკეთებს უნიფიცირებას (მაგალითად, ხმოვანფუძიან სახელებზე სახელობით ბრუნვაში -ი ბრუნვის ნიშნის დართვა..). ეს გვაძლევს საშუალებას, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი მოვლენა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საერთო ლინგვისტური ნიშნები საქართველოს სხვადასხვა კუ-

თხეში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებისათვის, რის საფუძველზეც ქართველურ ენობრივ სივრცეში მივუთითებთ ებრაული დიალექტის არსებობაზე, რომელიც არის ეთნიკური ნიშნით გამოყოფილი (არატერიტორიული) და რომელსაც მოეპოვება სხვადასხვა ტერიტორიული კილოკავი (ლომთაძე, კვირიკაშვილი 2024), მაგალითად, ქართლური, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური და ა. შ. კილოკავი. მაგრამ რადგან ებრაელები ძირითადად ქალაქებში მოსახლეობდნენ, უმჯობესია გამოვყოთ ქუთაისური, თბილისური, გორული, სურამული, სოხუმური, ცხინვალური და ა. შ. კილოკავები. ვიმეორებთ, სწორედ ამ კილოკავებით განარჩევენ ისრაელში მცხოვრებელი ებრაელები, თუ საქართველოს რომელი კუთხიდან არის ესა თუ ის პირი.

კილოკავების დონეზე საერთოენობრივი მოვლენები კი სხვადასხვაგვარად კვალიფიცირდება: მაგალითად, წერამს წარმოება გორელ ებრაელთა მეტყველებაში არის თანატერიტორიულ გორულან საერთო ნიშანი, ხოლო ქუთაისელთან არის მიგრაციული დიალექტიზმი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში ჩამოსახლების შემდეგ უნდა შეენარჩუნებინათ ებრაელებს. ასეთებია -ი სახელობითი ბრუნვის ნიშნის გამოყენება ხმოვანფუძიან სახელებთან, ასევე მო-მა ზმნისწინი ქუთაისელებთან და ონელებთან (გოგოლაშვილი ლომთაძე 2023) და სხვა.

ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი საერთო ებრაული მოვლენების შეპირისპირება სხვა „ებრაული ენების“ საერთო ნიშნებთან გვაჩვენებს, რომ ებრაელთა ქართული მეტყველების ლინგვისტური თავისებურებანი თანხვედრა მსოფლიო ებრაელთა ენების ლინგვისტურ თავისებურებებს. ასეთი დაახლოებით 11 ნიშანია:

1. ძველი ებრაულ/არამეული გავლენები: ქართველ ებრაელთა ლინგვისტური რეპერტუარი განიცდის ბიბლიური ებრაულისა და წმინდა წიგნების ებრაულის გავლენებს. ამას მოწმობს ებრაელთა ქართულში გავრცელებული ბიბლიური თუ სხვა რელიგიური ლექსიკა (მაგალათად, აგადა, შაბათი, თალმუდი, თეფილინი და სხვა)...

2. სუბსტრატული გავლენები: ქართველ ებრაელთა ლინგვისტური რეპერტუარი მოიცავს უძველესი ებრაულის გავლენებს, რომლებიც ისმოდა მათ მიგრაციამდე. ამას მოწმობს ქართველ ებრაელთა მიერ გამოყენებული ის სიტყვები, რომლებშიც ებრაული b გამოითქმის როგორც „ბ“ და არა როგორც „ვ“. მაგალითად, ტობე, განაბი... (დუმბაძე 1979).

3. ისრაელური ებრაულის გავლენები: ქართველ ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი მოიცავს თანამედროვე ებრაულის გავლენებს, რომლებიც კიდევ უფრო გაიზარდა გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მომრავლდა თანამედროვე ებრაულისათვის დამახასიათებელი სიტყვების გამოყენების შემთხვევები, მაგალითად, თოარ რიშონი, თოარ შენი, ახოთ მასით, მიშმერეთ, კიცონი...

4. ადსტრატული გავლენები: ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი მოიცავს სხვა ენების გავლენებსაც, განსაკუთრებით თანამედროვე თანატერიტორიული ენების გავლენებს. ებრაელთა ქართულში გახშირდა ებრაული

ლინგვისტური მარკერების გამოყენება ქართულ სიტყვებთან (მაგალითად, აუდიტორიუმი – შდრ. ქართ. აუდიტორია; იერუსალიმი – იერუსალიმი). ასევე ებრაულის გავლენით ზოგი ქართული გამოთქმა შეიცვალა. მაგალითად, გამოთქმა „ჩემს იღბალზე“. საქართველოში ცხოვრების პერიოდში ისინი იყენებდნენ ქართულში გავრცელებულ ფრაზას „ჩემს ბედზე“. ებრაულში ბედი და იღბალი ერთი და იმავე სიტყვით გამოიხატება – „მაზალ“ და, სავარაუდოდ, სწორედ აქედან მომდინარეობს აღნიშნული ცვლილება.

5. მიგრაციული დიალექტიზმები: ქართულ ენობრივ სივრცეში მიგრაციის შემთხვევებში ძველი დიალექტის თავისებურებათა შენარჩუნება ახალ საცხოვრებელ გარემოში. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურდა **მო-** ზმნისწინის **ა** ხმოვნიანი ვარიანტის (მა-ს) ხმარება (გოგოლაშვილი, ლომთაძე 2023), **-ავ** თემის ნიშნის **-ამ** ვარიანტის გამოყენება, რაც ქუთაისელ ებრაელთა გარემომცველი ქართული დიალექტური სივრცისათვის უცხოა. ფაქტია: **მა-** და **-ამ** აღმოსავლური დიალექტური ვარიანტია. ეს დიალექტური არეალი იყო თავდაპირველი საცხოვრისი საქართველოში.

6. არქაიზმები: ებრაელებმა შეინარჩუნეს ისეთი ფორმები, რომლებიც ადგილობრივმა ქართველებმა დაივიწყეს. ამგვარი არქაიზმებია, მაგალითად, ზმნური ფორმები ჯდა, უნა, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად – მან ნაირსახეობის გამოყენება.

7. ებრაელთათვის „სიწმინდის“ ფაქტორი: ებრაელები ადგილობრივ არაებრაელთა მიერ შესრულებული „ბიბლიის“ თარგმანებს ერიდებოდნენ რელიგიური თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ თარგმნეს მათ „თორა“ ქართულად (როგორც ითქვა, „თავსილი“ მე-12 საუკუნის თარგმანად მიიჩნევა). მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიის ქრისტიანული თარგმანი საუკუნეებით ადრე არსებობდა, ქრისტიანული კონოტაციის გამო ებრაელებმა მას თავი აარიდეს.

8. საიდუმლო ენა: საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს ჰქონდათ საიდუმლო/იუმორისტული ენა ებრაული სიტყვების გამოყენებით (ლომთაძე, გულედანი 2024). როგორც პაპისმედოვი მიუთითებს 1945 წელს გამოცემულ წიგნში, „დროთა განმავლობაში მოვაჭრე ებრაელებს შემუშავებული ჰქონდათ თავიანთი პირობითი, სავაჭრო-საიდუმლო ენა; ამ ენას მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში დიდი გამოყენება ჰქონდა ქართველ ებრაელ ვაჭართა შორის“ (პაპისმედოვი, 1945 : 69).

9. ორთოგრაფია: ებრაელები საქართველოში არასოდეს იყენებდნენ ებრაულ ანბანს ქართული ან ებრაული ტექსტების ჩასაწერად. თუმცა საინტერესო ფაქტზე მიუთითებს ბრედ საბინ ჰილი (2022) სტატიაში „ებრაელთა ენები ხელნაწერებსა და ბეჭდურ პროდუქციაში“: იერუსალიმში 1892 წელს ქართველ ებრაელ სიმონ რიჟინაშვილს გამოუცია ებრაულ-ქართული სასაუბრო სრულად ებრაული ანბანით ჩაწერილი (ლომთაძე, კვირიკაშვილი 2024)..

10. თარგმანები: ებრაელთა ქართულში დასტურდება შემთხვევები, როცა „თავსილის“ თარგმანი მისდევს ებრაულ დედანს. მაგალითად, რეუვენ ენოხი მიუთითებს, რომ თავსილში არის წინადადება, სადაც ებრაული დედნის მსგავსად ნაწევარი არის გამოყენებული 8-ჯერ: „და შექმნა ღმერთმა იგი ორი მანათობელი იგი დიდები, იგი მანათობელი იგი დიდი თანა საუფროსოდ იმა დღესა და იგი მანათობელი იგი პატარა საუფროსოდ იმა ღამესა და იგი მარსკვლავები“ (ენოხი, 2007, 67).

11. სხვა განსხვავებები: ებრაელთა ქართულს ახასიათებს ინტონაციური თავისებურებაც. ქართულში მახვილი სუსტია. სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში უმეტესად სუსტი დინამიკური მახვილი დასტურდება. ებრაელთა ქართულისათვის კი ტონური მახვილია დამახასიათებელი. არსებობს საქართველოში რამდენიმე დიალექტი, რომლებშიც ასევე ტონური მახვილის ნიშნებია, თუმცა ებრაელთა ქართული მათგანაც სხვაობს (ლომთაძე, ენოხი, ჯანჯღავა 2022).

ებრაელთა ქართულის დაწვრილებითი ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური და სოციალური ნიშნების გამოყოფის შემდეგ მისთვის ქართულ დიალექტოლოგიაში სტატუსის განსაზღვრის შედეგად შესაძლებლობა მოგვცა „მსოფლიოს „ებრაელთა ენები“ და მათ კლასიფიკაციაში ებრაელთა ქართულის ადგილზე გვემსჯელა. ვექსლერის (1981) კლასიფიკაციით, ებრაელთა ენები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. კერძოდ, ებრაელთა ენებში ერთიანდება: (ა) ენები, რომლებიც „ენის ჯაჭვის მეშვეობით უკავშირდებიან სალაპარაკო პალესტინურ ებრაულს (მაგ., იდიში)“; (ბ) ენები, რომლებსაც არა აქვთ ებრაული სუბსტრატი, მაგრამ „შემდგომში იძენენ ებრაულ იდენტობას“, როდესაც ებრაელები ან არაებრაელები დიალექტებს ინაცვლებენ; როდესაც ებრაელები გადადიან ახალ ენობრივ არეალში (მაგალითად, ბაღდადის იუდეო-არაბული); (გ) კალკირებული (სიტყვასიტყვით) თარგმნის ენები (მაგალითად, ლადინო, იუდეო-ესპანურის თარგმნითი სახეობის ტექნიკური ტერმინი); (დ) „სიტუაციები, როდესაც ებრაელები ყველა რეგიონში ლაპარაკობენ იმავე ენაზე, რომელზეც თანატერიტორიული არაებრაელები, მაგრამ ზოგჯერ საუბარში შემოაქვთ ებრაულ-არამეული ან ებრაული ელემენტები“ (მაგალითად, ებრაული ინგლისური) (ვექსლერი 1981). ებრაელთა ქართულის ადგილი სწორედ მეოთხე ჯგუფში ებრაული ინგლისურის გვერდითაა.

ისმის კითხვა, არის თუ არა ებრაელთა ქართული დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა? რა თქმა უნდა, არა; მაგრამ სარა ბენორის მიხედვით (2008), ებრაული ენების კატეგორიაში ენობრივი სახესხვაობების შეყვანის კრიტერიუმები არ არის უნივერსალური; ბევრ შემთხვევაში ძნელია განასხვავო ენა და დიალექტი, თუმცა ითვალისწინებენ რა, რომ ამა თუ იმ ნაირსახეობის განსაზღვრა ენად და დიალექტად მხოლოდ ლინგვისტურ კრიტერიუმებს არ ემყარება და ძალიან ხშირად სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს ეწევა ანგარიში, ყველა ნაირსახეობას აერთიანებენ ტერმინით „ებრაელთა ენები“. სწორედ ამიტომ შეიძლება ებრაელთა ენებში გავაერთიანოთ ქართულზე დაფუძნებული ვარიანტი ებრაელთა მეტყველებისა – ებ-

რაელთა ქართული. მით უფრო, რომ მსოფლიოში არსებობს გამოცდილება ერთსა და იმავე ენობრივ ნაირსახეობას ჰქონდეს დიალექტის და ენის სტატუსი ერთდროულად (გააჩნია, რა ენობრივ სივრცეშია იგი მოქცეული. მაგალითად, ქართველურ ენობრივ გარემოში ებრაელთა ქართული განიხილება როგორც ქართულის ერთ-ერთი დიალექტი, ხოლო ისრაელის ეთნიკურ მოზაიკაში იგი ერთ-ერთი ებრაული ენაა, ისევე როგორც მაგალითად ებრაელთა ინგლისური. ასეთივე დამოკიდებულებაა, მაგალითად, ლატვიაში არსებული ლივონური დიალექტი/ენის მიმართ და სხვა).

ამრიგად, ებრაელთა მეტყველების განხილვამ შესაბამისი კუთხეების მიხედვით გვაჩვენა, რომ ყველა კუთხის ებრაელთა მეტყველება ეფუძნება თანატერიტორიელთა მეტყველებას ინტონაციურად, გრამატიკულად, ლექსიკურად და განსხვავდება მათგან კილოკავის დონეზე წარმოთქმით, გრამატიკული თავისებურებებით და ლექსიკით. ამასთანავე აღსანიშნავია ის, რომ დასავლეთ საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ქუთაისელი, კულაშელი, ვანელი, ბანძელი, სუჯუნელი, სენაკელი ებრაელების მეტყველება ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან. ინტონაციურად ყველა კუთხის ებრაელთა მეტყველება ემთხვევა ადგილობრივების ინტონაციას, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა ხედავს წარმოთქმის სხვაობას ებრაელთა და არაებრაელ მოსახლეობას შორის. გრამატიკულად ყველა კუთხის ებრაელთა მეტყველება მისდევს ადგილობრივ დიალექტს, მაგრამ განსხვავდება ასევე საერთოებრაული ნიშნებით. ამ სხვაობასაც ადგილობრივი არაებრაელი მოსახლეობა ამჩნევს და არა სხვა კუთხის წარმომადგენლები. რაც შეეხება ლექსიკას, ყველა კუთხის ებრაელი იყენებს ებრაიზმებს, მაგრამ ამასთანავე იყენებენ ადგილობრივი დიალექტისათვის დამახასიათებელ ლექსიკასაც. მაგალითად, ქუთაისელი ებრაელი ამბობს „ბოვში“, რაჭველი იყენებს „ბოშუნა“ ფორმას, ლეჩხუმელი – ბოში და ა. შ. აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელთა მეტყველება მისდევს ასევე აღმოსავლურ კილოებს, ცხინვალელების – ცხინვალურს, გორელების – გორულს, სურამელების – სურამულს, კახელების – კახურს და ა. შ. ასევე ითქმის სამცხურ-ჯავახურსა და აჭარულზე. ამდენად, ტერიტორიული თვალსაზრისით ყველა დიალექტში შეიძლება ებრაული კილოკავის გამოყოფა, მაგრამ სხვაობის მომცემი საერთო ებრაული მოვლენებით ქართულში შესაძლებელია ებრაული ეთნოდიალექტის გამოყოფა, რომელიც შედგება სხვადასხვა დიალექტური კილოკავისაგან (ლომთაძე, კვირიკაშვილი 2024).

რაც შეეხება ებრაელთა ქართულის ადგილს მსოფლიო ებრაელთა ენების კლასიფიკაციაში, ის თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ-ერთ ებრაულ ენად, რომლის ადგილიც, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მცხოვრები ებრაელები ყველა რეგიონში ლაპარაკობენ იმავე ნაირსახეობაზე, რომელზეც თანატერიტორიელი არაებრაელები, მაგრამ ზოგჯერ საუბარში შემოაქვთ ებრაულ-არამეული ან ებრაული ელემენტები, არის ვექსლერის კლასიფიკაციის მეოთხე ჯგუფში ებრაული ინგლისურის გვერდით.

ლიტერატურა

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია: ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი წიგნი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალი ქართული ენის კათედრის შრომები, ტომი III, თბილისი, 1961.

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, ქრესტომათია, თბილისი, 1961.

გოგოლაშვილი, ლომთაძე 2022 – გ. გოგოლაშვილი, თ. ლომთაძე, ქართული გრამატიკული ვარიაციები (გენაცვალე/დაგენაცვლე) როგორც საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ენობრივი იდენტიფიკაციის საშუალება, *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 16/2. 157-161, 2022.

გოგოლაშვილი, ლომთაძე 2023 – გ. გოგოლაშვილი, თ. ლომთაძე, მიგრაციული დიალექტიზმები ქუთაისელ და ონელ ებრაელთა მეტყველებაში, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, მასალები, თბილისი, 2023.

გულედანი, ენოხი, კვირიკაშვილი, ლომთაძე, ჯანჯღავა, ჯაინი 2022 – ლ. გულედანი, რ. ენოხი, ა. კვირიკაშვილი, თ. ლომთაძე, ც. ჯანჯღავა, რ. ჯაინი, ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში, თბილისი, 2022.

გულედანი, ლომთაძე 2019 – ლ. გულედანი, თ. ლომთაძე, ისრაელში/იერუსალიმში ასვლა/აღია (გამონათქვამის სტრუქტურისა და წარმოშობისათვის), საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ.13, №3, თბილისი, 2019.

გუმბერიძე 2020 – ს. გუმბერიძე, სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“, ქუთ., 2020.

დუმბაძე 1979 – კ. დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, ჯეევანმარდი, თბილისი, 1979.

ელიშაკოვი 1968 – ლ. ელიშაკოვი, ცხინვალელ ებრაელთა ანთროპონიმები (ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, ხელნაწერის უფლებით), 1968.

ენოხი 2001 – რ. ენოხი, ძველი ქართულის ლექსიკური ერთეულები „თავსილში“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 2001.

ენოხი 2007 – რ. ენოხი, მცირე შენიშვნა ერთი ძველი ქართული ტერმინის განმარტებისათვის, „დაბეჭდული“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 2007.

ენოხი 2008 – რ. ენოხი, „თავსილი“, იერუს., 2008.

ენოხი 2012 – რ. ენოხი, ქართველ ებრაელთა ლექსიკის კომპონენტები, მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათ., 2012.

ენოხი 2012 – რ. ენოხი, ქართველ ებრაელთა მეტყველების ლექსიკონი - საჭიროება და სიმნელები, 1-ელი საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათ., 2010.

ენოხი 2013 – რ. ენოხი, მიმართება სალიტერატურო ქართულს, იმერულ კილოსა და ქუთაისის ებრაელთა მეტყველებას შორის ანუ ქართველ ებრაელთა მეტყველება ენათმეცნიერებისა და სოციოლინგვისტიკის შესაყარზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ 2, 2013.

ზექალაშვილი 2014 – რ. ზექალაშვილი, უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ, წელიწდეული, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI, ქუთ., 2014.

კვირიკაშვილი, ლომთაძე 2024 – ა. კვირიკაშვილი, თ. ლომთაძე, თანამედროვე ებრაულის ლექსიკური გავლენები ებრაელთა ქართულზე, *International Journal of Linguistics and Communication*, 12(1), 2024.

კუბლაშვილი 1985 – კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი, 1985.

ლევინი, კონსტანტინოვი 2025 – ზ. ლევინი, ვ. კონსტანტინოვი, Zeev Levin & Viacheslav Konstantinov, Native, but unique: Jews of Georgia, Azerbaijan, Uzbekistan and their neighbours revealed through their twentieth century demographic profiles, 2025.

ლომთაძე 2005 – თ. ლომთაძე, ქუთაისური ჟარგონი, ქუთ., 2005.

ლომთაძე 2005 – თ. ლომთაძე, ქუთაისური ქართული, ქუთ., 2005.

ლომთაძე 2010 – თ. ლომთაძე, თანამედროვე ქართული სოციოლექტები, თბილისი, 2010.

ლომთაძე, გოგოლაშვილი 2022 – თ. ლომთაძე, გ. გოგოლაშვილი, ებრაელთა ქართული როგორც ქართველური ენობრივი სივრცისა და ებრაელთა ენების ნაწილი, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონფერენციის შრომები, 1, თბილისი, 2022.

ლომთაძე, გულედანი 2024 – თ. ლომთაძე, ლ. გულედანი, ებრაელთა ქართულის გეოგრაფიული და სოციალური სტრატეფიკაცია, *Journal of Jewish Languages*, 12, 2024.

ლომთაძე, გუმბერიძე 2023 – თ. ლომთაძე, ს. გუმბერიძე, ებრაელთა სახელები საქართველოში, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ მასალები, თბილისი, 2023.

ლომთაძე, ენოხი 2019 – თ. ლომთაძე, რ. ენოხი, ებრაელთა ქართული როგორც ებრაელთა იდენტობის ერთ-ერთი მარკერი (საქართველოში მცხოვრები ებრაელების მაგალითზე), *Journal of Jewish Languages*, 7, 2019, 1-27, 2019.

ლომთაძე, კვირიკაშვილი 2024 – თ. ლომთაძე, ა. კვირიკაშვილი, ებრაელთა ქართულის ორმაგი სტატუსი, *Forum for Linguistic Studies*, volume 6, issues 5, 2024.

სურმავა 2014 – ნ. სურმავა, -ვე ნაწილაკის უცნობი ფუნქციისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXV, 14-17 აპრილი, მასალები, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2014.

ჩიქოვანი, ჩხაიძე, წერეთელი, მაცაბერიძე, კაკიტელაშვილი 2014 – ნ. ჩიქოვანი, ი. ჩხაიძე, ი. წერეთელი, დ. მაცაბერიძე, ქ. კაკიტელაშვილი, იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალენოვანი ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918), 2014.

ძოწენიძე 1973 – ქ. ძოწენიძე, ზემოიშვრული კილოკავი, თბილისი, 1973.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1989.

Ben-Oren, Gershon 1993 – Special Characteristics of the Spoken Language of Georgian Jews, PhD dissertation, The Hebrew University of Jerusalem, in Hebrew, 1993.

Tamar Lomtadze, Salome Gumberidze

Common Georgian Linguistic Features in Jewish Speech and the Issue of Their Classification

Summary

Jews have historically lived in nearly all regions of Georgia, and their speech varieties exhibit a blend of linguistic features that can be grouped into three main categories:

- 1.Common features shared across Georgian and broader Kartvelian dialect systems;
- 2.Features specific to particular Georgian dialects;
- 3.Features unique to Jewish speech.

Among the uniquely Jewish features are the incorporation of Hebrew and Aramaic vocabulary, frequent use of anthroponyms with clearly Jewish connotations, and the attachment of the particle **-ve** to both verbs and nouns. Additionally, Jewish varieties exhibit certain Georgian dialectal features used consistently across different regions – for example, the substitution of the suffix **-am** for **-av**, and the addition of the nominative suffix **-i** to vowel-base nouns.

The difficulty of classification arises in such cases: for instance, the presence of the suffix *-i* on vowel-base proper nouns distinguishes Jewish from non-Jewish speech in Kutaisi. However, the same feature does not differentiate Jewish and non-Jewish speech in Gori or Tskhinvali. How, then, should such features be categorized? Are they ethnically marked and thus characteristic of Jewish speech as a whole, or are they merely local dialectal features shared by Jews and non-Jews in certain areas?

In our view, these features should be considered markers of the Jewish dialect. This supports the argument for the existence of a Jewish dialect within the Kartvelian linguistic continuum – one defined by ethnic rather than territorial criteria, yet composed of regionally specific sub-dialects. On the sub-dialectal level, shared linguistic traits may take on different classifications: for instance, the verb form *ṭṭcrams* (“he/she writes”) used by Jews in Gori aligns with the local dialect, while its use in Jewish speech in Kutaisi reflects a preserved dialectal feature following migration from eastern Georgia.

მედეა საღლიანი

ატმოსფერულ მოვლენებთან დაკავშირებული მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების შესწავლისათვის სვანურში

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გააქტიურებული ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ფარგლებში მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უმწერლობო ქართველურ ენათა მონაცემები, კერძოდ, სვანური, რომლის ძირითად ლექსიკურ ფონდში, გრამატიკულ სტრუქტურასა თუ ფონოლოგიურ სისტემაში არაერთი არქაიზმია შენარჩუნებული. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია ისეთ რთულ ლინგვისტურ სფეროში მუშაობა, როგორიცაა სვანური ენის **ფრაზეოლოგიური გამონათქვამები (იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი), მეორეული კომპოზიციები, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები, მისაღმების, წყევლისა და დალოცვის ფორმულები...**, რომლებიც ხშირად შეიცავენ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა მეტი წილი თანამედროვე ენაში უკვე აღარ გვხვდება და მათი ეტიმოლოგიის დადგენაც, ცხადია, ძალზე რთულია. ისინი შემონახულია გაქვავებულ გამონათქვამებში და დიდია მათი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას (საღლიანი 2016: 573).

სვანური მყარი გამონათქვამების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არაერთი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოკვლევა გვხვდება, სადაც გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ როგორც ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, ასევე ამ კუთხითაც სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა (*ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის*) და *ჩოლოურული მეტყველების* მონაცემების მრავალფეროვან მასალაზე დაყრდნობით სვანურის კვლევა იძლევა ზოგადად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, ხოლო სვანური დარგობრივი ლექსიკის რაც შეიძლება სრული აღრიცხვა იმ სპეციალურ გამოთქმებთან (/ფრაზებთან) ერთად, რომლებშიაც ისინი იხმარებიან – აუცილებელია როგორც ლინგვისტური, და საერთოდ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ისე შესაბამისი სალიტერატურო ენების განვითარების ინტერესთა თვალსაზრისითაც.

მიუხედავად სვანური ფრაზეოლოგიზმებისადმი მიძღვნილი არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევისა, **ატმოსფერულ მოვლენებთან დაკავშირებული მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების** შესახებ მსჯელობა დღემდე არ ყოფილა სპეციალურ ლიტერატურაში, რამაც გადაგვაწყვეტინა

ამ მეტად საინტერესო თემაზე მუშაობა, შესაბამისად კი სვანური დიალექტოლოგიური მასალის თავმოყრა.

სინქრონიულ-დიაქრონიული, დესკრიფციული (აღწერითი), ისტორიულ-შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდების გამოყენებით ნაშრომში წარმოდგენილია მსჯელობა ატმოსფერული მოვლენების ამსახველი მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების შესახებ, რომელთა მეტი წილი მოპოვებულია ჩვენ მიერ სავსე პირობებში მესტიისა და ლენტეხის რაიონის სოფლებში.

მასალა დაჯგუფებულია შემდეგი პრინციპით:

- **მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი საკუთრივ სვანური მასალა;**
- **ქართულ-მეგრულიდან სესხების (ან კალკირების) გზით მომდინარე მასალა;**
- **მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ლექსიკური ერთეულების შემცველი წყევლის ფორმულები;**
- **მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი მილოცვა-დალოცვის ფორმულები;**
- **მეტეოროლოგიური მოვლენების შემცველი გაქვავებული იდიომატური გამოთქმები.**

1. **მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი საკუთრივ სვანური იდიომატური გამოთქმები.** სვანურში, როგორც წესი, წარმოდგენილია მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ბევრი ისეთი იდიომატური გამოთქმა, რომელთაც სხვა ქართველურ ენებში ეკვივალენტი არ ეძებნებათ. აქედან გამომდინარე, ისინი უნდა განვიხილოთ როგორც საკუთრივ სვანური. სავსებით ბუნებრივია, რომ მსგავსი მასალა ჭარბობს ქართველური ენებიდან კალკირებისა და სესხების გზით შემოსულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმეს. მაგ.:

ბიქტემ/ბიქტიმ ჭულ ჩუ ლგ (ბქ.) „საშინელი ქარია (ზედმიწ. – ქარის წული ქე დგ-ა-ს)“

გიმ-მეგემ ხენწყუი უშუტარ (ბქ.) „საშინელი ამინდია (ზედმიწ. – მიწა-ზე აწყდება ერთმანეთს)“

გიმს ხეზიდ (ბქ.) „პაპანაქება სიცხეა (ზედმიწ. – მიწას ცეცხლი უკიდია)“

დეც ჰშთქე ლი (ბზ.) „მოღრუბლულია (ზედმიწ. – ცა მაკე არის)“
||მუჟლტერ ლადად დეც ესერ ჰშთქე ლი (ბზ.) „მოღრუბლულია (ზედმიწ. – შემოდგომა დღეს ცა-ო მაკე არის)“, შდრ. ბქ. **დეც ჰჰშთქე** „მოღრუბლული ამინდი (ზედმიწ. – ცა მაკე)“, **შენიშვნა:** როცა ცა ღრუბლით დამძიმებულია, მზეს ძალა მოკლებული აქვს, სწორედ ასეთი შემოდგომის ცაზე ამბობენ.

დეცი ნაკუიშ გიმთერუ ანდრი (ბზ.) „თავსხმა, კოკისპირული წვიმაა (ზედმიწ. – ც-ის ნატეხი მიწაზე მოდის)“; **დეცი ნაკუიშიშ გიმდ ლიკედ** (ბქ.) „თავსხმა, კოკისპირული წვიმა (ზედმიწ. – ც-ის ნატეხის მიწად მოსვლა)“
||დეცი ნაკუიშ ანდრი „თავსხმა, კოკისპირული წვიმაა (ზედმიწ. – ც-ის ნა-

ტეხი მოდის)“, **დევე გიმდ ლიკედ** (ჩოლ.) „თავსხმა, კოკისპირული წვიმა (ზედმიწ. – **ც-ი**ს) მიწად მოსვლა)“.

შენიშვნა: მართალია, იდიომი, თავისი სტრუქტურის მიხედვით დიდად არ განსხვავდება თავისუფალი შესიტყვებისაგან, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დარღვეულია სინტაქსური წყობა სიტყვებს შორის (მაგ.: ბქ. **დევე ნაკუთი გიმდ ანდრი** – ნაცვლად **დევე ნაკუთი გიმთე-ჩუ ანდრი** „თავსხმა წვიმა (ზედმიწ. – **ც-ის** ნატეხი მიწაზე მოდის)“ ფორმისა, ჩოლ. **დევე გიმდ ლიკედ** – ნაცვლად **დევე გიმთეჩუ ლიკედ** „თავსხმა წვიმა (ზედმიწ. – **ც-ი**ს) მიწაზე ჩამოსვლა)“ ფორმისა და ა. შ.). შესაძლოა ეს უკავშირდებოდეს თვითონ სვანურის სინტაქსის სპეციფიკას, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო შესიტყვებათა საფუძვლიან შესწავლას, რომლებიც ერთ, სემანტიკურად გაუთიშავ მთელად, იდიომატურ გამოთქმად გადაიქცევა ხოლმე, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ მოცემულ სინტაგმაში სიტყვათა ხმარების წესი დაირღვა (საღლიანი 2016: 575).

დევე სარკად ღრგენ (ბზ.) „კრიალა, მოწმენდილი ცა (ზედმიწ. – **ც-ის** სარკე-დ დგ-მ-ა)“;

დევემ ი მეროლე ლიყურულალ (ბქ.) „გამოდარება, ამინდის გამოსვლა (ზედმიწ. – **ც-ის-ა**) და ღრუბლები[ს] დაშორება/განშორება/გაყოფა)“;

დევეს მერე დემეგ ხაგუმა (ბქ.) „მოწმენდილი, გაკრიალებული ცაა, კარგი ამინდია (ზედმიწ. – **ცა-ს** ღრუბელი არ აცხია/უსვია)“;

დევე ჩუანუყად (ბქ.) „თავსხმა წვიმა (ზედმიწ. – **ცა** ჩამოვარდა)“;

დევე ხანგარდ გუზგ (ლშზ.) „ცა საავდროდ ემზადება, ავდარს აპირებს (ზედმიწ. – **ცა ხანგრ-ად გვ-ა-დგ-ა-ს**)“;

იმხუალახენ მეროლ ენყუბანხ (ბქ.) „უცებ მოიღრუბლა, ამინდი შეიცვალა (ზედმიწ. – საიდანაც ღრუბლები გამოძვრენ)“;

მასგლქაშშალ ლისხრენე (ბქ.) „თავსხმა წვიმა (ზედმიწ. – *კაპილარი-დანსავით სხმა)“;

მეროლე ლიგუირხალ (ბქ.) „ღრუბლების საავდროდ მზადება (ზედმიწ. – ღრუბლები[ს] კლაკნა/დაგრანა)“;

მეროლე უშხუარ ლინწყუე (ბქ.) „ღრუბლების საავდროდ გამზადება (ზედმიწ. – ღრუბლები[ს] ერთმანეთ[ს] მინარცხება/აღრევა)“;

მეშხე მეროლე ლიჭონალ (ბქ.) „გაავდრება, მოსალოდნელი ცუდი ამინდი (ზედმიწ. – შავი ღრუბლები[ს] ტრიალი)“;

მეშხე მეროლ აშ იყურთხალხ (ბქ.) „გაავდრება, მოსალოდნელი ცუდი ამინდი (ზედმიწ. – შავი ღრუბლები იგრანგებიან/ირევიან)“;

მეჟ ეშ დანდიე (ჩოლ.) „მზე კაშკაშებს (ზედმიწ. – მზე ისე კაშკაშებს)“;

მეტ[არ]შუ ლითართხულე (ბქ.) „ცუდის მაუწყებელი თოვა, წვიმანარევი (ზედმიწ. – **მატლ-ებ-ით** თოვა)“.

შენიშვნა: საექსპედიციო მასალების მიხედვით, გამოთქმა – **მეტ[არ]შუ ლითართხულე** მოსალოდნელი ცუდი ამბის მაუწყებელია, მაგ.: **დადა**

მემზულადა, ერე „მეზუბელ ხოშა ზურალს როქ ლოხტულა მიჩემდ: „ქა როქ ეხსგი/ახსგი, ლოხსგი იმეი როქ მეტარშუ თართხულე, ლჷდი როქ მოლე ცოდ ირჷმინი!“ ი ნებოზს ტკისდ ხოლა გჷემ როქ ათხუნა სოფელისგა, მზხელტჷჲ მარე ენგურთე როქ **ომშყედ ი ჩუ როქ ოლდაგარ**“ (ბქ.) – ბებია მიაძობდა, რომ „მეზობელმა ხნიერმა ქალმა დამიძახაო: გამოიხედე, შეხედე როგორ ბარდნის მატლებით, დღეს რაღაც ცუდი ამბავი მოხდებაო! და საღამოს მართლაც ცუდი ამბავი მოხდაო სოფელში, ახალგაზრდა კაცი ენგურში გადავარდა და დაიღუპაო“.

მეცხიაშ კერაჲჲი ლისგურე (ლშხ.) „აციება, ყინვები (ზედმიწ. – სიცივის **კერ**-ია-ზე დაჯდომა)“;

გიმ-მეგემ ლგვ ესღუა (ბქ.) „თავსხმა წვიმა (ზედმიწ. – მიწა-მ-დგომ-ი წყალს) მიაქეს“;

უმზას ფაყუ ხაგ (ბქ.) „ცუდი ამინდია მოსალოდნელი (ზედმიწ. – უმზას ქუდი ა-დგ-ა-ს)“;

უჩხემ შხელ ჩუ ლგვ (ბქ.) „საშინელი წვიმა, თავსხმა (ზედმიწ. – წვიმის **შხუ**-ილ-ი ქე **დგ**-ა-ს)“;

ქტყყანა ძულტას ესღუა (ბქ.) „საშინელი წვიმა, თქეშია (ზედმიწ. – **ქყყყანა ზღვა**-ს მიაქეს)“;

ციცუთი ი კტუნი ლიტუშალ (ბზ.) „საშინელი სიცივე (ზედმიწ. – კატისა) და **კვერნ**-ის) ჩახუტება“; **ციცუთი ი კტუნიშ ლიპურტინალ/ლიჩდი-ნალ** (ბქ.) „საშინელი სიცივე, ყინვები (ზედმიწ. – კატისა) და **კვერნ**-ის არეულობა“; **ციცუთი ი შტუგუთი ლიტუშალ** (ჩოლ.) „ავდრიანობა, ცუდი ამინდები (ზედმიწ. – კატისა) და თავგის) ჩახუტება“ და მრავ. სხვ.

2. ქართულ-მეგრულიდან სესხების (ან კალკირების) გზით მომდინარე მასალა. ენის საგანძურის გამდიდრება, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ხდება არა მარტო მასში ახალი სიტყვების, ნეოლოგიზმების აღმოცენებით, ნასესხები სიტყვებითა და ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის შეცვლით, არამედ იმითაც, რომ თავისუფალი სინტაქსური შესიტყვებები, სიტყვათა ჯგუფები, ე. წ. მყარ შესიტყვებებად და ამგვარად, ენის საგანძურის შემადგენელ ნაწილად გარდაიქმნებიან. ამ სახეობის „მყარ“ შესიტყვებებს (აგრეთვე „ფიქსირებულ სიტყვათშენაერთებს“) უნარი შესწევთ წარმოქმნან განსხვავებული სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურები (ფლაშერი 1982).

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გარკვეული მარაგი ყველა ენაშია, რაღა თქმა უნდა, ამ მხრივ არც სვანური ენა წარმოადგენს გამონაკლისს, რომლის ლექსიკური ფონდი ამ მხრივაც საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია.

საკუთრივ სვანური მასალის გვერდით, ცხადია, დასტურდება ქართულ-მეგრულიდან ნასესხები (თუ კალკირების გზით მიღებული) მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ფრაზეოლოგიური ერთეულები,

რომლებიც წიგნის ან ზეპირი მეტყველების გზით უნდა იყვნენ შეთვისებული. მაგ.:

ჟედ ყორჟა დემ იკუპარი (ბქ.) „სამინელი სიცივეა, ყინვებია (ზედმიწ. – ძალდი კარში არ {გა}იგდება)“, შდრ, ქართ. ძალდი გარეთ/კარში არ გაიგდება „ძალიან სიცივეა, ცუდი ამინდია“;

დეცემ/დეცემ ზუ ლიშყედ (ბქ.) „თავსხმა წვიმაა (ზედმიწ. – ც-ის ჩამოვარდნა/ჩამოქცევა)“, შდრ, ქართ. ცის ჩამოქცევა „კოკისპირული წვიმა“;

დეც იბურდალ (ბქ.) „ცუდი ამინდია მოსალოდნელი (ზედმიწ. – ცა ირევა)“, შდრ. ქართ. ცის აბურდვა/აშლა/აწეწვა „ამინდის გაფუჭება, მოსალოდნელი ცუდი ამინდი“;

მეჟემ ლიკეფ (ბქ.) „მოსალოდნელი ავდარი (ზედმიწ. – მზ-ის კბენა)“, შდრ. ქართ. მზე იკბინება „ცუდი ამინდია მოსალოდნელი“;

მეჟე ლიჭირხე (ჩოლ.) „ცუდი ამინდია მოსალოდნელი (ზედმიწ. – მზ-ის მოჭერა)“, შდრ. ქართ. მზე აჭერს/უჭერს „ცუდი ამინდია მოსალოდნელი“...

ზოგ შემთხვევაში სვანურში აღნიშნული გამონათქვამები კიდევ უფრო დაკონკრეტებულია, რაც, მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, გამოთქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშია, ე. ი. გათვალისწინებულია ახალი გარემო და სათარგმნი ერთეული მისთვის ნიშანდობლივი სახით გადმოიცემა (თაყაიშვილი 1961: 110).

მიუხედავად სვანური ფორმების ქართულთან სემანტიკური დამთხვევისა, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, გამორიცხული არაა, რომ ზემოთ დასახელებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი დამოუკიდებლად იყოს წარმოშობილი ორივე ენაში ერთნაირი საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გამო (საღლიანი 2016:597). მეტიც, მსგავსად სხვა ენებისა, ქართველურ ენებშიც ერთნაირი ლექსიკური შემადგენლობის ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების არსებობის ძირითადი მიზეზი, სესხება-კალკირების გარდა, უნდა იყოს ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბების საერთო უნივერსალური გზის არსებობა, ანუ მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილში ერთი და იმავე საგნის თუ მოვლენის მიერ ერთნაირი ასოციაციების გამოწვევის შესაძლებლობა, რაც იწვევს, მეცნიერთა თვალსაზრისით, სხვადასხვა ენაში ერთნაირი ლექსიკური ერთეულების შეკავშირების შესაძლებლობას. ალ. ონიანის აზრით, ასეთი ფრაზეოლოგიზმები წარმოიშობა გამოთქმის პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს შორის ლოგიკურ-აზრობრივი მსგავსების ან რეალური მომიჯნავეობის საფუძველზე (1954: 106).

ზოგადად სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში არსებული შესატყვისობათა გათვალისწინებით ზოგი ლექსიკური კომპონენტი *საერთო-ქართველური დონის მონაცემია*, ზოგი მათგანი კი *სხვა ენათაგან ნასესხები*, რომელთაგან ზოგი უცვლელად შემოინახა სვანურმა, ზოგმა კი მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა. ნასესხებ ფორმათა მეტი წილი ქართულის გზით არის შემოსული სვანურში. სვანურმა კი ბევრი ისეთი საერთოქართველური არქაული ფორმა შემოინახა ფრაზეოლოგიურ

გამონათქვამებში, რომლებიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში უკვე აღარ ფიქსირდება.

3. ატმოსფერული მოვლენების ამსახველი ლექსიკური ერთეულების შემცველი წყევლის ფორმულები. ავსიტყვაობა, როგორც ცნობილია, იმ სიტყვათა ჯგუფს აერთიანებს საკუთარ თავში, როგორიცაა: ტაბუირებული სიტყვები, ვულარიზმები, ჟარგონები, ვერბალური წყევლა-კრულვის მაგალითები; ანუ ეს ის სიტყვები და სიტყვათ-კომბინაციებია, რომლებიც ერთი შეხედვით მიუღებელია საზოგადოებისათვის და არასასიამოვნოა ყურისთვის (ფრომკინი 1988). ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ამგვარ გამოთქმებში არაერთი ენობრივად საინტერესო არქაული ფორმა დასტურდება (სალლიანი 2016: 599).

სვანური ენის დიალექტ-კილოკავები მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი ლექსიკური ერთეულების შემცველი წყევლა-კრულვის აღმნიშვნელი ფორმულებით საკმაოდ მდიდარია. მათი დიდი ნაწილი საკუთრივ სვანურია, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც სხვა ენებიდან ნასესხები წყევლის ფორმულებიც გვხვდება. ამ ფორმულების სხვა ენაზე თარგმნა ხშირ შემთხვევაში დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგანაც მათში უამრავი არქაული ლექსიკური ერთეული ფიქსირდება. შეიძლება ითქვას, რომ სხვა ენაზე მათი თარგმნის სირთულეს მხოლოდ არქაული ფორმების არსებობას ვერ მივაწერთ, რადგანაც ამგვარი გამოთქმები სვანურში როგორც ლექსიკურად, ასევე მორფოსინტაქსურადაც ძალზე გართულებულია და ემოციურ-ექსპრესიული თვალსაზრისითაც ბევრად უფრო მრავალფეროვანია ბევრ სხვა ენასთან შედარებით. მაგალითისთვის დავასახელებთ რამდენიმეს. მაგ.:

მეხი ბედიშუ ხი (ზზ.) „მეხი დაგეცეს (ზედმიწ. – მეხ-ი[ს] ბედ-ის-მცა ხარ!)!“;

მეხი ლახტარუ ჯაბხა (ლნტ.) „მეხი დაგეცეს (ზედმიწ. – მეხ-ი[ს] ლახვარ-ი-მც გცემია!)!“

მეხოდუ ჯაბხა (ბქ.)/**მეხუ ჯაბხა** (ჩოლ.) „მეხი დაგეცეს (ზედმიწ. – მეხ-ი-მც გცემია!)!“;

მეჟემ ნარჰის ნომოდუ ხაწდა (ბქ.) „მზის სინათლე არ გეხილოს (ზედმიწ. – მზ-ის სინათლეს ნუმცა ნახა!)!“;

ნოსაჰ ხაწდახი დეცე მეფხას (ჩოლ.) „მზის სინათლე არ გენახოს (ზედმიწ. – ნუმცა გენახოს ცა მოწმენდილი!)!“;

ჰელშოდუ ომბეკჰუ[ლ]ხი (ბქ.) „გასკდი/მოკვდი (ზედმიწ. – ალ-ით-მცა გამსკდარხარ!)“, შდრ. მასდარული ფორმა **ჰელშუ ლიბეკჰუ** „გასკდომა/გახეთქვა (ზედმიწ. – ალ-ით გასკდომა/გახეთქვა)“...

4. ატმოსფერული მოვლენების ამსახველი ლექსიკური ერთეულების შემცველი მილოცვა-დალოცვის ფორმულები. სვანურში მილოცვა-დალოცვის ფორმულებში ძირითადად ფიგურირებს *წვიმასა* და *თოვასთან* დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები. ატმოსფერული მოვლენების

ამსახველი ძირ-ფუმეები უმეტესად მიცვალეზულთა სულეზისადმი მი-
ძღვნილ შესანდობარ ფორმულეზში ფიქსირდება. მაგ.:

**„იმგჷა ზეთშე უჩხადეს ი ზამზაშე შდუადეს, ერეჷოლჷ ჯარხ ლა-
ქუნ** (ბქ.) „სამოთხეში იყოს თქვენი სასუფეველი (ზედმიწ. – სადაც **ზეთ**-ით
წვიმდეს და **ზამზ**-ით თოვდეს, იქამც გაქვთ სასულეთი!)!“;

**„იმგჷესერ ზეთშე უჩხადეს ი ზამზაშე შდუადეს, ლაქუნ ესერ ერე-
ჩოლჷ ხარ** (ბქ.) „სამოთხეში იყოს თქვენი სასუფეველი (ზედმიწ. – სადა-
ცო **ზეთ**-ით წვიმდეს და **ზამზ**-ით თოვდეს, სასულეთიო იქამს აქვს!)!“;

ზამზას ლოქუ ხაშტუე, ზეთს ლოქუ ხაუჩხე (ლნტ.) „უფალმა გაანათ-
ლოს (ზედმიწ. – **ზამზა**-ს-მცა-ო ათოვს, **ზეთ**-ს-მცა-ო აწვიმს!)!“;

მგჷემ ნარჷიდოლჷ ხოგანდხ (ბქ.) „ნათელში იყონ (ზედმიწ. – **მზ**-ის
სინათლედმცა მართებთ!)!“;

ქრისტეჷ ხოჷოლჷხ მგჷე ნარიჷშ (ჩოლ.) „ნათელში იყოს მათი სულე-
ბი (ზედმიწ. – ქრისტე-მც მიუძღვით მზის სინათლით!)!“;

მატკლაბი ქიმსჷ ხაჷჩხეხ ეჩა ზუჷსდ (ჩოლ.) „ნათელში იყოს მათი
სულეზი (ზედმიწ. – დანანების ცრემლსამც აწვიმთ საიქიოში!)!“...

ქსუ დიალექტოლოგიის ინსტიტუტის სვანური მასალების მიხედ-
ვით „რძისა და თაფლის ქვეყნად მხოლოდ სასუფეველი მოიარება. ალ-
ბათ ეს გახდა მიზეზი საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მო-
საზრებისა, რის თანახმადაც, „აღნიშნული გაგება უნდა უკავშირდებოდეს
მეზობელი მუსლიმი ჩრდილო-კავკასიელების გავლენას. ყურანის თანახ-
მად, უფლის სამკვიდრებელ ადგილას რძის შადრევნები და თაფლის მდი-
ნარეები მოედინება“ (ხაჭაპურიძე, ლომთაძე 2006: 307). მ. საღლიანის აზ-
რით, ამ გაგებას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს მუსლიმი ჩრდი-
ლო-კავკასიელების გავლენასთან, რადგანაც „რძე“ და „თაფლი“ ხშირად
ფიგურირებს ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში არა მხოლოდ სვანურში,
არამედ სხვა ქართველურ ენებშიც, რაზეც ზემოდასახელებული მეცნიერე-
ბიც მიუთითებენ. მათ მიერ მოპოვებული ბიბლიური მასალების მიხედ-
ვით, „რძისა და თაფლის ქვეყანა“-ში მოაზრება სიმდიდრე და კეთილდღე-
ობა, თუმცა დღესდღეობით, ძირითადად, ირონიული გაგებით გვხვდება
(იქვე:306-307). „რძე, თაფლი და ერბო“ სიმდიდრის აღმნიშვნელ ფრაზებში
დღესაც ხშირად გვევლინება (მაგ.: „ოჯახში ერბო და თაფლი უწვეთავს“,
„ერბო და თაფლი უწვიმთ“ და სხვ., იქვე). რაღა თქმა უნდა, მსგავსი ფრა-
ზეოლოგიური გამონათქვამები არც სვანურისთვის არის უცხო და მათში
არავითარი ირონია არ იგრძნობა (საღლიანი 2016: 602).

**5. მეტეოროლოგიური მოვლენების ამსახველი მასალის შემცველი
წმინდა კუთხური კოლორიტის იდიომატური გამოთქმები.** ცალკე ჯგუ-
ფად გამოვყავით მეტეოროლოგიურ მოვლენებთან დაკავშირებული ისეთი
ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, რომელთაც სემანტიკური პარალელე-
ბი არ ეძებნებათ სხვა ქართველურ ენებში. მათი გამომსახველობითი ეკვი-

ვალენტის ვარირება კი, ძირითადად, შესაძლებელია კონტექსტის მიხედვით. ესენია:

კურხუშლ ლგ „გაყინულია (ზედმიწ. – ყინულად **დგ-ა-ს)**“, შდრ. მასდარული ფორმა – **კურხუშლდ ლიგნე** „გაყინვა (ზედმიწ. – ყინულად **დგ-მ-ა)**“;

ფანჯასანდ ლგ (ბქ.) „გაყინულია (ზედმიწ. – ყინულად **დგ-ა-ს)**“, შდრ. მასდარული ფორმა – **ფანჯასანდ ლიგნე** „გაყინვა (ზედმიწ. – ყინულად **დგ-მ-ა)**“;

ფგნჯეთ ლგ „გაყინულია (ზედმიწ. – ყინულად **დგ-ა-ს)**“, შდრ. მასდარული ფორმა – **ფგნჯეთდ ლიგნე** „გაყინვა (ზედმიწ. – ყინულად **დგ-მ-ა)**“;

ყგნგერდ ლგ (ბქ.) „გაყინულია (ზედმიწ. – ყინულად **დგ-ა-ს)**“, შდრ. მასდარული ფორმა – **ყგნგერდ ლიგნე** „გაყინვა (ზედმიწ. – ყინულად **დგ-მ-ა)**“;

ფუტკუირდ ლგ (ჩოლ.) „მცხუნვარე მზით გადამწვარი (ზედმიწ. – გამხმრად **დგ-ა-ს)**“, შდრ. მასდარული ფორმა – **ფუტკუირდ ლიგნე** „გადაწვა/გახმობა (ზედმიწ. – გამხმრად **დგ-მ-ა)**“;

ფუქუირდ ლგ (ჩოლ.) „გადახრუკულია/გადამწვარია (ზედმიწ. – მტვრად **დგ-ა-ს)**“, შდრ. **ფუქუირდ ლიგნე** (ზედმიწ. – მტვრად **დგ-მ-ა)**“...

ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მონაწილე სიტყვათა მეტი წილი არქაულია და საერთო სიტყვათხმარებიდან გამოსული. ისინი გვხვდება, ძირითადად, მყარ შესიტყვებებში – სხვა სიტყვებთან მჭიდრო კავშირში.

ამრიგად, საკვლევი თემატიკის მეცნიერულ დონეზე დამუშავება განხორციელდა სვანური ენის ყველა დიალექტისა და ამ დიალექტებში შემავალი კილოკაური მასალის საფუძველზე. ბუნებრივია, ნაშრომზე მუშაობისას გავითვალისწინეთ ქართველ თუ უცხოელ ლინგვისტთა შრომები და საანალიზო ლექსიკური ერთეულები შევუდარეთ როგორც სხვა ქართველურ ენათა, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებულ უნიკალურ თანამედროვე მასალას.

როგორც ატმოსფერული მოვლენების ამსახველ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, სიტყვათა რიგის ცვლის მიხედვით სვანურიც თითქოს ქართულს მიჰყვება, თუმცა სვანურში სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის დარღვევის შემთხვევები ნაკლებად დასტურდება (ზმნა-შემასმენელი თითქმის ყოველთვის ბოლოშია მოქცეული), რაც სიტყვათა რიგის სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით შეიძლება აიხსნას. სვანური ფრაზეოლოგიზმები ყურადღებას იქცევს ასევე ვარიანტულობითაც, რასაც დიალექტური მასალა განაპირობებს.

იშვიათად, მაგრამ მაინც სვანურ მასალაში იდიომის შემადგენელი კომპონენტების ამოგდების პროცესიც შეინიშნება (მაგ.: **დეე ჰშოქე ლი** → **დეე ჰშოქე...**), რაც იდიომის დაშლას იწვევს, თუმცა ის გამონაკლისები,

რომლებიც სვანურში დასტურდება, ქართულის გავლენის შედეგია. ქართულში აღნიშნული მოვლენა ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს, სვანური კი ამ მხრივ არქაულ ვითარებას ინარჩუნებს.

გარდა ამისა, იდიომებში ზმნები გვხვდება როგორც განსაზღვრული პირის (პირველი, მეორე, მესამე) ფორმით, ასევე სხვადასხვა მწკრივის ფორმით და იდიომთა ერთი ნაწილი საერთოდ მთლიან პარადიგმატულ სქემებსაც ინარჩუნებს (მაგ. **მეხს ხატყცი, მეხს ხჷჯდე, მეხს ხოყირა...**).

ცხადია, სხვა ენათა მსგავსად, სვანურშიც გამოიყო მთელი კორპუსი ისეთი ფრაზეოლოგიზმებისა, რომლებიც ქმნიან მთლიან სტილისტურ პლასტს და მათ სხვა ენაში ანალოგი არ მოეძებნებათ. ამგვარ იდიომებში (ანუ იდიომატურ ლაკუნებში) წარმოდგენილი ბევრი ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიის დადგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ისინი შემონახულია გაქვავებულ გამონათქვამებში და დიდია მათი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას.

ლიტერატურა

თაყაიშვილი 1961 – ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1961.

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ონიანი 1954 – ალ. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკა, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1954.

საღლიანი 2016 – მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 2016.

ფლაიშერი 1982 – W. Fleischer, Phraseologie der deutschen Gegenwartssprache. VEB Bibliographisches Institut, Leipzig. 1982.

ფრომკინი 1988 – V. Fromkin, R. Rodman “An Introduction to Language”, 1988.

ხაჭაპურიძე, ლომთაძე 2006 – ლ. ხაჭაპურიძე, ლ. ლომთაძე, სატირისა და იუმორის გავლენა ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკაზე, საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV, თბილისი, 2006.

Medea Saghlani

**On the Study of Fixed Phraseological Expressions Related
to Atmospheric Phenomena in Svan**

Summary

Based on synchronic-diachronic, descriptive, historical-comparative, and reconstructive methods, the paper presents a discussion of fixed phraseological expressions denoting atmospheric phenomena, most of which were obtained by us during fieldwork in the villages of Mestia and Lentekhi.

The material is grouped according to the following principles:

1. Svan phraseological expressions denoting meteorological phenomena;
2. Expressions borrowed or calqued from Georgian or Megrelian;
3. Curse forms containing lexical elements related to atmospheric phenomena;
4. Congratulatory and blessing constructions referring to meteorological events;
5. Fossilized idiomatic expressions that include references to atmospheric conditions.

მამია ფაღავა, ზაზა შაშიკაძე

ტაოს ონომასტიკა ოსმალურ წყაროებში 4¹

1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღწერილია ტაოს სოფლები. წინამდებარე ნარკვევში ვმსჯელობთ სოფელ ერსისის შესახებ. აღვნიშნავთ, რომ ახლა ერსისი თურქულენოვანია, სოფლის წარსულის შესახებ მცირე რამ შეუწახავს ერსისელთა მეხსიერებას. წარსულის სურათის აღსადგენად ამიტომაც ძვირფასია მოსახლეობის ოსმალური აღწერის „დავთარი“, რომელშიც სიზუსტითაა აღწერილია ერსისის მოსახლეობიდან მხოლოდ მამაკაცები. წყაროში დაცული მამაკაცის სახელები გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ სოფლის ეთნიკურ შედგენილობაზე, რაც მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს...

I

ერსისი (Ersis) ახლა ქილიჩქაია (Kılıçkaya).

ერსისი ძველი (ქართული) სახელწოდებაა აწინდელი ქილიჩქაიასი. სოფელს სახელი 1959 წელს შეეცვალა (იხ. მახარაძე, შაშიკაძე, 2022:291).

ერსისი ძველი წარმოების გეოგრაფიული სახელია: მასში გამოვყოფთ **ერს'** ფუძესა და – **ის** ფორმანტს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „საზღვრულგაუჩინარებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება ტოპონიმებად: შინდისი, რუისი...“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:241; შდრ. ზურაბიშვილი, 1961:151; შანიძე, 1958: 20 – 21). მოყვანილი მოსაზრება მცირე დაზუსტებას საჭიროებს: ტოპონიმად გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც სახელის ფუძედაა ქცეული და ჩვეულებრივ იბრუნება. აქ – **ის** სიტყვასაწარმოებელი ფორმანტია, იგი ახალი ფუძის ნაწილადაა ქცეული, მას დაკარგული აქვს ბრუნვის ნიშნის ფუნქცია, თუმცა მისი ოდინდელი მნიშვნელობა შეიცნობა კი.

დავუბრუნდეთ გეოგრაფიულ სახელს ერსისი: გამოვყავით ერს' ძირი და – ის სიტყვასაწარმოებელი აფიქსი. **ერს** შეკუმშული//რედუცირებული ფუძე ჩანს, მომდინარეობს ერისა' ფორმისაგან: **ერისა – ის – ი-ერსა – ის – ი-ერსისი**. **ერისა'** მამაკაცის სახელი (იქნებ მეტსახელიც – ავტ.) შეაქვს

¹ ნარკვევს რამდენიმე ნაწილად ვაქვეყნებთ. პირველი ნაწილი დაიბეჭდა „დიალექტოლოგიური კრებულის“ 2024 წლის გამოცემაში, გვ. 34-63, მეორე ნაწილი – ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის „კრებულის“ XIV წიგნში, გვ. 3-38, მესამე – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის გამოცემაში „ქართველოლოგიური მაცნე“, VII წიგნი, გვ. 68-118.

ლექსიკონში ალ. ღლონტს (იხ. ღლონტი, 1986). **ერისა**’ს კუთვნილი უნდა იყოს ერსისი.

აგებულიებითა და მნიშვნელობით საგეოგრაფიო სახელი **ერსისი** ქართულია.

* * *

ჩანს, ოსმალთა მოხელე სოფელს აღწერს ოჯახების მიხედვით, რაც მნიშვნელოვანია მისი ეროვნული კუთვნილების განსაზღვრისათვის.

მანი ძე **ვასანიკისა,აკოფ** ძე მისი,**იოვანე** ძმა **აკოფისა**.

მანი, – ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება მანიჩა (ღლონტი, 1986), **მანის** ფონეტიკური ვარიანტი ჩანს. აღვნიშნავთ, რომ „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში“ შეტანილ ერთ დოკუმენტში ნახსენებია სახელი მანინა (კორპუსი, 1984:152, 22). მანი, მანიჩა და მანინა ერთი სახელის ვარიანტებია.

ვასანიკი, აკოფ’ი არაქართული ანთროპონიმებია და, შესაბამისად, ვერც მათი ოჯახი იქნება ქართული. **იოვანე**’ ამ ფორმით მამაკაცის სახელი ქართულ ანთროპონიმიაში დასტურდება, მაგრამ ეს სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა თანაცხოვრების შედეგად უნდა ჩაითვალოს.

მღვდელი **მიქელი** ძე **საველისა**.

მიქელი ფართოდ გავრცელებული სახელია ქართულ ანთროპონიმიაში, იგი დადებია საფუძვლად გვარებს: მიქელაძე, მიქელაიშვილი; იგივე ფუძე გვხვდება გეოგრაფიულ სახელებში, მაგალითად, მიქელეთი, მიქელეთის კარი შავშეთში...

საველი – გვხვდება ქართულ კულტურაში, **საველა** შეუტანია ლექსიკონში ალ. ღლონტს, დადასტურებულია ფშავსა და თიანეთში (იხ. ღლონტი, 1986).

ასიმ ძე ფოირანისა.

ასიმ’ი – გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“ (ქ.ცხ. I, 1955: 246), აქედან შეუტანია ლექსიკონში ალ. ღლონტს (ღლონტი, 1986). „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით **ასიმი** არაბია, სარკინოზი, სახელიც არაბულია, ჩანს, დამკვიდრებული ქართულ ანთროპონიმიაში.

როსტომ ძე **სალისა**.

როსტომი გავრცელებული სახელია ქართულ კულტურაში.

სალი’ს შესახებ წინა ნაკვეთში ვისაუბრეთ.

იოვანე ძე **ბუდანისა**.

იოვანე არაერთხელ შეგვხვდა „დავთარში“ და ვისაუბრეთ კიდევ ამ ანთროპონიმზე.

ბუდანი – ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება **ბუდა**, **ბუდუნა**, **ბუდურა** (ღლონტი, 1986), მსგავსი სახელია ბუდანიც (იქნებ მეტსახელიც), სულაც **ბუდუნა**’ს ფონეტიკური ვარიანტი (ბუდუნა>ბუდანა).

თევდილ ძე **ზანდარისა**.

თევდილ’ი – ასეთი სახელი ქართულ კულტურაში არ ჩანს. **თევდილი** ცუდად ჩაწერილი ანთროპონიმია, შეიძლება **თევთი** (მატიანე, 1977: 214), ან სხვა მსგავსი ჟღერადობის სახელი.

ზანდარ’ი – საქართველოში დასტურდება გვარი **ზანდარაძე**, რომელსაც ფუძედ გამოყენებული აქვს საკუთარი სახელი, უფრო მეტსახელი **ზანდარა**. **ზანდარი** და **ზანდარა** თანხმოვანფუძიან (ზანდარ’) და ხმოვანფუძიან (ზანდარა) ფუძეთა მონაცვლეობაა, რაც დამახასიათებელია სამხრული მეტყველებისათვის. **ზანდარა** დასტურდება იმერულში, ნიშნავს „დიდი, ზორბა, წარმოსადეგი“ (იხ. მოწენიძე, 1974:154. შდრ. ლლონტი, 1984).

თევდორ ძე **ალექსისა**.

თევდორ არაერთგზის დადასტურდა „დავთარში“.

ალექსი – ბერძნულიდან შემოსული სახელი დამკვიდრებულია ქართულ ანთროპონიმიაში.

ონოფრე ძე **ავანისა**, **ფირზენდი** ძმა მისი, **ალექსი** ძე მისი.

ონოფრე იშვიათად, მაგრამ გვხვდება ქართულ ანთროპონიმიაში. დაუცავს გვარსაც, – **ონოფრიშვილი** (მაისურაძე, 1990:127).

ავან ის (ავანა) შესახებ უკვე ვისაუბრეთ წინა ნაკვეთებში.

ფირზენდი (?) მეტსახელია ალბათ მამაკაცისა, საკუთარ სახელად იგი არ ჩანს. იქნებ სხვა კულტურის კუთვნილებაა ქართულში ნასესხები?

ალექს ის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ.

აბაქი ძე **სიმონისა**, **აზარი** ძე მისი, **სიმონ** ძმა მისი.

აბაქი – გვხვდება ქართულ ანთროპონიმიაში (ლლონტი, 1986).

სიმონისა და **აზარის** შესახებ ზემოთ აღვნიშნავდით.

ჩვენი აზრით, **სიმონის** ოჯახი ქართულია.

სელიან ძმა **კირასიმისა**.

სელიანი იშხანშიც დადასტურდა.

უცნაური სახელია **კირასიმი**, იქნებ მეტსახელია, ან ცუდად ჩაწერილი რომელიმე ანთროპონიმი, თუნდაც **გერასიმი**?

თევდილსურზანისა.

თევდილ’ი უცხოა ქართული კულტურისათვის, უცხოა **სურზანიც**, ალ. ლლონტი ადასტურებს **სურსან’ს** (იხ. ლლონტი, 1986). **სურზანი**, იქნებ, ცუდად ჩაწერილი **სურსანია**?

ათანას ძე **ანდიასისა**, **სიმონ** ძმა მისი, **გიორგი** ძმა მისი.

ათანას’ი, **ანდიასი**, **სიმონ’ი**, **გიორგი** გვიჩვენებს რომ ოჯახი არაქართულია, უფრო ბერძნული.

სურზალეთ ძე **ფირდანისა**, **ლევან** ძმა მისი, **ქიმონ** ძმა მისი.

სურზალეთ’ი ტოპონიმია, **სურზალ’ის** კულთვნილის აღმნიშვნელი. ვფიქრობთ, გეოგრაფიული სახელია ანთროპონიმად გამოყენებული. **სურზალ’ი** და **სურზან’ი** ერთი და იგივე ფუძეა ნ:ლ მონაცვლეობით.

ფირდანი არ ჩანს ქართულ ანთროპონიმიაში.

ლევან’ი ქართული ბგერწერის სახელია, მისი მატარებელიც ქართველი უნდა იყოს.

ქიმონ – არ დასტურდება ამ ფორმით ანთროპონიმი. იქნებ, მეტსახელია.

ფირდანის ოჯახი, მიუხედავად ვაჟების „უცნაური“ სახელებისა, მაინც ქართული გვგონია. მიგვაჩნია, რომ **ლევანი** საკუთრივ ქართული კულტურის მახასიათებელია.

თევდორ ძე **როსტომისა**.

თევდორი და **როსტომი** გავრცელებული ანთროპონიმებია ქართულში.

ფარნავაზ ძე **გიორგისა**, **თევდილეთ** ძე მისი, **ოსიპ** ძმა მისი, **სილამან** ძმა მისი.

ფარნავაზისა და **გიორგის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

თევდილეთ ი ტოპონიმი უნდა იყოს (– ეთ სუფიქსით ნაწარმოები) ანთროპონიმად ქცეული. ზემოთ შეგვხვდა კიდევ საკუთარი სახელი **თევდილ** ი.

ოსიპ ი არაერთგზის დადასტურდა „დავთარში“. ქართულ ენთროპონიმიში გვხვდება მსგავსი სახელები: ოსია, ოსიკა, ოსილო, ოსიმა... (ლლონტი, 1986). ამათ რიგში ჩადგება ოსიპიც.

სილამანი იქნებ ცუდად ჩაწერილი **სულამან** ია, რომელიც დაუცავს გვარს **სულამანიძე** (იხ. მაისურაძე, 1990:151).

სიმონ ძე **სელბილისა**, **ლაზარი** ძმა მისი.

სიმონ ი არაერთხელ დადასტურდა „დავთარში“ და ვისაუბრეთ კიდევ მასზე.

სელბილი – ასეთი სახელი ქართულ ანთროპონიმიში არ დასტურდება. იქნებ რომელიმე ანთროპონიმი „დავთარის“ შემდეგენელისაგან სახეცვლილი, ანდაც მეტსახელია მამაკაცისა.

ლაზარი – დასტურდება ორი – ხმოვანფუძიანი (ლაზარე) და თან-ხმოვანფუძიანი (ლაზარ ი) ფორმით.

მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობისა, **სელბილის** ოჯახი ქართული უნდა იყოს.

იოვანე ძე **მარადისა**, **ამარინდი** ძმა მისი.

იოვანესა და **მარადის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ამარინდი – ასეთი ანთროპონიმი ქართულში არ გვხვდება. ალ. ლლონტი ადასტურებს **ამირიდონ** სა და **ამირინდოს** (ლლონტი, 1986). **ამარინდი** ვფიქრობთ, ცუდად ჩაწერილი **ამირინდოა**.

ევლიან ძე **ბაბაჯანისა**, **თორალი** ძმა მისი, **ბარაქა** ძმა მისი, **გიორგი** ძე **ბარაქასი**, **იორდანე** ძმა მისი.

ევლიან ი და **ბაბაჯანი** არაა ქართული ანთროპონიმიისათვის ცნობილი სახელები. შესაძლოა, მეტსახელებიც იყოს. ქართულში გვხვდება **ბაბა**, **ბაბალიკა**, **ბაბაკოჩი**... (ლლონტი, 1986), ამათ რიგში შეიძლება მოვიაზროთ **ბაბაჯანიც**. **ევლიან** ი კიდევ ცუდად ჩაწერილი რომელიმე სახელი (თუნდაც **ელია**, **ვ** განვითარებული ჩანს) გვგონია. **ევლიან** ში (<ელიანი) გამოვყოფთ – **იან** სუფიქსს, რომელიც ტაოში (და არა მარტო) აწარმოებს ქოხის სახელებს. **ევლიან** ი აგებულია მეტსახელ გვარს გვაგონებს.

თორალი (<*თორარი) – ანთროპონიმში – არ (/ – ალ. რ – რ> რ – ლ) წარმომავლობის სუფიქსი გამოიყოფა. **თორ**’ი კიდევ გეოგრაფიული პუნქტია. ვფიქრობთ, წარმომავლობის სახელი ანთროპონიმადაა გამოყენებული.

ბარაქა’ს ადასტურებს ალ. ღლონტი (იხ. ღლონტი, 1986). საზოგადო სახელია ანთროპონიმად ქცეული.

გიორგისა და **იორდანეს** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

მიუხედავად ზოგიერთი უცნაურობისა, ბაბაჯანის ოჯახი ქართული გვგონია.

სოლომონ ძე **მიქელისა**.

სოლომონი და **მიქელი** ქართულ ანთროპონიმიში მკვიდრი სახელებია.

ვარიზიზ ძე **სურზალისა**.

ორივე სახელი უცხოა ქართული ანთროპონიმიისათვის. **სურზალის** ოჯახი არაქართულია.

კუზან ძე **ასლანისა**.

ქართულ ანთროპონიმიში დასტურდება **კუზა** (ღლონტი, 1986). **კუზანი** (<*კუზა – ა – ნ’ი) და **კუზა** ერთი და იგივე სახელი უნდა იყოს.

სელიან ძე **თაფნასი, იოსებ** ძმა მისი.

სელიანი და **თაფნა** (<*თაფა – ნ – ია) იშვიათი სახელებია ქართულში.

იოსებ’ი გავრცელებული სახელია საქართველოში.

არსი ძე **გოგასი, მანუქ** ძე მისი, **გიორგი** ძმა მისი.

ქართულ ანთროპონიმიში გვხვდება **არსა** (ღლონტი, 1986). **არსი** და **არსა** ერთი სახელის ორი ვარიანტია.

გოგა – დიალექტური ფორმაა **გიორგისა**.

ალ. ღლონტი ლექსებში დაადასტურებს ანთროპონიმს **მანუხ**’ი. **მანუქი** და **მანუხი** ერთი სახელის ვარიანტებია **ხ:ქ** მონაცვლეობით მიღებული (აღვნიშნავთ, რომ ხ:ქ მონაცვლეობა სამხრულ კილოებში დაშვებულია იხ. ფალავა, 2003:175 – 176).

გიორგი – გავრცელებული ანთროპონიმა ქართულში.

ელია ძე **ანზალასი**.

ელია – დამკვიდრებული სახელია ქართულ ანთროპონიმიში.

ქართულ საკუთარ სახელებში დასტურდება **ამზალი** (ღლონტი, 1986). **ანზალი** და **ამზალი** ერთი სახელის ორი ვარიანტია **მ:ნ** მონაცვლეობით.

აზარ ძე **ანსალისა**.

აზარ’ი მამაკაცის სახელი უკვე შეგვხვდა „დავთარში“ და ვისაუბრეთ მასზე.

ანსალი – იქნებ მეტსახელია?!

სტეფან ძე **მინასისა, აკოზ** ძმა მისი, **ავთუირ** ძმა მისი.

მინასი, **სტეფანი**, **აკოზი** (უფრო – აკოფი), **ავთუირ**’ი არ არიან ქართველები, ალბათ, ტაოელი სომხები არიან. აღვნიშნავთ, რომ ტაოს სოფ-

ლებში სომხური ოჯახები დადასტურებული ფაქტია. ტაო ხომ ისტორიულად ქართულ, ბერძნულ და სომხურ კულტურათა შეხვედრის ადგილია.

მარანდ ძე **სტეფანისა**, **სელიან** ძმა მისი, **თევდორ** ძმა მისი, **აგან** ძმა მისი.

„დავთრის“ **მარანდ** იქნებ ცუდად ჩაწერილი **მარენგი** ან **მარენჯია**, რომლებიც დასტურდება ქართულ ანთროპონიმიაში (იხ. ღლონტი, 1986).

სტეფანის (შდრ. სტეფანე), **სელიანის** (სალიანის), **თევდორისა** (შდრ. თევდორე) და **აგანის** შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტეფანეს ოჯახი ქართულია.

ბასილ ძე **მაქსიმესი**.

ბასილის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

მაქსიმე – დასტურდება ქართულ კულტურაში (იხ. ღლონტი, 1986).

მირზა ძე **იასისა**.

მირზა, **მირზაბეგ** დასტურდება ქართულ ანთროპონიმიაში.

იასი – იასი იგივე უნდა იყოს, რაც იასე, იასო (ღლონტი, 1986). ამ შემთხვევაშიც ხმოვანსა და თანხმოვანზე დასრულებული ფუძეების მონაცვლეობა გვაქვს.

სარილუს ძე **ხოსიტასი**, **სარილუს** ძმა მისი, **სურზალეთ** ძმა მისი, **აგან** ძმა მისი.

სარილუსი – ამ ბგერწერის ანთროპონიმი ქართულში არ დასტურდება. იქნებ მეტსახელია. გვხვდება **სარელა**, **სარიმიხა** (მეტსახელია)... და მისთანა სახელები. **სარილუსიც** მათი მსგავსი უნდა იყოს.

ხოსიტასა და **აგან** ის შესახებ ვისაუბრეთ. ორივე ქართული ანთროპონიმია.

სურზალეთი – აგებულია – **ეთ** სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელს გვაგონებს. ტოპონიმი ქცეულა ანთროპონიმად. ასეთი შემთხვევები სხვაც დასტურდება „დავთარში“.

ხოსიტას ოჯახი ქართულია!

გოგიჩა ძე **ბართლოსისა**.

გოგიჩა არაერთხელ დადასტურდა „დავთარში“, იგი ქართული ანთროპონიმია, გავრცელებული მთელს საქართველოში.

ბართლოსი ბართლომე ხომ არაა ცუდად ჩაწერილი?

გელაზიზ ძე **საბანისა**.

გელაზიზის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ.

საბანი – სხვადასხვა ფორმით (საბან, საბანა) დასტურდება ქართულ კულტურაში. ფუძე დაუცავს გვარს **საბანაძე** (იხ. მაისურაძე, 1990:140).

იოსებ ძე **ზაქარასი**, **გიორგი** ძმა მისი.

ზაქარასა და მისი შვილების, **იოსებისა** და **გიორგის** ოჯახი ქართულია.

ლილუ ძე **თევდორისა**.

ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება სახელი **ლილუა**, დაცულია გვარში **ლილუაშვილი**.

თევდორისა და მისი პარალელური ფორმების შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ბერუზ ძე **სელაიანისა**.

ქართულ კულტურაში დასტურდება სახელი **ბეროზა**, **ბეროზიკი**, **ბერონა**, **ბერო** (ლლონტი, 1986), ამათ რიგში უნდა განვიხილოთ **ბერუზ**-იც.

სელაიანი წარმოშობით **-იან** სუფიქსით ნაწარმოები ქობის სახელი უნდა იყოს ანთროპონიმად ქცეული.

ჯოჯა ძე **აკოფისა**, **ქაქუნა** ძე მისი.

„ტბეთის სულთა მატიაწეში“ დასტურდება **ჯოჯაური**: „ჯოჯაური, დემეტრე ჯარდენეთის მეუღლე“ (მატიანე, 1977:158). **ჯოჯაურ**ში გამოვყოფთ **ჯოჯა** მარტივ ფუძეს და **-ურ** სუფიქსს. **ჯოჯაური** ჯოჯას ქალია. აქ **ჯოჯა** მამაკაცის სახელი ჩანს.

აკოფი’ს შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ქაქუნა ნაწარმოები სახელია: **ქაქუ – უნა** > **ქაქუნა**. **ქაქუ** დასტურდება ქართულ ანთროპონი – მიაში (იხ. ლლონტი, 1986).

ვფიქრობთ, **აკოფის** ოჯახი ქართულია.

სიმონ ძე **მინადირისა**.

სიმონი არაერთხელ დადასტურდა „დავთარში“ და კომენტარიც გააკეთეთ.

მინადირი იშვიათი სახელია, იქნებ მეტსახელიც. მსგავსი სახელური ფუძე დაუცავს სვანურს, – **მინადრუყ** (იხ. ლლონტი, 1986).

ბაზუნ ძე **საპაკისა**.

ბაზუნა დასტურდება ქართულში, დაუცავს გვარს **ბაზუნაშვილი**. აღვნიშნავთ, რომ **ბაზუნა** ნაწარმოები ფუძეა, მასში გამოიყოფა **ბაზა** მარტივი ფუძე და – **უნა** სუფიქსი.

საპაკისააკის ვარიანტია, ეს უკანასკნელი დასტურდება „ქართლის ცხოვრებაში“ (იხ. ქ.ცხ. I, 1955: 255). ჩანს, ქართულ ანთროპონიმიში **სააკ-თან** ერთად **საპაკიც** იხმარებოდა.

იოსებ ძე **ქირაქოზისა**, **დანდარა** ძე მისი, **თარდან** ძე მისი.

იოსების, **ქირაქოზისა** და **დანდარას** შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

თარდანი ცუდად ჩაწერილი **თარხანი** // **თარკანი** უნდა იყოს, ეს უკანასკნელი გვხვდება ქართულ ანთროპონიმიში.

მამანურ ძე **პავლესი**, **ვართაზი** ძე **პავლესი**.

მამანური და **ვართაზი** არაქართული სახელებია, შესაბამისად, ჩანს, **პავლეს** ოჯახი არაა ქართული.

აზარი ძე **კადილისა**.

აზარის შესახებ ვისაუბრეთ.

კადილი – **კადირი**’ს ვარიანტი უნდა იყოს. ამ უკანასკნელს კოლხურში ადასტურებს ალ. ლლონტი (იხ. ლლონტი, 1986).

ჩანს, **კადილის** ოჯახი ქართულია.

ონვირი ძე **როსტომისა**, **იოვანე** ძე მისი.

იშვიათი სახელია **ონვირი**, იქნებ მეტსახელიც.

როსტომისა და **იოვანეს** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

მიგვაჩნია, რომ როსტომის ოჯახი ქართულია.

ჯარი ძე **გოგისა, სიმონ** ძმა მისი.

ჯარი – მამაკაცის სახელი დასტურდება ქართულ ანთროპონიმიაში, **ჯარია** ფორმით. დაცულია გვარში **ჯარიაშვილი** (მაისურაძე, 1990:241).

გოგისა და **სიმონის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

კასუმ ძმა **იოვანესი, სთეფან** ძე მისი, **სიმონ** ძმა მისი.

კასუმ ამ ფორმით ანთროპონიმი არ დასტურდება, გვხვდება **ყასიმ** (დლონტი, 1986). აჭარაში დასტურდება **ყასუმაძე**, უფრო მეტსახელად. **კასუმი, ყასიმი, ყასუმი** ერთი სახელის ვარიანტები ჩანს.

სთეფან <**სტეფანე**> საგან ტ:თ მონაცვლეობით. **სტეფანე** (>*სტეფანა) დაცულია ტოპონიმში **სტეფანაშვილები** (სოფელია ზემო აჭარაში), იმავე ფუძეს გამოვყოფთ გვარში – **სტეფანაძე** (<სტეფანაძე/სტეფანიძე).

იოვანესა და **სიმონის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

იოანეს ოჯახი ქართულია.

ბასილ ძე **მარკოზისა, მაკარა** ძმა მისი.

ბასილისა და **მარკოზის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

მაკარა გავრცელებული ჩანს ქართულ კულტურაში, დაცულია გვარში მაკარაძე.

ბასილის ოჯახი ქართულია.

ჰალჯია ძე **იოვანესი**.

ჰალჯია – ქართულ ანთროპონიმიაში დღემდე არ დადასტურებულა, იქნებ ცუდად ჩაწერილი რომელიმე სახელია, თუნდაც **ჰაჯი, ხაჯი**?

იოვანე ქართულში კარგად დამკვიდრებული სახელია.

გიორგი ძე **ბასილისა, ნიკოლოზ** ძმა მისი.

გიორგი, ბასილი, ნიკოლოზი – გავრცელებული ანთროპონიმები ქართულ კულტურაში.

ბასილის ოჯახი ქართულია.

სარქის ძე **უსქუდისა, იასონ** ძე **სარქისისა, მანველ** ძმა მისი, **იოსებ** ძმა მისი, **რევაზ** ძე მისი.

სარქის სომხურ ანთროპონიმიაში დასტურდება, არც **უსქუდი** ჩანს ქართული.

იასონი, ბერძნულიდან შემოსული სახელი სხვადასხვა ფორმით (იასე, იასო) დამკვიდრებულია ქართულში.

მანველი, იოსები, რევაზი გავრცელებული სახელებია ქართულ ანთროპონიმიაში.

უსქუდის ოჯახი კულტურათა შერევის ტიპიური ნიმუშია.

აქბარი ძე **მაგარ გელისა, სიმონ** ძმა მისი.

აქბარი, მაგარი, აქ **სიმონი**ც უცხო, არაქართული ოჯახის წარმომადგენლები არიან.

მუნქე ძე **მალისა, ფილილ** ძე **ამრუსისა, ადოს** ძმა მისი.

მუნქეის, **მალი**ის, **ფილილ**ის, **ამრუს**ისა და **ადოს**ის ოჯახი არაქართულია.

ათაი ძე **აღაზისა**.

ათა', **ათაია**, **ათალა** სახელები დადასტურებული აქვს ალ. ლლონტს (ლლონტი, 1986). **ათაი'**ც მათ გვერდით დადგება. საყურადღებოა, რომ სახელები კოლხეთში ჩაუწერიათ.

აღასი შეტანილი აქვს ლექსიკონში ალ. ლლონტს, უითებს „ქრონიკებს“ (ლლონტი, 1986).

აღასის ოჯახი ქართული უნდა იყოს.

ზაბილო ძე **თევდორისა, სელიან** ძმა მისი.

ზაბილოს, თევდორისა და სელიანის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. თევდორეს ოჯახი ქართულია.

ლევანა ძე **აბრამისა**.

ლევანასა და აბრამის ოჯახი ქართულია.

ფილუს ძე **სთეფანისა, აკოფ** ძე მისი.

სამეგრელოში დადასტურებულია საკუთარი სახელი **ფილუ**, სვანეთში – **ფილო**. **ფილუსი**, **ფილო**, **ფილუ** ერთი სახელის ვარიანტებია.

სთეფანე ცუდად ჩაწერილი **სტეფანეა**.

ფილუსი, სტეფანე, აკოფი – ქართული ოჯახის წევრები უნდა იყვნენ.

ნიკოლოზ ძე **მიქელისა, ბასილ** ძე მისი.

მიქელი, ნიკოლოზი, ბასილი არაერთხელ შეგხვდა „დავთარში“. ვფიქრობთ, მათი ოჯახი ქართულია, ტაოური.

ნიკოლოზ ძე **აკოფისა, ბულდანა** ძმა მისი, **აკოფ** ძე მისი.

ნიკოლოზ'ის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ბულდანა – პირველად დადასტურდა „დავთარში“, იქნებ მეტსახელია, ანდა ცუდად ჩაწერილი რომელიმე ანთროპონიმი, თუნდაც **ბუდანა**//**ბუდალა**(?).

აკოფის შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

ვფიქრობთ, კულტურათა შერევისთან გვაქვს საქმე აკოფის ოჯახში.

ალაგელ ძე **თარღანისა**.

ალაგელ'ი – წარმომავლობის სახელი (-ელ სუფიქსით ნაწარმოები: **ალაგ** – ელ'ი) ჩანს ანთროპონიმად ქცეული.

თარღანის (<*თარხანი) შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

გრიგოლ ძე **ზადისა, გიორგი** ძე მისი, **დემეტრე** ძმა მისი.

გრიგოლი, გიორგი, დემეტრე გავრცელებული სახელი ჩანს XVI საუკუნის ტაოში.

ზადი' პირველად დადასტურდა „დავთარში“. ალ. ლლონტი ლექსიკონში შეიტანს კოლხურ ანთროპონიმებს **ძადუ**, **ძადოლია**, **ძადუია** (ლლონტი, 1986). **ძადუ**, **ძადოლია**, **ძადუია** საერთო ფუძის (**ძად**) სახელებია. „დავთარისეული“ **ზადიც** იმავე ფუძისაა (**ძადი**>**ზადი**). ოსმალთა მოხელემ ძადი ჩაიწერა, როგორც **ზადი**, რამდენადაც მისთვის უცხოა **ძხშული**.

ზადის (<**ძადის**) ოჯახი ქართულია.

ბასილ ძე **სიმონისა, ჯარი** ძე მისი.

ბასილის, სიმონისა და ჯარის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

სიმონის ოჯახი ქართულია.

ბუდალეთ ძე **მირვანისა**.

ბუდალეთი ტოპონიმი ჩანს ანთროპონიმად ქცეული, რომლის ფუძეა **ბუდალ**//**ბუდალა**. **ბუდალა** უფრო მეტსახელი ჩანს.

მირვანი დასტურდება „ქართლის ცხოვრებაში“ (ქ.ცხ. 1: 27). მირვანი იგივე მურვანი უნდა იყოს.

კირილ ძე **მამირ გელისა, სოსიქ** ძმა მისი, **ხოშ კოსკარიმ** ძმა მისი.

ჩანაწერის მიხედვით, აშკარად არაქართულ ოჯახთან გვაქვს საქმე. თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩაწერის პრობლემასთან გვაქვს საქმე. ვარაუდის უფლებას გვაძლევს **კირილ**[ე] და **სოსიქ** (<სოსიკ, შდრ.: სოსია) ანთროპონიმები.

იორამ ძე **ავდალეთისა**.

იორამი ზემოთ შეგვხვდა და ვისაუბრეთ კიდევ მასზე.

ავდალეთი ადგილის სახელი ჩანს – **ეთ** სუფიქსით ნაწარმოები. ანთროპონიმის ფუძეა **ავდალი**. აჭარაში დასტურდება მამაკაცის სახელი **ადალი**. ვფიქრობთ, **ავდალი** და **ადალი** ერთი დაიგივე ანთროპონიმია.

ავდალეთის ოჯახი ქართული უნდა იყოს.

აკოფ ძე **რადაქისა**.

რადაქი და **აკოფი** ქართველები არ უნდა იყვნენ.

მალაღურ ძე **ავდალეთისა**.

მალაღურ ი – მეტსახელი უნდა იყოს, რამდენადაც **მოლაღური** (>**მალაღური**) ფრინველია, რომელიც ასეა განმარტებული: „შავი და ყვითელი ბუმბულით შემოსილი წვრილახმიანი მგალობელი ფრინველი, გულყვითელა“ (ქეგლი). შენახულია გვარში მალაღურამე (მაისურამე, 1990:100).

იოვანე ძე **იოსებისა**.

იოვანე და **იოსები** ტაოელები უნდა იყვნენ.

თევდორ ძე **მალისა, გოგიჩა** ძმა მისი, **სთეფან** ძმა მისი, **იორამ** ძმა **თევდორისა**.

დასახელებული ყველა ანთროპონიმის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. **მალი** და **მისი** ოჯახის წევრები ქართველები არიან.

იოსებ ძე **გურდელისა**.

იოსები დამკვიდრებული სახელია ქართულ ანთროპონიმიაში.

გურდელი(//**გორდელი**) წარმომავლობის სახელია ანთროპონიმად ქცეული. **გურდი**//**გორდი**გეოგრაფიული პუნქტი უნდა იყოს.

ჭოლა ძე **ვარძელისა**.

ჭოლა დასტურდება ქართულ ანთროპონიმიაში (დლონტი, 1986).

ვარძელი სხვადასხვა ფორმით დასტურდება ქართულში: **ვარძელა**, **ვარძიელა**, **ვარძუკა** (დლონტი, 1986). პირველი ორი წარმომავლობის სახელებია – **ელ** სუფიქსით ნაწარმოები, ძირია **ვარძ**, **ვარძი**, მესამე – კნინობითი ფორმა. ფუძე შეუნახავს გვარებს **ვარძელაშვილი**, **ვარძელი**, **ვარძიელი**, **ვარძელამე**, **ვარძუკაშვილი** (მაისურამე, 1990:64).

ვარძელის ოჯახი ქართულია.

სელიან ძე **მაკარისა, სურხან** ძმა მისი, **ბასილ** ძე **სელიანისა, იმრან** ძმა მისი, **ქურსია** ძე **სელიანისა**.

ტაოში –**იან** სუფიქსი აწარმოებს „ქოხის სახელებს“, მეტსახელ გვარებს. **სელიანი** – ასეთი წარმოების სახელია. **სელ** ი იქნებ მეტსახელია კაცი-სა.

მაკარის, სურხან’ის, **ბასილის, იმრან**’ის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. ჩამოთვლილი სახელები დასტურდება ქართულ ანთროპონიმიაში (იხ. ლლონტი, 1986).

ქურსია იშვიათი სახელია. ქართულში დასტურდება **ქურსიკი, ქურსიკა** (ლლონტი, 1986). **ქურსია**’ს კნინობითი ფორმებია **ქურსიკი** და **ქურსიკა**.

აბრამ ძე **დემეტრესი**.

აბრამისა და დემეტრეს შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

დემეტრე და მისი ვაჟი ქართველები არიან, ტაოელები.

აბალი ძე **იოვანესი**.

აბალ, აბალა, აბალო დადასტურებული აქვს ალ. ლლონტს (ლლონტი, 1986), კერძოდ: აბალ’ სვანეთში, აბალა – ქსნის ხეობაში, აბალო – თუშეთში. ეს უკანასკნელი დასტურდება „ტბეთის სულთა მატიაწეშიც“ (იხ. მატიაწე, 1977: 158).

იოვანეს შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

გრიგოლ ძე **თევდორისა**.

გრიგოლი და თევდორე ქართველები არიან, ტაოელები.

ლევან ძე **ასანისა**.

ლევანი სხვადასხვა ფორმით არაერთხელ დადასტურდა „დავთარში“ და ვისაუბრეთ კიდევ მასზე.

ასანი – გვხვდება ქართულ ანთროპონიმიაში: ასანი, ასანა, დასახელებულთან კავშირში ჩანს **ასამ**, **ასამა**’ (ნ:მ მონაცვლეობა დაშვებულია ქართულში).

ასანი (/ასანა) დაუცავს გვარს **ასანიძე**.

ალექსან ძე **ამალისა**.

ალექსან ცუდად ჩაწერილი (ნაკარნახევი) **ალექსა** ან **ალექსანდრეა**, ცნობილი ანთროპონიმი ქართულ კულტურაში.

ამალ’ი – იშვიათი ფორმაა სახელისა. ალ. ლლონტს ლექსიკონში შე-აქვს **ამალი** და განმარტავს: ლათ. გონიერი (ლლონტი, 1986).

ამალის ოჯახი ქართული უნდა იყოს

სიმონ ძე **სელიანისა**.

სიმონისა და **სელიანის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

სელიანი და მისი ვაჟი ქართველები არიან.

ბასილ ძე **ბამირისა**.

ბასილის შესახებ უკვე ვისაუბრეთ, ერთ – ერთი ხშირად გამოყენებული ანთროპონიმია XVI საუკუნის ტაოში.

ბამირი – უცხოა ქართული ანთროპონიმისათვის. შესაძლოა, რომელიმე სხვა სახელია (თუნდაც ბარამი) ცუდად ჩაწერილი ოსმალო მოხელის მიერ.

მიქელ ძე **გრიგოლისა, ლევანა** ძმა მისი, **კირილ** ძმა მისი.

გრიგოლის ვაჟების სახელები კარგად ცნობილია ქართულ კულტურაში. შესაბამისად, მისი ოჯახი ქართულად მიგვაჩნია.

როსტომ ძე **თევდორისა**, **იოსებ** ძე მისი, **თევდორ** ძმა მისი, **არსი** ძმა მისი.

როსტომი, **თევდორი**, **იოსები** ცნობილი საკუთარი სახელებია ქართულ ანთროპონიმიაში.

არსი იგივე **არსო** უნდა იყოს, ეს უკანასკნელი დადასტურებული აქვს ალ. ლლონტს (ლლონტი, 1986), ასევე დაცულია გვარში არსოშვილი. აქ ფუძეთანხმოვნიან და ფუძეხმოვნიან ფორმათა მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე.

ჯარი ძე **სთეფანისა**, **გიორგი** ძმა მისი.

ჯარი, **სთეფანი** (<სტეფანი), **გიორგი** არაერთგზის დადასტურდა „დავთარში“. **სთეფან**’ი (სტეფან’ი) **სთეფანე** (<სტეფანე) ფუძეთანხმოვნიან და ფუძეხმოვნიან ფორმათა მონაცვლეობის ნიმუშია.

ზორასპ ძე **ლიპარიტისა**, **სელამან** ძმა მისი.

ზორასპ’ი მამაკაცის სახელი ქართულ კულტურაში არ ჩანს.

ლიპარიტი სხვადასხვა ფორმით (ლიპარიტა, ლიპარიტე) გვხვდება ქართულ ანთროპონიმიაში (ლლონტი, 1986).

სელამან იქნებ ცუდად ჩაწერილი **სულამან**’ია, დაცულია გვარში **სულამანიძე** (იხ. მაისურაძე, 1990:151).

შაჰსუვარ ძე **ავრასილისა**.

ვფიქრობთ, ავრასილის ოჯახი არაქართულია.

ელიარ ძე **სელამანისა**.

ელიარ’ი **ელიარ**’ისაგან ფონეტიკური ცვლილებით მიღებული ფორმა ჩანს (ე – ე<ე – ი), რ’ შემდეგ განვითარებული უნდა იყოს. სახელის ამოსავალი ფორმა ჩანს **ელია** (>ელეა). ეს უკანასკნელი გავრცელებული მამაკაცის სახელია ქართულ კულტურაში. დაუცავს გვარს: ელიაძე, ელიავა, ელიაშვილი.

სელამან’ის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

აბრამ ძე **არაკისა**, **ამბაკო** ძმა მისი.

აბრამი და **ამბაკო** გავრცელებული სახელებია ქართულში

არაკი მიღებული ჩანს **არაქი**’საგან. ალ. ლლონტი ლექსიკონში შეიტანს **არაქელა**’ს (ლლონტი, 1986). ეს უკანასკნელი **არაქ**’ის კნინობით – ალერსობითი ფორმაა. აქ კულტურათა შერევასთან გვაქვს საქმე.

სთეფან ძე **მამარგელისა**.

სთეფანე’ს შესახებ ვისაუბრეთ.

მამარგელი ამ ფორმით ანთროპონიმი არ დასტურდება. ალ. ლლონტი ლექსიკონში შეიტანს ფორმებს: **მამაგელი**, **მამაგული**, **მამაგულა** (ლლონტი, 1986). **მამარგელ**’ში რ’ განვითარებული ჩანს.

მამარგელის ოჯახი ქართულია.

ლომა ძე **ფარდანისა**, **გიორგი** ძმა მისი, **იოვან** ძმა **გიორგისა**.

ლომა, ლომი გავრცელებული სახელია ქართულ ანთროპონიმიაში. დადასტურებულია გვარებში: **ლომაძე, ლომიძე, ლომაშვილი. ლომ'** ფუძე გამოიყოფა ასევე სახელებში: ლომკაცი, ლომგმირი, ლომგული...

ფარღანის, გიორგისა და იოვანე'ს შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

მერაბა ძე **ბილანუსი, მელიქ** ძმა მისი.

მერაბა და **მერაბი** ერთი სახელის ფორმებია. **მერაბა'** დიალექტური ფორმა ჩანს. ბოლოკიდური **ა'** კნინობითობის მაწარმოებელია.

ბილანუსი იგივე უნდა იყოს, რაც **ბილანი**, ეს უკანასკნელი დაცულია გვარში **ბილანიშვილი** (ღლონტი, 1986).

მელიქის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. სახელი გვხვდება ორი ფორმით: **მელიქი** (გვარში – მელიქიძე, მელიქიშვილი) და **მელიქა** (გვარში: მელიქაძე), იგივე ფუძეა გამოყენებული გვარში **მელქაძე**.

ანდრი ძე **ზაქარასი, იოვანე** ძმა მისი, **სოსონა** ძე **ანდრისა**.

ანდრი და **ანდრია** ერთი სახელის ორი ფორმაა, უფრო მეორეა გავრცელებული ქართულ ანთროპონიმიაში, იგივე შენახულა გვარში **ანდრიაძე**.

სოსონა იგივეა, რაც **სისონა** (>*სოსონა'ს ასიმილაციით).

ზაქარა და **იოვანე** არაერთხელ დადასტურდა „დავთარში“.

ზაქარას ოჯახი ქართულია.

ზაქარა ძე **ონვირისა, მანველ** ძე **ანდრისა**.

ზაქარას, მანველისა და ანდრის შესახებ ვისაუბრეთ.

ონვირი' სახელის უცნაური ფორმაა. მიუხედავად ამისა, ონვირის ოჯახი ქართული გვგონია.

ზაქარა ძე **ქიმრუსისა**.

ქიმრუსი, იგივეა, რაც **ქიმუსი** (რ' განვითარებული ჩანს), მეტსახელი უნდა იყოს. შეუნახავს გვარს **ქიმუსაძე** (მაისურაძე, 1990: 174).

ანუქ ძე **იოსებისა**.

ანუქი იგივე **ენუქი** უნდა იყოს ცუდად ჩაწერილი თუ ნაკარნახევი, ცნობილი სახელი ქართულ ანთროპონიმიაში.

თევდორ ძე **იოვანესი**.

თევდორე და იოანე არაერთხელ დადასტურდა „დავთარში“.

მაქსიმე ძე **ანისისა**.

მაქსიმე – დასტურდება ქართულ ანთროპონიმიაში, ლათინურიაო, უდიდესს ნიშნავს (ღლონტი, 1986).

ანისი – დღემდე უცნობი ანთროპონიმია, იქნებ **ანი**'ა (შდრ. ანიკა) ცუდად ჩაწერილი? ეს უკანასკნელი დაუცავს გვარს **ანიკაშვილი**.

მოსიქ ძე **მარცვალასი, მარულეთ** ძმა მისი, **იოვანე** ძმა მისი, **თევდორ** ძე **მარცვალასი**.

მოსიქი მოსეს ვარიანტი ჩანს.

მარცვალა – დასტურდება „ტბეთის სულთა მატიანეში“: „მარცვალა კოპას ძე, მარგალიტის მეუღლე“ (მატიანე, 1977:150). ანთროპონიმი დაუცავს გვარებს მარცვალიშვილი, მარცვალაძე (მაისურაძე, 1990:103).

მარულეთ’ი ადგილის სახელი ჩანს აგებულებით. **მარულ**’ იქნებ იგივე სახელია, რაც **მაროლ**, სვანეთში რომ ადასტურებს ალ. ლლონტი (ლლონტი, 1986).

იოანესა და **თევდორეს** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

მარცვალას ოჯახი ქართულია!

დამონ ძე **რადაქისა**.

დამონ’ი იქნებ **დამიანე**’ა ცუდად ჩაწერილი? ანდაც **დამონადამ**’ის კნინობითი ფორმა? **დამ**’ი კიდევ დადასტურებული აქვს ალ. ლლონტს (ლლონტი, 1986).

რადაქ’ი უცხოა ქართული ანთროპონიმისათვის. ჩვენი ვარაუდით, **რადაქი** < **რადაკი**’საგან და არის **რად**’ის კნინობით – ალერსობითი ფორმა. **რად**’ი დადასტურებული აქვს ალ. ლლონტს რაჭაში (იხ. ლლონტი, 1986).

სიმონ ძე **მინასისა**, **გიორგი** ძე მისი, **თევდორ** ძე **მინასისა**, **იოსებ** ძმა მისი, **ბალა** ძმა მისი.

დასახელებული ანთროპონიმები დასტურდება ქართულ კულტურაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ მინასის ოჯახი ქართულია.

ასად ძე **ფარღანისა**.

ალ. ლლონტი ლექსიკონში შეიტანს ანთროპონიმს **ასათ**’ი, **ასათა** (ლლონტი, 1986). **ასად**’ი და **ასათი**//**ასათა** ერთი სახელის ვარიანტებია.

ფარღანი ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ შეგვხვდრია.

სიმონ ძე **ნიკოლოზისა**, **თევდორ** ძმა მისი, **თავნილ** ძე მისი, **ფარმურ** ძმა მისი, **დამიან** ძე **სიმონისა**.

სიმონი, **ნიკოლოზი**, **თევდორი**, **დამიანი** უკვე შეგვხვდა „დავთარში“ და კომენტარებიც გავაკეთეთ.

თავნილ’ი – ასეთი საკუთარი სახელი ქართულ ანთროპონიმიში არ ჩანს. აღვნიშნავთ, რომ დასახელებული ანთროპონიმი **თავ**’ კომპონენტია – ნი კომპოზიტია და იგი იმავე რიგში უნდა განვიხილოთ, როგორიცაა: **თავაქარა**, **თავბერ**’ი, **თავდგირი**, **თავდიდი**, **თავდუმა**, **თავზარა**, **თავსივა**, **თავფეჩავ**’ი, **თავფევილა**, **თავშავა**... (იხ. ლლონტი, 1986). დასახელებულთაგან ზოგი მეტსახელია, ზოგიც ანთროპონიმი.

აბრამ ძე **მუნიქისა**, **სელიან** ძმა მისი, **ანდრეას** ძმა მისი.

აბრამი, **სელიანი**, **ანდრეა**, უკვე შეგვხვდა „დავთარში“. აქამდე არ დადასტურებულა **მუნიქი**. მსგავსი ანთროპონიმი ქართულ კულტურაში არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ჩანს, მისი ოჯახი ქართულია, ტაოური.

იოვანე ძე **აბრამისა**, **გიორგი** ძმა მისი.

იოანე, **აბრამი**, **გიორგი** მაჩვენებელია იმისა, რომ მათი ოჯახი ქართულია.

მაქსიმი ძე **სთეფანისა**.

მაქსიმესა და **სთეფანის** (სტეფანის) შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

დანიელ ძე **მანუქისა**, **თევდორ** ძმა მისი.

დანიელი, **მანუქი**, **თევდორ**’ი ერთი ოჯახის წევრები არიან. მანუქი არაქართულად ჟღერს. თუმცა სხვა ორი სახელი ქართულ ანთროპონიმთა შორის ჩანს. აღვნიშნავთ, რომ ალ. ლლონტი ლექსუმში პოულობს საკუთარ

სახელს მანუხ'ი (იხ. ღლონტი, 1986). ხომ არ არის მანუქი და მანუხი ერთი და იგივე სახელი? ვფიქრობთ, არის!

აზარი ძე **არაკისა**, **დემირზა** ძმა მისი, **გაბრიელ** ძმა მისი.

აზარ'ის, **არაკ'**ისა და **გაბრიელის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

დემირზა – აგებულებით ისეთივე სახელი ჩანს, როგორიცაა: დემი-კო, დემინა, დემური// დემურა... ამათ რიგში უნდა გავიხილოთ დემირზაც. არაკის ოჯახი ქართული ჩანს, ტაოური.

ლევანა ძე **მარკოზისა**.

ლევანა და **მარკოზი** ტაოელები არიან, ქართველები.

შაქარ ძე **მირვანისა**, **ბართლოს** ძმა მისი.

შაქარ, **შაქარა** გვხვდება ქართულ ანთროპონიმიაში ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი ფორმების მონაცვლეობით. შდრ. **შაქარაძე** და **შაქარიშვილი**.

მირვანი – ისტორიულ წყაროებში დასტურდება, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ – მირვან, მირვანოზ (იხ. ქ.ცხ. I, 1955: 27;65); პალესტინის ერთ წარწერაში კი ვკითხულობთ: „წმიდაო თეოდორე, მარუან და ბურზენ (შეიწყალ)ენ, ამენ“ (ვუთითებთ: სარჯველაძე, 1984:7-ის მიხედვით). **მირვან**, **მირვანოზ**, **მარუან** ერთი სახელის ვარიანტები ჩანს.

ბართლოს'ი **ბართლუსა**, **ბართლომე'**ს ვარიანტებია. აღნიშნული ანთროპონიმი დასტურდება ქართულ კულტურაში.

ელიაზარ ძე **მანასი**.

ელიაზარ'ი შეგხვდა უკვე „დავთარში“.

მანა' შეტანილი აქვს ლექსიკონში ალ. ღლონტს (ღლონტი, 1986). **მანა'** **მანასე'**ს შემოკლებული ფორმა უნდა იყოს. ეს უკანასკნელი დასტურდება „ქართლის ცხოვრებაში“ (ქ.ცხ. I, 1955:272).

სამანა ძე **ნიკოლოზისა**, **ჯარი** ძმა მისი, **სიმონ** ძე **სამანასი**, **ელია** ძმა მისი.

ნიკოლოზ'ი, **ჯარი**, **სიმონი**, **ელია** უკვე დადასტურდა „დავთარში“.

სამანა'ს ადასტურებს ალ. ღლონტი (ღლონტი, 1986).

სამანი' სომხურიანო, „საზღვარს ქვიან“, აღნიშნავს სულხან – საბა (ორბელიანი, 1949). ჩანს, საზოგადო სახელი ქცეულა ანთროპონიმად. აღვნიშნავთ, რომ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სამანის შესახებ აღნიშნულია, რომ სპარსულია და ნიშნავს: 1. საზღვარი, მიჯნა...2. მანა ან ქვა, რომელსაც ასობენ მიწაში საზღვრის აღსანიშნავად“... (ქეგლ). **სამან'ი**//**სამანა** დაუცავს გვარს **სამანიშვილი**.

ნიკოლოზი დამისი ოჯახის წევრები ქართველები არიან.

ბაკი ძმა **ალიასი**.

ბაკა, **ბაკი**, **ბაკე**, **ბაკია**, **ბაკო**, **ბაკონა**, **ბაკუ**... (ღლონტი, 1986) დასტურდება ქართულ ანთროპონიმიაში.

ალი, **ალია** შეტანილი აქვს ლექსიკონში ალ. ღლონტს (ღლონტი, 1986), დაუდასტურებია ისტორიულ საბუთებსა და სვანეთში.

ნიკოლოზ ძე **ბეჟანისა**.

ბეჟანი და **ნიკოლოზი** ტაოელები არიან.

დადია ძე **მიქელისა**, **ლევან** ძე **მიქელისა**, **დემეტრე** ძმა მისი.

მიქელ’ის, **ლევანი**’სა და **დემეტრე**’ს შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

დადია’ **დადიან**’ის ვარიანტია. საკუთარ სახელადაც იხმარებოდა, დაუცავს გვარს დადიანიძე, დადივამე, დადვამე (მაისურამე, 1990: 52 – 53). ილ. მაისურამე ვარაუდობს, რომ დადია, დადიანი შესაძლოა, წარმომდგარი იყოს საკუთარი სახელისაგან **დადა**, **დადაი** (უთითებს: ლლონტი, 1986), დადი (უთითებს: ჭუმბურიძე, 1971:43).

ენუქა ძე **ბასილისა**, **მანველ** ძმა.

ენუქა, **ბასილი**, **მანველი** უკვე დადასტურდა „დავთარში“. აღვნიშნავთ, რომ ქართულში იხმარება პარალელური ფორმები ენუქ’ი და ენუქა (შდრ. ენუქიძე და ენუქაშვილი).

გიორგი ძე **ჯარისა**.

გიორგი’სა და **ჯარ**’ის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ჯებისა ძე **ზორლეთისა**.

ქართულში გვხვდება **ჯებე** (ლლონტი, 1986)//**ჯებ**’ი პარალელური ფორმები.

ზორლეთ’ი – **-ეთ**’ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი ჩანს წარმოშობით.

მიქელ ძე **ზადრისა**, **ბასილ** ძე მისი, **ავდალეთ** ძმა მისი.

მიქელი, **ზადრი**, **ბასილი**, **ავდალეთი** ზემოთ დადასტურდა „დავთარში“.

მირველეთ ძე **დემეტრესი**,

სელიან ძმა მისი.

დემეტრე’სა და **სელიან**’ის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

მირველეთ’ი წარმოშობით გეოგრაფიული სახელი ჩანს, **-ეთ** სუფიქსით ნაწარმოები, რომლის ფუძეა მირველ’; ეს უკანასკნელი წარმომავლობის სახელი ჩანს **-ელ** სუფიქსით ნაწარმოები. მირვ’ი ფუძე დაუცავს ტოპონიმს **მირვეთ**’ი (აჭარის არ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი. ისტორიული კლარჯეთის სოფელი). **მირვეთიმირვ**’ის კუთვნილებაა, შესაბამისად, **მირვ**’ი ანთროპონიმია.

სთეფან ძე **მიქელისა**.

სთეფან//**სტეფანესა** და **მიქელის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ბალი ძე **ვართანისა**.

ბალი და **ვართანი** (<*ვარდანი?) არაერთხელ დადასტურდა „დავთარში“.

ვართანის ოჯახში აისახება კულტურათა დიალოგი.

აღვნიშნავ, რომ გვხვდება პარალელური ფორმები **ბალ**’ი და **ბალა**, რაც დასაშვებია სამხრულ მეტყველებებში.

ვართანის ოჯახი ქართულია.

მახარობელ ძე **აბრამისა**.

ქართულია მახარობელისა და აბრამის ოჯახი.

გიორგი ძე **ლევანისა**.

გიორგისა და ლევანის ოჯახიც ქართულია, ტაოური.

ბუდანა ძე **სიმონ გელისა**, **თევდორ** ძმა მისი, **ფირზენდი** ძმა მისი.

სიმონ’ი და **თევდორ**’ი ხშირადხმარებული სახელებია „დავთარის“ ტაოში.

ბუდანა’ – ქართულ//ქართველურ ანთროპონიმიაში გვხვდება **ბუდა**, **ბუდუ**, **ბუდუნა** (ლლონტი, 1986) ფორმით. **ბუდანა** < **ბუდუნა**’საგან დისიმილაციით. **ბუდუნა** კიდევ ბუდა’ს კნინობით – ალერსობითი ფორმაა – **უნა** სუფიქსით ნაწარმოები.

ფირზენდი – იქნებ მეტსახელია, ან ცუდად ჩაწერილი რომელიმე ანთროპონიმი.

მაქსიმე ძე **დადარისა**, **სიმონ** ძმა მისი.

სამივე ანთროპონიმი ზემოთ დადასტურდა „დავთარში“.

მაქსიმე ძე **მასიდურისა**, **იოვანე** ძმა მისი.

მაქსიმე და **იოვანე** ხშირად ხმარებული სახელებია „დავთარში“.

მასიდური უცხოთ ჟღერს ქართულისათვის. ერთი შეხედვით – **ურ** სუფიქსიან სახელს გვაგონებს **მასიდ**’ ფუძით. ალ. ლლონტი ლექსიკონში შეიტანს ანთროპონიმს **მასიტა** (ლლონტი, 1986). **მასიტ**’ა და **მასიდ**’ა პარალელურ ფორმებად შეიძლება ჩავთვალოთ (დ:ტ მონაცვლეობით).

ქართული უნდა იყოს **მასიდურის** ოჯახი.

ნიკოლოზ ძე **იოსებისა**.

ორივე ანთროპონიმი ცნობილია ქართულ კულტურაში.

ასპარა ძე **ზაქარასი**.

ასპარა – ქართულ ანთროპონიმიაში დასტურდება საკუთარი სახელი **ასპან**, **ასპანა** (ქ. ცხ. I, 1955: 368). ი. მაისურაძე მას სპარსულ **ასპაჰან**’ს უკავშირებს (მაისურაძე, 1990:24), სხვა განმარტებას არ იძლევა. **ასპან**, **ასპანა** ლექსიკონში შეაქვს ალ. ლლონტსაც (იხ. ლლონტი, 1986). **ასპარა** და **ასპანა** ერთი სახელის ვარიანტები უნდა იყოს. ბარემ აღვნიშნავთ, რომ „ჟამთა-აღმწერელი“ წერს, მეფემ „ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, **ასპარაძენს** და თვით წავიდა ურდოსა“ (ქ.ცხ. II, 1959: 288 – 289). სქოლიოში ჩატანილია **ასპარაშენს**, **ასპარაბეთს** Mm. **ასპარაძენ**’, **ასპარაშენ**’, **ასპარაბეთ**’ – სამივე ფორმას ფუძედ აქვს **ასპარა**, საკუთარი სახელი. **ასპარა**’ ქართული ანთროპონიმის ძველი ფენიდანაა.

ზაქარა ცნობილი სახელია ქართულ ანთროპონიმიაში.

ზაქარას ოჯახი ქართულია.

ზორლეთ ძე **ზუზანილისა**, **დემეტრე** ძმა მისი, **დადა** ძმა მისი, **განსუ-დილ** ძმა მისი.

ზორლეთ’ი გარეგნულად ადგილის სახელს გვაგონებს (ზორლ – ეთ’), ტოპონიმია მამაკაცის სახელად ქცეული.

ზუზანილი ქართულ ანთროპონიმიაში არ დასტურდება. გვხვდება **ზუზა**, **ზუზია**, **ზუზადალა** (შდრ. გვარი **ზუზადალაშვილი**, **ზუზაშვილი**) (იხ. ლლონტი, 1986). იმავე ძირისად მიიჩნევს ი. მაისურაძე გვარებს: **ზუზიაშვილი**, **ზუზალაშვილი**, **ზუზულაშვილი** (იხ. მაისურაძე, 1990:70). **ზუზან**’ და **ზუზალ** ერთი ანთროპონიმის ვარიანტები უნდა იყოს ნ:ლ მონაცვლეობით.

დადა – გვხვდება ქართულ ანთროპონიმიაში სხვადასხვა ფორმით: **დად’ი, დადა, დადუ...** (ღლონტი, 1986).

განსუდილ’ი – ამ ფორმით ანთროპონიმი არ გვხვდება. დასტურდება: **ჯანსულ, ჯანსულ** ფორმები, რომელთა საყრდენად **ჯან** სახელური ფუძე უნდა გამოიყოს. **განსუდილ’ი**, ვფიქრობთ, ცუდად ჩაწერილი **ჯანსუდილ’ი** (<*ჯანსულ’ი) უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, **ზუბანილის** ოჯახი ქართულია.

თევდორ ძე **თომასი**.

თევდორ’ის შესახებ ვისაუბრეთ.

თომა – ბერძნულიდან (ნიშნავს ტყუპისცალს) შემოსული ანთროპონიმი, დასტურდება ქართულში (იხ. ღლონტი, 1986). „ტბეთის სულთა მატიანეშიც“ დადასტურდა თომა: „ს(უ)ლსა თომა მეფუტკრისძის[ს]ა შ[ე]უნდევქნ ღ[მერთმა]ნ“ (მატიანე, 1977:96). ჩანს, თომა გავრცელებული სახელი იყო სამხრეთ საქართველოში.

გიორგი ძე **ზუდალეთისა**.

ზუდალეთი – გამოიყოფა -**ეთ**’ სუფიქსი და **ზუდალ, ზუდალა** სახელური ფუძე. ქართულ ანთროპონიმიაში დასტურდება **ზუდა’, ზუდული...** **ზუდალა’** <*ზუდულა’საგან დისიმილაციით.

სარქის ძე **ნათანისა**.

სარქის’ი უკვე დადასტურდა „დავთარში“ და ვისაუბრეთ მასზე.

ნათან’ი მართალია, სახარებისეული სახელია, მაგრამ გვხვდება ქართულ ანთროპონიმიაში (იხ. ღლონტი, 1986). იმავე სახელურ ფუძეს ვხედავთ სახელებში **ნათანაელ, ნათანელ, ნათანიელ** (ღლონტი, 1986).

თავაქ ძე **სიმონისა**.

ქართულ კულტურაში გვხვდება **თავა, თავამა, თავაქარა** (ღლონტი, 1986). **თავაქ’ი თავაქარა’ს** ვარიანტად უნდა ჩაითვალოს.

თევდორ ძე **დემეტრესი**;

ბარაქა ძე **გაბრიელისა**;

იოსეფ ძე **თავნასი**;

ბილიმ ძე **ბარაქისა**;

იოსეფ ძე **გიორგისა**;

ბასილ ძე **მიქელისა**.

დავარდვიეთ არჩეული თანმიმდევრობა და რამდენიმე ოჯახის წევრ მამაკაცთა სახელები ერთად მოვიყვანეთ იმ მიზეზით, რომ ყველა ანთროპონიმი ცნობილია ქართულ კულტურაში და დასახელებული ექვსივე ოჯახი ქართულია.

სთეფან ძე **ივლიანისა**.

სთეფან’ის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ივლიანი, გვხვდება ხმოვანფუძიანი, **ივლიანე’** ფორმითაც (იხ. ღლონტი, 1986). ასევე დასტურდება მისი მოფერებითი თუ შემოკლებული ვარიანტები: **ივლო, ივლონ** (შდრ. იულონ). ფორმათა მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ **ივლიანე’** ადაპტირებული ანთროპონიმია ქართულში.

იმდარნო **სადიასი, ქემონ** ძე **იმდარნოსი**.

დასახელებული ანთროპონიმები, – **იმდარნო, სადია, ქემონ** უცხოა ქართული კულტურისათვის. საქმე არაქართულ ოჯახთან უნდა გვქონდეს.

ფილიმინ ძე **არაქისა**.

ფილიმინ – ამ ფორმით ანთროპონიმი არ გვხვდება, დასტურდება **ფილიმონ**’ი. **ფილიმინი** ცუდად ჩაწერილი **ფილომონია**. სახელი ბერძნულია, ნიშნავს საყვარელს, სასურველს (ლლონტი, 1986).

ქართულ ანთროპონიმიაში დასტურდება **არაქელა** (ლლონტი, 1986), ბუნებრივია, ის არ არის საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელი. **არაქი** და **არაქელა** საერთო ფუძის სახელია, პირველის კნინობითი ფორმაა მეორე. აქვე ვიტყვით, რომ არაქი < *არაკი-საგან (ან პირიქით), „დავთარში“ დასტურდება ეს უკანასკნელიც.

იოვანე ძე **ამალისა**;

გიორგი ძე **ლევანასი**;

იოსებ ძე **ნიკოლოზისა**.

ივანე და **ამალი** – ორივე დასტურდება ქართულში.

გიორგი, ლევანა, იოსები, ნიკოლოზი – ქართულ კულტურაში გავრცელებული სახელებია.

იოსებ ძე **სუზანისა, მიქელ** ძმა მისი.

იოსები და **მიქელი** ხშირად გვხვდება ქართულ ანთროპონიმიაში.

სუზან – „დავთარში“ შეგხვდა პირველად, ქართულ ანთროპონიმიაში იგი არ ჩანს.

მიუხედავად ყველაფრისა, **სუზანის** ოჯახი ქართული უნდა იყოს.

ასიმ ძე **ალადასი, ანტონ** ძე მისი, **თევდორ** ძმა მისი.

ასიმის, ანტონისა და **თევდორის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ალადა გვხვდება ქართულ ანთროპონიმიაში, დაცულია გვარში **ალადაშვილი**.

ანტონ ძე **სთეფანისა**.

ანტონისა და **სთეფანის** (სტეფანის) შესახებ ვისაუბრეთ.

ამიკო ძე **ჯუზალდისა, კირილ** ძმა მისი, **თევდორ** ძმა მისი.

ამიკო ამირანის მოფერებითი ფორმაა.

ჯუზალდი – პირველად დადასტურდა „დავთარში“, იქნებ ოსმალთ მოხელემ ვერ ჩაიწერა სწორად სახელი?

კირილ’ი და **კირილე** – დასტურდება პარალელური ფორმები, უფრო გავრცელებულია მეორე.

სიმონ ძე **მარკოზისა**.

სიმონ’ი გავრცელებული სახელია ქართულ ანთროპონიმიაში.

მარკოზი – ლათინურია, მჭკნობადს ნიშნავსო (ალ. ლლონტი, 1986), ქართულ კულტურაში დამკვიდრებულა მარკო, მარკოზ, მარკოზა ფორმით.

ლაშქარა ფირუმი.

ლაშქარა – გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“ (ქ.ცხ.I, 1955:297; II, 1959:518). დაუცავს გვარებს **ლაშქარაშვილი**, **ლაშქარაძე**.

ლაშქარა ქართველია, ტაოელი.

ლევანა ძე **აბულვარისა**.

აბულვარი – ამ ფორმით ანთროპონიმი არ გვხვდება. ალ. ლლონტმა ლექსიკონში შეიტანა ფორმა **აბულვარდი**. **აბულვარი** და **აბულვარდი** ერთი და იგივე სახელი უნდა იყოს. აღვნიშნავთ, რომ ქართულ კულტურაში არაერთია **აბულ** კომპონენტიანი ადამიანის სახელები: აბული, აბულა, აბულალი, აბულასვარი, აბულეთი, აბულვარდი (იხ. ლლონტი, 1986).

ლევანა **ლევან**’ის კნინობითი ფორმაა.

იოსებ ძე **სუბრანისა**.

იოსებ’ის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

სუბრანი ქართულ ანთროპონიმიშია არ გვხვდება. იქნებ **სუბარან**’-ის შეკუმშული ფორმაა **სუბრანი**. **სუბარი** გვარია სვანეთში (მაისურაძე, 1990:150). **სუბა**’ ანთროპონიმს ადასტურებს ალ. ლლონტიც (ლლონტი, 1986). ილ. მაისურაძე მიუთითებს, რომ **ხეთა**’ს **სუბარებსაც** უწოდებენ (მაისურაძე, 1990:150).

ახალთია ფირუნი.

ახალთ’ი საყურადღებო ფუძეა, **ახალ**’ის მრავლობითი ფორმა. **ახალ-თა** ტოპონიმია ტაოში.

სახელის მრ. ფორმა ანთროპონიმადაა გამოყენებული.

ბასილ ძე **ოსიპისა**, **სთეფან** ძე **აზარისა**.

დასახელებული მამაკაცის ოთხივე სახელი გვხვდება ქართულ ანთროპონიმიში.

ემირ ძე **ჯარისა**, **სუხია** ძმა მისი.

ემირ – ანთროპონიმი შეაქვს ლექსიკონში ალ. ლლონტს (ლლონტი, 1986), იგი ასევე დაუცავს გვარს **ემირიძე**.

ჯარის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

სუხია დასტურდება ქართულში, დაუცავს გვარებს სუხიშვილი, სუხიაშვილი, სუხიტაშვილი (მაისურაძე, 1990:151).

თანსუღელ ძე **ჯუსასი**, **ავლეთ** ძმა მისი.

თანსუღელ – უცნობი ფუძეა ქართულში, ანდაც დამახინჯებული ჩამწერისაგან.

ჯუსა – არ გვხვდება ქართულ კულტურაში. იქნებ რომელიმე ანთროპონიმი ცუდად ჩაწერილი

ალ. ლლონტმა ლექსიკონში შეიტანა **ავლათ**’ (ლლონტი, 1986). ვფიქრობთ, **ავლეთ** და **ავლათ** ერთი სახელის ორი ფორმაა.

გულუნა ძე **სიმონისა**, **კასუმ** ძმა მისი.

ქართულ ანთროპონიმიშია გვხვდება **გულ**’ ფუძის შემცველი არაერთი სახელი (ლლონტი, 1986), **გულ-უნა**’ც ერთი იმათგანია, **გულ**’, **გული**, **გულა**’ს კნინობითი ფორმა.

კასუმ’ის შესახებ ზემოთ ვმსჯელობდით.

ქამი ქართულ კულტურაში არ დასტურდება, გვხვდება **ქამალა**. **ქამელა**, **ქამილა**... (ლლონტი, 1986). დადასტურებულ ანთროპონიმებში გამოვყოფთ -**ალა**, -**ელა**, -**ილა** სუფიქსებს და ქამ’ მარტივ ფუძეს.

ბაინდურ ანთროპონიმს შეიტანს ლექსიკონში ალ. ლლონტი (ლლონტი, 1986). იმავე ფუძეს ვხედავთ გვარში **ბაიდურაშვილი**//**ბაინდურაშვილი**.

აკოფ ძე **სულთანისა**.

აკოფის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

სულთანის გვერდით გვხვდება **სულთანა**, დადასტურებულია რაჭაში (მაისურაძე, 1990:151). **სულთანა**/სულთანი დასტურდება აჭარაშიც, ოღონდ ქალის სახელად.

სულთანის ოჯახი ქართული უნდა იყოს.

ელია ძე **არუმისა**.

ელია არაერთხელ დადასტურდა „დავთარში“.

არუმი იქნებ ცუდად ჩაწერილი **არონ**ია. თუ ასეა **არუმის** ოჯახი არაა ქართული.

ავანეს ძე **ასატურისა**, **არაქელ** ძე **კაზარასი**, **ხაჩატურ** ძმა **არაქელისა**.

ავანეს, **ასატურ**, **არაქელ**, **კაზარას** არც ერთი ქართული ანთროპონიმი არაა, შესაბამისად, **ასატურის**, **კაზარას**, **არაქელის** ოჯახები ქართული არაა, სომხური ჩანს.

იმრააზიზ ძე **გიორგისა**.

იმრააზიზი – უცხოა ქართული ანთროპონიმიისათვის. იქნებ სწორად ვერ აღიქვა „დავთარის“ შემდგენელმა და არასწორი ფორმა შეიტანა დოკუმენტში.

გიორგის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ.

ვფიქრობთ, კულტურათა შერევასთან გვაქვს საქმე, თუმცა ოჯახი ქართული გვგონია. ანთროპონიმი **გიორგი** გვაფიქრებინებს ასე.

არნო ძე **მარქარისა**, **ვარცახ** ძმა მისი.

მარქარის ოჯახი არაქართულია, უფრო სომხური გვგონია.

დადაქ ძე **ალმაზ ბეგისა**.

ქართულ ანთროპონიმიში გვხვდება **დადა**, **დად**ი, **დადაი**, **დადავი** (ლლონტი, 1986), **დადაქ**იც ამათ შორის უნდა ვიგულისხმებო.

ალმაზბეგი – რაჭაში, ნიკორწმინდაში ალ. ლლონტს ჩაუწერია მამაკაცის სახელი **ალმაზ**ი (ლლონტი, 1986). **ალმაზბეგ**შიც იგივე ფუძეა (**ალმაზ**) გამოყენებული.

ქართულია **ალმაზბეგის** ოჯახი.

ვართულეთ ძე **ზიმანისა**, **ალთუნ** ძმა მისი.

ვართულეთში გამოიყოფა -**ეთ** სუფიქსი; თითქოს ადგილის სახელია **ვართულეთი** ანთროპონიმად ქცეული, თუმცა ეს ვერ ცვლის საერთო ვითარებას.

ზიმანის ოჯახი არ უნდა იყოს ქართული.

ფირუზ ძე **ასატურისა**, **ხაჩატურ** ძე მისი, **სიღურ** ძე მისი, **აველ** ძე მისი, **არნო** ძმა მისი, **ჰარბარულ** ძმა მისი, **აზიზ** ძმა მისი.

ასატურისა და მისი შთამომავლების ოჯახი არაქართულია.

ნურსვან ძე **აკოფისა**, **ოჰან** ძმა მისი, **აკოფ** ძმა მისი;

სარქის ძე **აკოფისა**, **თევქიქ** ძმა მისი; **კული** ძე ხომ გილდისა;

აპირ ძმა **კულისა**;

სიმონ ძე **გრიგოლისა**, **ბარონ ვარელ** ძმა მისი, **მინას** ძმა მისი;

სურჰან ძე **ბარვარილისა**;

სარმანუქ ძე **შაჰმარისა**, **ვართაზის** ძე მისი, **ლუჯიქ** ძმა მისი; **სიჰამარ** ძე **თათარისა**.

რამდენიმე ოჯახის ჩანაწერი ერთად მოვიყვანეთ, იმიტომ რომ ყველა მათგანი არაქართულია, უფრო სომხური.

სთეფან ძე **სელიანისა**.

ორივე სახელის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. სელიანის ოჯახი ქართული გვგონია.

კირალდი ძმა **სთეფანისა**, **ლაზარ** ძმა მისი, **გიორგი** ძმა მისი, **თანსუდილ** ძმა მისი.

ქართულ ანთროპონიმიაში დასტურდება **კარალ**’ი (შდრ. გვარი **კარალიძე** <***კარალისძე**). **კარალდი** და **კარალი** ერთი და იგივე სახელია.

სთეფანის//**სტეფანისა** და **გიორგის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ლაზარე ძველებრაული სახელია, ნიშნავს „ღმერთია შემწე“ (ლლონტი, 1986). გვხვდება როგორც თანხმოვანფუძიანი (**ლაზარ**, შდრ. გვარი **ლაზარიშვილი**), ისე ხმოვანფუძიანი ვარიანტები (**ლაზარა**, **ლაზარე**) (იხ. ლლონტი, 1986).

თანსუდილ’ ასეთი ბგერწერის სახელი ქართულში არ იპოვება.

სთეფანეს ოჯახი ქართულია.

კანდირ ძე **სიმონისა**;

მარცვალ ძე **კანდასი**.

სიმონისა და **კანდას** ოჯახი სხვადასხვაა. ერთად მოვიყვანეთ ერთი მიზეზით, **კანდირი** და **კანდა** ერთი სახელის ორი ვარიანტი გვგონია. დასტურდება **კანდილი** (<***კანდიდი**?), **კანდრო** (<**კანდირო**?) (ლლონტი, 1986). **კანდა**’ **კანდილ**’ის ვარიანტი გვგონია.

მარცვალა’ს და **სიმონ**’ის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

სიმონისა და **კანდას** ოჯახები ქართული ჩანს.

არნო ძე **აბრამისა**, **ამრად** ძმა მისი.

არნო’ ანთროპონიმი ქართლში დაუდასტურებია ალ. ლლონტს (ლლონტი, 1986).

აბრამი ებრაულიდან შემოსული სახელი, ნიშნავს „მამა მრავალთა“ (ლლონტი, 1986), დასტურდება ქართულ ანთროპონიმიაში, დაცული გვარებში: **აბრამიძე**, **აბრამიშვილი**.

ამრად’ი – ამ ბგერწერის სახელი არ გვხვდება, დასტურდება **ამრი**, **ამრო**, **ამროლ**... (ლლონტი, 1986), ამათ რიგში უნდა განვიხილოთ **ამრადიც**.

აბრამის ოჯახი შეიძლება, ქართულად ჩაითვალოს.

ავდალეთ ძე **ბადროსისა**, **ავან** ძმა მისი.

ავდალეთ’ის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ბადროსი – **ბადრი**, **ბადრა**’, **ბადრო**... ანთროპონიმების მსგავსი სახელი ჩანს. **ბადროსი** **ბადრო**’ უნდა იყოს, ჩაწერის პრობლემა.

ავან’ის შესახებ ვისაუბრეთ.

ბადროსის ოჯახი ქართულია.

გვარამ ძე **იოვანესი**, **იოვანე** ძე მისი, **მანველ** ძე მისი.

გვარამ’ი, იგივეა, რაც **გუარამ**’ი, დასტურდება „ქართლის ცხოვრება-ში“: „ხოლო ერთი მათგანი, სახელით **გუარამ** განაჩინეს ერისთავად...“ (ქ.ცხ. I, 1955: 373). **გვარამი** დაუცავს გვარს **გვარამაძე**.

იოანესა და **მანველის** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ალმაზბადი ძე **ბაბაჯანისა**, **ამაჯან** ძე **მიჰანისისა**, **მიჰანის** ძმა **ალმაზბადისა**.

ალმაზბადი, ბაბაჯანი, ამაჯან’ი, მიჰანის’ი – ოთხივე ანთროპონიმი უცხოა ქართული კულტურისათვის. ბუნებრივია, ბაბაჯანის ოჯახიც არა-ქართულია.

ქაქუც ძე **ჯაჯანასი**, **ხომსარ** ძმა მისი.

ქაქუც – ქართულში დასტურდება მამაკაცის სახელი **ქაქუცა** (ღლონტი, 1986). **ქაქუც** და **ქაქუცა** პარალელური ფორმებია დამკვიდრებული ქართულ ანთროპონიმიში.

ჯაჯანა – დასტურდება ქართლში, დაუცავს გვარს **ჯაჯანიძე** (იხ. მაისურაძე, 1990:243). ზურაბ ჭუმბურიძე **ჯაჯა**’ს უკავშირებს **ქორს** (იხ. ჭუმბურიძე, 1971:52), ასე ეძახიანო ამ ფრინველს გურიასა და სამეგრელოში. ჩანს, **ჯაჯანა** (იგივე – **ქორა**?) მეტსახელია კაცისა. შევნიშნავთ, რომ აჭარაში იციან **ჯაჯია**, ქორის მსგავსი ფრინველია, შემოდგომაზე გამოჩნდება ხოლმე...

ხომსარ’ი – არ იცის ქართულმა ანთროპონიმიამ. იქნებ, მეტსახელია, ან ცუდად ჩაწერილი რომელიმე ანთროპონიმი. სხვა დაშვებაც შეიძლება: **ხომსარ**’ი წარმომავლობის სახელია -**არ** სუფიქსით ნაწარმოები, **ხომს**’ი გეოგრაფიული პუნქტი უნდა იყოს (შანიძე, 1981:32 – 36).

ჯაჯანას ოჯახი ქართულია.

იოსებ ძე **ავანისა**, **გიორგი** ძე მისი.

დასახელებული ანთროპონიმები გვაფიქრებინებს, რომ ავანის ოჯახი ქართულია, ტაოური.

ავნური ძე **ალი სალამისა**, **სიმონ** ძმა მისი.

ავნური – არ გვხვდება ქართულში.

ალი – დასტურდება ქართულ ანთროპონიმიში (ღლონტი, 1986).

სიმონი ზემოთ დადასტურდა და ვისაუბრეთ მასზე.

ალის ოჯახი ქართულია.

თევდორ ძე **იოსებისა**.

იოსების ოჯახი ქართულია.

პავლე ძე **გაგისა**, **ფირალ** ძმა მისი.

პავლე – დასტურდება ქართულში, დაუცავს გვარებს **პავლაძე**, **პავლიაშვილი** (მაისურაძე, 1990:131). ჩანს, იხმარებოდა **პავლე**//**პავლა**//**პავლია** პარალელური ფორმები.

გაგი’ს გვერდით გვხვდება **გაგა**’ც (იხ. ღლონტი, 1986).

ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება **ფირალა**, რაც **ფირალ**’ის ვარიანტია. ჩანს, მონაცვლეობდნენ დასახელებულ სახელთა ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი ვარიანტები.

დემეტრე ძე **როსტომისა**;

ლაზარი ძე **თაენითისა**;

დემეტრე ძე **ანდრონიკისა**, **აბრამ** ძე მისი, **მარკოზ** ძმა მისი.

სამი ოჯახის მონაცემები ერთად მოვიყვანეთ, გადავუხვიეთ თავიდან აღებულ გეზს, თითოეული ოჯახი ცალკე გაგვეხილა. გადავუხვიეთ იმიტომ, რომ დასახელებული ანთროპონიმები – დემეტრე, როსტომი, ანდრონიკე, ლაზარი, აბრამი, მარკოზი ცნობილი სახელებია ქართულ კულტურაში, ზოგი ნაკლებად გამოყენებული, ზოგიც – უფრო ხშირად.

განცალკევებით დგას **თაენითი**, რომელსაც **თავ**’ კომპონენტიან ანთროპონიმთა რიგში მოვიაზრებთ.

სიმონ ძე **ბექილისა**;

ქიზად ძე **იოვანესი**;

იოსებ ძე **გიორგისა**, **იოვანე** ძმა მისი;

სელიან ძე **ელიაზისა**, **მირლეთ** ძმა მისი, **აკოფ** ძე მისი.

დავაკვირდეთ: მოყვანილ მასალაში დასახელებულ ანთროპონიმებს: სიმონ’ი, იოვანე, იოსებ’ი, გიორგი, სელიანი, აკოფ’ი კარგად ცნობილი სახელებია ქართულ ანთროპონიმიაში. განცალკევებით დგას ელიაზი და მირლეთი.

ელიაზი იგივე **ელიოზი** უნდა იყოს, მისი ვარიანტი, რომელიც დაუცავს გვარს ელიოზიშვილი (იხ. მაისურაძე, 1990:60). **ელიოზიშვილი** ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ქართლის წარჩინებულ თავადთა გვარია (იხ. ქცხ. IV, 1973:35).

მირლეთ’ი ასეთი სახელი ქართულში არ დასტურდება. აგებულით ფუძე **-ეთ** სუფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელს მოგვაგონებს. **მირლ** (<*მირალ) საკუთარი სახელი უნდა იყოს.

დასახელებული ოჯახები ქართული ჩანს.

მანველ ძე **სელიანისა**;

იოვანე ძე **მირვანისა**.

დასახელებული ანთროპონიმები უკვე დადასტურდა „დავთარში“ და ვისაუბრეთ მათზე.

ნიკოლოზ ძე **გელაზიზისა**.

ნიკოლოზ’ის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

გელაზიზი, – იშვიათი სახელია, ქართულ ანთროპონიმიაში არ ჩანს. გელაზიზი გელ, გელა კომპონენტიანი სახელია, რომლის ანალოგიური ბევრია ქართულ კულტურაში (იხ. ღლონტი, 1986).

ავგაროზ ძე **სელიანისა**.

ავგაროზი საზოგადო სახელია ანთროპონიმად ქცეული, იგივეა, რაც **თილისმა** (იხ. ქეგლ, ახ.). აღვნიშნავთ: 1031 წლის ხორას მონასტერში გადაწერილ „მცირე სჯულის კანონში“ მოიხსენება ოთხთას მონასტრის დეკანო-

ზი ავგაროზ მამაცაშვილი (ჟორდანია, 1903:114-115). ჩანს, XI საუკუნეში **ავგაროზი** ანთროპონიმადაა ქცეული.

სელიანის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

გაბრიელ ფირუნისა.

ალბათ უნდა „გაბრიელ ფირუნის ძე“ – ჩაწერის ხარვეზია.

გაბრიელი კარგად ცნობილი სახელია ქართულ კულტურაში. გვხვდება სხვადასხვა ფორმით: **გაბრიელა, გაბრიო, გაბრიელ, გაბო, გაბრო, გაბროზი** (შდრ. გაბრუჩი)... (იხ. ლლონტი, 1986). დაცულია გვარში: გაბრიელაშვილი. ფორმათა სიმრავლე დასტურია იმისა, რომ გაბრიელ'ი კარგად ადაპტირებულია ქართულ ანთროპონიმიში.

ფირუნი დასტურდება ქართულში (იხ. ლლონტი, 1986).

კირილ ძე **ზუდანისა** (იხ. ზემოთ).

თემურ ძე **თევდორისა**.

თემური და **თევდორი//თევდორე//თედორე** კარგად ცნობილი სახელებია ქართულში.

პავლე ძე **აბალისა**.

პავლე ლათინურიაო, მცირეს, პატარას ნიშნავს (ლლონტი, 1986).

აბალი – ქართულ ანთროპონიმიში გვხვდება: აბალ, აბალა, აბალო ფორმები (ლლონტი, 1986).

ბარამ ძე **ალექსისა, გიორგი** ძე **ბარამისა, იოვანე** ძმა მისი.

ბარამი, ალექსი, გიორგი, იოანე გავრცელებული სახელებია ქართულ კულტურაში.

გიორგი ძე **თევდორისა**.

ორივე სახელი ადაპტირებულია ქართულში.

ამიკო ძე **საველესი, მირლეთ** ძმა მისი, **ივანე** ძმა მისი.

საველე/საველა – დასტურდება პარალელური ფორმები.

ამიკოს, მირლეთისა და ივანეს შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

მარკოზ ძე **არაკისა**.

მარკოზი და **არაკი** ზემოთ დადასტურდა „დავთარში“ და ვისაუბრეთ მათზე.

სთეფან ძე **ამინიკისა, აკოფ** ძმა მისი.

ამინიკი (შდრ. ამინიკა) **ამინ'**ის კნინობითი ფორმაა. ეს უკანასკნელი ცუდად ჩაწერილი **ამილ'**ი უნდა იყოს (ამილ'ი ლექსიკონში შეაქვს ალ. ლლონტს. იხ. ლლონტი, 1986).

სთეფანისა და აკოფის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

ამინიკის ოჯახი ქართულია.

ნიკოლოზ ძე **იოვანისა, პავლე** ძმა მისი, **ამრი** ძმა მისი, **ზადურა** ძე **ნიკოლოზისა**.

ამრი დასტურდება ქართულ კულტურაში (ლლონტი, 1986).

„ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება **ზადური** (ქ. ცხ. II, 1959:268), სხვაგან – **ზადურა** (ლლონტი, 1986), ეს უკანასკნელი დაუცავს გვარს **ზადურაშვილი**.

ნიკოლოზის, იოვანეს, პავლეს შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. აღვნიშნავთ, რომ მოცემულ ჩანაწერში **იოვან**’ი თანხმოდვანფუძიანია. ჩანს, ცოცხალ მეტყველებაში იხმარებოდა პარალელური ფორმები: იოვანე, იოანე და ივან’ი.

პავლე ძე **აკოფისა, მარკოზ** ძმა მისი.

დასახელებული ანთროპონიმების შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

დემეტრე ძე **დადალეთისა, ლევანა** ძმა მისი.

დემეტრესა და ლევანას შესახებ ვიმსჯელებთ.

დადალეთ’ი -ეთ სუფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელს გვაგონებს. მამაკაცის სახელი უნდა იყოს **დადალ**’ი. ქართულში გვხვდება **დადა, დადაი, დადავი** (ლლონტი, 1986). იმავე ფუძისაა **დადალ**’იც.

ზადრი ძე **ზადარისა, გიორგი** ძმა მისი.

ზადრი და **გიორგი** არაერთხელ შეგვხვდა „დავთარში“.

ზადარ’ი – ამ ფორმით ანთროპონიმი არ გვხვდება, დასტურდება **ზადა, ზადაგა, ზადალა, ზადალო** (ლლონტი, 1986). **ზადა**’ სახელური ფუძე უნდა იყოს საყრდენი **ზადარ**’ისათვისაც.

შესაძლებელია სხვა დაშვებაც: **ზადრი** და **ზადარი** ერთი სახელია: **ზადრი>ზადარი**.

მარკოზ ძე **ზაქარისა, გაბრიელ** ძმა მისი.

მარკოზის, ზაქარის, გაბრიელის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. ზაქარის ოჯახი ქართულია.

აკოფ ძე **დემეტრესი, დემეტრე** ძე მისი, **მაქსიმე** ძმა მისი, **სიმონ** ძმა მისი.

დასახელებულ მამაკაცის ოთხივე სახელზე უკვე ვისაუბრეთ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დემეტრეს ოჯახი ქართულია.

მამისა ძე **ზადრისა, იოვანე** ძე მისი.

მამისა დასტურდება ქართულ კულტურაში.

ზადრისა და **იოვანეს** შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

სთეფან ძე **სელიანისა;**

ზასილ ძე **მარადისა.**

ოთხივე ანთროპონიმის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. ვფიქრობთ, რომ ორივე ოჯახი ქართულია.

იოსებ ძე **ზაჩატურისა;**

ფირზენდი ძე **აკოფისა, ონგირი** ძმა მისი, **დემეტრე** ძმა მისი;

ზანუდილ ფირუნი.

დასახელებული ოჯახები არ უნდა იყოს ქართული, მიუხედავად იმისა, რომ ორი სახელი, – იოსებ და დემეტრე ქართულად ჟღერს. ვფიქრობთ, კულტურათა შერევასთან გვაქვს საქმე.

მაქსიმე ძე **თევდორისა, ჯოსხილ** ძმა მისი.

მაქსიმე და **თევდორე** ზემოთაც დადასტურდა „დავთარში“ და ვისაუბრეთ კიდევ მათზე.

ჯოსხილ’ი უცხოა ქართული კულტურისათვის, იქნებ მეტსახელია, ანდაც ცუდად ჩაწერილი რომელიმე სახელი.

გიორგი ძე ალექსისა;

თევდორ ძე მაქსიმესი, იოვანე ძე მაქსიმესი.

დასახელებულ ანთროპონიმებზე უკვე ვისაუბრეთ. აღვნიშნავთ, რომ ორივე ოჯახი ქართულია, ტაოური.

დავასრულეთ განხილვა ერისიელი მამაკაცების საკუთარი სახელებისა, რომელიც შეტანილია 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში“. შევხეთ ერისში აღრიცხულ მამაკაცთა ყველა სახელს. მასალა მრავალდეროვანია და საყურადღებო. აღვნიშნავთ, რომ XVI საუკუნის 70 – იანი წლებისათვის **ერსისი** დიდი და ნარევი სოფელია, როგორც ზოგადად ტაოს ქვეყანა. აქ თავს იყრიან ქართველები (ტაოელები), სომხები და ბერძნებიც. მამაკაცის საკუთარი სახელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობის ძირითად ფენას ქართველები წარმოადგენს, თუმცა გვხვდება სომხური და სხვა ერის წამომადგენელთა ოჯახებიც. ხელშესახებია ასევე კულტურათა შერევის შემთხვევებიც, რაც ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგი უნდა იყოს. და ეს არცაა მოულოდნელი.

სოფლის მოსახლეობის ძირითადი ფენა ქართველებია.

ტოპონიმი ერსისი ქართულია.

დასკვნა ერთია, ერსისი ქართული სოფელია.

აქვე აღვნიშნავთ იმ სირთულეებს, რომლის დაძლევაც მკვლევარს უხდება. უპირველესად თვალში საცემია „დავთარის“ შემდგენლის დაშვებული „შეცდომები“. ქართულის არმცოდნე ოსმალ მოხელე სწორად ვერ აღიქვამს ნაკარნახევ საკუთარ სახელებს და უნებლიედ „ამახინჯებს“ მას, რაშიც ხელს უწყობს ქართული სახელების ჩასაწერად სრულიად გამოუსადეგარი ოსმალური დამწერლობაც.

მიუხედავად მასალის სიჭრელისა, „დავთარში“ საყურადღებო მასალაა დაუნჯებული ტაოს ანთროპონიმისა და, ზოგადად, მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის შესასწავლად.

ლიტერატურა

ზურაბიშვილი 1961 – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის. ქესს, II, თბილისი, 1961.

კორპუსი 1984 – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX – XIII სს, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984.

მაისურაძე 1990 – ი. მაისურაძე, ქართული გვარ – სახელები..., თბილისი, 1990.

მატიანე 1077 – ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბილისი, 1077.

მახარაძე, შაშიკაძე 2022 – მ. მახარაძე, ზ. შაშიკაძე, იუსუფელის რაიონი, კაშხალმშენებლობა, სოფლები და ძეგლები. თბილისი, 2002.

ორბელიანი 1949 – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1949.

ჟორდანია 1903 – Ф. Жордания, Описание рукописей Церковного Музея, I, Тифлис, 1903.

სარჯველაძე 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984.

ფაღავა 2003 – მ. ფაღავა, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმი, 2003.

ქ.ცხ. I, 1955 – ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955.

ქ.ცხ. II, 1959 – ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959.

ქ.ცხ. IV, 1973 – ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1973.

ქეგელ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I – VIII, არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ქეგელ ახ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I – IV, ავთანდილ არაბულის რედაქციით. თბილისი, 2008-2019.

დლონტი 1984 – ალ. დლონტი, ქართულ კილო – თქმათა სიტყვის კონა, 1984, თბილისი.

დლონტი 1986 – ალ. დლონტი, „ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი“, თბილისი, 1986.

შანიძე 1958 – ა. შანიძე, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებებისათვის. თბილისი 1500, თბილისი, 1958.

შანიძე 1981 – ა. შანიძე, ვინაობის -არ სუფიქსი ქართულში. თხზ. 12 ტომად, ტ. II, 1981, თბილისი.

ძოწენიძე 1974 – ქ. ძოწენიძე, ზემოიშერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.

ჭუმბურიძე 1971 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი, 1971.

ჯორბენაძე, კობაიძე, ზერიძე 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ზერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

Mamia Paghava, Zaza Shashikadze

Onomastics of Tao 4 in Ottoman Sources

Summary

This study examines the anthroponymy (personal naming patterns) of the historical Tao village of **Ersis**, based on male names recorded in the “**Great Book of the Village of Gurjistan**” (1574). The register documents the male population of the village by household and family, providing valuable material for understanding the ethnic composition of Ersis in the 16th century. The data suggest that Ersis was a large and ethnically diverse village at the time. The population included **Georgians (Taoists)**, **Armenians**, **Greeks**, and even some **Turkish families**, all residing within the same locality.

The analysis leads to the following conclusions:

- A. The toponym *Ersis* is of Georgian origin;
- B. The majority of the village population was Georgian;
- C. The presence of mixed families in the village suggests long-term cohabitation among different ethnic groups.

According to the authors' conclusions, in the 1570s, Ersis functioned as a Georgian village, both in terms of its demographic composition and cultural-linguistic identity.

ჭაბუკი ქირია

ბრუნვათა სისტემის ოპტიმიზაციის საკითხი მეგრულ-ლაზურში

ბრუნება სახელის ფორმაცვალების კატეგორიაა და **ბრუნვის ფორმა-**
თა ფორმოზრივ-ფუნქციურ ოპოზიციურ მიმართებებს ემყარება.

პრაქტიკული საკომუნიკაციო ღირებულება არ გააჩნია არც **ფონემას**
და არც **სიტყვას**, მაგრამ ერთიც და მეორეც არის საკომუნიკაციო კონ-
სტრუქციისთვის აუცილებელი „საშენი“ მასალა. სრულფასოვანი სამეტყვე-
ლო აქტი რომ შედგეს, **საჭიროა სათანადო ფორმები**, სახელის შემთხვევაში
– შესაბამისი **ბრუნვის** ფორმები, ამ ფორმათა სისტემა. სწორედ აქედან, არ-
სებულ ალტერნატიულ ფორმათა ბაზიდან შეირჩევა ამა თუ იმ კონტექ-
სტისთვის შესაფერისი ფორმოზრივი ერთეული. სახელი ყოველთვის ამა
თუ იმ **კონკრეტული ფორმით** წარმოგვიდგება სამეტყველო კონსტრუქცი-
აში.

ბრუნვათა სისტემა ალტერნატიულ ფორმებს ეფუძნება. ეს განსა-
ზღვრავს ბრუნვათა რაოდენობასაც. ყველა ენას საკუთარი ლინგვისტური
ამოცანები და გრამატიკული მექანიზმები აქვს, რაც, ცხადია, სახელთა
ფორმაწარმოების ხასიათზეც აისახება.

მეგრულ-ლაზურში ბრუნვათა რაოდენობა სხვადასხვა მკვლევარ-
თან განსხვავებულად არის წარმოდგენილი. განსხვავებულია ბრუნვათა
გამოყოფის საფუძვლები და, აქედან გამომდინარე, მიდგომები ამ, ერთი
შეხედვით, საკმაოდ მარტივი საკითხის მიმართ.

რამდენიმე პარადიგმას წარმოვადგენთ:

სახელობითი	-ი
ნაცვალსახელური მიცემითი	-ქ
ნათესაობითი	-ში, -შ
დაშორებითი	-შე
მოქმედებითი	-თი, -თ
I მიცემით-მიმართულებითი	-შა
II მიცემით-მიმართულებითი	-შო, -შოთ
III მიცემით-მიმართულებითი	-ს, -ც

(ყიფშიძე, 1994, 017)

	ჭანური	მეგრული	ქართული
სახელობითი	კოჩი	კოჩი	კაც-ი
მოთხრობითი	კოჩი-ქ	კოჩ-ქ	კაც-მა
მიცემითი	კოჩი-ს	კო-ს	კაც-ს(ა)
ნათესაობითი	კოჩი-შ[ი]	კოჩ-იშ[ი]	კაც-ის(ა)
მიმართულებითი	კოჩი-შა	კოჩ-იშა	[კაც-ისა-კენ]
დაშორებითი	კოჩი-შე[ნ]	კოჩ-იშე	[კაც-ისა-გან]
მოქმედებითი	კოჩი-თე[ნ]	კოჩ-ით[ი]	კაც-ით(ა)
[დანიშნ.]	— — —	კოჩ-იშო(თ)	[კაც-ისა-თვის]
[ვნებ. ანუ გარდაქც.] ¹	— — —	კოჩ-ო	კაც-ად

(ჩიქოზავა, 1936, 44)

პრაქტიკულად ანალოგიურია ანტონ კიზირიას პარადიგმაც, თუ არ ჩავთვლით ორიოდ ტერმინოლოგიურ სხვაობას:

	მეგრული	ლაზური
სახელობითი	კოჩ-ი	კოჩი
ერგატივი	კოჩ-ქ	კოჩი-ქ
მიცემითი	კო-ს	კოჩი-ს
ნათესაობითი	კოჩ-იშ[ი]	კოჩი-შ[ი]
მიმართულებითი	კოჩ-იშა	კოჩი-შა
დაშორებითი	კოჩ-იშე	კოჩი-შე
მოქმედებითი	კოჩ-ით[ი]	კოჩი-თე[ნ]
მიზნობრივი	კოჩ-იშო[თ]	-----
ტრანსლატივი	კოჩ-ო	-----

(კიზირია, 1967, 66)

„მეგრულის ლინგვისტურ ანალიზში“ 9 ბრუნვა ამ თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი:

სახ.	ორტვინ-ი „ბოსტანი“	ჯოგ-ი „ჯოგი“
მოთხრ.	ორტვინ-ქ „ბოსტანმა“	ჯოგ-ი-ქ „ჯოგმა“

¹ არნ. ჩიქოზავა დანიშნულებით ბრუნვას ხან **მიმართულებითის** დიფერენციაციის ნიმუშად მიიჩნევს, ხან **ნათესაობითის**: „ჭანურში ბრუნვათა რაოდენობა ნაკლებია მეგრულთან შედარებით; მეგრულში მეტია **დანიშნულებითი** (კოჩიშო-თ) და **ვნებითი** ანუ გარდაქცევითი (კოჩო); ამათგან პირველი მიმართულებითი ბრუნვის (კოჩიშა) დიფერენციაციას უნდა წარმოადგენდეს, ამდენად, წარმოების მხრივ პრინციპულად ახალს არაფერს შეიცავს; ფუნქციის თვალსაზრისით მისი როლი ჭანურში დაშორებითის ეკისრება“ (ჩიქოზავა, 1936, 51); *შდრ.*: „თანდებულებიან ბრუნვათა ნაცვლად ჭანურსა და მეგრულში ხმარებული დაშორებითი, მიმართულებითი და დანიშნულებითი ნათესაობითი ბრუნვის დიფერენციაციას წარმოადგენენ“ (იქვე, 52).

მიც.	ორტვინ-ს „ბოსტანს“	ჯოგ-ი-ს „ჯოგს“
ნათ.	ორტვინ-იმ „ბოსტნის“	ჯოგ-იმ „ჯოგის“
მიმარ.	ორტვინ-იშა „ბოსტნისკენ“	ჯოგ-იშა „ჯოგისკენ“
დაშორ.	ორტვინ-იმე „ბოსტნიდან“	ჯოგ-იმე „ჯოგიდან“
დანიშნ.	ორტვინ-იმ-ო(თ) „ბოსტნისთვის“	ჯოგ-იმ-ო(თ) „ჯოგისთვის“
მოქმ.	ორტვინ-ით „ბოსტნით“	ჯოგ-ით „ჯოგით“
ვით.	ორტვინ-ო „ბოსტანად“	ჯოგ-ო „ჯოგად“

(კარტოზია... 2010, 117)

ოთარ ქაჯაიას „ტაბულებში“ ცალ-ცალკეა გამოყოფილი სხვადასხვა ტიპის ბრუნვები:

1. ძირითადი ბრუნვები და მათი დაბოლოებები

	მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
სახელობითი	-ი/-ე	-ეფ-ი
მოთხრობითი	ქ (ი,უ,გ)	-ეფ (/ -ემ/-ენ) -ქ (ი,უ,გ)
მიცემითი	-ს (ი,უ), -ც (ი,გ)	-ეფ (/ -ემ/-ენ) -ს (ი,უ), -ც (ი,გ)
ნათესაობითი	-იმ[ი], -შ(ი)	-ეფ-იმ(ი)
მოქმედებითი	-ით(ი,გ), თ (ი,გ)	-ეფ-ით (ი,უ,გ)
ვითარებითი	-ო, -თ(ი)	-ეფ-ო

2. ნანათესაობითარი ბრუნვები და მათი დაბოლოებანი

	მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
დანიშნულებითი	-იმ-ო(თ), -შ-ო(თ)	-ეფ-იმ-ო(თ)
მიმართულებითი	-იმ-ა, -შ-ა	-ეფ-იმ-ა
დაშორებითი	-იმ-ე, -შ-ე, -დე	-ეფ-იმ-ე

3. თანდებულიანი ბრუნვები და მათი დაბოლოებანი

	მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
თანაობითი	-იწ-კალა, -წ-კალა -იწ-კელა, -წ-კელა -იწ-კუმა, -წ-კუმა -იწ-კგმა, -წ-კგმა	-ეფ-იწ-კალა// -ეფ-იწ-კელა -ეფ-იწ-კუმა// -ეფ-იწ-კგმა
მსგავსებითი	-იჯ-გუ[რ]ა, -ჯ-გუ[რ]ა	-ეფ-იჯ-გუ[რ]ა
შედარებითი	-იმ-ორო, -შ-ორო	-ეფ-იმ-ორო
მიწევნითი	-იმ-ა-ხ(ი,უ,გ) -შ-ა-ხ(ი,უ,გ)	-ეფ-იმ-ა-ხ(ი,უ,გ)
მიზნის	-იმ-ე-ნი, -შ-ე-ნი	-ეფ-იმ-ე-ნი

(ქაჯაია, 2001, 28)¹

¹ წარმოდგენილ სისტემაში **-იმ-ა/-შ-ა** და **-იმ-ა-ხ(ი,უ,გ)** სუფიქსებით წარმოდგენილი ფორმები განსხვავებულად არის კვალიფიცირებული: პირველს **მიმართულებითის** სტატუსი აქვს, ხოლო მეორეს – **მიწევნითის**, თუმცა სრულიად აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ორი კი არა, **ერთი ფორმა** გვაქვს, რომლის სუფიქსიც

ასევე სამ ჯგუფად წარმოადგენს ბრუნვათა სისტემას ა. ლომთაძე, მხოლოდ აქ **დამორებითი** თანდებულიან ბრუნვათა რიგში აღმოჩნდა, ანუ, მისთვის **კოჩ-იშ-ე** ფორმაში **-ე** თანდებულია, ნათესაობითი ბრუნვის თანდებული.

I. ძირითადი ბრუნვები

სახ.	კოჩ-ი „კაცი“
ერგ.	კოჩ-ქ(ი,გ)
მიც.	კო-ს(ი)//კო-ც(გ)
ნათ.	კოჩ-იშ(ი)
მოქმ.	კოჩ-ით(ი/გ)
ვით.	კოჩ-ო

II. ნანათესაობითარი (ნაწარმოები) ბრუნვები

დანიშნ.	კოჩ-იშ-ო(თ)
მიმართ.	კოჩ-იშ-ა

III. თანდებულიანი ბრუნვები

დამორებითი	კოჩ-იშ-ე ჩქიმ-დე „ჩემგან“
თანაობითი	კოჩ-იწ-კელა კოჩ-იწ-კალა კოჩ-იწ-კუმა კოჩ-იწ-კგმა
მსგავსებითი	კოჩ-იჯ-გურა კოჩ-იჯ-გუა
შედარებითი	კოჩ-იშ-ორო „კაცივით“
მიწვევითი	კოჩ-იშ-ახ(ი) კოჩ-იშ-ახ(გ) „კაცამდის“
მიზნის	კოჩ-იშ-ე-ნი „კაცისთვის“, „კაცის გამო“ (ლომთაძე, 1987, 99).

მარტივი და რთული ბრუნვების სახით წარმოადგენენ დადიანი, ფუტკარაძე ბრუნვათა სისტემას მეგრულსა და ლაზურშ-ჭანურში:

მეგრული

მარტივი ბრუნვები:

სახ.	ფუძე+0/ი:	დლა, კოჩ-ი „დლე“, „კაცი“
მოთხრ.	ფუძე+ქ:	დლა-ქ, კოჩ-ქ
მიც.	ფუძე+ს:	დლა-ს, კოჩ-ს

შეიძლება გამარტივდეს (**ახ > ა**). ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ერთი ბრუნვა ამოვარდა სისტემიდან.

ნათ.	ფუძე+შ(ი)/იშ(ი):	დღა-შ(ი), კოჩ-იშ(ი)
მოქმ.	ფუძე+თ(ი)/ით(ი):	დღა-თ(ი), კოჩ-ით(ი)
ვით.	ფუძე+ო/თდღა-თ,	კოჩ-ო

რთული ბრუნვები:

მიმართულებითი:	ფუძე+შ-ა/იშ-ა:	დღა-შ-ა, კოჩ-იშ-ა
დაშორებითი:	ფუძე+შ-ე/იშ-ე:	დღა-შ-ე, კოჩ-იშ-ე
დანიშნულებითი:	ფუძე+შ-ოთ/იშ-ოთ:	დღა-შ-ოთ, კოჩ-იშ-ოთ
თანაობითი:	ფუძე+წ-კალა/იწ-კალა:	დღა-წ-კალა, კოჩ-იწ-კალა
მსგავსებითი:	ფუძე+ჯ-გურა/იჯ-გურა:	დღა-ჯგურა, კოჩ-იჯ-გურა
შედარებითი:	ფუძე+შ-ორო/იშ-ორო:	დღა-შ-ორო, კოჩ-იშ-ორო
მიწევნითი:	ფუძე+შ-ა-ხ/იშ-ა-ხ:	დღა-შ-ა-ხ, კოჩ-იშ-ა-ხ
მიზნისა:	ფუძე+შ-ე-ნი/იშ-ე-ნი:	დღა-შ-ე-ნი, კოჩ-იშ-ე-ნი

ჭანური**მარტივი ბრუნვები:**

სახ.	ფუძე-0:	კუჩხე, კოჩი „ფეხი“, „კაცი“
მოთხრ.	ფუძე-ქ:	კუჩხე-ქ, კოჩი-ქ
მიც.	ფუძე-ს:	კუჩხე-ს, კოჩი-ს
ნათ.	ფუძე-შ(ი):	კუჩხე-შ(ი), კოჩი-შ(ი)
მოქმ.	ფუძე-თე(ნ):	კუჩხე-თე(ნ), კოჩი-თე(ნ)

რთული ბრუნვები:

მიმართულებითი:	ფუძე-შ-ა:	კუჩხე-შ-ა, კოჩი-შ-ა
დაშორებითი:	ფუძე-შ-ე(ნ):	კუჩხე-შ-ე(ნ), კოჩი-შ-ე(ნ)
თანაობითი:	ფუძე-კალა:	კუჩხე-წ-კალა, კოჩი-კალა
მსგავსებითი:	ფუძე-ს-თერი:	კუჩხე-ს-თერი, კოჩი-ს-თერი
მიმართულებითი:	ფუძე-შ-კელე:	კუჩხე-შ-კელე, კოჩი-შ-კელე
მიზნისა:	ფუძე-შ-ე-ნი:	კუჩხე-შ-ე-ნი, კოჩი-შ-ე-ნი

(დადიანი, ფუტკარაძე, 2004, 100)

ლაზურ-მეგრულ გრამატიკაში გაუმართლებლად არის მიჩნეული „ე. წ. თანდებულიანი ბრუნვების ცალკე ჯგუფად გამოყოფა. ბუნებრივი იქნება, – აღნიშნავენ ავტორები, – თუ ამ შემთხვევაში ვიმსჯელებთ **თანდებულიანი ბრუნვების ფუნქციურ თავისებურებებზე და არა ბრუნვათა კიდევ ერთ ჯგუფზე** (ქირია, ... 2015, 24).

თუ შევაჯერებთ ზემოთ წარმოდგენილ (და საერთოდ არსებულ) სისტემებს, კლასიფიკაციის სამი სხვადასხვა ვერსია გამოიკვეთება:

ერთიანი სისტემა („ძირითადი“ და „თანდებულიანი“ ბრუნვები ერთად);

ორ ჯგუფად წარმოდგენილი სისტემა („მარტივი“ ბრუნვები და „რთული“ ბრუნვები);

სამ ჯგუფად წარმოდგენილი სისტემა („ძირითადი“ ბრუნვები, „ნათესაობითარი“ ბრუნვები და „თანდებულებიანი“ ბრუნვები).

„ძირითადთან“ ერთად „არაძირითადი“ ბრუნვებია წარმოდგენილი ქართული სახელური ფორმაცვალების სისტემაშია. დირის მიხედვით. აქ **თანდებულებიანთან** ერთად **ნაწილაკიან** ბრუნვებსაც ვხვდებით:

1. ისა-ბრუნვა (=ნათესაობითი): ლომისა...
2. სა-ბრუნვა (=მიცემითი): კაცსა...
3. მან-ბრუნვა (=მოთხოვითი);
4. ითა-ბრუნვა (=მოქმედებითი): დანითა...
5. ად-ბრუნვა (=ვითარებითი): მანეთად...
6. ზედა-ბრუნვა: მიწაზედ...
7. ში-ბრუნვა: ტყეში...
8. დამ-ბრუნვა: სუფრიდამ...
9. ვით-ბრუნვა: კაცივით...
10. ც-ბრუნვა: ჭკუაც...
11. -ისგან, ისაგან, იდგან, ითგან-ბრუნვა: პირისაგან...
12. -ის-თვის-ბრუნვა: მამისთვის...
13. ის-თან ბრუნვა: ძმასთან...
14. ისკენ(ა)-ბრუნვა: დასავლეთისკენ...
15. საშუა-ბრუნვა: კედელსაშუა...
16. ითურთ-ბრუნვა: ნათესაგვითურთ...
17. ისამდე (მდინ, მდის, მდისინ, მდი)-ბრუნვა: თავამდე...
18. ისადმი-ბრუნვა: ღვთისადმი...
19. ისდამი, ისდა იხ. ზემოთ
20. ისმიერ, ისა მიერ: უფლისა მიერ

(ჩიქობავა, 1961, 207).

საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია ხან ბრუნვათა დაბოლოებები, ხან – თანდებულები, ხან – ბრუნვის ნიშნები თანდებულებთან ერთად, ხანაც – ნაწილაკი. ბუნებრივია, ამ მხრივ ეს სისტემა გაუმართავია, თანაც, თვალშისაცემია ტენდენცია, სისტემაშივე დაფიქსირდეს სამეტყველო პრაქტიკაში სახელურ ფორმათა ფუნქციური რესურსი.

შეუძლებელია ბრუნვათა სისტემაში ამომწურავად აისახოს სახელის ფორმათა სინტაქსურ-სემანტიკური დატვირთვის სრული სპექტრი¹.

შეუძლებელიცაა და მეთოდოლოგიურად გაუმართლებელიც.

ასეთი ანალიზის ნიმუშად შეიძლება სხვა შემთხვევებიც წარმოვადგინოთ:

¹ აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ საინტერესო ჩანს მეთოდი, რომელსაც იყენებს ა. დირი ბრუნვათა **სახელდებისას**.

აკაკი შანიძე **ლოკალური ბრუნვებს** ამატებს ტრადიციულ სისტემას ქართულში და ამის საფუძვლად მორფონოლოგიურ გარემოებებს მიიჩნევს:

„ზოგიერთი თანდებული მჭიდროდ შეეზარდა ბრუნვის ფორმას. თანაც ფონეტიკური წესების გავლენით ისეთი ცვლილება მოხდა, რომ წაიშალა ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის. ამის წყალობით შეიქნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული ელემენტი მთლიანად ბრუნვის ნიშნად ყოფილიყო გაგებული. ასეთი ამბავი მოხდა სამ ბრუნვაში: მოქმედებითსა, ვითარებითსა და მიცემითში, რის შედეგადაც მივიღეთ სამი ახალი ბრუნვა: გამოსვლითი, მიწევნითი და სადაობითი, რომელთაც **ლოკალურ** (ადგილობრივ) ბრუნვათა ფუნქციები აქვთ მოპოვებული“ (შანიძე, 3, 73-74).

ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი კონკრეტული არგუმენტაცია ასეთია:

„მოქმედ. ბრუნვას ძველად დაკისრებული ჰქონდა გამოსვლითის ფუნქცია. ეს ფუნქცია მას რამდენადმე ახლაც შემონახული აქვს მთის კილოებში... მაგრამ ამ ფუნქციისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა მარტივი ბრუნვის ფორმა და მას დაერთო თანდებული **გან**, წარმოდგა ასეთი ფორმები: სახლით-გან, გულით-გან, კახეთით-გან და მისთ. თანდებულის თავკიდურის გავლენით წინა თანხმოვანი გამჟღერდა: გულიდ-გან (§ 26). შემდეგ მათი ურთიერთ შეგუების ნიადაგზე დაიკარგა **გ** დამივიღეთ ფორმა: გულიდან. სად არის აქ სახელის ფუძე? – **გულ**. სადღა ბრუნვის ნიშანი? ეხლა ბრუნვის ნიშანია მთლიანად **იდან**, ვინაიდან ის განუყოფელია; მართლაც,

ა) არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ი** იყოს ბრუნვის ნიშანი და **დან** თანდებული (**ი-დან**);

ბ) არც ასე შეგვიძლია დავანაწილოთ: **იდ-ან** და პირველში ბრუნვის ნიშანი დავინახოთ, მეორეში კი – თანდებული;

გ) არც ასეთი დაყოფა ივარგებს: **იდა-ნ**, ვინაიდან არც **იდა** არის ბრუნვის ნიშანი და არც **ნ** თანდებული.

დ) ვერც იმას ვიტყვით, რომ **იდან** მთლიანად თანდებული იყოს და ის ფუძეს ერთოდეს.

მაშასადამე, ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით **ით-გან**-ისაგან მიღებული **იდან** დღეს უკვე განუყოფელი აფიქსია. ეს აფიქსი იმავე რიგებში დგას, რაშიც ბრუნვის ნიშნები, ამიტომ ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: **იდან** დღეს ბრუნვის მაწარმოებელია. ეს ბრუნვაა გამოსვლითი. ოღონდ **იდან** თანხმოვნიათი ფუძეებისა და კვეცილ-ხმოვნიათი ფუძეების შემდეგ გვაქვს, უკვეცილ-ხმოვნიან ფუძეებს კი მის ნაცვლად **დან** მოუდის: წყარო-დან, კალო-დან, რუ-დან და მისთ. მაშასადამე, გამოსვლითი ბრუნვის ნიშანია **იდან** ან **დან**.

...მიწევნითია ბრუნვა, რომელიც მიგვითითებს გარკვეულ პუნქტამდე მიწევნას სივრცესა თუ დროში: კახეთ-ამდე, ქალაქ-ამდე, გორ-ამდე, სოფლ-ამდე, სახლ-ამდე, წყარო-მდე, რუ-მდე, ორშაბათ-ამდე, მაის-ამდე,

დეკემბრ-ამდე და სხვ. მისი ნიშანია **ამდე** (თანხმოვნიან ფუძეებთან) ან **მდე** (ხმოვნიან ფუძეებთან).

ამდე-ს და **მდე**-ს პარალელურად არსებობს აგრეთვე **ამდის** და **მდის**.

მიწევნითი ასეა წარმომდგარი: ვითარებით ბრუნვას ძველად მიმართულებითის ფუნქციაც ჰქონდა (წარვიდა გალილეად = წავიდა გალილესას). მიწევნითის გადმოსაცემად კიძას ერთოდა თანდებული **მდე** ან **მდის**, მიღებული იყო ჯგუფი **ად-მდე (ად-მდის)** ან **დ-მდე(დ-მდის)**, სადაც ორ **დ**-ს მარტო **მ** ჰყოფდა, რაც სიძნელეს ქმნიდა გამოთქმისათვის. ამიტომ პირველი **დ** დაიკარგა გამოთქმაში: უკვე X საუკუნის ძეგლებში მოგვეპოვება გამარტივების შემთხვევები: **-ამდე (-ამდის)**. დღევანდელ ქართულში ხომ აღარსად არის პირველი **დ**. ამისგამო წაშლილია ყოველგვარი კვალი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის: ვერ ვიტყვით, რომ **ა** ბრუნვის ნიშანი იყოს და **მდე (მდის)** კი თანდებული, რადგანაც **ა**-ზე გათავებული სახელის ფორმა რომელიმე ბრუნვის ფუნქციით ცალკე არსად გვხვდება. ამიტომ დღეს **ამდე** (ხმოვნიან ფუძეებთან **მდე**) ან მისი ნაცვალი **ამდის (მდის)** უკვე ბრუნვის ნიშანია მთლად.

...სადაობითა ბრუნვა, რომელიც მიგვითითებს ადგილ-მდებარეობას. მისი ნიშანი ორი სახითაა წარმოდგენილი, ესენია: **ში** და **ზე**: წყალ-ში, გულ-ში, ქალაქ-ში, სოფელ-ში, ტყე-ში და სხვ.; წყალ-ზე, გულ-ზე, ქალაქ-ზე, სოფელ-ზე, ტყე-ზე და სხვ.

სადაობითი მიცემითისაგანაა წარმოშობილი, მასთან **შინა** ან **ზედა** თანდებულის შეზრდის ნიადაგზე. სანამ მიცემითს ჰქონდა ნართაული **ა**, მისი ნიშანი **ს** უზრუნველყოფილი იყო დაკარგვისაგან: წყალსა შინა, წყალსა ზედა. მაგრამ, როცა **ა** დაიკარგა, ბრუნვის ნიშანს უშუალოდ მოჰყვა თანდებული, უკვე ერთ მარცვლად ქცეული (**ში**, **ზე**). მივიღეთ ჯგუფები: **სში** და **სზე**, რომლებიც გამოსათქმელად ძნელია: წყალს-ში, წყალს-ზე. ამას შედეგად მოჰყვამიცემითის ნიშნის დაკარგვა: წყალ-ში, წყალ-ზე (§ 28,4).

რადგანაც ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემდეგ **ში** და **ზე** უშუალოდ ფუძეს ერთვის, ამიტომ მათ ისეთივე ფუნქცია მიიღეს, როგორიც ბრუნვის ნიშნებს აქვთ, ისინი ბრუნვის ნიშნები გახდნენ“ (შანიძე, 3, 74-75).

ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის **ნათლად ჩანს ვითარებითისა და მოქმედებითის** შემთხვევაში. მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი ამ შემთხვევაში არის **-იდ/-დ**: გულ-იდ-ან/წყარო-დ-ან: გულ-ით-გან > გულ-იდ-გან > გულ-იდ-ან... წყარო-თ-გან > წყარო-დ-გან > წყარო-დ-ან... **-გან** თანდებული გამარტივდა და **-ან** სახით დარჩა; მოქმედებითის **-თ** გამჟღერდა და **-დ**-ს სახე მიიღო – ამ დასკვნამდე მივიღივართ თანმიმდევრული ანალიზის შედეგად (იხ. ჩიქობავა, თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1961, გვ. 203).

ვითარებითში გვაქვს **-ა/0** სუფიქსი, – სწორედ ეს ალომორფები დასტურდება ვითარებითის ფორმაზე **-მდე/-მდის** თანდებულის დართვის შემთხვევაში; თანხმოვანფუძიანებთან გვექნება **სახლ-ად-მდე > სახლ-ამდე...**, ხმოვანფუძიანებთან **-0 (ნული): წყარო-დ-მდე > წყარო-მდე...**

არ არის ზღვარი წაშლილი მიცემითშიც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქ ბრუნვის ნიშანი საერთოდ არ ჩანს (ნულის ნიშანი), მხოლოდ ფუძე და თანდებულია წარმოდგენილი.

არ ჩანს მიცემითის ნიშანი თანხმოდგენიანებთან (**კაც-თან...**), მაგრამ ხმოდგენიანებთან ის დასტურდება (**დედა-ს-თან...**), – ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ, მაინც უნდა ჩავთვალოთ მიცემითი „ლოკალურ ბრუნვად“? აკაკი შანიძის პოზიცია ასეთია: „**თან**-ის დართვისას ეკარგება მიცემითის ნიშანი თანხმოდგენიან ფუძეებს (§ 86), მაგრამ ხმოდგენიან ფუძეებთან ჯერ კიდევ შემონახულია ეს ნიშანი: **კაც-თან**, მაგრამ: **მიწას-თან**. ამიტომ აქ არ ისმის საკითხი ახალი ბრუნვის გამოყოფის შესახებ“ [შანიძე, 3, 74].

არ ჩანს მოქმედებითსა და ვითარებითში ბრუნვის ნიშნები იმ სახით, რა სახითაც ის გვხვდება თანდებულების დაურთველად, მაგრამ ეს არ არის პრობლემა: ამა თუ იმ მორფემის სტატუსის დადგენისათვის ალომორფთა ფონემატური ცვლილებები გასათვალისწინებელი არ არის (უთურგაძე, 1986, 4-6): რომელიმე ქვესისტემაში დღესაც რეალურად დადასტურებულ **მთ-იდ-გან** ფორმაში **-იდ** მოქმედებითი ბრუნვის ალომორფია, უცვლელი სახით გვაქვს **-გან** თანდებულის; ეს **-იდ** გვაქვს სალიტერატურო ქართულშიც, ცხადია, ანალოგიური დანიშნულებით. და თუ **-გან**-თანდებული აქ გამარტივების შედეგად **-ან** სახით ჩანს, ეს რატომ უნდა იყოს მის სტატუსში დაეჭვების მიზეზი?

რომც მოიხსნას ეს წინააღმდეგობები, მაინც პრობლემად რჩება სისტემაში ამ ფორმების მოთავსება: „ტრადიციული“ ფორმები მხოლოდ „სამიმართებო“ ფორმებია და ზოგადი სემანტიკის თვალსაზრისით ნეიტრალურია, ერთმანეთისგან არ განირჩევა: რაც არის „სახლ-ი“, იგივეა „სახლ-მა“, იგივეა „სახლ-ს“ და ა. შ. არ არის ეს ფორმები სემანტიკურად დატვირთული. ამას რომ შევადაროთ „სახლ-ში“, ადვილად შევამჩნევთ, რომ აქ სემანტიკური ნეიტრალურობა დარღვეულია, ამ ფორმით ნამდვილად იკითხება **ადგილის** სემანტიკა. „სახლ-ად“ სემანტიკურად ნეიტრალურია, მაგრამ „სახლამდე“ უკვე მარკირებულია „**მიწევნილობის**“ თვალსაზრისით; **სახლით** ნეიტრალურია, **სახლიდან** – მარკირებულია „**გამოსვლილობის**“ სემანტიკით.

ერთი სიტყვით, „ლოკალური ბრუნვები“ ამოვარდნილია „ტრადიციული“ ბრუნვების სისტემიდან არა მხოლოდ **სტრუქტურული**, არამედ **სემანტიკურ-ფუნქციური** თვალსაზრისითაც.

როგორც ჩანს, ამ სამი ბრუნვის გამოყოფა მორფონოლოგიურ-სტრუქტურულ თავისებურებებთან ერთად **ფუნქციური** პარამეტრების მიხედვითაც მოხდა (თუმცა ამასთან დაკავშირებით არ არის სპეციალური მსჯელობა) და ამაზე ბრუნვათა სახელებიც, სათანადო **ტერმინოლოგიაც** მეტყველებს: **გამოსვლითი**, **მიწევნითი**, **სადაობითი**. ამაზე მიუთითებს ის შენიშვნაც, სადაც **ში-ს** და **ზე-ს** განსხვავებულ **ფუნქციებზეა** მინიშნება: „**ში-ს** და **ზე-ს** ფუნქცია განსხვავებულია. შეიძლება ითქვას, რომ აქ არსებითად ორი ბრუნვა გვაქვს“ (შანიძე, 3, 75).

და თუ შეიძლება, მაშინ რატომ არ არის გამოყოფილი?

სხვა მხრიდანაც შეეხედოთ საკითხს:

გამოყოფილია, ერთი მხრივ, მიცემითი ბრუნვა, რომელიც **-ს** სუფიქსითაა მარკირებული (კაც-ს, დედა-ს...);

ცალკე გამოიყო მიცემითი ბრუნვა, რომელსაც ესა თუ ის თანდებული დაერთვის.

ამის გამო გვაქვს:

ერთი მხრივ, მიცემითის ძირითადი ფორმა: **დედა-ს, ძმა-ს...** გაურკვეველი დარჩა მიცემითის სტატუსი თანხმომავნეუმიანებთან (**კაც-თან, სახლ-თან...**): ბრუნვის ნიშანი **-თან** თანდებულის დართვისას არ ჩანს, – ამის გამო რა სტატუსი აქვს ამ ფორმას, **მიცემითია** თუ რაღაც სხვა ბრუნვა?

ლოკალურ ბრუნვათა გამოყოფის ლოგიკის მიხედვით **დედას, ძმას...** მიცემითია, ასევე მიცემითია **დედა-ს-თან, ძმა-ს-თან...** ხოლო **კაც-თან, სახლ-თან...** არ არის მიცემითი: „წაშლილია ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის“.

დავარქვათ **-თან** თანდებულის ბრუნვას პირობითად **„ნახევრადმიცემითი“**.

მეორე მხრივ, მიცემითისგან მიღებულია თანდებულის ფორმა, რომელსაც მორფონოლოგიური ცვლილებისა (თავი გავანებოთ იმ გარემოებას, რომ **-ს-ში** და **-ს-ზე** მორფმათა ზღვარზე სულაც არ არის არაკანონიკური კომბინაცია) და ფუნქციის გამო **„ადგილობითი“** ეწოდა, თანაც ეს **„ადგილობითი“** შეიძლება ორ ბრუნვად დიფერენცირდეს – „ფუნქციის გამო“. დავარქვათ ამ ბრუნვებს ადგილობითი¹ და ადგილობითი².

სახელობითი დარჩა **სახელობითად**: უთანდებულოცა (**კაც-ი...**) და თანდებულისა (**კაც-ი-ვით...**).

მოთხრობითი დარჩა **მოთხრობითად**.

ნათესაობითი დარჩა **ნათესაობითად**: უთანდებულოცა (**კაც-ის...**) და თანდებულისა (**კაც-ის-თვის, კაც-ის-გან, კაც-ის-კენ...**).

უთანდებულო **მოქმედებითი** (**კაც-ით...**) დარჩა **მოქმედებითად**.

მოქმედებითისგან **-გან** თანდებულის დართვით მივიღეთ ახალი ბრუნვა (**სახლ-იდან... წყარო-დან...**) და მას ფუნქციის მიხედვით დავარქვათ **გამოსვლითი**.

უთანდებულო **ვითარებითი** (**კაც-ად, დედა-დ...**) დარჩა **ვითარებითად**.

ვითარებითისგან **-მდე/-მდის** თანდებულის დართვით მივიღეთ ახალი ბრუნვა (**სახლ-ამდე, დედა-მდე...**) და მას ფუნქციის მიხედვით დავარქვათ **მიწვევითი**.

წოდებითი დარჩა **წოდებითად**.

სტრუქტურული და ფუნქციური ნიუანსების გათვალისწინებით გაცილებით ლოგიკური იქნება, თუ დანარჩენ **„ბრუნვებს“** ამ სისტემიდან გავიტანთ და მაშინ გვექნება:

„ნახევრადმიცემითი“ (სახლ-თან/მეტრო-ს-თან...)

ადგილობითი¹ (სახლ-ზე... მეტრო-ზე)

ადგილობითი² (სახლ-ში... მეტრო-ში...)

გამოსვლითი (სახლ-იდან... მეტრო-დან...)

მიწვევითი (სახლ-ამდე... მეტრო-მდე...).

ასეთ შედეგს იძლევა შემოთავაზებული საკლასიფიკაციო პრინციპების ბოლომდე გატარება, რაც აშკარად წინააღმდეგობრივია.

ამგვარივე მიდგომითა და ანალიზით სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულში ერთმანეთისაგან იმიჯნება თვისებისა და ფუნქციის მიხედვით განსხვავებული ერთეულები: ბრუნვის ნიშანს მირთული თანდებული (-ზე, -ში, -გან-, კენ...), ცალკე მდგომი თანდებული (მიერ, შესახებ, გამო, მიმართ...) და ნათესაობითის ფორმის განსაზღვრული ზმნისართი (წინ, უკან, ირგვლივ...), რომელსაც ზოგი მკვლევარი თანდებულად მიიჩნევს. ყოველივე ამის გათვალისწინებით გამოყოფილია **მარტივი** და **რთული** ბრუნვები და ეს უკანასკნელი შედარებით სრულად არის წარმოჩენილი:

მარტივი ბრუნვები:

ფუძე+0/ი: მიწა, კაცი

ფუძე+მ/მა/ნ: მიწა-მ, კაც-მა

ფუძე+ს: მიწა-ს, კაც-ს

ფუძე+ს(ი)/ის/0: წყარო-სი, კაც-ის

ფუძე+თი/ით: წყარო-თი, კაც-ით

ფუძე+დ/ად: წყარო-დ, კაც-ად

ფუძე+ო/ვ/0: წყარო-ვ, კაც-ო

რთული ბრუნვები:

მყოფობითი: ფუძე+სას/ისას: მარგო-სას, მეზობლ-ისას

დანიშნულებითი: ფუძე+სად/ისად: კაც-ისად; წყარო-სად,

ფუძე+სთვის/ისთვის/თვის: წყარო-სთვის, კაცი-სთვის

მსგავსებითი: ფუძე+სავით/ივით: მიწა-სავით, კაც-ივით

(აქვე: ფუძე+ებრ|||ისებრ)

საზედაო: ფუძე+ზე/სზე: კაც-ზე

საშიდაო: ფუძე+ში/სში: სახლში

თანაობითი: ფუძე+სთან/თან: დედა-სთან, კაც-თან

მიმართულებითი: ფუძე+სკენ/ისკენ: კაც-ისკენ, წყარო-სკენ

თანამდევრობითი: ფუძე+სთან/თანავე/ისთანა/ისთანავე: ჭამ-ისთანავე

დაწყებითი: ფუძე+დან/იდან: წყარო-დან, სახლ-ი-დან

თანხლებითი: ფუძე+||ითურთ: კაც-ითურთ

მიწვევითი: ფუძე+მდე||ამდე: წყარო-მდე, სახლ-ამდე

(ქართული, 2006, 167-168).

ყოველივე ამას მეგრულ-ლაზურის ბრუნვათა სისტემას თუ შევადარებთ, **სრულ ანალოგიას** ვიპოვით, – მხოლოდ განსხვავებული ინტერპრეტაციებით.

აქ, ერთი მხრივ, წარმოდგენილია ერთიანი სისტემა, აკაკი შანიძის „ლოკალურბრუნვებიანი“ სისტემის მსგავსი (იხ. ზევით). ლოკალური ბრუნვების როლში აქ **მიმართულებითი, დაშორებითი და დანიშნულებითი** გვხვდება.

ცალ-ცალკე განვიხილოთ ეს ბრუნვები:

დანიშნულებითი ბრუნვა საინტერესოა თავისი პრაქტიკულად მონოფუნქციურობის გამო (აქედან გამომდინარე, ტერმინი **დანიშნულებითი** ლოგიკურად არის შერჩეული). მისი ქართული შესატყვისია **-თვის** თანდებულიანი ფორმა (რომელიც ასევე მონოფუნქციურია): **კოჩ-იშ-ო** „კაცისთვის“, **ზადანა-შ-ო** „ზავშისთვის“, **მანქანა-შ-ო** „მანქანისთვის“, **ორტეინ-შ-ო** „ბოსტნისთვის“, **ოთახ-შ-ო** „ოთახისთვის“...

სათანადო მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ **მეგრ.-ო** სუფიქსი იმ ფუნქციას ასრულებს, რასაც **ქართ. -თვის** თანდებული; აქედან, ამ **ფუნქციური იგივეობიდან გამომდინარე**, ესენი **ერთი დონის მონაცემებია**, – მიუხედავად იმისა, რა ახსნა და კვალიფიკაციაც არ უნდა მიენიჭოს **-ო** სუფიქსს **წარმომავლობის** თვალსაზრისით.

დანიშნულების ფუნქცია ალტერნატიული ფორმითაც, ვითარებითი ბრუნვითაც, შეიძლება გადმოიცეს სისტემურად (სათანადო კონტექსტში): **ოკოზანტალ-ო, ოკითხე-თ, ოჭარალ-ო...** „უნდა დასახატ-ად, წასაკითხ-ად, დასაწერ-ად“...

აქაც ქართულის ანალოგიური ვითარებაა.

რაც შეეხება **R + იშ-ა/ R + იშ-აბ(ი)/R+ იშ-აბ(გ) და R+ ე** სტრუქტურებში წარმოდგენილ **-ა** და **-ე** სუფიქსებს: სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული მათი კვალიფიკაციისა და წარმომავლობის შესახებ (იხ.: ლომთათიძე, 1942; გუდავა 1947; დანელია, 2006; შეროზია, 1999; ონიანი, 1989; ლომთაძე, 1987; ჩუხუა, 2020; დადიანი, ფუტყარაძე, 2004; გაბუნია, 2007; ნაჭყებია, 2009 ...¹).

¹ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **-შ/-იშა** სუფიქსიანი სახელების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან, ბოლოკიდური **-ა** მხოლოდ და მხოლოდ ემფატიკური ხმოვანი შეიძლება იყოს (იხ. ნაჭყებია, 2009, 107). ამასთან დაკავშირებით იმის თქმა შეიძლება, რომ ჯერ ერთი, მეგრულ-ლაზურში **-ა** სუფიქსი საერთოდ არ გვხვდება ემფატიკური ელემენტის როლში; მეორე და უფრო მნიშვნელოვანი გარემოება ის გახლავთ, რომ ემფატიკურ **-ა**-ს არანაირი მორფოლოგიური ღირებულება არ გააჩნია არც ქართულში, ის არის სტილისტიკური მიზნებით ან არაკანონიკური კომბინაციის სუპერაციისთვის გამოყენებული წმინდა ფონეტიკური ელემენტი. **კაცს და ქალს / კაცსა და ქალს, კაცის და ქალის / კაცისა და ქალის** და ა. შ. აბსოლუტურად ერთნაირი ღირებულების გრამატიკული მონაცემებია. **-ა**-ს დართვა-დაურთველობა არაფერს ცვლის. აქვე „თავისებური (მეორეული) ბრუნვების“ კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული **დანიშნულებითი, მიმართულებითი** და

უნდა აღინიშნოს, რომ ესენი არ არის მონოფუნქციური ფორმები.

„მეგრულის ლინგვისტურ ანალიზში“ წარმოდგენილ ბრუნვათა პარადიგმებში **მიმართულებითი** ბრუნვის ფორმებად სახელდებული **ორტეინ-იშა** და **ჯოგ-იშა** ასეა თარგმნილი: „**ბოსტნისკენ**“, „**ჯოგისკენ**“. არადა, ასე ცალსახად ვერ გავიაზრებთ ამ ფორმებს; კონტექსტს გააჩნია, ყოველთვის არ არის წარმოდგენილი ფორმები **მიმართულების** სემანტიკით მარკირებული.

ნათ. ბრ.+ ა სტრუქტურით არაერთი ფუნქცია გამოიხატება:

ა) მიზანი:

თინა მეურს **ონადირუშა, ოჩხომუშა, ომუშებუშა, ოშუმუშა** ...
„ის მიდის სანადიროდ, სათევზაოდ, სამუშაოდ, დასალევად...“

ბ) მიმართულება:

მეურს **ცუდეშა, თეატრშა...** „მიდის სახლში (სკოლაში, თეატრში...)“

გ) ადგილი:

ორტეინიშა გეუჩანს „ბოსტანში უთესია“; **სტოლშა** გილუმუ „მაგიდაზე უდევს“; **დუდშა** გეუხე „თავზე უზის“... **კუჩხეფშა** გილებუნუ „ფეხებზე დაიკიდა“...

დ) დრო:

მეშენს **ოკმარეშა, ონჯუაშა...** სუმ **სათშა...** „მუშაობს დილამდე, საღამომდე... სამ საათამდე...“

ე) კუთვნილება-დანაშნულება/მოქმედების ადრესატი:

უთქულაუ **ოსურშა, სქუაშა, მეგობარშა...** „უთქვამს ცოლისთვის, შვილისთვის, მეგობრისთვის...“

სისტემურად გამოიყენება ასევე:

• **ფასის, ღირებულების აღნიშვნისას:**

გუმოჩანს, ყიდულებს სუმ **ლარშა**, ხუთ **დოლარშა**, ანთას **მანათშა...** ჰყიდის, ყიდულობს სამ ლარად, ხუთ დოლარად, ათას მანეთად...“

• **გუნება-განწყობის სემანტიკის ზმნებთან:**

ომკურუ **ჯოდორშა, კატუშა, გერშა...** „ეშინია ძაღლის, კატის, მგლის...“

ონჯლორე უჩქუ **დიდაშა, მუმაშა, ჯიმაშა...** „რცხვენია დედის, მამის, ძმის...“

• **ჯერობის აღნიშვნისას და, საერთოდ, არითმეტიკული ოპერაციების დროს:**

დაშორებით ბრუნვებს [ნაჭყებია, 2009, 97-108]: თუ ვამბობთ, რომ **-შ/-იშა** სუფიქსიანი სახელების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან“, ამასთან წინააღმდეგობაში მოდის განცხადება იმის შესახებ, რომ **დანაშნულებითი, მიმართულებითი და დაშორებითი** ბრუნვები „თავისებური (მეორეული)“ ბრუნვებია. **-შ/-იშა** სუფიქსიანი ფორმები ან **ნათესაობითი** უნდა იყოს, ან **ნანათესაობითარი (მეორეული)**.

ხუთშა ქოფთქვი თენა... „ხუთჯერ ვთქვი ეს“ ... **სუმშა** შკვითი რე ე-
დოართი... „სამჯერ შვიდი არის ოცდაერთი“ ... ვითოხუთი გოფრთათ **სუმ-**
შა რე ხუთი... „თხუთმეტი გავყოთ სამზე არის ხუთი“...

სხვა ფუნქციებზეც შეიძლება მსჯელობა¹.

ასევე პოლიფუნქციურია **ნათ. ბრ. + ე** სტრუქტურა, რომლითაც
გადმოიცემა:

- **გამოსვლითობა:** მოურს: **სკოლაშე, სამსახურშე, სტადიონშე...** მო-
დის სკოლიდან, სამსახურიდან, სტადიონიდან...

- **საწყისობა დროში:** მუშენს **ოკმარეშე, ჭუმეშე, თუთაშაშე...** მუშა-
ობს დილიდან, ხვალიდან, ორშაბათიდან...

- **წარმომავლობა:** თინა რე **ქალაქშე, სოფელშე...** ის არის ქალაქიდან,
სოფლიდან...

- **მოქმედების მიზეზი:** კანკალანს **ჩხურუშე, შიშიშე...** კანკალებს სი-
ცივისგან, შიშისგან... (**თქუალაშე** კოს ნორცხვა ვეკოცენსია „თქმისაგან კაცს
ნაკვერჩხალი არ ამოუცვივდებაო“; კოჩი **ონჯღორეშენ** ვანოლურუე „კაცი
სირცხვილისგან არ მოკვდება თურმე“)...

- **ადრესაციის წყარო:** მილუ **ჯიმაშე, მეგობარშე...** მაქვს ძმისგან, მე-
გობრისგან... (მუთი **შხვაშე** გეწყინებუნი, სით ვალოლა შხვასია „რაც სხვის-
გან გეწყინება, შენც ნუ უზამ სხვასო; **ჩიჩიეშე** ჩიჩიეს (ჩიჩურს) მელუდავა
„გლახისაგან სიგლახეს მოელოდეო“)...

- **მასალა:** აკეთენა **ოქროშე, ვარჩხილშე...** აკეთებენ ოქროსგან, ვერ-
ცხლისგან...

- **შედარება:** **თხაშე** ნაკლები... „თხაზე ნაკლები“ ... (თხა **თხაშე** ნაკლე-
ბი ტურას უჭკომუდასია „თხა თხაზე ნაკლები ტურას შეჭამოსო“; უდუპა-
ტიჟებუ სტუმარი **ჯოღორშე** ვარესიენია „დაუპატიჟებელი სტუმარი ძალ-
ზე უარესი არისო“; ნოხირიში შიმანახებელი **მახინჯიშე** ვარესი რენია „ნა-
ქურდალის შემნახველი ქურდზე უარესი არისო“)...

- **მიმართულება:** ტურა ღურუდუ დო **ოქოთომეშე** მეულუდუ დუდი
(ხალხ. 129) „ტურა კვდებოდა და საქათმისკენ მიჰქონდა თავი“...

ასე რომ, **ნათ. ბრ. + ადა ნათ. ბრ. +** ესტრუქტურის მქონე სახელების
ფუნქციონირების სპექტრი გაცილებით ფართოა და აქ მეტი სისტემური
დატვირთვის შემთხვევები იკვეთება.

შენიშვნა: საზოგადოდ, ტერმინის შერჩევა ფუნქციის მიხედვით გა-
მართლებული და მარტივი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, როცა ეს ფორ-

¹ ზოგჯერ ჭირს ამა თუ იმ ფუნქციის დაკონკრეტება; მაგ.: ართი **ბარჯგიშა**
ლობერი ვემკილობენია „ერთი სარისთვის ღობე არ მიიღობება...“ **კუჩხიშა**
ვეგირინე „ფეხზე ვერ დგება“... **ხანგაშა** ჭკუა ველედვინე გიჟს ჭკუაში ვერ
აჰყვები... **ჯიგირშა** სკან სიზმარი... „კარგისთვის შენი სიზმარი („კარგად აგიხდეს
შენი სიზმარი“); **დროშე** მოჭკირილი სიტყვა დროშე მორქიებულ ლეკურსუჯგუნია
„დროზე მოჭირილი სიტყვა დროზე მოქნეულ ხანჯალს ჯობიაო“...

მა **მონოფუნქციურია**. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ წოდებითი, – მას მხოლოდ **მოწოდების, მიმართვის** ფუნქცია აქვს (შეიძლებოდა რქმეოდა **„მიმართვითიც“** – არც ეს გამოიწვევდა გაუგებრობას, – ტერმინის მთავარი ღირსება სწორედ მკაფიოობაა). „კარგად შედგენილი ტერმინი უთუოდ უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შესაბამის საგანსა თუ მოვლენაზე. ამიტომ ისეთი ტერმინია მიჩნეული იდეალურად, რომელიც გამჭვირვალეა თავისი შინაარსის მიხედვით და საშუალებას გვაძლევს ადვილად ამოვიკითხოთ ის მნიშვნელობა, რომელიც მის შესაბამის ცნებას გააჩნია. ამისათვის საჭიროა ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობა ემთხვეოდეს მის ნამდვილ მნიშვნელობას“ (ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986, გვ.14).

სამ ჯგუფად ყოფენ ტერმინებს: ა) სწორად მათრიენტირებელი ტერმინები ბ) ნეიტრალური ტერმინები და გ) ცრუ მათრიენტირებელი ტერმინები [იხ. ლოტე, 1961, 19]. „ტრადიციული“ ბრუნვებისთვის შერჩეული ტერმინები **ნეიტრალური** ტერმინებია (მონოფუნქციურ წოდებითს თუ არ მივიღებთ მხედველობაში), ლოკალური ბრუნვების აღმნიშვნელი ტერმინები – **მათრიენტირებელი** ტერმინებია. ვფიქრობთ, ცრუ მათრიენტირებელი ტერმინის კარგ ილუსტრაციად გამოდგება **„გარდაქვევითობა“**: ტერმინი შერჩეულია იმ ფუნქციის მიხედვით, რომელიც სახელს შეიძლება ჰქონდეს ერთადერთ კონტექსტში – **„/გადა/იქცა“** ზმნასთან კომბინაციაში (!) **წყლად /გადა/იქცა, ახალგაზრდად /გადა/იქცა...** თუმცა რატომღაც ითვლება, რომ ეს არის მისი ძირითადი/უმთავრესი ფუნქცია.

სათანადო ტერმინის საკითხი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის დროსაც, ცხადია, აქტუალურია და ის გარკვეული ლინგვისტური ლოგიკის მიხედვით უნდა შეირჩეს. **R + იშ-ა/ R + იშ-ახ(ი)/R+ იშ-ახ(გ)** და **R + იშ-ე** სტრუქტურებით სხვადასხვა სემანტიკური ინფორმაცია გადმოიცემა.

ფაქტი ის არის, რომ **ფუნქციურ-სემანტიკური** თვალსაზრისით ეს ელემენტები ნათესაობითის ფუძეს პრაქტიკულად იმგვარსავე სემანტიკას ანიჭებენ, როგორსაც *ქართ.* ნათესაობითის **-თვის/-გან/-კენ** თანდებულები, ამდენად, კვლევის მიმართულებასა და სავარაუდო დასკვნებსაც შესაძლოა ეს გარემოება გარკვეულწილად განსაზღვრავდეს კიდეც.

მეგრ.-ლაზ. **კოჩ-იშ-ა/-ე/-ო(თ)** და *ქართ.* **კაც-ის/-თვის/-გან/-კენ** ზუსტი მორფოლოგიური შესატყვისობებია. სემანტიკური მიმართებების თვალსაზრისითაც ერთნაირი სურათი იკვეთება.

სრულიად აშკარაა, რომ **კოჩ-იშ-ო, კოჩ-იშ-ა, კოჩ-იშ-ე** სტრუქტურის თვალსაზრისით სხვაა, ვიდრე **კოჩ-ი, კოჩ-ქ, კო-ს, კოჩ-იშ...** – ეს არის **ნათესაობითის საყრდენ ბაზაზე დაშენებული ფორმები, რომლებითაც ხან მიმართულება გამოიხატება, ხან - დაშორება, ხან - დანიშნულება და ა. შ.**

თუ **ფუნქციური სპექტრიდან** ამოვალთ, მივიღებთ იმდენ **„ბრუნვას“**, რამდენი ფუნქციაც დაუდგინდება თითოეულ ფორმას:

დანიშნულებითს, დაშორებითსა და მიწევნითს სხვადასხვა მკვლევართან ემატება **მსგავსებითი, თანაობითი, შედარებითი, მიზნის** და სხვა

ბრუნვები (იხ. ზევით). როგორც აღინიშნა, ყველა ამ ბრუნვას აქვს საერთო სტრუქტურა: **ნათესაობითი ბრუნვის ფორმა + თანდებულები**. ყოველ შემთხვევაში, საყრდენი მორფემა რომ ამ შემთხვევაში ნათესაობითია, ეს უდავოა. ის ელემენტები, რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მერე ვლინდება, თავისი სემანტიკურ-ფუნქციური პარამეტრების მიხედვით **თანდებულები** ჩანს. გრამატიკული სტრუქტურისა და როლის მიხედვით ეს არის **თანდებულიანი ნათესაობითი**, წარმოდგენილი ძირითადად შემდეგი მოდიფიკაციებით:

R+ იმ-ა/**R+** იმ-ახ(ი)/**R+** -იმ-ახ(ე)

R+ე

R+ო(თ)

R+ იწ-კელა/**R+** იწ-კალა/**R+** იწ-კუმა/**R+** იწ-კგმა

R+ იჯ-გურა/**R+** ჩ-იჯ-გუა

R+ იმ-ორო

R+ იმ-ე-ნი

რიგ ავტორებთან ბრუნვათა **სტრუქტურულ-ფუნქციური სპეციფიკის** გათვალისწინებით ცალკეა გატანილი **თანდებულიანი** ბრუნვები (იხ. ზევით). ანუ, ვთქვათ, **კოჩ-იმ-ოთანდებულიანი** ნათესაობითი კი არ არის, არამედ სხვა ბრუნვა, – **დანიშნულებითი (ფუნქციის მიხედვით)**.

გამოყოფენ ბრუნვების კიდევ ერთ წყებას, – **ნანათესაობითარ** ბრუნვებს (იხ. ზევით), რაც, ჩვენი აზრით, ასევე **არასწორი ანალიზის** შედეგია.

რას ნიშნავს **ნანათესაობითარი** ბრუნვა?

ნანათესაობითარი ანუ **ნაგენიტივარი** ფორმებია:

ქართ. თბილის-ი, ქუთაის-ი, შინდის-ი... საწყის-ი, ვაკის-ი, მილის-ი, ჯაგრის-ი, საკაწრის-ი, საჭრის-ი, უჯრედის-ი...

მეგრ. ქუთემ-ი, ცაიმ-ი, ჯიხაიმ-ი, ჯიხაიმ-ი, ჩხოუმ-ი, ჩხენიმ-ი, ონჭეიმ-ი, ოყურემ-ი, ლაგვამ-ი... თიმ-ი (მისი), მუმ-ი (მისი) თინეფიმ-ი (მათი), მუნეფიმ-ი (მათი)...¹

ჩამოთვლილი ფორმები არის **არანათესაობით-სახელობითი**, არამედ **სახელობითი**. ამათი **ფუძეარის** *ქართ.* **თბილის-, ქუთაის-, შინდის-...** *მეგრ.* **ქუთემ-, ცაიმ-, ჯიხაიმ-...**

¹ შდრ.: ქართული კუთვნილებითი ნაცვალსახელები: **მისი, თვისი, ვისი, მათი**. ესენი წარმოშობით ნანათესაობითარი ფორმებია, მაგრამ მათ დიდი ხანია (უკვე ძველსავე ქართულში) დაკარგული აქვთ ნათესაობითის გაგება. „კუთვნილებით ნაცვალსახელებს გენიტივის გაგება აღარ აქვთ. მართლაც, არ შეიძლება ითქვას, რომ „**მისი**“, „**მათი**“, „**სხვისი**“ და მისთანა ორმაგი ბრუნვის გაგებას გვაძლევდნენ (ნათ-სახელობითისას); არა, ესენი ცალმაგი ბრუნვის ფორმებია, მათი ფორმაა სახელობითი. ამის გამო მათში შემავალი **ის** და **თ** წარმოქმნის ელემენტებად უნდა ვცნათ“ (შანიძე 1953, 116).

ნანათესაობითარი სახელი დერივატია და **აქ დერივაციული აფიქსის როლში სწორედ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი გვევლინება, ფუძეში გადასული ფლექსიური ელემენტი.**

ქართულში სხვა ბრუნვის ნიშანიც შეიძლება შეგვხვდეს სიტყვამაწარმოებელი სუფიქსის ფუნქციით:

- **-ად/-დე:** გულ-ად-ი, პურ-ად-ი... მესამე-დ-ი... კლება-დ-ი, აალება-დ-ი, ჭედა-დ-ი, წებვა-დ-ი, ზრდად-ი...

- **-ით:** არსებ-ით-ი, დროებ-ით-ი, შემთხვევ-ით-ი, გაცვლ-ით-ი, შედეგობ-ით-ი, შთანთქმ-ით-ი, სიბრტყ-ით-ი, მხაზველობ-ით-ი...

თუ ფორმის წარმომავლობაზე ვაკეთებთ აქცენტს, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

ნანათესაობითარია (ნაგენიტივარია) თბილის-ი...

„ნავითარებითარია“ გულად-ი...

„ნამოქმედებითარია“ არსებით-ი...

„ნამოქმედებითარ-ნავითარებითარია“ გულითად-ი...

მაგრამ ფორმაწარმოებისთვის სიტყვის წარმომავლობას, ფუძის სტრუქტურაში შემავალ დერივაციულ თუ სხვა ელემენტებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამ სისტემისთვის **თბილის-ი, გულად-ი, შემთხვევით-ი, მექათმე, კახელ-ი, იმერულ-ი, უწიგნურ-ი... და კაც-ი, ქალ-ი, დედა, ბავშვ-ი...** აბსოლუტურად ერთი ღირებულების **ფლექსიური** მასალაა, სადაც გამოიყოფა ფუძე (**თბილის-, გულად-, შემთხვევით-, მექათმე, კახელ-, იმერულ-, უწიგნურ-... კაც-, ქალ-, დედა, ბავშვ-...**) და ბრუნვის ნიშანი **-ი**.

„ხელახლა ბრუნებისას“ **„პირველადი“ ბრუნვის ნიშანი** ფუძეში გადარიცხა და ისეთივე დერივანტი ხდება, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგ ნიმუშებში წარმოდგენილი სიტყვამაწარმოებელი აფიქსები: **საგანძურ-ი – საგანძურ-მა... უწიგნურ-ი – უწიგნურ-მა... ცოლიან-ი – ცოლიან-მა...**

სახელი, ჩვეულებრივ, **ორი ძირითადი ელემენტი**თარის წარმოდგენილი: **ფუძე + ბრუნვის ნიშანი**. სახელობითი ბრუნვის მარკერია **-ი** ან **ნუ-ლი**. სხვა საშუალება სახელობითი ბრუნვის საიდენტიფიკაციოდ არ არსებობს, – არ არის ამის საჭიროება. ასევეა სხვა ბრუნვებში: **R-მა/-მა** სტრუქტურა **მოთხრობითი** ბრუნვის შესახებ იძლევა ინფორმაციას და ა. შ.

არცერთ ფორმას არ სჭირდება **ჭარბი ნიშანი; ერთი ნიშანი** სავსებით საკმარისია სახელის ფუძის გასაფორმებლად, ფორმის საიდენტიფიკაციოდ; იმისათვის, რომ ბრუნვის ფორმაზე ვიმსჯელოთ, „ბრუნვის ნიშნად გამოყოფილი როგორც ფორმალურად, ისე გრამატიკული ფუნქციის თვალსაზრისით უნდა გამოხატავდეს ბრუნვას. ასეთი მიდგომის შედეგად ბრუნვის ნიშანთა არანჭირების წესი ქართული ენის ბრუნების სისტემაში შეიძლება წარმოვადგინოთ ერთი დებულებით: ბრუნვის ნიშნები სახელთა ფორმებში ერთიმეორეს არ მოსდევენ“ (უთურგაძე, 1983, 5).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დებულება: „ბრუნვიან ფორმათა მთლიან სისტემაში, როდესაც ბრუნვის ნიშნის წინ სხვა ბრუნვის ნიშანი მოექცევა,

ეს უკანასკნელი ბრუნვის გამოხატვის ფუნქციას კარგავს და მაშინვე რეინტერპრეტირდება წარმოქმნის ელემენტად“ (უთურგაიძე, 1983, 6).

ბრუნვის შესახებ ინფორმაციას იძლევა ერთი ფლექსიური ელემენტი – ეს არის **აუცილებელი** და ამავე დროს სავსებით **საკმარისი პირობა** იმისათვის, რომ ფორმის გრამატიკული შეფასება და იდენტიფიცირება მოხდეს.

სხვა ვითარებაა სიტყვაწარმოების სისტემაში, სადაც არ არის დაუშვებელი ორმაგი და სამმაგი **დერივაციული აფიქსაცია**; ვეულებრივია ასეთი კომბინაცია: **-იან-ობა, -იერ-ობა, -ელ-ობა, -ურ-ობა, -იან-ური, სა-იან (<სა-ე -იან), -ოსნ-ურ (<ოსან-ურ), -ით-ობა...**

როდესაც გვაქვს **დერივანტი + დერივანტი** კომბინაცია, ორივე აფიქსი ინარჩუნებს თავის ფუნქციას; ვერ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში რომელიმე სემანტიკური მიმართულების დომინაცია შეინიშნებოდეს: **„ქალაქ-ელ-ობა“** არ არის სახელი, დატვირთული მხოლოდ **წარმომავლობის** ან მხოლოდ **აბსტრაქტულობის** შესახებ ინფორმაციით; უფრო რთულია მისი სემანტიკური სტრუქტურა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს ორი სხვადასხვა **ინფორმაციის სინთეზი**.

აქედან გამომდინარე, ამგვარ, ორმაგად მარკირებულ დერივანტებში, დგება სათანადო კვალიფიკაციის საკითხი, – ამის გათვალისწინება კი **ახალ დერივაციულ ჯგუფებს** გამოგვაცოფინებს. ეს ჯგუფებია:

წარმომავლობა-აბსტრაქტულობის სახელები: ქალაქ-ელ-ობა, სოფლ-ელ-ობა... თელავ-ელ-ობა, თბილის-ელ-ობა... ქალაქ-ურ-ობა, სოფლ-ურ-ობა... თელავურ-ობა, თბილის-ურ-ობა...

ქონება-წარმომავლობის სახელები: ჯვარ-ოსან-ი > ჯვარ-ოსნ-ულ-ი... ხალხ-ოსან-ი > ხალხ-ოსნ-ურ-ი... ჭკვ-იან-ი > ჭკვ-იან-ურ-ი... გონ-იერ-ი > გონი-იერ-ულ-ი

დანიშნულებით-ქონებითი: სა-თვალ-ე > სა-თვალ-იან-ი... სა-ყურ-ე > სა-ყურ-იან-ი... საბარგ-ულ-ი > სა-ბარგ-ულ-იან-ი... სა-გზ-ურ-ი > სა-გზ-ურ-იან-ი

უქონლობა-აბსტრაქტულობის სახელები: უფულობა (<უფულო-ობა), უსახლკარობა (უსახლკარო-ობა)... უკაცობა (უკაცო-ობა, უქალობა (უქალო-ობა)...

როგორც აღინიშნა, შესაძლოა **სამსაფეხურიანი** დერივაცია: ჭკვ-იან-ი > ჭკვ-იან-ურ-ი > ჭკვ-იან-ურ-ობა... გონ-იერ-ი > გონი-იერ-ულ-ი > გონ-იერ-ულ-ობა... სამოც-იან > სამოც-იან-ელ-ი > სამოც-იან-ელ-ობა...

ასე რომ, ნაგენიტივარი/ნანათესაობითარი და ბრუნვის ნიშნებით ნაწარმოები სხვა სახელები ფორმაცვალების თვალსაზრისით არაფრით არ იქნება განსხვავებული არადერივატებისაგან.

ერთი სიტყვით, **ნანათესაობითარია წარმომავლობის** თვალსაზრისით, მაგრამ ორდინარული **სახელობითია** ჯიხაიშ-ი, ცაიშ-ი... **მოთხრობითია** ჯიხაიშ-ი, ცაიშ-ი... და ა. შ.

თანდებულებიანი ნათესაობითია: ჯიხა-შ-ა/ჯიხა-შ-ე/ჯიხა-შ-ო/ჯიხა-წ-კუმა/ჯიხა-შ-ორო...

სხვაგვარად:

ნანათესაობითარია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი სახელი, დერევატი, რომელსაც ყველა ბრუნვის ფორმა აქვს.

თუ მხოლოდ ერთ კონკრეტულ ბრუნვას დაერთვის ესა თუ ის ელემენტი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში თანდებული ან თანდებულის ფუნქციის მქონე ეს ელემენტი მართავს სახელს, მოითხოვს მისგან **კონკრეტული ბრუნვის (მეგრულ-ლაზურის შემთხვევაში ნათესაობითი) ფორმას, მართავს მას ამ ბრუნვაში.** სინტაქსურად ამ შემთხვევაში სწორედ **მართვა** გვაქვს.

ამ გარემოების გათვალისწინებით ზემოთ წარმოდგენილ პარადიგმაში **ნანათესაობითარ ბრუნვებად** კვალიფიცირებული ფორმები **ნათესაობითის ფორმებად** უნდა გადაკვალიფიცირდეს, **თანდებულისა და ნათესაობითის** ფორმებად.

ბუნებრივია, რომ როგორც უთანდებულო, ისე თანდებულისა ფორმების **ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზისას** მივმართავთ სათანადო ტერმინოლოგიასაც: **დაშორება, მიწვევითობა, მიმართულება, დანიშნულება...**

ვფიქრობთ, ლოგიკური ჩანს მეგრულ-ლაზურის ბრუნვათა სისტემის ამ სახით წარმოდგენა:

მეგრული

სახელობითი	კოჩ-ი
მოთხოვითი	კოჩი-ქ/კოჩ-ქ
მიცემითი	კოჩი-ს/კო-ს
ნათესაობითი	კოჩ-იშ
მოქმედებითი	კოჩ-ით
ვითარებითი	კოჩ-ო

ლაზური

სახელობითი	კოჩ-ი
მოთხოვითი	კოჩი-ქ
მიცემითი	კოჩი-ს
ნათესაობითი	კოჩ-იშ
მოქმედებითი	კოჩ-ით

მეგრულ-ლაზურის შემთხვევაში საინტერესო და **ქართულისგან გამორჩეული** ის არის, რომ თანდებულებისთვის საყრდენ მორფემად პრაქტიკულად **მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვაა** გამოყენებული, თანდებულებით და აქედან გამომდინარე ფუნქციურ-სემანტიკური პალიტრით მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვაა გამორჩეული, სხვა ბრუნვებთან თანდებულები არ გვხვდება.

ქართულის მსგავსად აქაც შეიძლება ბრუნვის ფორმა **ნაწილაკიანი** იყოს, თუმცა, ცხადია, ამის გამო, მას ძირითად თუ ერთიან პარადიგმაში არ წარმოვადგენთ (როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთია **დირის** სისტემა, რო-

მელიც აერთიანებს უთანდებულო, თანდებულიან და ნაწილაკიან ფორმებს).

თანდებულიანი და ნაწილაკიანი ფორმები არ არის ძირითადი ფორმები, თანდებულის და ნაწილაკის სახელს დამატებითი გრამატიკულ-სემანტიკური ნიუანსებით ტვირთავს, ამიტომ ამგვარი ფორმები **ამოსავალი-თუ საბაზისო პარადიგმის** მიღმა რჩება.

სისტემაში არ არის **წოდებითი** ბრუნვა. არც მეგრულში, არც – ლაზურში.

წოდებითის ადგილს მკვლევართა ნაწილი ვერც ქართულ სათანადო სისტემაში ხედავს:

არნ. ჩიქობავა:

„ტრადიციით გამოყოფენ წოდებით ბრუნვასაც... ესაა მიმართვის ფორმა. ის არ უკავშირდება არც ზმნას, არც სახელს; მას შეიძლება ჰქონდეს მსაზღვრელად სახელი (ძვირფასო ძმამო!). მაგრამ მსაზღვრელიანია თუ ცალკე აღებული მიმართვა, იგი წინადადების ორგანულ ქსოვილში არ შედს: წინადადებაში სასვენი ნიშნითაა გამოყოფილი“ (ჩიქობავა, 1998, 27).

ვ. თოფურია:

ა) რუსულში ამოიღეს ეს ბრუნვა... რუს ენათმეცნიერებს წოდებითი მიაჩნიათ ფორმად და არა ბრუნვად (თოფურია, 1956, 37-39); ბ). წოდებითი განსხვავდება სხვა ბრუნვათაგან წარმოშობით; -ო სუფიქსს არა აქვს ფუძის მარედუცირებელი ძალა (იქვე, 42); გ). წინადადებაში წოდებითის ადგილი არ არის სტაბილური: ეს ხან თავშია, ხან შუაში, ხან – ბოლოში; დ). წოდებითს ძახილის ინტონაცია ახასიათებს და ამით გამოირჩევა სხვა ბრუნვათაგან; ე). წოდებითი არ აღნიშნავს დამოკიდებულებას ზმნასთან, ხოლო სახელთან მხოლოდ შეთანხმება აკავშირებს (და არა მართვა) (იქვე, 46).

აკაკი შანიძე მიიჩნევს, რომ წოდებითში დასმული სახელისთვის ჩვეულებრივია სინტაქსური კავშირი სხვა სახელებთან. „ჩემო კარგო მეგობარო“ ბრუნვაში შეთანხმების ნიმუშია, შეთანხმება კი სინტაქსური კავშირის ერთ-ერთი სახეობაა (შანიძე, 1981, 467).

არა აქვს **მიმართვის ფუნქციის** გამოსახატავად მეგრულ-ლაზურს **სპეციალური ფორმა**, ამ როლს სახელობითი ბრუნვა ითავსებს (ისევე, როგორც, მაგ., ანთროპონიმთა და გვარსახელთა ნაწილში ქართულში: სალომე – სალომე!... ახალაია – ახალაია!...), **ამიტომ არ არის** ამ სისტემაში წოდებითი ბრუნვა.

მაგრამ „თუ რომელიმე ენა სახელთა ფორმებში გვიჩვენებს საკუთარ ფორმას მიმართვისთვის, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ენას მოეპოვება გრამატიკული კატეგორია წოდებითი ბრუნვისა, დიალ, ბრუნვისა“ (შანიძე, 1981, 472).

ბუნებრივია, დაისვას კითხვა და ასეთ კითხვას სვამს ა. შანიძე: გავანებოთ ყველაფერს თავი და „ამოვიღოთ წოდებითი ბრუნვათა რიგიდან. სად გადავიტანოთ? სად იქნება მისი ადგილი გრამატიკაში?“ (შანიძე, 1981, 467).

სიტყვაწარმოებაში? – არის ასეთი „შემოთავაზება“. არა, რა თქმა უნდა. სავსებით ვიზიარებთ ა. შანიძის ამ და სხვა არგუმენტაციას წოდებითის სტატუსთან დაკავშირებით.

კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის, კაც-ით კაც-ად, კაც-ო სხვადასხვა სიტყვებია? სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებია? ცხადია, არა.

რაც შეეხება ვითარებით ბრუნვას:

რატომ არ ჩანს ვითარებითი ბრუნვა ლაზურის ბრუნვათა სისტემაში? იმის გამო, რომ ვითარებითის ფორმები **სინქრონიულ დონეზე** პრაქტიკულად არ დასტურდება. ამგვარ ფორმათა **რაოდენობა** იმდენად მჭირი და არამასშტაბურია, რომ ეს **თვისებრიობაში** არ გადადის და გრამატიკული სტატუსის საფუძველი ვერ ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ: არ არის ვითარებითი ბრუნვის ფორმები – იმიტომ, რომ ამგვარი ფორმების **საჭიროება** ამ კონკრეტულ ენობრივ სისტემასა თუ ქვესისტემაში დღეს არ არსებობს. ის ფუნქციები, რა ფუნქციებითაც ქართულსა და მეგრულში ვითარებითი ბრუნვის ფორმა დატვირთული, სხვაგვარად, სხვა ენობრივი საშუალებებით გამოიხატება.

უმეტეს შემთხვევაში ვითარებითის ალტერნატივად სხვადასხვა ფორმა (ხშირად სახელობითი) გვხვდება (რაც თურქულის გავლენას უნდა მიეწეროს):

არ ოხოიშა ქომოხთუ ფოსტი გოთვალეი დო **ხეზმეჟაი** ქემზდით-მა „ერთ სახლში მოვიდა ტყავგადაფარებული და მოსამსახურედ ამიყვანეთო“ (ასათ., 1974);

ბერე **ჩიჩელი** დივუ „ბიჭი ყვავილად გადაიქცა“ (დიუმეზ., 2009)...

ერთი საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით გამართული პარადიგმა, როგორც წესი, **საერთო ფუძეს, საერთო წარმოებას** ემყარება. საკითხი მართივად წყდება იმის მიხედვით, თუ რამდენი საერთო სტრუქტურის ფუძე ერთიანდება ერთ სისტემაში.

კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის, კაც-ით, კაც-ად, კაც-ო – 7 საერთო ფუძეა, რომელთაც ბრუნვათა საიდენტიფიკაციო ნიშნები, **სპეციალური ფლექსიური მარკერები** განასხვავებს.

მეგრულში 6 საერთო ფუძეა, რომელთაც ბრუნვათა საიდენტიფიკაციო ნიშნები, **სპეციალური ფლექსიური მარკერები** განასხვავებს: **კოჩ-ი, კოჩ-ქ, *კოჩ-ს/კოჩი-ს, კოჩ-იშ, კოჩ-ით, კოჩ-ო**.

ლაზურში 5 საერთო ფუძეა, რომელთაც ბრუნვათა საიდენტიფიკაციო ნიშნები, **სპეციალური ფლექსიური მარკერები** განასხვავებს: **კოჩ-ი, კოჩ-ქ, *კოჩ-ს/კოჩი-ს, კოჩ-იშ, კოჩ-ით**.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით ქართულში 7 ბრუნვა უნდა გამოიყოს, მეგრულში – 6, ლაზურში – 5.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შეიძლება იყოს თანდებულიანი. დავაზუსტოთ: მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შეიძლება იყოს აქ თანდებულიანი.

ბრუნვის ფორმებთან შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნაწილაკი.

ლიტერატურა

გაბუნია 2007 – ვ. გაბუნია, ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში, თბ., 2007.

გუდავა 1947 – ტ. გუდავა, ერთი აფხაზური თანდებული ზანურში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ.8, N 3, თბ., 1947.

დადიანი, ფუტკარაძე 2004 – დადიანი ე., ფუტკარაძე ტ., თანდებულთან ბრუნვათა საკითხისათვის თანამედროვე ზანურ დიალექტებში, ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთ., 2004.

დანელია 2006 – ვ. დანელია, კოლხური (მეგრულ-ლაზური ენა), თბ., 2006.

თოფურია 1956 – ვ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის, სბი, ი, თბ., 1956.

კარტოზია..., 2010 – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“, თბ., 2010.

კიზირია 1967 – Кизирия А., Занский язык, Языки народов СССР 4, Иберийско-кавказские языки, М., 1967.

ლომთათიძე 1942 – ქ. ლომთათიძე, კითხვითი ფორმები აფხაზურში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ.III, N9, თბ., 1942.

ლომთაძე 1987 – ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბ., 1987.

ლოტე 1961 – Лотте, Основы построения научно-технической терминологии, М., 1961.

ნაჭყებია 2012 – მ. ნაჭყებია, ქართველური სახელის ბრუნების პარადიგმა, თბ., 2012.

ნაჭყებია 2009 – მ. ნაჭყებია, სახელის ბრუნების პარადიგმა მეგრულ-ლაზურში, თბ., 2009.

ონიანი 1989 – ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.

უთურგაძე 1983 – თ. უთურგაძე, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.

უთურგაძე 1986 – თ. უთურგაძე, ქართული ენის სახელის მორფო-ნოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

ფუტკარაძე 1997 – ტ. ფუტკარაძე, ბრუნება როგორც სახელის ფორმათწარმოების ერთ-ერთი ასპექტი (სახელის სინთეზისა და ანალიზის ფორმალიზებული მოდელებისათვის): გ. როგავას საიუბ. კრებ., თბ., 1997.

ქართული ენის ისტორია 2006 – ქართული ენის ისტორია, ტ. ფუტკარაძის საერთო რადაქციით, ქუთ., 2006, 167-168.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2001.

ქირია 2015 – ჟ. ქირია,ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბ., 2015.

დამბაშიძე 1986 – რ. დამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986.

ყიფშიძე 1994 – Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка, თბ., 1994.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზ. ტ. 3, თბ., 1980.

შანიძე 1981 – ა. შანიძე, წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში, თხზ., ტ.2. თბ., 1981.

შეროზია 1999 – რ. შეროზია, კვლავ -ხ თანდებულის წარმომავლობისათვის მეგრულ-ლაზურში, ქუთაისური საუბრები, 7, სიმპოზიუმის მასალები, ქუთ., 1999.

ჩიქობავა 2010 – არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, შრომები, II, თბ., 2010.

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

ჩიქობავა 1961 – არნ. ჩიქობავა, თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1961.

ჩიქობავა 1998 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება“, თბ., 1998.

ჩუხუა 2020 – მ. ჩუხუა, ზოგი თანდებულიანი ბრუნვისა და ფორმის შედგენილობისათვის ლაზურ-მეგრულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XV, თბ., 2020.

ხალხ., 1994 – რ. შეროზია, ო. მემიშიში, მეგრული და ლაზური ანდაზები, თბ., 1994.

Chabuki Kiria

The Issue of Optimizing the CaseSystem in Megrelian-Laz

Summary

The case system of Megrelian-Laz is classified differently by various scholars. Three main versions of classification are generally distinguished:

1. A unified system that includes both “basic” cases and cases “with postpositions”;
2. A two-group system dividing forms into “simple” and “complex” cases;
3. A three-group system consisting of a) “basic” cases, b) “secondary” (or c) cases with postpositions. genitive-derived) cases, and

A paradigm based on a single classification marker is usually constructed through a common base, a common production. The issue is easily resolved depending on how many common structural bases are united in one system.

Taking these circumstances into account, the forms qualified as the genitive-derived cases presented in the existing case paradigm should be requalified as the genitive forms, in particular, the genitive forms with postpositions. These forms are the derivatives.

The following forms are the genitive ones with postpositions and not genitive-derived or other secondary forms: R+ iſ-a / R+ iſ-ax(i) / R+ -iſ-ax(ა) / R+ c / R+ o(t) / R+ ič-ḱcla / R+ ič-ḱala / R+ ič-ḱuma / R+ ič-ḱoma / R+ iſ-oro / R+ iſ-c-ni, etc.

In Megrelian, six case forms should be distinguished, while in Laz, five. Unlike Georgian, Megrelian lacks the nominative case, and Laz lacks both the adverbial and the nominative cases.

ხათუნა ყანდაშვილი

პეტრე მირიანაშვილი სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის სადარაჯოზე

მე-19 საუკუნეში დაიწყო, ფაქტობრივ, ლიტერატურაში მხატვრულ-სტილისტიკური დანიშნულებით დიალექტიზმების გამოყენება. ერთ-ერთი პირველი ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძე იყო. მან „მგზავრის წერილებში“ ლელთ ღუნას მეტყველებით მკითხველს შეუქმნა იმის ილუზია, რომ მოქმედება ხევში ხდებოდა დამოთხრობაში ამ გარემოების შესაქმნელად მოხეური დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმები გამოიყენა, თუმცა დიალექტურ ვარიანტებთან ერთად ვხვდებით ხელოვნურ ფორმებსაც, მაგალითად: **ვარნ**. ასეთივე სტილიზებულია „კაცია-ადამიანში?!“ პერსონაჟთა მეტყველებაც. დიალექტური ფორმების გამოყენებით მომდევნო თაობის მწერლობაში გამოირჩევიან 70-იან, 80-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული მწერლები: ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, ეგნატე ნინოშვილი, ვაჟა-ფშაველა, დიმიტრი მაჩხანელი, მელანია...

დიალექტიზმებს მხატვრული დანიშნულებით, ჩვეულებრივ, გამოიყენებენ პერსონაჟთა მეტყველებაში. არაერთგვაროვანი იყო ლიტერატურული სამყაროს დამოკიდებულება სხვადასხვა მწერლისადმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მწვავე კრიტიკა დაიმსახურეს ვაჟა-ფშაველამ და დიმიტრი მაჩხანელმა.

გაზეთ „ივერიაში“ 1888 წლის 9 აგვისტოს 166-ე ნომერში დაიბეჭდა პეტრე მირიანაშვილის წერილი **„საერო ენა და სათემო კილო“**, რომელშიც კრიტიკოსი მსჯელობს ვაჟა-ფშაველასა და დიმიტრი მაჩხანელის ენობრივი თავისებურებების შესახებ. პეტრე მირიანაშვილი ზედმეტად მკაცრია ვაჟა-ფშაველასა და დიმიტრი მაჩხანელის მიმართ. მიაჩნია, რომ მათმა გამოჩენამ სამწერლობო **ასპარეზზე „არია ენის ტაძარი“**, თვლის, რომ ისინი აკნინებენ ქართული ენის სიდიადეს დიალექტიზმების გამოყენებით. პ. მირიანაშვილი წერს: **„ამ გვარად ენა მეტად აჭრელდა და ქიზიყურის პროზისა და ფშაურის პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არია ენის ტაძარი; ჭლამის დაჰბადოს მწვალეზლობა, მეტად საზარი“**.... **„რამდენად მ-ნ მაჩხანელის ქიზიყურმა პროზამ ბევრი მეტ-ბარგად ჩასარიცხი სიტყვები შემოსძღვნა ქართულ საერო პროზას, იმდენი ბ-ნმა ვაჟა-ფშაველას ფშაურმა პოეზიამ დღევანდელს ქართულთან შედარებით უკან ჩამორჩინილ გრამატიკებრივ ფორმები შემოიტანა და ამასთანავე მეტ-ბორცი სიტყვებიც“**. იქვე დასძენს: **„ჩვენი მწერლობა მოვალეა, რომ სამწერლო ხელოვნება უმ-**

ნიშნელო და მეტ-ხორცის პროვინციალიზმით არ გაახორკლიანოს გასუფთაგების მაგიერ“.

პეტრე მირიანაშვილი ვაჟა-ფშაველას თაობის წარმომადგენელია. მან უნივერსიტეტი ჯერ პეტერბურგში დაამთავრა, ხოლო შემდეგ სწავლა საფრანგეთში სორბონის უნივერსიტეტში გააგრძელა. იგი მონაწილეობდა სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხებზე და აქედან ჩანს, რომ კარგი ლინგვისტური განათლება ჰქონდა მიღებული, „იგი განსაკუთრებით აქტიური იყო ქართული ენის განვითარებისა და დაცვის საკითხში“ (გოგოლაშვილი 2020: 25). პეტრე მირიანაშვილი ასევე აქტიურად იყო ჩართული 1894 წელს იაკობ გოგებაშვილსა და აკაკი წერეთელს შორის გამართულ პაექრობაში, რომელიც ენობრივ საკითხებს ეხებოდა. პეტე მირიანაშვილი აკაკის პოზიციას უჭერდა მხარს. როდესაც ვაჟა-ფშაველას ენას აკრიტიკებდა, იგი 28 წლის იყო. როგორც ჩანს, იგი მედიდურობს თავისი ევროპული განათლებით, აკრიტიკებს ვაჟა-ფშაველასა და დიმიტრი მაჩხანელს და აქვს ის თვითრწმენა, რომ მისი განათლება, კომპეტენცია უპირატესია და შეუძლია ასწავლოს, დამოძღვროს და გააკრიტიკოს სხვები.

საინტერესოა, რომ დიმიტრი მაჩხანელი დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით გაცილებით ზომიერია, ვიდრე იმავე პერიოდში ასპარეზზე გამოსული ე. ნინოშვილი. თუ რამდენად სამართლიანი იყო პეტრე მირიანაშვილის კრიტიკა ვაჟა-ფშაველას მიმართ, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არის მსჯელობაცა და შეფასებაც: „ეს იყო, ფაქტობრივ, პირველი ოფიციალური, საჯარო დაუნდობელი კრიტიკა ვაჟა-ფშაველას ენისა...“ (გოგოლაშვილი 2020: 26). ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ კრიტიკოსი არაობიექტურია დ. მაჩხანელის მიმართაც.

რა სიხშირით იყენებს დიმიტრი მაჩხანელი დიალექტიზმებს თავის მოთხრობებში, რადგან ასეთი დამოკიდებულება გაჩნდა მის მიმართ? ჩვენ ამ თვალსაზრისითშევისწავლეთ მაჩხანელის პროზა („სიყვარულის ამბავი“, თბილისი, 1974 წელი).

გამოვლინდა, რომ დ. მაჩხანელი არც ისე ჭარბად იყენებს ქიზიყურისთვის დამახასიათებელი ფორმებს. მის პროზაში დასტურდება დიალექტური ვარიანტები, თუმცა არა ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში; დიალექტიზმების ნაცვლად სალიტერატურო ქართული ენისათვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებსაც ვხვდებით, მაგალითად:

„კოდალა სუ ხეს აკაკუნებს დაბადებიდამე, მაგრამ იმის გათლილი ფიცარი არავის უნახავს“ („სოფლის ცხორებითგან“, გვ. 124).

მოყვანილ ნიმუშში მხოლოდ ორი ფორმა გვხვდება დიალექტური: **„სუ“** და **„დაბადებიდამე“**. ქიზიყურის მიხედვით, მას უნდა შეეცვალა **ხეს** – **ხეი**, რადგან მიცემით ბრუნვაში **-ს** ბრუნვის ნიშნის ნაცვლად გვხვდება **-ი**. აგრეთვე ქიზიყურში როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელია, სახელობით ბრუნვაში დასტურდება ვარიანტი – **იმი**, ამ წინადადებაში კი **იმის** კუთვნილებით ნცვალსახელს ვხვდებით. ქიზიყურში **-ავ** თემისნიშნისა ზმნები ძირითადად **-ამ** თემის ნიშანს დაირთავენ: **უნა-**

ხაგს – უნახამ, ამ წინადადებაში კი აღნიშნული ზმნა სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით არის წარმოდგენილი.

შემდეგ მაგალითშიც ანალოგიური ვითარებაა:

„ბოლოს ყველამ იქით ვაცქვიტეთ ყურები და თვალები, საიდანაც ჩვენი სოფლის მეთხე ციკას მოწველე თხის ფარა მოუდიოდა“ („მოგონება“, გვ. 72).

ამ შემთხვევაშიც ერთ დიალექტურ ფორმას ვხვდებით: **„საიდანაც“**. ყველა დანარჩენი ფორმები კი სალიტერატურო ქართულის მსგავსია. **„სოფლის მეთხე ციკას“** – ეს შესიტყვება არ შეესაბამება ქიზიყურის თავისებურებას, არ არის გამოყენებული არანაირი დიალექტური ფორმები, კერძოდ: ქიზიყურში ხშირად გენეტიურ მსაზღვრელთან ნათესაობითი ბრუნვის **-ის** ნიშნის ხმოვნითი ელემენტი **-ი** გამოიყენება, მიცემი ბრუნვაში კი საზოგადო და საკუთარ სახელსა **-ა** მოუდის ბრუნვის ნიშნად. დიალექტური ნორმის მიხედვით მწერალს უნდა გამოეყენებინა: **„სოფლი მეთხე ციკამ“**. **„თხის ფარა“** ქიზიყურის მიხედვით უნდა ყოფილიყო **„თხი ფარამ“**. მოვიყვანთ სხვა მაგალითსაც:

„ტრიალ მინდვრის შარაგზიდან მონასმენი ურმის ჭრიალი და გულსევდიანი მეურმის მწარ-ტკბილად მოღუღლუნე ოროველას ხმადა არღვევდა საოცნებო ღამის სიჩუმე-მყუდროებას“ („დილიშხე“ გვ. 32)

ამ წინადადებაშიც ერთი თანდებულებიანი დიალექტური წარმოების სიტყვაა გამოყენებული: **„შარაგზიდან“**. დანარჩენ შემთხვევებში სიტყვები ენობრივად (მორფოლოგიური და სინტაქსური წარმოების მიხედვით) სალიტერატურო ქართული ენისთვის დამახასიათებელი გრამატიკული წესების მიხედვით არის გამოყენებული. ქიზიყურის მიხედვით, ეს შესიტყვება ასეთი ფორმით გადმოიცემა: **„მოღუღლუნე ოროველამ ხმადა არღვევდა საოცნებო ღამი სიჩუმე-მყუდროებამ“**.

ამგვარი ვითარება გვაქვს მაჩხანელის თითქმის ყველა მოთხრობაში. მისი პროზა არ არის **„მთლიანად დიალექტური“**. ქიზიყურისთვის დამახასიათებელ ფორმებს მწერალი ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებისას იყენებს, თუმცა სალიტერატურო ქართული ენისთვის დამახასიათებელი ფორმებიც დასტურდება, ხოლო მწერლის ენა კი მთლიანად სალიტერატურო ქართულს მისდევს.

საინტერესოა, იაკობ მანსვეტაშვილი როგორ ახასიათებს დიმიტრი მაჩხანელს. „მოგონებებში“ იგი აღნიშნავს, რომ დიმიტრი მაჩხანელი შესანიშნავი მწერალი და კარგი მოქართულეა: „საკვირველად მდიდარი, მრავალფერადოვანი ენა, ამოქაჩული ხალხის სიტყვიერების წყაროდგან, საუცხოვო ცოდნა, მთელის სიღრმე-სიგანით, ხალხის ცხოვრებისა, განსაუთრებით ქიზიყისა“ (მანსვეტაშვილი 1985: 92). მანსვეტაშვილის ასეთი შეფასება ადასტურებს დიმიტრი მაჩხანელის განსწავლულობასა და მის დამოკიდებულებას ქართული ენისა და მწერლობისადმი.

ამ მხრივ საინტერესოა მელანიას მოთხრობების ანალიზი იმის წარმოსაჩენად, რომ მელანია აქტიურად მიმართავს დიალექტურ ვარიანტებს, უფრო ხშირად იყენებს ქიზიყურისათვის დამახასიათებელ დიალექ-

ტურ ფომებსა და ლექსიკურ ერთეულებს, ვიდრე დიმიტრი მაჩხანელი, თუმცა ამის შესახებ პეტრე მირიანაშვილი არაფერს არ აღნიშნავს თავის კრიტიკულ წერილში. მელანიას ერთ-ერთ მოთხრობა „ბნელოში“ ბევრად მეტი დიალექტური ვარიანტიდასტურდება, ვიდრე დიმიტრი მაჩხანელის მთელს პროზაში. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„**ი** ზარი **რიჰთვინა ჰკიდა, იმიჰთვინ** არა **ჰკიდა, რო** კვირა-უქმე დღე **შაგვატყობინოთ?! („ბნელო“, გვ. 13)**

„უნდოდა გაღმა **მხარი დეემორჩილებინა** და ყვარელში დაბინავებულყო, მაგრამ **ი** დალოცვილმა **რუს ხელმწიფემ მაატანა** ჩიტივით“ („ბნელო“, გვ. 27)

„**ქა**, იმ დასაქცევმა მაკამ **ე** რა **მააჰორა, რო** ლაპარაკში გაგვაბა და **აქამდინ** იავნანა არ **შასმენიათ** ბატონებს!“ („ბნელო“, გვ. 20)

„**შაისვრიდნენ** თურმე მაღლა და მღეროდნენ: **შაჰამანდი** გააკეთე, უმარილო, **უფშრუკიო**“ („ბნელო“, გვ. 18)

„**ე** ცა და ღრუბელი **რო შაიკრა** და ერთი ბეწო ნამი აღარ გვეღირსა, მაგისი ვალი **არ არი, რო** ილოცოს და წვიმა **მაიყვანოსო?**“ („ბნელო“, გვ. 12)

მელანიასთანაც ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც დიალექტურის ნაცვლად სალიტერატურო ქართულის მსგავს ფორმები გამოიყენება, მაგრამ არა ისეთი სიხშირით, როგორც ეს დიმიტრი მაჩხანელის პროზაში ვლინდება. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ პეტრე მირიანაშვილის დამოკიდებულება დიმიტრი მაჩხანელის მიმართ სუბიექტურია და კრიტიკაც – საფუძველს მოკლებული, რადგან იგი დიალექტურ ვარიანტებს არ იყენებს ისეთი სიხშირით, რომ დაემსახურებინა ამგვარი მკაცრი დამოკიდებულება პეტრე მირიანაშვილის მხრიდან. როგორც ჩანს, პეტრე მირიანაშვილისთვის მთავარი იყო გაეკრიტიკებინა ვაჟა-ფშაველად მასთან ერთად დიმიტრი მაჩხანელსაც დასდო წუნი დიალექტიზმების გამოყენების გამო.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2020 – გოგოლაშვილი გ., „ერი დედაა ენისა“, თბილისი, 2020.

გოგოლაშვილი, არაბული 2017 – გოგოლაშვილი გ., არაბული ა., დიალექტების მორფოლოგია, კრებვითი ანალიზი, ტ. III., თბილისი, 2017.

მანსვეტაშვილი 1985 – მანსვეტაშვილი ი., „მოგონებები“, თბილისი, 1985.

მაჩხანელი 1974 – მაჩხანელი დ., სიყვარულის ამბავი, თბილისი, 1974.

მელანია 1965 – მელანია, ქედნის ღულნი, თბილისი, 1965.

მირიანაშვილი, 1888 – მირიანაშვილი პ., საერო ენა და სათემო კილო, „ივერია“, № 166, თბილისი, 1888.

Khatuna Kandashvili

Petre Mirianashvili: On Guard of the Purity of the Literary Language

Summary

In the 19th century, dialectisms began to appear in factual and literary texts for artistic and stylistic purposes. In this regard, one of the pioneers was **Ilia Chavchavadze**. This stylistic trend was further developed by writers of the next generation, who emerged in the 1870s and 1880s, including **Aleksandre Kazbegi**, **Davit Kldiashvili**, **Egnate Ninoshvili**, **Vazha-Pshavela**, **Dimitri Machkhaneli**, **Melania**, etc.

Dialectisms were typically used in the speech of characters in literary texts. Attitudes within the literary community toward this practice varied. In particular, **Vazha-Pshavela** and **Dimitri Machkhaneli** received especially harsh criticism.

In the newspaper *Iveria* (Issue No. 166, August 9, 1888), **Petre Mirianashvili's** letter titled "*The Literary Language and Community Dialect*" was published. In it, the critic addresses the linguistic peculiarities found in the works of Vazha-Pshavela and Dimitri Machkhaneli. Mirianashvili is notably severe in his assessment. He claims that their emergence on the literary scene "**perturbed the temple of the language**", arguing that by incorporating dialectisms, they diminish the grandeur of the Georgian literary language. As he writes: "Thus, the language has become distorted, and the appearance of Kizik prose and Pshavian poetry completely perturbed the temple of the language; it can give rise to a terrible heresy."

But how frequently does Dimitri Machkhaneli actually use dialectal forms in his stories—enough to justify such criticism? To investigate this, we analyzed his prose collection "*Love Story*" (Tbilisi, 1974).

Our findings show that Machkhaneli does not overuse Kizik dialectisms. While dialectal variants are indeed present in his prose, they do not appear in every expected instance. In many cases, standard literary Georgian forms are used instead. This pattern is consistent throughout nearly all of his stories.

His prose cannot be described as "entirely dialectal." Rather, the dialectal forms appear mainly in the speech of characters, while the narrative voice adheres to standard literary Georgian. Therefore, Petre Mirianashvili's critical stance toward Dimitri Machkhaneli appears unjustified.

ნატა შავრეშიანი

დარგობრივი ლექსიკის ამსახველი ილუსტრირებული ლექსიკონი სვანურში

(XX საუკუნის 40-იანი წლების საარქივო მასალების მიხედვით)

უნივერსიტეტის დაარსების დღიდან თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული ქართველური ენა-დიალექტების შესწავლისა და კვლევის საქმეში. პროფესორ-მასწავლებელთა ინიციატივითა და ძალისხმევით, სტუდენტებს ინტენსიურად აგზავნიდნენ ენობრივი მასალის ჩასაწერად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის სვანეთში.

დროთა განმავლობაში, სწავლის პროცესში უნივერსიტეტში, როგორც ჩანს, დაინერგა ტრადიცია, რომ სტუდენტებს საგაზაფხულო შესვენებისას ევალებოდათ მათსავე რეგიონებში როგორც ზეპირსიტყვიერების ნიმუშების, ისე ლექსიკური მასალების ჩაწერა, რომლებიც შემდგომ უნივერსიტეტში, ან ცალკეულ პროფესორ-მასწავლებელთან ინახებოდა. ამას მოწმობს თბილისის უნივერსიტეტის საქმის წარმოების მასალებში დაცული არაერთი ოქმი და საარქივო მასალა.

ვარლამ თოფურიას არქივში დაცულია 1949 წლის ხელნაწერი ლექსიკონი (ასევე ფოლკლორული მასალები), რომელიც შეუდგენია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს, აკაკი ჭკადუას. ამ ლექსიკონთან ერთად არის რამდენიმე ლექსი, მათ შორის პარტიული, ასევე ზღაპარიც.

ხსენებული სტუდენტი რომ შემთხვევით არ შეურჩევიათ, კარგად ჩანს შესრულებულ ნაშრომშიც. შესამჩნევია შემდგენლის დამოკიდებულება თითოეული სიტყვისადმი, ცდილობს სრულყოფილად აღწეროს ყველა ნიუანსი, განსაკუთრებით ეს ეხება საყოფაცხოვრებო და სამუშაო იარაღებს და განმარტებისას ხშირად ურთავს საწერი კალმით შესრულებულ ილუსტრაციებს. სურათს თან ახლავს ამა თუ იმ საგნის შემადგენელი ნაწილების სახელწოდებების მითითებები და იქვეა ჩამოშლილი თითოეული ლექსიკური ერთეულის განმარტებები (იშვიათადაა გამოტოვებული სიტყვა განმარტების გარეშე).

აღნიშნული ხელნაწერი ლექსიკონი მნიშვნელოვანია როგორც სალექსიკონო მასალით, ისე მაღალი მხატვრული ნიჭით შესრულებული ილუსტრაციებითაც, რაც სრულყოფილად წარმოაჩენს განსამარტ საგნის ობიექტსაც. მსგავსი რუდუნებით შესრულებული ხელნაწერი ილუსტრირებული ლექსიკონი სვანური ენისა აქამდე არ შეგვხვედრია.

ლექსიკონი შედგება 51 გვერდისგან და წარმოადგენს ბალსქვემოური დიალექტის (ლახამულურის) ნიმუშს. ლექსიკური ერთეულები, უმეტესწილად, ცალ-ცალკეა განხილული და წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვისა და მასდარული ფორმებით. თემატურად მრავალფეროვანია და ჩანს ავტორის მცდელობა სემანტიკურად დაჯგუფებისა.

ამჯერად განვიხილავთ შინამრეწველობასთან დაკავშირებულ ლექსიკას (კერძოდ, **საქსოვი დაზგის შედგენილობა, ძაფის რთვა და ქალამნის აღწერილობა**), შევარჩიეთ ის მასალა, რომელსაც თან ერთვის ილუსტრაციები.

წარმოდგენილი მასალა განვიხილეთ სვანური დიალექტების მონაცემთა გათვალისწინებითაც და აღმოჩნდა, რომ ნაწილი ლექსიკური ერთეულებისა ან არ გვხვდება, ან ფონეტიკური და სემანტიკური გადაწვევების საფუძველზე დიალექტური ვარიანტებით დასტურდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ლექსიკური ერთეული აქამდე გამოცემულ სვანურ ლექსიკონებშიც არ დაიძებნა.

სვანური ვარიანტი განმარტებებითურთ ხელნაწერის მიხედვითაა წარმოდგენილი, რომ მკითხველს სრულყოფილი წარმოდგენა შეეძენას 40-იან წლებში შემუშავებულ სალექსიკონო მასალების ჩაწერის წესებსა და პრინციპებზე. იქვე შედარებისთვის ჩვენ მიერ დამატებულია სვანურის დიალექტების (მათ შორის ჩოლურული მეტყველების) ნიმუშები. ილუსტრაციათა აღწერაში მითითებული ლექსიკური ერთეულები (თუკი შემდგენელს არ აქვს ცალკე ერთეულად განხილული) სიტყვა-სტატიად გამოვითქვით.

1. **ჰჰჰჰ, ქიბ** – ღაზლი, ხამის ძაფი, ნართი ორმაგად შეგრეხილი; შდრ. **ჰჰჰჰ** ზს., ლნტ. **ჰჰჰ** ლშ. – 1. „შალის ორწვერა ძაფი“, 2. შინნაქსოვი ძაფი (ლექსიკონი 2000), შდრ. ჩოლ. **აჰჰ** – „შალი, მატყლის ძაფი“ (ლიპარტელიანი 2014: 86);

2. **ლინტული** – ძაფის (ნართის) ორმაგად დახვევა რაიმე ხვრელში გატარებით – შესაგრეხად; შდრ. ჩოლ. **ლინტულე** – „ძაფის გადახვევა“ (ლიპარტელიანი, 2014: 189);

3. **ლიდბჰჰი** – გორგლის დამზადება;

4. **ლიხგრზანი** – დახვევა, დაგრეხა ძაფისა ორმაგად, სიმაგრისათვის, შდრ. ჩოლ. **ლიხგრმანი** – „შეკვრა, გადატანითი მნიშვნ. ცუდად კერვა“;

5. **ლინჩრე** – ასეთი შეგრეხვის პროცესი (თითისტარი შებრუნებულად, მაღლიდან გამოშვებით ტრიალებს და ძაფი იხვევა); შდრ. **ლინჩრე/ანჩრე** – „დამახვა“ (სვან. ლექს. 2000: 443);

6. **ლითვდი** – ძაფის დამზადება გრძელ რგოლისებურ შეკვრად (**ლუსდვიგვ**) საქსოვ დაზგაზე გადასატანად. ასრულებენ ორგვარად: 1) ხელსაწყოს (**ლათვდიან**) საშუალებით, გარდიგარდმო დახვევით; 2) მიწაზე სამ პალოს დაასობენ და მათ შორის დაახვევენ ძაფს გადამკვეთი ფორ-

1. სვანური მასალა განმარტებებითურთ ხელნაწერს მისდევს!

მით (+ ორცხნად) (იხ. ფოტო). ასე დამზადებულ ძაფის წნულს – **ლუსდიგვ** რამეზე დაჰკიდებენ და ხანგრძლივად სიმძიმის დადებით (**წგნ** – სიმძიმე) დაჭიმავენ, ასე გამზადებულ ძაფს შეკრავენ – **სდუგვ**, მოაბამე საქსოვ დაზგის (**ლჯშიარ**) სამ ჯოხს (**აჯარ**), ძაფს სათითაოდ გაუყრიან სპეციალურ ჩარჩოს შიგნით დახლართულ ბაწრებს შორის (**ლელჯგმარ**), შემდეგ ასეთ-სავე ლელჯგმარ ჩარჩოში მოთავსებულ სავარცხელში (**ლჯცხნირ**), რომელიც თავის მხრივ მოთავსებულია ბუდეში (**დაფარ**). მოსაქსოვი ძაფი გახვეულია თითისტარში (**მასგლ**), რომელიც ნავისებურ მაქოშია (**მარქე**) და რეგულარულად ძაფის ორ რიგს შორის დაატარებენ ფეხის მოძრაობით (**ლაკშხიაროლ**) მათი შენაცვლებითი აწევ-დაწევის შესაბამისად. ნაქსოვს ახვევენ უღელზე (**უღვა**), რომელსაც მსხვილ ბოლოზე აქვს ხვერლები ჯვარედინად, ნაქსოვის ზრდასთან ერთად ატრიალებენ და დასამაგრებლად დაასობენ ერთ-ერთ ჯოხზე (**აკ**);

ლითვდი – ძაფის დამზადება გრძელ რგოლისებურ შეკვრად საქსოვ დაზგაზე გადასატანად (ჰკადუა). აქედან უნდა იყოს გადატანითი მნიშვნელობის ზმნა „**ლითოდალ** – „ხეტიალი, წანწალი“; **თოდს ხაჰიმ** – „დაწანწალობს, ხეტილობს“, (უფრო ზუსტად – ძაფის ბოლოს, შულოს დაჰყვება). „ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული სევანეთის ერთ-ერთი დიდი დღესასწაული „ლითოდური“, როდესაც ეკლესიას ლოცვით ცხრაჯერ შემოუვლიან და სახელიც (ლითოდური) ამის გამო მიიღო“ (საღლიანი, 1995:16), შდრ., (ბზ.) **ლითუქდიელ** / (ბქ.) **ლითოდილ**, **ლითოდელ** / (ლნტ.) **ლითუქდიელ** – სახელი, (ლშხ., ჩოლ.) **ითრდიელ** – ზმნა „უქმად ყიალი“ (სვან., ლექს. 2000: 435), (ჩოლ.) **თუადე**, **ლითრდიელ**, **ითუქდიელ**, **ითრდიელ** – „აქეთ-იქით ყიალი“;

7. ლათვდიარ – ჯარა, ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც ახვევენ ძაფს, შდრ. ჩოლ. **ლათუადი** – „საქსოვი დაზგის ნაწილი, ასევე“ (სვ.) **ჯარ/ჯარ** – ჯარა, ჩოლ. **ჯარ** – „ვარცლი, ხონჩა“;

8. თოდ – ძაფის მრგვალი ნახვევი (ჰკადუა), შდრ., (ბზ., ბქ.) **თოდ** – შულო (სვან. ლექს. 2000: 261), ჩოლ. **თუად** – „გრძლად დახვეული სართავი ძაფი“;

9. ლუსდუგუ / სდუგვ – (სვ.) – „ნაწნავი, წნული (ძაფისა, ბალახისა, თამბაქოსი)“;

10. წგნ – სიმძიმე ;

11. ლჯშიარ – დაზგა, შდრ. ჩოლ. **ლაჯიმ/ლაჯში/ლაჯმარ**;

12. ლელჯტმარ – დგიმი (საქსოვი დაზგის ნაწილი); შდრ., (ბზ., ლნტ.) **ლელჯომარ**, **ლელჯტმარ** / (ლშხ.) **ლელჯტმარ/ლელჯმარ** – „დგიმი“ (სვან ლექს. 2000: 401), (ჩოლ.) **ლელჯტმარ**;

13. ლაცხნირ – დგიმში მოთავსებული სავარცხელი (ზზაკალის ფირფიტებით);

14. დაფარ – სავარცხლის ბუდე; შდრ. ჩოლ. **ღვდაფ სკამ** – „საქსოვი დაზგის ნაწილი“; მიჩნეულია ქართულიდან ნასესხებად (ბქ.) ლგ-დწგ /

(ჩოლ.) ლგ-**დაფ** „ფიცრიანი (ზედმიწ. – **დაფ**-იან-ი)“ <ქართ. დაფა „ფიცარი“ (საღლიანი, 2023: 231);

15. **აჯ** – საქსოვ დაზგის ჯოხი; შდრ. (სვ.) **აჯ** – „სარზე დადგმული ზვინი“;

16. **ლაკშხიარლი** – ფეხის დასადგამი, შდრ., (ზს., ლნტ.) **ლაკეშ** / (ლშხ.) **ლაკეშხაშ** – „ფეხის დასადგამი, საფეხური“ (სვან., ლექს. 2000: 375);

17. **მასგლ** – მასრა; შდრ. **მასგლ** (ზს., ქს.) 1. „მასრა, საქსოვი დაზგის ერთ-ერთი ნაწილი“, 2. „ყალიონისტარი“ <ქართ. მასრა „საზედაო ძაფის და-სახვევი მოკლე ჯოხი, მაქოში ჩასადები...“ (შდრ. ბზ. **ხაზარ**, ლშხ. **ხაზარ**) (საღლიანი, 2023: 254);

18. **მარქე** – მაქო, შდრ., (ზს., ქს.) **მარქე** / (ბქ.) **მარქე** / (უმგ.) **მაქე** < ქართ. მაქო (<სპარს. **mākā, mākhā**, ფალ. **mākā, mākhā** „საქსოვიმაქო“) „საქსოვი-დაზგისნაწილი“ (საღლიანი, 2023: 253);

19. **უღვა** – უღელი, საქსოვი დაზგის ნაწილი; შდრ. ბზ., ლშხ., **უღტა**, ბქ., ლნტ. **უღტა** – უღელი (სვან., ლექსიკ. 2000: 740; საქს. დაზგის ნაწილის მნიშვნელობით არ გვხვდება ლექსიკონში), ჩოლ. **უღტა** – უღელი (ასლან-თან არაა);

20. **ქულა** – ფთილა, ქულა, შდრ., (ბზ., ლშხ.) **ქულა** (ბქ.) ქულა – **ქულა** (მატყლისა, ბამბისა) (სვან., ლექს. 2000: 786) / (ჩოლ.) **ქულა** – რბილი ბეწვი ღორის ჯაგრის სიღრმეში (ლიპარტელიანი, 2014: 262);

21. **ლიბძღენე** – წეწვა, ჩეჩვა მატყლისა, შდრ. (ზს.) **ლიბძღენე** / (ჩოლ.) **ლიბძღენე**; შდრ., (ბზ., ლნტ.) ლი-**წეწ**-აჟ-ი / (ლშხ., ჩოლ.) ლი-**წეწ**-აჟ-ი < ქართ. [გა]-წეწ-ვა „მატყლის გაწეწვა, ჩეჩვა“ (საღლიანი, 2023: 209);

22. **ბამბიშლათშიარ** – ჩიხრიხი, ბამბის საწმენდი სატრიალებელი მანქანა (უწინ ჰქონდათ სვანეთში), ცალ მხარეს ბამბა გადის, მეორე მხარეს რჩება თესლი, რომელიც მცირე ხვრელში ვერ ეტევა. შდრ., (მთიულ.) ჩიხ-რიხი – ხისხელსაწყო, რომელიც ბამბას აცლის კურკებს (ქართული მატე-რიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი);

23. **ლიპანხე** – ჩხლართვა, ბეზკვა, უხეშად დაკერება;

24. **ლიჯზდი** (**იჯზდი**) – დახლართვა, ერთიმეორეში გაჯდომა, და-ხვანჯვა (მატყლის, თესლის, საღებავის), ისე რომ დაცილება ძნელია. შდრ., (ჩოლ.) **ლიძმფხე** / **ამძმფხე** – დახლართვა; შდრ., **დახვანჯვა** (იგივეა რაც **დახვლანჯვა**... დახლართვა, ქეგლი) შდრ., (ჩოლ.) **ლიბტანჯე** / **ახტანჯე** – ცუდად ქსოვა და კერვა;

25. **ჯვირჯვ** – ძონძი, ნაფლეთი, ჩვარი, ჯვირჯვ ი ბირდვ დემ ალფა-რი – „ძონძეები ვერ ფარავენ“. შდრ., (ბქ.) **ბირდუ** – კანაფის ნაძენძი (სვან., ლექსიკ. 2000: 158);

26. **სეინ** – ზორტი, მსხვილი მკედი, მატყლის ძაფისგან დაწნული (სვანურ ქულდს უკეთებენ). მკედი-მოსხო ძაფი (ქეგლი);

27. **ჩაფლარ** – ქალამნები, შდრ., (ზს., ქს.) **ჩაფელ** / (ბქ., ლნტ.) **ჩაფულ** „ყველანაირი ფეხსაცმელი“ < ძვ. ქართ. ჩაფლა „ქალამანი“, ახ. ქართ. ჩაფულა

„უქუსლო, დაბალყელიანი ფეხსაცმელი, – წულა“ (შდრ. აჭარ., იმერხ. ჩაფულია) (საღლიანი, 2023: 423);

28. ლეზარზარ (მრ.) – ბაწრები (ქალამნის დასაჭერი), შდრ., (ბზ.) **ლალარზრა** / **ლოზარ** (ბქ.) **ლეზარ** / **ლოზარ**; ასევე, (ლშხ., ჩოლ.) **ზორან** / (ლნტ.) **ზორან** / (ჩოლ.) **ზოლარ** < ქართ. ზონარ-ი „რბილი ნართისაგან დამზადებული წვრილი გრეხილი“ (საღლიანი, 2023: 79-80);

29. ნახ – ქალამანზე მოზმული ტყავის ზოლი, რომელიც ფეხს, ტერფს ქვევიდან არის მოქცეული, რომ ბაწარი არ გაცვდეს და არ გაწყდეს. სვანურ ლექსიკონში **ნახ** ამ ფორმით არაა შეტანილი, თუმცა შეტანილია შემდეგ ფორმები – (ბზ., ბქ.) **ლენხენი**, **ლენხი** (ლშხ.) **ლენხენი** (ლნტ.) **ლენახენი** (სვან., ლექსიკ. 2000: 405), შდრ., (ჩოლ.) **ნახ** / – სანთელში ჩასატანებელი კანაფის კონა, ან ქსოვილის ნაჭერი (ლიპარტელიანი, 2014: 228); ფეხსაცმლის ჩასატანევის მნიშვნელობით არ აქვს ლიპარტელიანს შეტანილი, თუმცა ჩოლურულში ამ მნიშვნელობითაც გვხვდება. გვაქვს ასევე **ნახენურ** / **ლენხენი** ამავე მნიშვნელობით;

30. ნალფარუნ – ქალამნის წინამო, ტყავის მინაკერი ქალამნის წინა ზედა მხარეს (ზამშისა), ან თექის გარშემოკერებული ქობა (რომ თოვლი არ ჩაცვივდეს ფეხში); შდრ., (ბზ.) **ქობა** / (ბქ., ლნტ., უშგ.) **ქობა** / (ლშხ., ჩოლ., უშგ.) **ქობა** < ქართ. ქობა „არშია“ (შდრ., ზს. ლნტ. **ქარქაშ**, ლშხ. **ქარქაშ**; ზს. **ჩიჩხუ**; უშგ. **ქორჩი**; უშგ. **კუჩინჭილი**) (საღლიანი. 2023: 398);

31. ტყებერა (მრ. ტყებერა) – საზამთრო ქალამნები;

32. შალღ – გახეულ ქალამანში დაუკერებლად ჩასადები ტყავის ნაჭერი; აღნიშნული ლექსიკური ერთეული არ დაიძებნა არცერთ დიალექტში;

33. ტკე – მისაკერებელი, დასაკერებელი ტყავი, შდრ., (ზს., ქს.) **ტკე** „საკერებელი, ბეზვი“ < ქართ. (ლექხ., იმერ., გურ.) **ტკე**-ი „თხილის წნელის თხლად ახდილი კანი, რითაც გოდრებს, კალათებსა და გიდელებს წნავენ“, შდრ. ზან. (მეგრ.) **ტკე**-ი;

34. ნალოზუნ – [ფეხსაცმლის] წინამოს შესაკრავი ბაწარი, შდრ., (ლაშხ.) **ლოზარ** / (ლნტ.) **ლოზარ** (სვან., ლექს. 2000: 491), (ჩოლ.) **ლოზარ** – წვრილი ბაწარი (ლიპარტელიანი, 2014: 195);

35. ნალზ – (არ აქვს განმარტებული), შდრ., (ბზ., ლნტ., ჩოლ.) **ლანზ** / (ბქ.) **ნალზ** < ქართ. ლანჩა „სქელი ტყავი ფეხსაცმლის ძირისა“ (საღლიანი, 2023: 122);

36. კარზ – ჯდანი, ნაცვეთი ფეხსაცმელი, შდრ., (ბზ.) **ლიკარზალი** / (ბქ.) **ლიკარზალი** / (ლშხ.) **ლიკარმალი** / (ლნტ.) **ლიკარზალი** – ბანდვა (სვან., ლექს. 2000: 436), სახელური ფორმა არაა შეტანილი; შდრ., ჩოლ. **კარძ** – წვრილად და გრძლად დაჭრილი ტყავი, მჭლე ხორცი (ლიპარტელიანი, 2014: 167) აქედან ზმნა **ლიკარძე** – ცუდად კერვა.

37. ლაჰვიჭარ – ტყავის (ქალამნის) დასარბილებელი (დასათრიმლავი) მოწყობილობა (ხეა ამოღრუებული და ზედ დაკბილული, ცალ მხარეს ნახვრეტში გაყრილია ჯოხი, რომლის აწევ-დაწევით ტყავი მუშავდება,

შდრ., (ჩოლ.) **ლაიჭუნა** – ტყავის გასაქნელი დაზგა (ლიპარტელიანი 2014: 177).

ავტორისეული ქართული განმარტებები (ჩიხრიხი, მკედი, დასათრიმლავი...) და მასში გამოყენებული დიალექტური მასალა ნათლად მიუთითებს ქართული დიალექტების კარგად ცოდნაზე.

აღნიშნული მასალა მოიცავს დარგობრივი ტერმინოლოგიის ისეთ არქაულ ნიმუშებს, რომლებიც ენობრივ მიმოქცევაში ნაკლებად გამოიყენება, მივიწყებულია, ან ერთი კონკრეტული (ამ შემთხვევაში, ბალსქვემოური) დიალექტის კუთვნილებას წარმოადგენს. შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ ლექსიკური ერთეულების აღნუსხვა-დამუშავება, რაც გარკვეულ სიცოცხლისუნარიანობას შესძენს მივიწყებულ ძირძველ ლექსიკას.

ლიტერატურა

საღლიანი 1995 – მ. საღლიანი, სადიპლომო ნაშრომი, სიარულის, სმისა და ჭამის აღმნიშვნელი ლექსიკა სვანურში, თბილისი, 1995.

საღლიანი 2023 – მ. საღლიანი, ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონი სვანურში, II, თბილისი, 2023.

სვან. ლექსიკ. 2000 – სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ლიპარტელიანი 2014 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლურული კილო, თბილისი, 2014.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (<https://ena.ge/explanatory-online>)

ქმკელი – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=548>.)

Nato Shavreshiani

Illustrated Dictionary of Specialized Vocabulary in Svan

(Based on Archival Materials from the 1940s)

Summary

Varlam Topuria's archive contains a handwritten dictionary from 1949 (as well as folklore materials), compiled by Akaki Chkadua, a student of the Faculty of Philology. In addition to valuable lexical data, the dictionary is notable for its detailed illustrations, which visually represent the items being described. Each illustration is accompanied by labels identifying the parts of the depicted object,

while nearly every lexical unit is defined—rarely is a word listed without an explanation.

The paper discusses vocabulary related to traditional home industries—specifically, the components of a loom, thread weaving, and the description of traditional leather footwear (*kalamani*). The analysis is based on data from various Svan dialects and reveals that some lexical units are either unattested or appear only as dialectal variants resulting from phonetic or semantic shifts. It is also noteworthy that certain terms are absent from the Svan dictionaries published to date.

For comparative purposes, we have included samples from several Svan dialects, including Cholur speech, alongside the manuscript material. Lexical items referenced in the illustration descriptions – if not treated as independent entries by the original compiler – have been presented as separate dictionary entries in our study.

ნანა შოშიაშვილი

პერსონაჟთა სახელები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

პერსონაჟთა სახელებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მწერალთა შემოქმედებაში. საჭიროა ავტორმა ისეთი სახელი შეარქვას პერსონაჟს, რომელიც ზუსტი და ზედგამოჭრილი იქნება მისთვის. მოქმედ პირს დარქმეული ანთროპონიმი შესისხლბორცებული უნდა ჰქონდეს, რადგანაც ჯერ მან უნდა ირწმუნოს საკუთარი სახელი, რათა შემდგომ მკითხველსაც დააჯეროს თავის თავს გადამხდარი ამბავი, „როგორც აზნაურები იტყვიან იმერეთში, სახელ-გვარი ტიპს „შემოწკეპილი“ უნდა ჰქონდეს“ (გოგოლაშვილი 2022: 43). ოტია იოსელიანი ავტობიოგრაფიული ნოველების წიგნის („ჩემი ასავალ-დასავლის“) წინასიტყვაობაში წერს, რომ რეალურ ყოფაში „ყველაფერს არ ჰქვია თავისი სახელი“ (იოსელიანი 2002: 5), მათ შორის არც ადამიანებს, ამიტომაც მწერლის მოვალეობად მიიჩნევს, რომ შექმნას არა მხოლოდ სახე პერსონაჟისა, არამედ შეურჩიოს მას შესაფერისი სახელიც. ჩვენთვის ცნობილია, როგორ გაჩნდა სოლომან მორბელაძის სახელ-გვარი. დავით კლდიაშვილს მოფიქრებული ჰქონდა მოთხრობა, მაგრამ დასაწყისი ვერ მოეძებნა. საბედნიეროდ, ავტორმა იპოვა გვარი, „გვარმა მოატრია სახელიც“ (გოგოლაშვილი 2021-2022: 16) და ნაწარმოებმა დღის შუქი იხილა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ავტორისთვის სულერთი არაა თითოეული სახელი. სახელის დარქმევით მწერალი ასახავს საკუთარ დამოკიდებულებას არა მხოლოდ პერსონაჟის, არამედ სახელის ფენომენის მიმართაც. „შერჩევა სახელისა არავითარ შემთხვევაში არ არის მექანიკური, გაუაზრებელი პროცესი. პირიქით, მწერლები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან პერსონაჟის სახელებების ფაქტს“ (გოდერძიშვილი 2012: 175).

რიგ შემთხვევებში მაინც ვაწყდებით ისეთ შემთხვევას, როდესაც სახელი პერსონაჟს არ მიესადაგება. მაგალითად, გავიხსენოთ ნიკო ლომოურის მოთხრობა „ქაჯანა“. ქაჯანა პატარა ბიჭის მეტსახელია. თითქოს ამ თიკუნის მატარებელი უნდა იყოს ონავარი, ცელქი და მოუსვენარი ადამიანი, მაგრამ შინაარსის მიხედვით ამ თვისებებით შემკული აღმოჩნდება არა ეს ბიჭი, არამედ მისი და – კატო. შესაბამისად, მეტსახელის დარქმევისას ერთგვარ შეუსაბამობას წავაწყდებით. მოთხრობის დასაწყისში ვკითხულობთ: „პატარა ქაჯანა“ გახლავთ მეტი სახელი ერთი სოფლელი პატარა ბიჭისა, რადგანაც ამას ლაპარაკში ხშირად უყვარდა სიტყვა „ქაჯანას“ ხმარება“ (ლომოური 1951: 63). მკითხველს ხშირად შეგვმლია და აღნიშნუ-

ლი მეტსახელით კატო მოგვიხსენებია, რადგანაც ამ თიკუნს ის უფრო იხდენდა თავისი ბუნებით. წიგნში „პერსონაჟს სახელი ამშვენებს“ ვკითხულობთ: „ვისაც ახლავს ეს მოთხრობა, ყველა იტყვის ალბათ, რომ ქაჯანა გოგოა, დიახ, თავისი ქცევით: ცელქი ბუნებით, მოქმედებით. სხვათაშორის ეტიმოლოგიურადაც ქალის სახელია „ქა“ (შემოკლებული ქალი) და „ჯან“... ძველსპარსული „სულო“ (გოგოლაშვილი, ხმალაძე 2024: 89) – ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ასცდა პერსონაჟის ბუნებას შერქმეული სახელი.

შეუფერებელი ონიმი თხრობის პროცესს ხელს შეუშლის, ამიტომაც იქამდე უნდა „მოასინჯოს“ ავტორმა ანთროპონიმები მოქმედ გმირებს, სანამ დამახებულ სახელზე არ მოიხედავენ. „როცაპერსონაჟს შერქმევს დარქმეულ სახელს დაუძახებ და არ მოგხედავს, თავსაც კი არ შემოაბრუნებს, უნდა მიხვდეს, რომ ნათლიად ვერ ივარგე. ამ დროს სახელის გამოცვლა აუცილებელია“ (გოგოლაშვილი, ხმალაძე 2024: 75) – აღნიშნავს თამაზ ხმალაძე დიალოგში. ალბათ ამ მიდგომით ხელმძღვანელობენ ავტორები, როდესაც პერსონაჟებს არაერთხელ უცვლიან სახელებს.

სანამ კონკრეტულად განვიხილავდეთ საკითხს, ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენ მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიაზე, რომელსაც გამოვიყენებთ მსჯელობის პროცესში:

ა) დარქმევა – ხდება ნამდვილი სახელის. „სახელი დაარქმევს, დაერქმევა ზმნათა მოქმედებისა, სახელის მინიჭება, (სახელის) წოდება, სახელდება“ (ქეგლი);


დარქმეული – „რაც დაარქვეს ან დაერქვა. 1. წოდებული, შერქმეული (სახელი). 2. მოხსენიებული, სახელდებული (რაიმედ)“ (ქეგლი).

ბ) შერქმევა – ხდება მეტსახელის, პარალელური სახელის. „სახელი შეარქმევს ზმნის მოქმედებისა, (ზედმეტი) სახელის, მეტსახელის დარქმევა“ (ქეგლი);

შერქმეული – „ვისაც შეარქვეს ან შეერქვა, – ვისაც (ზედმეტი) სახელი ეწოდა, დაერქვა, მეტსახელი“ (ქეგლი);

მეტსახელი – „ზედმეტი, შერქმეული სახელი“ (ქეგლი);

პარალელური სახელი – ერთი ფუძის შემცველი ანთროპონიმები (გოდერძიშვილი 2012: 90), მაგ.: თამარი > თამ-უნი, თამ-უსია, თამრ-იკო, თამთა....



ადამიანს ოფიციალური, ნამდვილი სახელი უნდა **დაერქვას**, ხოლო ნამდვილ სახელთან ერთად შეიძლება არაოფიციალური, **შერქმეული** სახელით, ანუ **მეტსახელით** მიმართონ.

აქედან გამომდინარე, საკუთარი სახელები დავყავით დარქმეულ და შერქმეულ სახელებად. ამ უკანასკნელში შედის პარალელური ფორმებიც (მაგ.: გიორგი > გიო, გიუნა, გიუნა...). **შერქმეული სახელი** ყალიბდება ადამიანის გარეგნობის, ქცევა-მანერის, ხასიათისა თუ სხვა თვისება-მოქმედების შესაბამისად, **დარქმეულ სახელში** კი ეს ელემენტები ნივთიერებულია. ახალშობილს სახელს ძირითადად წინაპართა პატივსაცემად ან საეკლესიო კალენდრის გათვალისწინებით არქმევენ. რა ხდება ამ მხრივ ნაწარმოებებში? რად უნდა მივიჩნიოთ პერსონაჟთა სახელები – დარქმეულ თუ შერქმეულ სახელებად? როდესაც ნაწარმოებში „იზადება“ პერსონაჟი, ავტორს ის უკვე წარმოდგენილი ჰყავს თავისი ხასიათითა და ქცევა-მანერით. შესაბამისად, ის ტექსტში არ შემოდის განყენებულად, ავტორს მასზე ბევრი აქვს ნაფიქრი, მისი სახელიც აურჩევია. შესაძლოა პერსონაჟს ერქვას გიორგი და, ერთი მხრივ, ის, ცხადია, არაა მეტსახელი, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს სახელი შესაძლოა განსაზღვრული ფუნქციის მატარებელი აღმოჩნდეს. ამიტომაც ის არის გიორგი და არა გიორგუნა. აქედან გამომდინარე, **პერსონიმებს (პერსონაჟთა საკუთარ სახელებს), როგორც შერქმეულ სახელებს, ისე განვიხილავთ.**

პერსონაჟის სახელის შერქმევის პრინციპები ყურადღებას იქცევს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში. ჩვენი კვლევის მიზანი არის შევისწავლოთ, თუ რის მიხედვით არჩევს ავტორი სახელებს, რა პრინციპებს ემყარება სახელის შერქმევა, როგორია ეს პროცესი და ა.შ.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში გვხვდება სხვადასხვა სოციალური წრის, ასაკისა თუ სქესის წარმომადგენელი პერსონაჟი. მიუხედავად პერსონაჟთა რაოდენობისა, დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა მათი საკუთარი სახელები, ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ხშირად ერთი სახელის ვარიანტული ფორმები ფიგურირებს სხვადასხვა ნაწარმოებში და ზოგჯერ ერთი ნაწარმოების ფარგლებშიც კი. მაგალითად, ონიმი **„დავითი“** ხშირად გვხვდება სხვადასხვა ვარიაციით ილიას მოთხრობებში (**დათო, დათია, დათიკო...**). ჩნდება შეკითხვები, რატომ არ დაარქვა სხვადასხვა ონიმი პერსონაჟებს ამა თუ იმ ნაწარმოებში? რატომ ტრიალებს ერთი სახელის რამდენიმე ვარიანტი? ზოგიერთ პერსონაჟს, მათ შორის მთავარ მოქმედ გმირებს, რატომ არ ჰქვიათ სახელები (ოთარაანთ ქვრივი, ბეჟანის უმცროსი ძმა...)? ზოგიერთ პერსონაჟს დაუმთავრებელ მოთხრობაში (ვარიანტებში) თუ მოედებნებოდა საკუთარი სახელი, დასრულებულ ნაწარმოებში რატომ დატოვა ავტორმა ისინი უსახელოდ (მაგ.: „სარჩობელაზედ“ უმცროსი ძმის სახელი „მათე“ აღარ ჩანს, ხოლო „მარგალიტი ლექში“ წარმოდგენილია). ყურადღებას იქცევს გვარის საკითხიც, რატომ აქვს მეორეხარისხოვან პირს გვარი (დათია ბადიაშვილი – „ოთარაანთ ქვრივიდან“), ხოლო მთავარი პერსონაჟის გვარი უგულებელყოფილია (გაბრიელი, დათიკო – „გლახის ნაამბობიდან“; არჩილი და კესო – „ოთარაანთ ქვრივიდან“) და ა.შ.

ჩვენი მსჯელობა ემყარება ილია ჭავჭავაძის **ეპიკურ ნაწარმოებებს** („ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილს“, „გლახის ნაამბობს“, „სარჩობელაზედ“, „მგზავრის წერილებს“, „ოთარაანთ ქერივს“, „კაცია-ადამიანს?!“; დაუშთავრებელ მოთხრობებს: „კოლას“, „კაკოს“, „დიამბეგობას“, „მარგალიტი ლექში“) **პიესებსა** („გლებთა განთავისუფლების პირველდროების სცენებს“, „მაჭანკალს“) და **პოემას** („რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“).

ისტორიული პერსონაჟები თავიანთი სახელით შემოდიან ნაწარმოებში, ონიმები უკვე დარქმეული აქვთ, ამიტომაც მწერლები მათ ვინაობას აღარ უცვლიან და იმავე სახელებს უტოვებენ. მსგავსად იქცევა ილია ჭავჭავაძეც. „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილში“ ვხვდებით **გიორგი XI-ს, შაჰ-სულთან-უსეინსა** და **ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილს**. მოთხრობაში არ ჩანს სხვა პერსონაჟთა ონიმები: დედ-მამისა და შვილების, ალბათ იმიტომ, რომ მთავარი ამბავი მათზე არ არის, ისინი თითქოს მეორეხარისხოვანი პერსონაჟები არიან, რომელთა შემოყვანა მხოლოდ იმიტომ გახდა საჭირო, რომ ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის ამბავი გადმოეცა ჩვენთვის ავტორს. თუ ამ შემთხვევაში ილიას უკვე მზად დახვდა ისტორიულ პიათა სახელები, მომდევნო ნაწარმოებებში თავად მოუწია პერსონიმა შექმნა.

„გლახის ნაამბობის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი არის **გაბრიელი**. ნაწარმოებში ამ საკუთარი სახელის რამდენიმე ვარიანტული ფორმა დასტურდება: **გაბრუშვი, გაბრუშკა, გაბრო** (1879 წლის საფაროვის გამოცემაში გვხვდება ფორმა „**გაბრიელაც**“ (ჭავჭავაძე, 1988: 600).

დიდი ბატონი გაბრიელს **გაბრუშკის** ეძახის: „*ის დალოცვილი მე მომიბრუნდა და მიბრძანა: გაბრუშკი! თუ არ გინდა დათიკოსთან წასვლა, აქ დარჩი მამა-შენთან*“ (ჭავჭავაძე 1977: 283) – პატარა ბიჭს, ყმას, შვილის თანატოლს, ბატონი ნამდვილი ონიმის პარალელური ფორმით მიმართავს.

რადგანაც თავადიშვილი დათიკო და ყმა გაბრიელი თანაშემზრდილები იყვნენ, ცხადია, მათ შორის პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა მეგობრულ-ახლობლური ურთიერთობა, რაც აისახა კიდევ მიმართვის ფორმებში. დათიკოსთვის გაბრიელი **გაბრუშკა** ან **გაბროა**: „*თუ გაბრუშკას არ გამატანთ, მე ქალაქში წამსვლელი არა ვარ*“ (ჭავჭავაძე 1977: 284); „*გაბრო?! – გააგრძელა დათიკომ სიტყვა და ჩაჩუმდა*“ (ჭავჭავაძე 1977: 325). დათიკო ონიმ გაბრიელით არასდროს მოიხსენიებს ბიჭს, რადგანაც მისი თანატოლია და ასე უფრო შინაურული სიტუაცია იქმნება. რადგანაც გაბრიელი ყმაა, შესაძლოა ოფიციალურ ანთროპონიმს ამიტომაც არ იყენებს მიმართვისას. მხოლოდ ერთხელ, სიკვდილის მომენტში, დათიკო პირველად დაუძახებს „**გაბრიელს**“: „*მშვიდობით და გამარჯვებით, გამარჯვებულო გაბრიელ!.. ვნანობ, რომ ესე უსახელოდ მოგეკვლევი. გამარჯვებით...*“ (ჭავჭავაძე 1977: 352) – მათ შორის ძველებური ურთიერთობა აღარაა, წლებმა და არაგონივრულმა საქციელმა ისინი ერთმანეთს დააშორა, ამიტომაც „გაბრუშკა“ და „გაბრო“ ონიმ „გაბრიელით“ შეიცვალა, შინაურები ერთმანეთს უცხოებად ექცნენ, ამ ფაქტს კი მწერალი პარალელური სახელების მონაცვლეობით გვაუწყებს. სახელები იცვლება მათი ურთიერთობის შესაბამისად.

თავად გაბრიელი საკუთარ თავს მხოლოდ ნამდვილი ონიმით მოიხსენიებს. იგი სხვადასხვა პერსონაჟს ოფიციალური სახელით ეცნობა და არა ნამდვილი სახელის პარალელური ვარიანტებით. ეს პერსონაჟი (დათიკოსგან განსხვავებით) იმსახურებს კიდევ ნამდვილი ანთროპონიმით მიმართვას თავისი პიროვნული ხასიათიდან თუ ფიზიკური აღნაგობიდან გამომდინარე. „ერთი კარგი ხელი ტანისამოსი მაჩუქს. მე რომ ის ჩავიცვი, თავადის-შვილში ვერ გამარჩევდით“ – მოცემულ მონაკვეთში გამოჩნდა მოქმედი გმირის აღნაგობა (ჭავჭავაძე 1977: 318). მღვდელიც (შემდგომში ბლალოჩინი), პატარა ბიჭი გლახუკაც ონიმ **გაბრიელს** ანიჭებენ უპირატესობას, რადგანაც გაცნობის მომენტში ამ ანთროპონიმით გაეცნო ბიჭი მათ. გაბრიელმა მხოლოდ ერთხელ, დათიკოსთან დიალოგში, მოიხსენია საკუთარი თავი **გაბროთი**, მისი მოკვლის დროს: „მე ვარ გაბრო. შენი სულთამხდელი!..“ (ჭავჭავაძე 1977: 351). რა შეიძლება გამხდარიყო ამ ონიმის წარმოთქმის მიზეზი? ალბათ გაბრიელს სურდა დათიკოსთვის გაეხსენებინა წარსული, ბავშვობიდან მოყოლებული თამროს შერცხვენამდე, რომ მას, დათიკოს, ბოლოს უღებდა არა უცხო ადამიანი, არამედ მასთან ერთად გაზრდილი **გაბრო**.

„გლახის ნამშობის“ მეორე პერსონაჟი – **დათიკო** – თავადიშვილია, თითქოს, როგორც მაღალი ფენის წარმომადგენლისთვის, ავტორს დავითი უნდა შეერქმია მისთვის, მაგრამ მოთხრობაში ნამდვილი, ამოსავალი, ონიმით არასდროს მოიხსენიება. ნამდვილი სახელისა და პარალელური სახელის მიმართებით საინტერესოა ბესიკ ხარანაულის პოემა „ხეივანი თოჯინა“: „ადექი, ალე! იქვემეხე, იალექსანდრე!“ – ამ სიტყვებით ავტორი გადმოგვცემს, თუ როგორ ვერ შეძლო ალემ ალექსანდრედ გადაქცევა. თამაზ ხმალადის მოთხრობაში („სავსე მთვარე“) „მენახირეც ჯერ გაბოობას ვერ გასცილებია, თუმცა ალბათ ნათლობის სახელი გაბრიელი ჰქვია“ – აღნიშნავს თავად ავტორი დიალოგებში (გოგოლაშვილი, ხმალაძე 2024: 75). დათიკომაც ვერ შეძლო „დავითობამდე“ მიღწევა. „დათიკო, როგორც მოგეხსენებათ მამის-ერთა ბავშვის ამბავი, მეტად გაზვიადებული რამ იყო, განებირებული“ (ჭავჭავაძე 1977: 283) – რაც არაერთხელ დადასტურდა კიდევ ნაწარმოებში. მას ყველა პერსონაჟი ამ ონიმით მოიხსენიებს. პერსონაჟის მომავალი მისმა სახელმაც განსაზღვრა, დედისერთა ვაჟს გამუდმებით დათიკოს ეძახდნენ და „დავითობას“ არავინ სთხოვდა.

აღნიშნულ საკითხს ეხება ოტია იოსელიანიც „მეწისქვილის ქალიშვილში“. იგი აღგვიწერს, თუ როგორ მოინდომეს სოფლიდან ქალაქში გადასულმა ბეკოს ვაჟიშვილებმა, სვიმონიკამ და გიგოლიკომ, გრიგორად და სვიმონად გადაქცევა: „**სიმონიკამ** ახალი სასროლი გამოვიგონეო და **„სვიმონი“** გახდა... **გიგოლიკას** იმდენი ჩინ-მედლები ჩამოჰყვა, გიგოლიკა ველარც შენ შებედე და ქალაქისაკენ გაისტუმრე **გრიგორ** ბეკოვიჩი“ (იოსელიანი 2020: 264). ისინი ნასწავლი და წარმატებული პირები დადგნენ, ამიტომაც კნინობით-ალერსობითი სუფიქსებით გაფორმებული ონიმები აღარ შეეფერებოდათ, მაგრამ ამასობაში ვაჟებმა მშობლები დაივიწყეს. ავტორმა ამ ვითომდა უმნიშვნელო მაგალითით გვიჩვენა, რომ სახელის ფორმას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალურ და როდესაც ერთი სა-

ზოგადოებრივი ფენიდან მეორეში გადაინაცვლებ, ძველ ცხოვრებასაც და სახელსაც ადვილად უკუაგდებ.

ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ ილია ჭავჭავაძის დაუმთავრებელ მოთხრობებს: „კოლასა“ და „კაკოს“, რადგანაც, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, „გლახის ნაამბობის“ ადრინდელ მონახაზებს სწორედ ისინი წარმოადგენენ. ის ფაქტი, რომ პირვანდელ ვარიანტებში გმირებს სრულიად სხვა სახელები ერქვათ, ჩვენს ყურადღებას იქცევს. **ზაქრო** გაბრიელად იქცა, **კოლა** – დათიკოდ. რა გახდა მიზეზი მათი სახელთა ცვლილების, რატომ ჩათვალა ილიამ კოლა და ზაქრო შეუსაბამო სახელებად და გადააკეთა ისინი. „კაკოში“, როდესაც ბავშვი დაიბადება, ნიკოლოზს დაარქმევენ, მაგრამ ნამდვილი სახელით არასდროს მიმართავენ, კოლას უხმობენ, რადგანაც ეს მეტსახელი უფრო მოდური იყო: „ახალ ნაშობ დედისერთა შვილს დაარქვეს ნიკოლოზ, რადგანაც პაპის სახელით ერთიც ვერ შერჩათ შვილი. წავიდა რამოდენიმე წელი და კოლა (ეგრე მოდისამებრ ეძახდნენ ნიკოს მაგიერ შვილსა) შეიქმნა ათის წლისა“ (ჭავჭავაძე 1988: 445). ამ შემთხვევაში გასაგებია, რატომ კოლა და არა ნიკოლოზი, მაგრამ ჩნდება სხვა შეკითხვა, რატომ დათიკო და აღარ კოლა. ერთი ონიმი სრულიად სხვა სახელით შეცვალა. ფაქტი ერთია, ი. ჭავჭავაძემ არჩია, პირვანდელი სახელები უკუედო და პერსონაჟებისთვის ახალი ონიმები შეერქმია.

„გლახის ნაამბობში“ გვხვდებიან სხვა მოქმედი გმირებიც: **პეტრე** (Voc. პეტრეც), **ზაქარია** (Voc. ზაქარიაც), **გლახუკა**, **მარიამი**, **მღვდელი** (ამ პერსონაჟს ი. ჭავჭავაძე სახელს არ არქმევს, არ სჭირდება, ზოგადი სახეა კეთილი მომღვრისა), **პეპია** (Voc. პეპიაც), **თამრო** და **გიტო** (ეს უკანასკნელი დათიკოს ყურმოჭრილი ყმაა და მის შავზნელ საქმეებს უწყობს ხელს. სახელის ქღერადობითაც უარყოფით პერსონაჟად წარმოგვესახება).

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ გვხვდება რამდენიმე პერსონაჟი, მაგრამ მხოლოდ ორი მათგანის სახელს გვამცნობს ავტორი, ესენი არიან: **პეტრე** და **ბეჟანი**. ილია ალბათ ცდილობს, სახელ-გვარებით არ გადატვირთოს ნაწარმოები (აღნიშნულ ნაწარმოებში პერსონაჟების გვარები არ გვხვდება ისევე, როგორც „გლახის ნაამბობში“). ბეჟანი უფროსი ძმია, უმცროსის სახელი კი არ ჩანს ნაწარმოებში. ამ ტექსტის პირველწყარო უნდა ვეძიოთ დაუმთავრებელ მოთხრობაში „მარგალიტი ლექში“. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, სწორედ ამ უკანასკნელის გადამუშავებით შეიქმნა „სარჩობელაზედ“. პირვანდელ მოთხრობაში ილია უმცროსი ძმის სახელსაც წარმოადგენს – **მათე** და ძმათა გვარსაც – **კალმახიძე**. ჩნდება შეკითხვები, დასრულებულ ნაწარმოებში რატომ უნარჩუნებს უფროს ძმას სახელს, უმცროსს კი არა, რატომ უკუაგდებს მათ გვარს. დაუმთავრებელ მოთხრობაში მთავარი გმირი ბეჟანია, უმცროსის ასავალ-დასავალი კი არც ჩანს, „სარჩობელაზედ“ მთავარ მოქმედ გმირად უმცროსი ძმა გვევლინება და ჩვენდა გასაკვირად, მისი სახელი უკუგდებულია, არადა ზუსტად მისი წერილით ვიგებთ სიმართლეს. რატომ? – მიზეზი გაურკვეველია. მწერალი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს პერსონიმები. ორივე პერსონაჟს საზოგადო სახელით ვერ მოიხსენიებს, ორივეს ძმას ვერ უწოდებს, ამიტომაც სა-

ჭიროა, რომ ერთ-ერთს შეარქვას სახელი, მეორისათვის კი აუცილებელი აღარ ხდება სახელის შერჩევა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ონიმი **პეტრე** რამდენიმე შემთხვევაში დასტურდება (მაგ.: „გლახის ნაამბობში“ პეტრე ჰქვია იმ კაცს, რომელმაც წიგნის¹ ფასი არ იცის, სანამ მღვდელი თვალს არ აუხელს. „ოთარაანთ ქვრივშიც“ გხვდება პეტრე – გლეხი კაცია, გიორგი მას ზვინის დადგმაში დაეხმარა). ამ მოთხრობაში („სარჩობელაზედ“) პეტრე აგრეთვე გლეხია, წიგნის უცოდინარი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ილიასთვის ანთროპონიმი **პეტრე** ასოცირდება გლეხ ადამიანთან, რომელიც მუდამ მუშაობს პატიოსნად და არც შესაძლებლობა აქვს და არც დრო განათლების მისაღებად. თუმცა პეტრეს შვილები წიგნის მცოდნეები არიან. ილია თითქოს გვიჩვენებს, რომ „პეტრეებმა“ (მშრომელმა ხალხმა) უნდა გაზარდონ წერა-კითხვის მცოდნე შვილები, რადგანაც ცოდნის გარეშე აღარაფერი არ გამოვა. (ნაწარმოებში „სარჩობელაზედ“ სწორედ შვილი წაუკითხავს მამას (პეტრეს) წერილს, „გლახის ნაამბობში“ მღვდელი როცა თვალს აუხელს პეტრეს, ეს უკანასკნელი დარწმუნდება, რომ შვილს სწავლა უნდა გააგრძელებინოს).

„მგზავრის წერილებშიც“ არ ჩანს პერსონაჟთა სახელ-გვარები. მხოლოდ ერთი პერსონაჟი – **ლელთ ღუნია** – გახდა სახელით შემოყვანის ღირსი. ღუნიას გვარი არ ვიცით. ავტორი მამის სახელთან ერთად (ლელი) წარმოადგენს პერსონაჟის საკუთარ სახელს (ლელ-თ ღუნია) (მდრ.: „ოთარაანთ ქვრივი“).

ყურადღებას იქცევს ნაწარმოები „ოთარაანთ ქვრივი“. მოთხრობაში მთავარი პერსონაჟი ქალის სახელიც კი არ ჩანს, **ოთარაანთ ქვრივია** მისთვის სახელიცა და გვარიც. მან შვილისა და ოჯახის გამო თავი გადადო, თითქოს დაივიწყა თავისი პიროვნება, საკუთარი მე. მისთვის მთავარი გახდა ქმრის დანატოვრის მოფრთხილება. ეს დანატოვარი კი არის როგორც გვარი (ოთარაშვილი), ისე მისი ქვრივობა. ნაწარმოებში უგულუბელყოფილია მოქმედი გმირის გვარ-სახელი და ოთარაანთ ქვრივი გატოლებულია საკუთარ სახელთან. საინტერესოა, რომ ასე არა მხოლოდ სხვები მიმართავენ ქალს, არამედ საკუთარ თავსაც ამავენაირად მოიხსენიებს: „დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო“ (ჭავჭავაძე 1977: 469). აღნიშნულ სინტაგმაში (ოთარაანთ ქვრივი) აქცენტირებული ისაა, რომ ის ოთარაშვილების ქვრივია, რომ უკაცოდ დარჩენილი ოჯახის თავკაცი ქალია. ქალის იმედად დარჩა ეს ოჯახი და მან უნდა უპატრონოს მას.

მეუღლეს **თევდორე** ჰქვია. მოთხრობაში ეს პერსონაჟი მხოლოდ ამ ონიმით მოიხსენიება, მას ნამდვილი სახელის პარალელურ ფორმას არ არქმევს ავტორი. მაშინ, როდესაც თავადიშვილს „გლახის ნაამბობში“ დათიკო ჰქვია, რატომ არ შეიძლება, რომ გლეხკაცს „თედო“ დაუძახოს. თანაც,

¹ წიგნში ვგულისხმობთ წერა-კითხვის მცოდნეს. „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქული არა მხურავს, განა!“ (ლუარსაბ თათქარიძის სიტყვები) (ჭავჭავაძე 1977: 361).

როგორც აღნიშნული იყო, პირმცინარი ადამიანი ყოფილა თავის სიცოცხლეში და მოლხენა უყვარდა. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ასპექტზე: 1) თევდორე გარდაცვლილია, ნაწარმოებში კი მისი სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდია აღწერილი. სრული ანთროპონიმის წარმოდგენით ავტორმა ერთგვარი პატივისცემა გამოხატა მის მიმართ. 2) ოთარაანთ ქვრივის ქმარი ურიგო კაცი ვერ იქნებოდა. ის პატივსაცემი ადამიანი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვრივი ამ გვარს ასე არ მოუფრთხილდებოდა და საკუთარ სახელად არ გადააქცევდა. „*კაცი იყო, კაცი! .. ვენაცვალე იმის ჩრდილს!*“ (ჭავჭავაძე 1977: 477) – ასე იგონებს ქალი გარდაცვლილ მეუღლეს. სოსია მეწისქვილე კი შემდეგნაირად დაახასიათებს თევდორეს: „*მაგას ასეთი ქმარი მოუკვდა, რომ მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი...*“ (ჭავჭავაძე 1977: 536). აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ნათელი ხდება, რატომ შეურჩია ილიამ პერსონაჟს სახელად თევდორე.

„*ერთი დოინჯის შემოყრა-ლა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო*“ (ჭავჭავაძე 1977: 479) – ამ სიტყვებით ახსენებდნენ ოთარაანთ ქვრივის შვილს გიორგის. **გიორგი**, რომელიც გამუდმებით გაჭირვებულების დამცველად გვევლინება, მუდამ წარმოსადეგად დადის და მის სახეზე ღიმილი იშვიათად თუ გაკრთება, ვერ იგუებს კნინობით-ალერსობით ფორმას. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ: „*მწერლის მიერ ამ პერსონაჟის გიორგიდ მონათვლა არ იყო შემთხვევითი. ილიამ გიორგი დაარქვა მას და არა მიხა, ვანო ან გიორგა*“ და ამის მიზეზიც წარმოდგენილია: „*მართალია, გლეხია, მაგრამ არა უბრალო გლეხი, ამავდროულად, გამორჩეული მშობლების შვილიც*“ (გოდერძიშვილი 2012: 175).

ნაწარმოებში ასევე ვხვდებით შემდეგ პერსონაჟებს: **კუპრაანთ თედოსა** და **მანასაანთ გოლას**. ორივე მათგანი გიორგის ასაკისაა, მაგრამ მათ მსგავსად არასდროს მოიხსენიება გიორგი, ოთარაანთ გიოდ/გიორგუნად. სახელის ამგვარად შერქმევით ავტორი თითქოს გამოარჩევს გიორგის მათგან. არც ისინი ჩანან ოფიციალური სახელებით (თევდორედ და გრიგოლად/გიორგიდ). ალბათ იმიტომ, რომ მათ შორის არსებობდა გარკვეული განსხვავება. გიორგი არ იყო ჩვეულებრივი ბავშვი, მას მძიმე ტვირთად აწვა მამის სიკვდილი და დედის ქვრივობა. ჩვენ არ ვიცით კუპრაანთ თედოსა და მანასაანთ გოლას ამბავი, მაგრამ ავტორს აშკარად სურდა ისინი ერთმანეთისგან განესხვავებინა.

საინტერესო პერსონაჟია **პაატაც**. მხოლოდ ერთხელ ახსენებს მას არჩილი კესოსთან საუბრისას. რა საჭირო იყო, მისი სახელით შემოყვანა, ავტორს შეეძლო დაეწერა მოჯამაგირე, ყმა, მაგრამ არა, ამ პერსონაჟს უსათუოდ უნდა ჰრქმეოდა სახელი, რადგანაც მან თავადიშვილებს სიმართლე პირში უთხრა: „*აი, ბატონოო, თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო, – მითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: – აქედამ რომ მივაღ, ნაჯაფვეი, გზისაგან გალახული, თოვლ-ჭყაპისაგან გაწუწულ-გალაფული და ჩემს დამონებულ საბანში ცახცახით გავეხვევი და მივეგდები – რა ტკბილად დამეძინებაო, თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაიძინებთო*“ (ჭავჭავაძე 1997: 527) – ამ სიტყვათა მთქმელს ვინაობა სჭირდებოდა. **სახელის ხსენება პიროვნებას ავტორიტეტს სძენს** და ნათქვამს მეტ ფასს ანიჭებს.

ნაწარმოებში ვხვდებით ეპითეტთან მეტსახელსაც – **სოსია მეწისქვილის** სახით. სოსია ამოსავალი სახელის (იოსების) პარალელურ ვარიანტს წარმოადგენს. იგი ერთ-ერთი დასამახსოვრებელი და გამორჩეული პერსონაჟია არა მხოლოდ ილიას ნაწარმოებში, არამედ მთლიან ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც. სოსია ბედისაგან დაჩაგრული ადამიანია, არ გაუმართლა სიყვარულსა და ცხოვრებაში და მიუხედავად ამ ყველაფრისა, არ გაბოროტდა, მან სამუდამო ერთგულება გამოუცხადა თავის გრძნობებს. აღნიშნულ პერსონაჟს რადგანაც არ შეუძლია ბრძოლა, გამკლავება სხვადასხვა დაბრკოლებასთან და ამავდროულად გლეხთა ფენასაც განეკუთვნება, ავტორი შესაბამის ონიმს უძებნის მას, „*კაცი ძველი, გულჩახვეული, გულჩაკეტილი, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრეციებული. ვინ იცის, საიდან სად იყო გადმოგდებული, და აქ წისქვილში როდის შემოხიზნული*“ (ჭავჭავაძე 1977: 508).

„ოთარაანთ ქვრივი“ ვხვდებით თავადიშვილებს – არჩილსა და კესოს. **არჩილს** თავადური სახელი აქვს, სრული საკუთარი სახელი და არა პარალელური ფორმა. ამის მიზეზი მისივე ხასიათსა და ქცევაშია წარმოდგენილი. სწორედ ის საუბრობს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა წინაშეც იდგნენ იმდროინდელი ქართველები და მისი დახმარებით ხერხდება „ხიდგატეხილობის პრობლემის“ არსის შეცნობა. რაც შეეხება **კესოს**, ის ახალგაზრდაა, არაერთი გატაცება აქვს, რეალობას ვერ აღიქვამს და მისი ფიქრები არჩილის ფიქრების მსგავსად ღრმა არ არის. ამიტომაც ილია მას არქმევს კესოს და არა კესარიას. ეს უკანასკნელი ონიმი პერსონაჟის „აზროვნების ზრდასრულობას“ უფრო წარმოაჩენდა, მაგრამ კესოს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სასწავლი.

ილია ხშირად მიგვანიშნებს, რომ მოქმედება აღმოსავლეთ საქართველოში ვითარდება, ამის მიღწევას კი ენობრივი საშუალებებით ახერხებს. **ოთარა-ან-თ ქვრივი, ომარა-ან-თ მოჯამაგირე, ოფოფა-ან-თ დემეტრე** – გვარებზე (-ან)-თ ფორმანტის დართვა ხშირია კახეთის მხარეში.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობებში ხშირად ფიგურირებს დავითის პარალელური ფორმები, მაგ.:

დათია ბადიაშვილი – „ოთარაანთ ქვრივი“ (სახელისა და გვარის ეფექტი);

დათიკო – „გლახის ნაამბობი“;

დათო – „კაცია-ადამიანი?!“ (მოურავი).

ამოსავალი ონიმი – **დავითი** – ჰქვია „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟ დავით თათქარიძეს. დათია, დათიკო და დათო ნამდვილი სახელის (დავითის) პარალელური ფორმებია. **დათია** და **დათო** გლეხები არიან, შესაბამისად, გასაგებია, თუ რატომ არ ჩანან ისინი ამოსავალი სახელის ფორმებით. ამ მიდგომით ი. ჭავჭავაძე ერთგვარად ცდილობს მათი სოციალური მდგომარეობის ჩვენებას. მაგრამ რაღატომ არქმევს ავტორი ბატონიშვილს **დათიკოს**? **-იკო** ფორმანტს თავისი დატვირთვა აქვს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს პერსონაჟი ფუფუნებაში გაზრდილი და სურვილებს გადაყოლილი ადამიანია. ის გაიზარდა, მაგრამ ბავშვური ახირებები ვერ ჩამოიშორა, აქედან გამომდინარე, დათიკოდან დავითობამდე ვერ შეძლო გაზრდა. გარდა ამისა, ამ პერსონაჟთან ჩვენთვის უცნობია დათიკოსა და დათოს

გვარი. ეს უკანასკნელი ლუარსაბ თათქარიძის მოურავია, გლეხი, და მისთვის გვარის მიუცემლობა გასაგებიცაა, მაგრამ რატომ მოიხსენიებს **დათია ბადიაშვილს** („ოთარაანთ ქვრივი“) გვარით და თავადიშვილ დათიკოს („გლახის ნამბოზი“) უგვაროდ? თანაც მაშინ, როდესაც დათია ნაწარმოებში მხოლოდ ერთხელ ჩნდება, ხოლო დათიკო „გლახის ნამბოზის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია.

გავიხსენოთ „ოთარაანთ ქვრივში“ დათია როდის და რა ვითარებაში შემოდის: *„მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქლა დედაკაციო, – იტყოდა ხოლმე დათია ბადიაშვილი ოთარაანთ ქვრივზედ, – არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა“* (ჭავჭავაძე 1977: 470). როდესაც ილია აღგვიწერს ოთარაანთ ქვრივს, მკითხველზე ზეგავლენა რომ მოახდინოს არა მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს, არამედ პერსონაჟთა შეფასებებსაც გვამცნობს. ვინ არის დათია ბადიაშვილი, რატომ დაიმსახურა მან სახელ-გვარით გამოჩენა ნაწარმოებში, როდესაც არჩილისა და კესოს გვარიც კი არ ვიცით, როდესაც ოთარაანთ ქვრივის სახელი არ ჩანს ნაწარმოებში. ამ პერსონაჟის მიერ წარმოთქმული სიტყვები რომ გვერწმუნა, უნდა გავგვეცნო კიდეც, მაგანის მიერ ნათქვამი სიტყვები არ იქნებოდა სანდო, ვინ წარმოთქვა ეს სიტყვები, მისი სახელ-გვარი ჩვენთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო. თუ იდენტობა არსებობს, უფრო სანდოა მის მიერ თქმული სიტყვებიც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მეტი დამარწმუნებლობისათვის შემოიტანა ილიამ მოთხრობაში დათიას გვარი. სახელ-გვარით გამოჩენას მეტი ეფექტი აქვს. ამის საპირისპიროდ გავიხსენებთ ერთ ეპიზოდსაც.

„კაცია-ადამიანში“ ავტორი შემდეგ მონაკვეთს წარმოგვიდგენს: *„ვილაცამა სთქვა: „ქართული სიყვარული ლანძღვაო“* (ჭავჭავაძე 1988: 35) – ავტორი აქ არ აკონკრეტებს მთქმელის ვინაობას. მთავარია გადმოგვცეს, რომ ეს მოსაზრება მისი კი არა, არამედ ვიღაც სხვის მიერაა წარმოთქმული და დავიჯერებთ თუ არა, ეს ჩვენი, მკითხველის, გადასაწყვეტია. ერთ შემთხვევაში ავტორის მიზანია ოთარაანთ ქვრივის სიყოფიერე გაუსვას ხაზი, ამიტომაც მხოლოდ თავად ვერ შეაქებდა ქვრივს, მას თანამოაზრეც სჭირდებოდა, ამიტომაც შექმნა პერსონაჟი სახელითა და გვარით, დათია ბადიაშვილის სახით. მეორე შემთხვევაში სიტუაცია განსხვავებულია. ილიას არ სჭირდება საკუთარი მოსაზრების გამყარება. პირიქით, ის ცდილობს, თავი აარიდოს ამ სიტყვების ავტორობას და ვიღაც სხვას მიაწერს მის წარმოთქმას, სუბიექტი ნიველირებულია, მისი ვინაობა მთავარი არ არის.

ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟებს, მათ შორის თავად **ლუარსაბ თათქარიძის** სახელ-გვარს. გვარი თათქარიძე არარეალური ჩანს, ცნობები არ მოიპოვება ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის წიგნში „გვარ-სახელები საქართველოში“. ის არც მეტყველი გვარია ავტორის სპეციალურად რომ შეექმნა, მაგრამ ალბათ ჰქონდა გარკვეული მოტივაცია, რის გამოც გადაწყვიტა პერსონაჟი თათქარიძედ მოენათლა. რაც შეეხება საკუთარ სახელ ლუარსაბს, ის ქართველ მეფეთა სახელია, წმინდანად შერაცხილ მეფეს ჰქვია. ამიტომაც აღნიშნული ანთროპონიმი ერთგვარ პატივისცემას უნდა იწვევდეს. მაგრამ რა ხდება მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძემ შექმნა პერსონაჟი, სახელად ლუარსაბი. კვლავ ზემოთ

დასახელებულ ნაშრომს თუ მოვიხმობთ, ვნახავთ, რომ სახელი ლუარსაბი მხოლოდ 218 ადამიანს ჰქვია 1997 წლის მონაცემით (სილაგაძე, თოთაძე 1997: 321). „*მწერალმა აიღო, წამოიღო, დაარქვა თავის პერსონაჟს და... წარმოიდგინეთ, „მოკლა“ სახელი... (გოგოლაშვილი, ხმალაძე 2024: 85) – ასე აფასებს გიორგი გოგოლაშვილი ილიას საქციელს. ამ ონიმის ხსენებისას პირველი ადამიანს სწორედ ეს პერსონაჟი გაახსენდება და არა ქართველი მეფე, ამგვარმა ვითარებამ კი სახელის უკუგდება გამოიწვია და მის დარქმევას ახალშობილებში ერიდებიან.*

ზოგჯერ ავტორი ისეთ მოქმედ გმირს ქმნის, რომლის სახელიც მხოლოდ ამ პერსონაჟს გაგვახსენებს (მაგ.: ლუარსაბი). როდესაც დიდი მწერალი მსგავს მხატვრულ სახეს ქმნის, სხვა შემოქმედი უნდა მოერიდოს არსებული პერსონიმის გამოყენებას საკუთარ ნაწარმოებში. კონსტანტინე გამსახურდიამ გრიგოლ აბაშიძეს უსაყვედურა, რადგანაც ამ უკანასკნელმა „ლამარელაში“ ერთ-ერთ პერსონაჟს ლუხუმი დაარქვა. ამ ანთროპონიმის მატარებელი უკვე იყო ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ პერსონაჟი, ამიტომაც დიდი მწერლის დიდ პერსონაჟს გრიგოლ აბაშიძე აღარ უნდა შეხებოდა. მწერალ თამაზ ხმალაძესაც შემოჰყავს საკუთარ მოთხრობებში პერსონაჟი, სახელად ლუარსაბი, მაგრამ მას არა ნამდვილ ონიმით, არამედ მეტსახელით – „ქუხილა“ – მოიხსენიებს, ამ ფაქტს ალბათ გარკვეული მიზეზიც აქვს. არა მხოლოდ სხვა ავტორი, არამედ თავად კონკრეტული სახელის პირველად შემოქმედი დიდი მწერალიც სხვა ნაწარმოებებში პერსონაჟებს ამ სახელით აღარ მონათლავს. ილიას შემოქმედებაში „ლუარსაბი“ სხვა პერსონაჟს აღარ ჰქვია. ალბათ იგრძნო მწერალმა, რომ მისი „ლუარსაბი“ ადვილად დასავიწყებელი პერსონაჟი არ იქნებოდა და სხვა მოქმედ გმირს არსებული სახელი აღარ მოარგო.

ჩნდება შეკითხვა, ქართველი მეფის სახელის დარქმევით ერთგვარად ხომ არ დასცინა ამ პერსონაჟს ილიამ, მას ჰქვია ლუარსაბი, მაგრამ ვერ „ლუარსაბობს“. „გლახის ნამბობში“ დათიკო და გაბრიელი თითქოს ავთანდილ-შერმადინივით არიან, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს ვერ გაუტოლდნენ: „*ამით გათავდა შენი შერმადინობა? როგორიც ავთანდილი შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე*“ (ჭავჭავაძე 1977: 351). თავადს გლახის სახელს ვერ მოარგებდა. ილიას უნდა მოეძებნა არისტოკრატიული სახელი, მაგრამ ყველა ონიმი ზედგამოჭრილი არ იქნებოდა მისთვის. რატომ არქმევს ავტორი მას ლუარსაბს და არა რომელიმე სხვა ონიმს, თუნდაც გიორგის ან ნიკოლოზს, საინტერესო ახსნას გვთავაზობს თამაზ ხმალაძე: „*გიორგი ალბათ ვერ დაერქმეოდა. სიტყვის ბგერითი შედგენილობა ისეთი – ლუარსაბ – თითქოს გაბერილია... ბ – ბერ – ბერვა... თითქოს კავშირშია პერსონაჟთან... გიორგი ამ ასოციაციას ვერ შექმნიდა*“ (გოგოლაშვილი, ხმალაძე 2024: 86).

„კაცია-ადამიანის?!“ ჩანასახს ვხვდებით „კოლასა“ და „კაკოში“. ლუარსაბის პირვანდელ სახელად **დათო** დასტურდება. როგორც ჩანს, თათქარიძემ ონიმი „დათო“ ვერ მოიხდინა, სწორედ ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო და ილიამ საჭიროდ ჩათვალა პერსონაჟისთვის სახელი შეეცვალა.

დავით კლდიაშვილს „სამანიშვილის დედინაცვლის“ დაწერამდე, თავდაპირველად მხოლოდ სიზმრის სცენა ჰქონდა აღწერილი, ნაწარმოების გაგრძელებას არც აპირებდა. ამ მცირე მონაკვეთში პერსონაჟებს სხვა სახელები ერქვათ, ხოლო ვრცელი მოთხრობის შექმნის შემდეგ შეიცვალა ნაწარმოების სათაურიც („ძილი მოსვენება“ > „სამანიშვილის დედინაცვალი“) და პერსონიშებიც (ბეჟანი > ბეკინა, არჩილი > პლატონი, ქრისტიანა > დარიკო, ლევანი > კირილე, სანებლიძე > სამანიშვილი). აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პირვანდელ წყაროში („კოლა“) ონიმი დათო მისაღები ფორმა იყო ილიასთვის, რადგანაც იგი მეორეხარისხოვან პერსონაჟად გვევლინებოდა, მაგრამ დასრულებულ მოთხრობაში (კაცია-ადამიანი?!), მთავარმა პერსონაჟმა „დათობა“ ველარ შეიშნო და იქცა ლუ-არსაბად.

ლუარსაბის მეუღლე **დარეჯანი** დაუმთავრებელ მოთხრობაში „კაკო“ ქეთევანად იწოდება. დარეჯანიც ქართველ დედოფალთა სახელი იყო ისევე, როგორც ქეთევანი, მაგრამ მწერალმა არჩია ერთი საკუთარი სახელის მეორით ჩანაცვლება.

ცოლსა და ქმარს მაღალი არისტოკრატიული სახელები ჰქვიათ – ლუარსაბი და დარეჯანი, წმინდანად შერაცხილი მეფისა და დედოფლის სახელს ატარებენ, მაგრამ მათი მსგავსნი არ არიან. მათ ვერ გაუთანაბრდებიან. მხოლოდ სახელის დარქმევა ვერ უშველით.

ილიას ზოგიერთ გვარ-სახელში ირონია შემოაქვს. ირონიულია, რომ თავადებს ჰქვიათ ლუარსაბი და დარეჯანი და პიროვნული მახასიათებლებით ამ სახელებს შეურაცხყოფენ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გვარი „თათქარიძე“ ილიას მიერ ჩანს შექმნილი, რაც შეეხება დარეჯანის გვარს **„გმელაძეს“**, აქაც თავისებურება იკვეთება. სილაგადისა და თოთადის ნაშრომში დასტურდება ფორმები: გრძელიძე და გძელიძე, მაგრამ გძელაძე – არა. ფაქტია, რომ „ი“ ხმოვანი „ა“ ხმოვანმა ჩაანაცვლა. აღნიშნულ ჩანაცვლებას ამგვარად ხსნის გ. გოგოლაშვილი: „ი/ა შენაცვლებით ირონია შემოაქვს, დასცინის; სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობას აძლევს... „ეს ამოდენა დედაკაცი, ჩაგოდრებული, ჩასორსლებული(...) გორგალსავით დაგორავდა...“ და გძელაძეო... ეს ა სუფიქსის გამოყენების ის შემთხვევა ჩანს, სიტყვას კნინობითობის (უქონლობის) შინაარსს რომ აძლევს: კულა უკუდოს ნიშნავს“ (გოგოლაშვილი, ხმალაძე 2024: 91).

აქედან გამომდინარე, ყურადღებას იქცევს პერსონიშთა ფონეტიკური შემადგენლობაც. სახელის სტრუქტურამ, ფონემათა შემადგენლობამ, შეიძლება წინასწარი შთაბეჭდილება შეგვიქმნას პერსონაჟის ხასიათის, ზნე-ჩვეულებისა თუ ავკარგიანობის შესახებ. მაგალითად, მკვლევრები როდესაც საუბრობენ წიწოლას შესახებ (ვაჟა-ფშაველა – „ბახტრიონი“) მიუთითებენ, რომ „წ“ ბგერის წარმოჩენა უარყოფით ელფერს სძენს სახელს. ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას“ სანამ გაეცნობა მკითხველი, წინასწარ ივარაუდებს, რომ დადებითი პერსონაჟი გოგოთური იქნება, ხოლო უარყოფითი – აფშინა. ლუარსაბის პერსონაჟი სხვა ონიმს ვერ მიისადაგებდა, რადგანაც „ბ“ ასო მის მსგავსად გაბერილია, დარეჯანის გვარიც გძელაძე უნდა ყოფილიყო, რადგანაც „ა“ ფონემა ღიაობით ყველა ხმოვანს აჭარბებს და პერსონაჟის ფიზიკურობას ასახავს.

პიესაში „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენებში“ ვეცნობით **გლახა ჭრიაშვილს**. ეს პერსონაჟი უთავბოლოდ საუბრობს, აზრს თავს ვერ უყრის, ამბის დასრულებას ვერ ახერხებს, ამიტომაც აღნიშნული სახელი კარგად მოიხდინა. მისი გვარი მოტივირებული ჩანს. „*ორსიტყვიანი სინტაგმა იქცა სახელ-გვარად: გლახა ჭრიაშვილი – გლახად (ცუდად) ჭრიალეს, გლახად ჭრის*“ – აღნიშნავს გ. გოგოლაშვილი (გოგოლაშვილი, ხმალაძე 2024: 91). ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ვ. აბაშიძის მიერ გამოცემულ კრებულ „ჩანგში“ აღნიშნულ პიესას სათაურად უწერია „გლახა ჭრიაშვილი“, ხოლო „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენებში“ სათაურის ქვემოთაა მიწერილი (ჭავჭავაძე 1988: 619). ე.ი. ეს პერსონაჟი არა რიგითი, არამედ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომლის სახელზეც სპეციალურად იფიქრა ავტორმა. გლახა ჭრიაშვილი მეტყველი სახელ-გვარია, მასში გამოკვეთილია პერსონაჟისათვის დამახასიათებელი მეტყველების ნიუანსი. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში მეტყველი სახელ-გვარები ხშირი გამოყენების არაა, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში თუ შევხვდებით და ეს მაგალითი ერთ-ერთი მათგანია.

ილია ჭავჭავაძეს რამდენიმე პოემა აქვს შექმნილი, თუმცა პერსონაჟთა სიმრავლით ისინი არ გამოირჩევა (მაგალითად, „აჩრდილსა“ და „განდეგილში“ პერსონიშები საერთოდ არ დასტურდება). ყურადღებას გავამახვილებთ ნაწარმოებზე „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. პოემაში ჩანს ორი პერსონაჟი: **კაკო ყაჩაღი**, გვარად ბლაჭი-აშვილი და **ზაქრო**. მთელი სიუჟეტის განმავლობაში გადმოცემულია ზაქროს ამბავი, ბავშვობიდან მოყოლებული ბატონის მოკვლამდე.

ილია ჭავჭავაძემ კაკოსა და ზაქროს სახელები ერთმანეთს ჰარმონიულად შეუწყო (ეს შემთხვევითი არ ჩანს). ორივე ონიმი ორმარცვლიანია და „ა“ და „ო“ ხმოვნებზეა დაფუძნებული, ამიტომაც მკითხველს ეს საკუთარი სახელები განუყრელად ამახსოვრდება.

როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონაჟების სახელებს. პერსონაჟის სახელში შეიძლება ასახული იყოს მისი სოციალურ-საზოგადოებრივი ფუნქცია, მაგალითად, ჩანდეს ღირსეულია თუ უღირსი, განეკუთვნება მაღალ სოციალურ წრეს თუ დაბალს და ა.შ. მხატვრულ ლიტერატურაში ავტორები ცდილობენ პერსონიშებით განასხვაონ თავადები და გლეხები.

ილიაც ცდილობს ამ ხერხით გამიჯნოს ორი სოციალური ფენა. მაგალითად, ერთ მხარეს არიან დავითი, ლუარსაბი, დარეჯანი, ელისაბედი, ხოლო მეორე მხარეს – ლამაზისეული, მოურავი დათო, სუტკნეინა და ა.შ. მაგრამ აქვეა არჩილიც და მის გვერდით ჩანს გიორგი. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუ რატომ გახდა საჭირო გიორგის ნამდვილი სახელით მოხსენიება. ამ შემთხვევაში არა მისი სოციალური ფენისთვის, არამედ მის პიროვნულ მახასიათებლებზე უნდა გაესვა ხაზი ილიას.

არა მხოლოდ ორი სოციალური ფენა, არამედ ერთი ფენის შიგნითაც დიფერენცირდებიან პერსონაჟები საკუთარი სახელებით, მაგალითად

„ოთარაანთ ქვრივში“ გიორგი და მანასაანთ გოლა; თევდორე და კუპრაანთ თედო...

პერსონაჟმა შესაძლოა გვარ-სახელი თავიდანვე მოიხდინოს და მწერალი არ გააწვალოს, მაგრამ ზოგჯერ „ეურჩება“ შემქმნელს და აიძულებს არაერთხელ გამოუცვალოს სახელი, სანამ ზუსტს არ უპოვის. პერსონიშების შერჩევა არაა მექანიკური პროცესი. შესაძლოა ზუსტად ვერ გამოვარკვიოთ, რატომ ამჯობინებს ილია კონკრეტულ საკუთარ სახელებს, მაგრამ ის ყველაზე უკეთ იცნობს თავის პერსონაჟებს და ხვდება, როგორ უნდა მიმართოს მათ, რათა დაძახებულ სახელზე პერსონაჟმა მოიხედოს და ავტორს არ გაუძლიანდეს.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2021-2022 – გ. გოგოლაშვილი, დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა სახელ-გვარების თაობაზე: ქართველური ენათმეცნიერება, VIII წიგნი, თბილისი, 2021-2022.

გოგოლაშვილი 2022 – გ. გოგოლაშვილი, ენა და მწერალი, VIII წიგნი, რა ფერისაა სიტყვა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ფბილისი, 2022.

გოგოლაშვილი, ხმაღაძე 2024 – გ. გოგოლაშვილი, თ. ხმაღაძე, პერსონაჟს სახელი ამშვენებს. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024.

გოდერძიშვილი 2012 – ქ. გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.

იოსელიანი 2002 – ო. იოსელიანი, ჩემი ასავალ-დასავალი. ბაკმი – ბ. მაცაბერიძის გამომცემლობა, თბილისი, 2002.

იოსელიანი 2020 – ო. იოსელიანი, რჩეული ორ წიგნად, I წიგნი. „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2020.

ლომოური 1954 – ნ. ლომოური, მოთხრობები. საბჭ. მწერალი-ს გამბა და სტ., თბილისი, 1954.

სილაგაძე, თოთაძე 1997 – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში. თბილისი, 1997.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1950-1964.

ჭავჭავაძე 1977 – ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, I ტომი. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977.

ჭავჭავაძე 1988 – ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, II ტომი. „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988.

Nana Shoshiashvili

Names of Characters in Ilia Chavchavadze's Works

Summary

The selection and naming of characters are an important and deliberate aspects of a writer's creative process. This thesis focuses on the principles behind character naming in Ilia Chavchavadze's epic works. The author explores how names are selected, what factors influence these choices, and how the naming process reflects deeper narrative or thematic intentions.

In Chavchavadze's writing, characters represent a wide range of social classes, ages, and genders. Despite this diversity, their proper names often lack variety. The same names—and variant forms of those names—appear frequently across different works, and even within a single work. For instance, the name “Daviti” occurs in various forms such as **Daviti, Dato, Datia, Datiko**, etc.

This raises several questions:

- Why did the author choose to reuse certain names across multiple characters or stories?
- Why are multiple variants of the same name used?
- Why do some characters—including major ones—remain nameless (e.g., the widow of Otarashvili, Bezhani's younger brother)?
- In some unfinished drafts, characters are given names (e.g., “Mate” in *The Sludge in Pear*), yet those names are omitted in the final versions (e.g., *On the Gallows*). What accounts for these omissions?
- Why do some secondary characters have surnames (e.g., Datia Badiashvili in *The Widow of Otarashvili*), while main characters like Gabrieli and Datiko (*Narration of a Pauper*), or Archili and Keso (*The Widow of Otarashvili*) do not?

This thesis seeks to answer these questions and demonstrate that Ilia Chavchavadze approached character naming with intention and subtlety. The choice of a name was never random—it reflected the author's attitude toward the character and often conveyed social, psychological, or symbolic meaning.

სოფიკო ჭაავა

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო მოგზაურობა აჭარაში მცხოვრებ ლაზებთან (1927-1929 წლების საარქივო მასალების მიხედვით)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (არნოლდ ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმი) დაცულია აკადემიკოს არნ. ჩიქობავას პირადი არქივი, სადაც სხვადასხვა მნიშვნელოვან საარქივო მასალებთან ერთად ინახება სამეცნიერო მოგზაურობის დღიურები, რომლებიც მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენს ქართველური ენებისა და დიალექტების შესახებ. როგორც ვიცით, აკად. არნოლდ ჩიქობავა იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც 1926 წელს სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო აჭარაში, სოფელ სარფში მცხოვრებ ლაზებთან, ლაზური ენის მდგომარეობისა და მისი გრამატიკული თავისებურებების შესასწავლად.

1927-1928 წლებში არნ. ჩიქობავა სამეცნიერო მივლინებით ხელახლა ჩავიდა აჭარაში და იმოგზაურა ლაზებით დასახლებულ შემდეგ სოფლებში: სარფში, გონიოში, თხირნალსა (ვიწელები), სიმონეთსა (ხოფელები) და მახოში.

ამ მოგზაურობის ამსახველ დღიურებს შორის ყველაზე სრულია 1926 წლის ჩანაწერები, რომელთაც ახლავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტისთვის წარდგენილი საანგარიშო მოხსენება. მეტ-ნაკლებად ვრცელია 1927 წლის მასალები, 1928 წლის დღიური მხოლოდ 1 გვერდია და ორ ან სამსიტყვიანი წინადადებებით არის ჩანიშნული მოვლენათა ქრონოლოგია. დღიურებში ფანქრით ჩაწერილი ადგილები გაფერმკრთალებულია, ამიტომ ჭირს ცალკეული აბზაცების წაკითხვა. გარდა ამისა, არნ. ჩიქობავა ერთგან აღნიშნავს, რომ ლაზი რესპონდენტების გვარები იხილეთ დიდ რვეულშიო, მაგრამ ასეთი რამ პირად არქივში არ იძებნება. ამასთანავე, არქივში არ არის შემონახული საველე მუშაობისას ჩაწერილი ლაზური ტექსტების არცერთი ეგზემპლარი, რომლებსაც მეცნიერი შავ და თეთრ ვარიანტებად იწერდა და ამ პროცესს დიდ დროს უთმობდა.

ზემოაღნიშნულ საარქივო მასალებთან ერთად წარმოავდგენთ ალი თანთ-ოდლის (ალი თანდილავა – ლაზი ისტორიკოსი და ფილოლოგი, ლაზური ლექსიკონის ავტორი – ს. ჭ.) მიერ 1929 წელს არნ. ჩიქობავასთვის გამოგზავნილ ლაზურ ენაზე შედგენილ პირად წერილს და მის ქართულ ვარიანტს.

დღიურის ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ 1927 წლის 8 ოქტომბერს თბილისიდან წამოსული არნ. ჩიქობავა ჯერ ქობულეთში მიდის მამიდა ანიტასთან. 9-ში ბათუმში სანაპირო რაზმის ნებართვა აიღო და მოინახულა აჭარის განათლების სახალხო კომისარიატის მინისტრის მოადგილე დ. ქუთათელაძე. 9-იდან 11-ამდე არნ. ჩიქობავა იძულებული გახდა ბათუმში დარჩენილიყო, ვინაიდან ძლიერი წვიმების გამო სარფში წასვლა შეუძლებელი იყო. ამ დღეების განმავლობაში მან ნახა სარფელი ხოჯა, მისი ცოლის ძმა (ლაზი) ოსმან ქესოღლი და ერთი მოხუცი ლაზი. 12-ში სარფში ჩავიდა და ახმეტ თანთოღლის სახლში დაბინავდა. იმავე დღეს ესაუბრა სარფის პირველი ქართულიენოვანი სკოლის დამაარსებელს და მასწავლებელს პოლიკარპე ხაინდრავას. 13-ში ნოღაში (ნოღა – სოფლის ცენტრი – ს. ჭ.) ჩავიდა ალისთან და ბევრი საკვლევი მასალა ჩაიწერა.

საინტერესოა 14 ოქტომბრის დღიურის ჩანაწერი, სადაც არნ. ჩიქობავა საუბრობს ახმეტ თანთ-ოღლის ძმის ფეხრის შესახებ: „ალის ვათარგმნინე ქართულიდან ლაზურად პატარა მოთხრობები. მაინცდამაინც კოხტა თარგმანი არ გამოვიდა, მაგრამ მაინც მასალაა. (ახმეტი გაცილებით უკეთ ახერხებდა, ხატიჯეც კარგად ამბობს: ნიჭის საქმეა ალბათ). მერე ხოფას აწერილობა და ჰუქუმეთის მექთების ვითარება ფეხრის ვათქმევინე. ეს ფეხრი ნამდვილი სდურპრიზი იყო. შემოვიდა ოთახში სრულიად მოულოდნელად ლამაზი ყმაწვილი, რაღაც შემოიტანა. ვიკითხე, ვინ არის მეტქი; ეს ფეხრია ახმეტის ძმა „ხოფასნა იკითხავსო“ მითხრეს. იზრდება სახაზინო ხარჯზე! ხოფას შემდეგ ტრაპიზონში წავალ, მერე სტამბოლში! რაში იმუშავებ, სად? – თურქიას, იყო პასუხი – სიმპატიური ბავშვია, ნიჭიერიც, კარგი ნიჭიერიც. ტყვილად არ წაუყვანია ქემალის მთავრობას იგი აქედან! ამას ყურადღება უნდა, დიდი! მე განსაკუთრებით კარგად მექცევა. ხოფას აწერილობა ვათქმევინე, მერე ერთი თურქული ლექსი (ბიჭები და ჩიტისა) ქართულად გადავთარგმნინე. – მინდა ეს თუ ხვალ არ წავიდა, ქართული ასოები დავასწავლო, რომ ლაზური მასალები ჩაწეროს. – საერთოდ დღე ძალიან ნაყოფიერი გამომივიდა. ასე რომ აქ კიდევ ერთი კვირა ვიმუშაო, საკმაო მასალებს შევაგროვებ და დამშვიდებით შემემღება თხირნალს წასვლა, თუ მოხერხდა“ (როგორც ფეხრისა და ახმეტის ნათესავისგან, ენათმეცნიერ იაშა თანდილავასგან გავიგეთ, ფეხრი მართლა დარჩენილა თურქეთის ტერიტორიაზე. ის წლების განმავლობაში მუშაობდა თურმე, როგორც კვალიფიციური ინჟინერი და ადვოკატი, ასევე, წერდა ლექსებს. მისი ოჯახის წევრები აგრძელებენ ურთიერთობას სარფელ ნათესავებთან. ფეხრის ერთ-ერთ შთამომავალს სარფელი ქალი შეურთავს ცოლად).

არნ. ჩიქობავა მუშაობისას ლაზური ენის დიალექტებისთვის იყენებდა სპეციალურად მომზადებულ ანკეტებს. დღიურში აუცილებლად აღნიშნავდა, ვისთან რა ტიპის ტექსტები ჩაიწერა. კმაყოფილი იყო, როცა ბევრი მასალის მოპოვების შესაძლებლობა ეძლეოდა დაწუხდა, როცა გარკვეული მიზეზების გამო ხელი ეშლებოდა მუშაობაში. მეცნიერი ცდილობდა ბუნებრივ გარემოში გაჟღერებული ლაზური ენის ნიმუშები ჩაეწერა:

„ხვალ შუქრის ყანის სატეხად მიდიან და მეც მიინდა „წავეშველო“. დრო დაიკარგება, მაგრამ ლაზურ მეტყველ კოლექტივს ქალიან ბავშვებიანად სხვაფრივ ასე ადვილად ვერ გადაეყრები კაცი“. მართლაც, ახალგაზრდა მეცნიერი სარფელებთან ერთად მეტად დაქანებულ ფერდობზე ავიდა სიმინდის მოსატეხად. როგორც ლაზებმა უთხრეს, ძველად, მათი მამა-პაპული ასეთ სიმაღლეზე ცხოვრობდა, კიდევ უფრო მაღლა კი მათი ბატონი, ბეგი. მეცნიერს 2 საათი დასჭირდა, რათა ზემოაღნიშნული ფერდობიდან ზღვის სანაპიროზე „გაჭირვებით“ ჩამოსულიყო“.

არნ. ჩიქობავამ სარფში 10 დღე დაჰყო და ამ დროის განმავლობაში ჩაიწერა 85 გვერდი ლაზური მასალა. დღიურებში ზოგან ჩანიშნულია შენიშვნები ლაზური ენის შესახებ, მაგ.: „ახალი ჯერ-ჯერობით არაფერი შემინიშნავს, გარდა იმისა, რომ

1) ართელი ართეის სახეს იღებს: ღ'ც იზიარებს რ'ს ბედს. ჯერ-ჯერობით ასეთი რამ სხვა სიტყვებზე არ შემიმჩნევია.

2) მესამე ჯგუფის დროთა წარმოებისას უკვე მექანიზაციის სტადიაში ვართ და ანალოგიას დიდი გასავალი აქვს: პჰკომერეს გვერდით ვიკითხერე'ც არის: იკითხერი' მიმღეობა შეუძლებელია (ჰკომერი კი), მაგრამ ეს ხელს არ უშლის. პჰკომერეს შდრ. ვყოფილვარ: თუმცა აქ ვარ არის, იქ „ე“ ???

3) ქ'ს ნაცვლად ქა პრევერბში ხშირად ჰ' ისმის. გარკვეული ჰ. შარშან, როგორც ჩანაწერიდან ჩანს ასეთ შემთხვევაში „ჰ“ ჩამიწერია!“

22-23 ოქტომბერს არნ. ჩიქობავამ იმუშავა ნოლაში, ჩაიწერა სახლის ნაწილების სახელწოდებები და აღნიშნა, რომ ყველაფერი თურქულიაო. სხვადასხვა პირის მიერ თარგმნილი ტექსტების შედარებისას აკვირდებოდა თარგმანებს შორის არსებულ სხვაობებს. ნოლაში ყოფნისას „კოლექტიურ აზრის ჯირითის გარემოში“ (სხვადასხვა ასაკის ლაზები ერთდროულად აწერინებდნენ მასალებს – ს. ჭ.), 18-გვერდიანი მასალის ჩაწერა მოახერხა.

24 ოქტომბერს არნ. ჩიქობავა გაემგზავრა თხირნალში, სადაც შემდეგი ვითარება დახვდა: „ჭანები სოფელში 16 მოსახლე (სულ 104 მოსახლე), თითქმის 15%. ამათგან მხოლოდ 5 მოსახლემ იცის ლაზური, დანარჩენმა მხოლოდ თურქული პლუს ცოტა ქართული, ესეც მხოლოდ ზოგიერთის შემთხვევაში. ჩავედით თხირნალს და სასწავლებელში ეზოში შევედით. გზა ოღრო-ჩოღრო და უხეირო. თხირნალი დამტვრეული კუთხე, მივარდნილი, უსიამოვნო. რვა-ათ ვერსით შორავს ბათომს და უხიდობის გამო დაკარგულში გრძნობ კაცი აქ თავს. – სასწავლებელი ღელეს მახლობლადაა, ჯამეს გვერდით; ორივეს გარეგნობა მთლიანად არკვევს მათ როლსა და ფასს სოფლის თვალში. სკოლა დაბალი, რაღაც სამზაურეულოს მაგვარი, ძველი და უწყალო. ჯამე მაღალი, ორსართულიანი, თუნდაც უსარკმლო, სათანადო ღია ადგილებით; პარტახის შთაბეჭდილებას სტოვებს ორივე. მაგრამ შკოლის სიბეჩავე და ბედოვლათობა ისე იმდენად უზომოა, რომ ცუდ გუნებაზე დადგები, რაც უნდა ხალისიანად იყო. დაუმატეთ ამას ლარტყებით უშნოდ შემოჭედილი რამოდენიმე საფლავი იქვე ჯამესთან და შკოლის უკან და გაუხარებლობის საერთო შთაბეჭდილებას თავიდან ვერ აიცილებ კაცი. – ჩამოვიდა მასწავლებელი პლატონ წილოსანი, გურული

(ლანჩხუთელი). დარაჯმა გადასძახა: ჩამოდი აქ, პლატონს (უფრო ვითარება ხელქვეითმა, ვინემ ხელქვეითს), – წერილი მივეც. საქმის ვითარება გავაცან და მასაც ვკითხე. არის სამი ჯგუფი (არის ერთი მასწავლებელი ქალი და ერთიც თურქულის მასწავლებელი! ჯერ ჯერობით დადის 17 კაცი, სამს გარდა ბიჭები. ჩივის მასწავლებელი მარტის შემდეგ მოწაფეს თვალთ ვერ ნახავ, სწავლა ფაქტიურად არ არის; გვეუბნებიან პირველ ოქტომბრიდან დაიწყეთ, და ახლა ოქტომბერი თავდება და არ უშვებენ ჯერ კიდევ ბავშვებს. უნდა ეხვეწო. აღმასკომი არაფერს აკეთებს, უჯრედი ან სხვა რამ ასეთი აქ არ არის, რომ დაგვეხმაროს. საბჭოს წევრები პირში რომ ლამაზ სიტყვებს გეუბნება, ზურგს უკან იძახის: სანამ ჩემებურ ლოცვას არ დავასწავლი (??? თურქულს), მანამდი არ გავაგზავნი ბავშვს შკოლაშიო. საქმელს ვერ იშოვი კაცი. კვერცხები არ იშოვება და ქათამი, მსხალი და ლობიო... კაცს ვერ ნახავ და გაზეთს ვერ მიიღებ... კოოპერატივი არ არის... ერთი სიტყვით ეს არის მოთქმა თავზე ხელწაუშინებლად...”

არნ. ჩიქობავა თხირნალში სკოლის დარაჯის, რიზას მამის, სულეიმან ვარშანიძე ბექიროღლის სახლში დაბინავდა: „საქმელი საღამოს მოხრაკული ბადრიჯანი და ფხალი (ფოთლები, ლობიოს მარცვლებითა და ძალით). ერთი საინიდან სამი ვჭამდით. მჭადი ელაგა ხის ფეხიან სუფრაზე ... ჟრუანტელი გამივლის ტანში“.

„26. X. 1927. მოვიდა მუსა. ეცა მსხლებს. ასე გეგონებოდა ამას წელს არეფერი უჭამიაო. 9-1/2 ვაცოდვილე. საკმაო ჩავწერე მასალები. ძალიან ფართოა პალატალიზაცია: გ > ჯ, კ > ქ, ჯ > ჩ. ყველგან არ არის გატარებული შეიძლება ასე მეჩვენება, რადგან მის ბუნებრივ მეტყველებას არ ვიცნობ. – პალატალიზაციის გამონაკლისები გასაკვირი არ არის, თუ მოვიგონებთ, რომ ყველა კილოებს იცნობს კარგად, ე. ი. ყველა კილოკავის ზეგავლენას განიცდის. თვითონ ართაშენიდანაა და ხმარობს გაპალატალეზულ ბგერებს ისეთ სიტყვებში, რამდენშიც მარსაც არ ქონდა შემთხვევა შეემჩნია“.

27 ოქტომბერს არნ. ჩიქობავა სოფელ მახოში გადავიდა და იქ არსებული მდგომარეობა აღწერა დღიურში: „სოფელ მახოში სულ 60 მოსახლე არის, 30 რიზედანაა, ლაზური არ იცის, 30-მა დაახლოებით არ იცის: ყველა ვიწედან არის, ერთია ათინელი. (გვარები იხილე დიდ რვეულში)... სახელები დღეებისა და თვეების ვერც ერთმა ვერ თქვა; თვლით დათვალეს. ნათესაურ ურთიერთობის სახელები ჩავიწერე. უცნაურია ბევრს რაშიმე მეტი მსგავსება მეგრულთან, ვინემ ეს ხოფურ-სარფულს ემჩნევა. წასვლის წინ ორი ახალგაზრდა მოვიდა და ერთი მოხუცი: უკანასკნელი ნამდვილი მეგრელი იყო გარეგნობით (არნ. ჩიქობავა დღიურებში ხშირად მიუთითებდა ლაზებისა და მეგრელების ფიზიკურ მსგავსებაზე – ს. ჭ.). – დიდის ხალისით მესაუბრნენ. მივიღე ბ. გიორგისა და ვალიკოს წერილები.

საღამოს ვწერე ბრინჯის მოყვანა და ჰექაძეები ოსმანისა და ჰემდის თქმით. სულ 11 გვერდი. ვწერე ჰექაძეები ალი მასწ. და მუსტაფა მემიშ-ოღლის თქმით, სულ 7 გვერდი, ყველა ნასრედინს ეხება“.

მოგზაურობა სოფელ მახოში

1928 წელს არნ. ჩიქობავამ ხელახლა იმოგზაურა მახოში 14 დღით, თუმცა მოგზაურობის დღიური მხოლოდ ერთ გვერდს მოიცავს და მხოლოდ 2-3 წინადადებითაა ჩანიშნული მოვლენათა ქრონოლოგია. სამეცნიერო მივლინება, ჩვეულებისამებრ, იწყება კომისარიატისა და სანაპირო რაზმისაგან ნებართვების აღებით, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდება. ამ შემთხვევაში, მეცნიერს მოგზაურობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზებაში ეხმარებოდნენ პოლიკარპე ხაინდარავა (პოლია – ასე მოიხსენიებს არნ. ჩიქობავა დღიურებში – ს. ჭ.) და ისქანდერ წითაში. დღიურში არ ჩანს სოფელ მახოში ვის სახლში რჩებოდა არნ. ჩიქობავა. ლაზები, რომლებიც ეხმარებოდნენ მეცნიერს სხვადასხვა ტიპის ტექსტების ჩაწერასა და თარგმნაში იყვნენ: ხუსეინი, ხასანი, მუხამედი, ზია მუჰმეტი (ხუსეინის ცოლი), ნური და მუსტაფა (ყველაზე მეტად ნახსენებია ხასანი და ხუსეინი).

სამეცნიერო მივლინების დასასრულს მეცნიერი ისევ განსახკომში მიდის და ნახულოზს ნეოფიტეს (პროფგანათლების ინსპექტორი ნეოფიტე ბოჟორიშვილი – ს. ჭ.). ისქანდერ წითაში ტექნიკური საკითხების მოგვარების გარდა, მონაწილეობდა ტექსტების ჩაწერის პროცესებშიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არნ. ჩიქობავას პირად არქივში ლაზურ მასალებთან ერთად ინახება სარფელ ლაზის ალი თანთ-ოღლის (კოჯრის შვიდწლედის მოწაფე) მიერ ლაზურად შედგენილ წერილი, რომელიც მან მეცნიერს გამოუგზავნა 1929 წელს:

ალი თანთ-ოღლიშენ

„ჩქიმი ჯუმადი არნოლდის“

ემ სიფთე დიდი სელამი ჯუმადი არნოლდის. მან დიდო კაი ვორე დო ბოლაქი სინთი კაი ტა. მან სარფიშენ ოთხშაბათის გამაბთი დო ხუთშაბათის კოჯორიშა ქომობთი. ენა მობთისთერი მციქა დოიდაბუნე ამა აწი დიდო კაი ვორე. მან ენა მობთისთერი მექთუბი გიჭარამინტუ ამა ემუშენი ვარ გიჭარიქი ფოშთა ვარ მალეტუ გზაეფეს დიდო მთვიი ტუ. ჩქინ ნამობთისთერი ოვთომობილითენ ეშაიტით ამა გზას ოვტომობილი ვარ ეშვალუ ედო გოიქთუ. მან ჩქინი სალიხიშ დუგუნიშათი ვარ მემაჭიშინუ ემუშენიქი ბაზარისნა ყვასინტეს კულანიკელენმომჩინესქი ვარ მემაჭიშინენა-ნიადო უმქისერის პათია. მანთი ვარ ვიყონდი დო ქომობთი. სელამი დადის. ჩქინი ოხორიშენდო შუქრიშ ოხორიშენ მთელიქ დიდიქთი დო ჭიტაქთი სელამი მოგიმჩინეს სინთიდო დადისთი. მშვიდობით.

ალი თანთ-ოღლი. 19. II. 1929”.

ჩემს ბიძას არნოლდს!

უპირველესად დიდი სალამი ბიძა არნოლდს! მე ძალიან კარგად ვარ და ნეტავ შენც კარგად იყო! მე სარფიდან ოთხშაბათს გამოვედი და ხუთშაბათს კოჯორში მოვედი. როგორც კი მოვედი, ცოტა ავად გავხდი, მაგრამ

ახლა ძალიან კარგად ვარ. მე როგორც კი მოვედი, წერილი მინდოდა მომეწერა, მაგრამ იმიტომ არ მოგწერე, რომ ფოსტაში ვერ წავიდოდი. გზაზე დიდი თოვლი იყო. ჩვენ როგორც კი მოვედით, ავტომანქანით ამოვიდით, მაგრამ გზაზე ავტომანქანა ვერ ამოვიდა, ჰოდა, დაბრუნდა. მე ჩვენი სალიხის ქორწილსაც ვერ მივუსწარი იმიტომ, რომ ბაზარში უნდა ეყიდათ რაღაცები {ბაზარში რომ უნდა ექნათ}, იმ გოგოს მხრიდან შემოგვითვალეს, რომ დიდ ხუთშაბათს გავაკეთოთ. მეც არ დავაყოვნე და მოვედი. მოკითხვა დეიდას. ჩვენი ოჯახიდან და შუქრის ოჯახიდან, ყველამ, დიდმაც და პატარამაც, მოკითხვა შემოგვითვალეს შენც და დეიდასაც. მშვიდობით.

ალი თანთ-ოღლი 19. II.1929.”

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული სამეცნიერო მოგზაურობის დღიურებიდან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ არნ. ჩიქობავა იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც 1926-1929 წლებში იმოგზაურა აჭარაში და შეისწავლა ადგილობრივი და თურქეთიდან გადმოსახლებული ლაზების ენობრივი სიტუაცია:

1. ჩაიწერა უნიკალური ლაზური მასალები: ფოლკლორული ნიმუშები, ქართულიდან და თურქულიდან ლაზურად თარგმნილი სხვადასხვა ტიპის ტექსტები, ეთნოგრაფიული ტერმინები, ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთა პარადიგმები, ადგილთა სახელწოდებები და ადამიანთა გვარ-სახელები;

2. აღწერა იმ პერიოდისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებასთან დაკავშირებული სიმძნელები და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ ხელოვნურად შექმნილი ბარიერები, რომელთა მიერ გაცემული ნებართვების გარშე მეცნიერს მოგზაურობის უფლება არ ჰქონდა;

3. გადმოსცა ლაზებით დასახლებული სოფლების არასახარბიელო სოციალური მდგომარეობა, საკვები პროდუქტების სიმწირე და საგანმანათლებლო კერებში არსებული უმძიმესი რეალობა: მოუწესრიგებელი და გაპარტახებული სასკოლო შენობები, ინფრასტრუქტურისა და სახელმძღვანელოების არარსებობა, მოსწავლეთა მცირე კონტიგენტი და სარწმუნოებრივი თუ სხვა სოციალური მიზეზების გამო თვეობით შეწყვეტილი სასწავლო პროცესი. ცხადია, საბჭოთა პერიოდში ამ ვითარების საამკარაოზე გამოტანა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა;

4. მოგზაურობის დღიურებიდან ჩანს, რომ ლაზები უდიდეს პატივისცემას გამოხატავდნენ მეცნიერის მიმართ და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ შეექმნათ მისთვის საჭირო და აუცილებელი სამუშაო გარემო, აწერინებდნენ ტექსტებს, ეძებდნენ ლაზურის მცოდნე რესპონდენტებს, აგვარებდნენ გადაადგილებასთან და დაბინავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ლაზების გულითადი მასპინძლობის შესახებ არნ. ჩიქობავა დღიურში აღნიშნავს:

„26. 09. 1929. ხუთშაფათი. მზე ამოსულიყო, თვალი გავახილე: თავზე მადგას შაჰანი: კომში, მიირთვით. მადლობა გადავუხადე. მეორეც მო-

მიტანა. თქვენთვის მოვიტანე: ცხენი რომ წავიყვანე მაშინო. – და მაშინვე გავიდა. ალბათ ეს არის პატივისცემის განსაკუთრებული სახე“.

„ვისაუზმეთ (ჩაი – უცნაურად გემრიელ ნაცხვრებით, ხაჭაპურით) მეფურად“.

„დაღამებისას შაჰანი მოვიდა, ღამე გაგიძნელდება ტალახში სიარულიო და ე. ი. ჩემ გადმოსაყვანად წამოვიდა. – წამოველით. ვისაუბრეთ: ვახშამი: კიდევ ხაჭაპური მოიტანეს (უკეთ ქადა: ეს მესამე იყო). ჩემ პროტესტის პასუხად მიმითითეს სტოლზე 10 ნამცხვრის გროვაზე“.

5. ახალგაზრდა მეცნიერი ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ლაზების ყოფა-ცხოვრების, მათი კულტურული და საგანმანათლებლო ვითარების გაუმჯობესების საქმეში. კერძოდ: მან აჭარის განათლების კომისარიატის ხელმძღვანელებს ურჩია განათლების მეშვეობით ლაზთა შორის ქართული ორიენტაციის გავრცელებისთვის შეეწყობოთ ხელი; მაგ.:

„აჭარისტანის განსახკომის მოად. დ. ქუთათელაძესთან საუბარში მე აღდმარი საკითხი განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ლაზი ახალგაზრდებისათვის, ისეთი როგორსაც ჩვენში აძლევენ მთისა და განაპირა მხარის ბავშვებს და ქართული განათლების მიღებით დაენერგათ ადგილობრივ ქართული კულტურის ორიენტაცია, რაზეც ამჟამად ლაპარაკიც არ შეიძლება;

„28. X. 1927: ჩემს იქ ყოფნაში მოვიდა „ახალგაზრდა გვარდია“ და მათ შკოლის შეფი. გამართეს კრება. ბანაკის გამგემ (კომიტეტის წევრმა) ილაპარაკა 10 წლისთავის შესახებ. ადგილობრივებმა შესჩივლეს: ნებართვა ღამით ფელუკებზე თევზის ჭერისო. – მე ველაპარაკე თხირნალის უბედობის შესახებ: მგონი შეფი დაუძებნენ“.

6. მეცნიერის უშუალო ჩარევით ნიჭიერი ლაზი ახალგაზრდები გააწილეს სხვადასხვა პროფილის სასწავლებლებში. მაგ., „ოსმანის ვაჟის კაზიმის (14 წლისაა) ბედმა დამაინტერესა: შკოლაში არ არის, თუმცა ძალიან უნდაო, დავპირდი: მომავლისთვის – საბავშო სახლში, მანამდის თუ მე მოველ ვასწავლი წერა კითხვას მეთქი... – ოსმანს დიდად გაუხარდა“.

7. ადგილობრივ ახალგაზრდებს ასწავლა ქართული წერა-კითხვა, ჩართო ისინი სავსე მუშაობაში და ჩააგონა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაზური ტექსტების ჩაწერის საქმეს: „ამის მიზანი იყო გამეწვრთნა ეს ახალგაზრდა ლაზურ ტექსტების ჩაწერაში, აღმემრა მასში სათანადო ინტერესი საქმისადმი და ამას გარდა ჩემი ჩაწერისათვის კონტროლი გამეწია“.

8. არნ. ჩიქობავა ქართული წიგნებს უგზავნიდა ადგილობრივ მასწავლებლებს.

სამეცნიერო ექსპედიციებზე ყოფნისას, ახალგაზრდა მეცნიერს არაერთხელ შექმნია ჯანმრთელობის პრობლემები არაჯანსაღი საკვებისა და არაკომფორტული საცხოვრებელი პირობების გამო, მიუხედავად ამისა, ის მაინც განაგრძობდა თავდაუზოგავ მუშაობას საკვლევი მასალების მოსაპოვებლად.

სამეცნიერო მოგზაურობის დღიურების ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 1927-1928 წლებში თურქეთიდან აჭარაში გადმოსახლებულ ლაზებს შორის ლაზური ენის ცოდნის დონე ძალიან დაბალი იყო თურქულენოვა-

ნი გარემოს ზეგავლენით. დროთა განმავლობაში აჭარის სოფლებში ინტეგრირების შემდეგ კი ჭანების მეტყველებაზე აჭარული დიალექტიც მოახდენდა მეტ-ნაკლებ გავლენას, ამიტომ საჭირო იყო დროულად აღნუსხულიყო ლაზური ენის უნიკალური თავისებურებანი. XX საუკუნის 20-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო თურქეთის ტერიტორიაზე გადასვლის, ლაზური ენის დიალექტური ნიმუშებისა და იქაურ ლაზთა მეტყველებაზე დაკვირვების შესაძლებლობა. ამიტომ არნ. ჩიქობავა ცდილობდა იქიდან გადმოსულ მცირე ლაზთა შორის მოეპოვებინა ათინურ-ართაშენული, ვიწურ-არქაბული და ხოფური კილოს მასალები. უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, მეცნიერმა დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა, ვინაიდან სამეცნიერო მივლენებზე მოძიებული მასალების საფუძველზე გამოსცა სამი უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტური ნაშრომი ლაზური ენისა და მისი დიალექტების შესახებ.

ლიტერატურა

არნ. ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმი 1926-1929 – არნ. ჩიქობავას პირადი არქივი, 1926/27/29 მივლინება ლაზებში, 1926-1929.

არნ. ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმი 1928 – არნ. ჩიქობავას პირადი არქივი, მახოს მივლინება, დღიური მოგზაურობისა, 1928 წ.

არნ. ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმი 1929 – არნ. ჩიქობავას პირადი არქივი, ალი თანთ-ოღლიშენ, ჩქიმი ჯუმადი არნოლდის, 1929.

Sopiko Chaava

Academician Arnold Chikobava's Scientific Journey to the Laz People Living in Adjara

(Based on Archival Materials from 1927-1929)

Summary

The personal archive of Academician Arnold Chikobava contains the researcher's scientific travel diaries, which serve as important primary sources on the Kartvelian languages and dialects. Among these, the most noteworthy are the records on the Laz language and its dialects.

As is well known, Acad. Arn. Chikobava was the first researcher who organized a scientific expedition to study the state of the Laz language and its grammatical features among the Laz community living in the village of Sarpi, Adjara, in 1926. In 1927, in addition to Sarpi, he extended his research to

other Laz-inhabited villages: Gonio, Tkhirnali (Vitselebi) and Simoneti (Khopelbi). In 1928, he visited the village of Makho.

Among the diaries describing these scientific expeditions, the most complete are those from 1926, accompanied by a report submitted to the Pedagogical Faculty of Tbilisi State University. The 1927 materials are more or less extensive, while the 1928 diary is only a single page in length, with brief, two- or three-word chronological notes (Iskander Tsitashi appears in the entries – S. Ch.).

Many of the diary texts, written in pencil, have faded over time, making certain passages difficult to read. Chikobava mentions that the full materials were copied into a larger notebook, but such a volume is not present in his archive. Moreover, no final or draft versions of the texts recorded during fieldwork have been preserved.

In addition to the archival materials, Chikobava's archive also contains a personal letter written in the Laz language by Ali Tant-Oghli (Ali Tandilava) – a Laz historian, philologist, and author of the Laz dictionary.

Unlike Sarpi, the Laz population in the other villages was smaller and had limited knowledge of the Laz language. Nevertheless, Chikobava succeeded in gathering a substantial body of research material. His diaries reflect not only linguistic observations but also document the difficult social conditions in these villages—shortages of food, transportation challenges, and overall hardship.

The diary entries reveal that the Laz people who migrated from Turkey to Adjara between 1927 and 1929 had limited proficiency in Laz, influenced by prolonged exposure to a Turkish-speaking environment. Over time, after settling in Adjara, the local Adjarian dialect also affected the speech of the Chans. This made it all the more urgent to document the distinctive features of the Laz language.

In the 1920s, it was not yet possible to travel to Turkey to record or study Laz dialects on-site. For this reason, Chikobava aimed to identify and preserve samples of the Atin-Artash, Vits-Arkab, and Khopa dialects from among the few Laz migrants who had come from these regions. Despite facing numerous challenges, the young scholar fulfilled his task with dedication, ultimately publishing three important foundational works on the Laz language and its dialects, all based on the material gathered during these expeditions.

მასალები ლექსიკონისათვის

ირფან ალექსივა ჩალათაი

ლაზური წვლილი პროტო-სამხრეთკავკასიური ენის ლექსიკაში¹

სამხრეთკავკასიური ენების შედარებითი ლინგვისტიკის კვლევებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა პროტო-სამხრეთკავკასიური ენის გრამატიკისა და განსაკუთრებით ლექსიკის შესახებ. გამოიცა გიორგი კლიმოვის, ზურაბ სარჯველადისა და ჰაინც ფენრიხის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს სრულად დავინახოთ ეს ლექსიკა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთკავკასიური ენის ოთხი კომპონენტიდან ერთ-ერთზე, ლაზურზე, საკმარისი მონაცემები არ არის შეგროვებული და ამიტომ ლაზური ამ გამოცემათა ყველაზე სუსტი მხარეა. ნ. მარის, არნ. ჩიქობავასა და გ. კარტოზიას წვლილის უარყოფა არ შეიძლება, თუმცა ეს მასალები ძირითადად საქართველოში მცხოვრები ლაზების შეზღუდული ჯგუფისგანაა შეკრებილი, ამდენად, ნაკლებად გადმოსცემს ლაზური ლექსიკის მრავალფეროვნებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია საერთო სამხრეთკავკასიურ ლექსიკოლოგიურ მასალას დაემატოს ჰ. ფენრიხის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის (*Kartwelisches Etymologisches Wörterbuch*, Brill Publ., Leiden - Boston, 2007) ლაზური მასალები. ლაზური მასალები ჩვენ მიერ შედგენილი იყო ლაზური სხვადასხვა დიალექტიდან. ვიმედოვნებთ, რომ

¹ **რედაქციისაგან:** ირფან ალექსივა ჩალათაიმ დაამთავრა მარმარას უნივერსიტეტის თურქული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მაგისტრატურის კურსი გაიარა თსუ-ს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. აქტიურად იკვლევს ლაზური ლექსიკისა და გრამატიკის საკითხებს. გამოცემული აქვს „დიდი ლაზურ-თურქული ლექსიკონი“ (2007), „სვაჯოხო“ (ლაზურ ტოპონიმთა ლექსიკონი) (2009), „ლაზური (არდაშ-ნული) ტექსტები“ (2014), ლაზური ხალხური რწმენა-წარმოდგენები და მითოლოგია (2020), ლაზური მცენარეთა სახელწოდებების ლექსიკონი (2020), ისკენდერ ჩიტაში საბჭოთა არქივებში (2021), ლაზები გვიანდელ ოსმალეთის იმპერიაში 1877-1923 (2024). ინტენსიურად აგრძელებს მუშაობას ქართველურ ენათა ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე.

ავტორი მადლობას უხდის გივი ქარჩავას ნაშრომის შექმნაში შეტანილი წვლილისათვის.

ლაზური დიალექტების შემდგომი კრებულები აღნიშნულ ლექსიკას ბევრ სიახლეს შემატებს.

1. ***ა** – სიტყვათმაწარმოებელი პრეფიქსი

ქართ. **ა** : **ა**-ბედ-ი, **ა**-ბან-ო, **ა**-დგ-ილ-ი, **ა**-ლაგ-ი, **ა**-ჩრდ-ილ-ი, **ა**-დგ-ილ-ი

მეგრ. **ო** : **ო**-ბედ-ი „აბედი“, **ო**-სქუ „საღორე“

ლაზ. **ო** : **ო**-ბედ-ი „აბედი“

სვან. **ა** : **ა**-ყბ-ა „ყბა, ლოყა“, **ა**-კუად/ა-კუედ „კუდი“, **ა**-ლტრ-ა „სა-ზღვარი“

ქართულ **ა**- პრეფიქსს შეესატყვისება მეგრული **ო**-, ლაზური **ო**- და სვანური **ა**-.

შდრ. ფენრიხი 2007: 27.

2. ***ა** – მავრცობი ხმოვანი

ქართ. **ა** : ძმა-ს-**ა**, ძმ-ის-**ა**, ძმ-ით-**ა**

მეგრ. **-უ/-გ** : ჯიმა-ქ-**გ** „ძმამ“, ჯიმა-ს-**უ**/ჯიმა-ს-**გ** „ძმასა“, ქ-უ-მო-რთ-ეს-**უ** „მოვიდნენ“

ლაზ. **-ო/-უ** : ჯუმა-ქ-**ო** „ძმამ“, ჯუმა-ს-**ო** „ძმასა“, და-ს-**უ** „დასა“, ქო-მო-ხთეს-**უ** „მოვიდნენ“.

სვან. **-ა** : თერ-არ-ს-**ა** „თვალეზსა“, ლეზგ-იშ-**ა** „გვერდისა“, ეჩ-**ა** „მისი“

ქართულ ემფატიკურ **-ა** სუფიქსს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **-გ** (<***-უ** <***-ო**), ლაზური **-ო/-უ** და სვანური **-ა**.

შდრ. ფენრიხი 2007: 31.

3. ***ა** – ქონების, მსგავსების მაწარმოებელი

ქართ. **-ა** : ყურ-ცქვიტ-**ა**, კნაჭ-**ა**

ლაზ. **-ა** : უჯი ე-ნცხიკ-**ა** „ყურცქვიტა“, მო-ნდრიკა-**ა** „მოღუნული, მოდრეკილი“.

სვან. **-ა** : ჯებ-ა-**ა** „კბენია“, შდგმ-ა-**ა** „თრობია; მათრობელა“, პეჟ-ა-**ა** „მალვია“...

ქართულ **-ა** სუფიქსს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **-ა** და სვანური **-ა**.

შდრ. ფენრიხი 2007: 30.

4. ***ა** – უარყოფითობის მაწარმოებელი

ქართ. **-ა** : კუდ-**ა** „უკუდო“, ფეხ-**ა** „კოჭლი“

მეგრ. **-ა** : ცურ-**ა** „ყრუ“

ლაზ. **-ა** : უჯ-**ა** „ყრუ“

სვან. **-ა** : კუდ-ა-**ა** „უკუდო“, კვარჩხ-ა-**ა** „კოჭლი“

ქართულ **-ა** ნეგატიურ სუფიქსს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **-ა**, ლაზური **-ა** და სვანური **-ა**.

შდრ. ფენრიხი 2007: 30.

5. ***-აჷ-/-ეჷ-/-ჷ** – თემის ნიშანი

ქართ. **-აგ/-ევ/-გ** : ფარ-**აგ**-ს, ფარ-**გ**-ა, ბერტყ-**აგ**-ს, ბერტყ-**გ**-ა, ვ-ი-ხილ-**ევ**-დ (ძვ. ქართ.)

მეგრ. **-უ** : ფორ-**უ**-ა „დამალვა; დაფარვა“, ბარტყ-**უ**-ა „ბერტყვა“, ღალ-**უ**-ა „შეშინება“

ლაზ. **-აგ** : ქთ-**აგ**-ა „დაბრუნება“, ო-ქთ-**აგ**-ილ-ონ-ი „მორევი“

სვან. **-ჷ** : ლი-ჰრლ-**ჷ**-ე „ხორცის გაღალვა“

ქართული **-აგ/-ევ/-გ** თემის ნიშნის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **-უ**, ლაზური **-აგ** (<***-ეჷ**) და სვანური **-ჷ**.

შდრ. ფენრიხი 2007: 30.

6. ***არჷ-**

ქართ. **არჷ** : ღულ-**არჷ**-ნა „გრეხა“, ღულ-**არჷ**-ნ-ილ-ი „დაგრეხილი“ ღვლ-**ერჷ**-ი „წნელი“

მეგრ. **ორწკ/-ენწკ** : ღულ-**ორწკ**-უა „მოხრა“, ღვლ-**ენწკ**-ი/ღვ-**ენწკ**-ი/ღვ-**ერწკ**-ი „ჭიაყელა“, ი-ღულ-**ორწკ**-გ „იხრება“.

ლაზ. **ენწკ/-ერძგ** : ო-ღვ-**ენწკ**-უ „გრეხა“, ღვ-**ერძგ**-ი (ჩხალა) „ღვლერჷკი“

ქართულ ღულ-**არჷ**- ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ღულ-**ორწკ**- (<***ღჷლ-ორჷკ**-) და ლაზური ღვ-**ენწკ**- (<***ღვლ-ერწკ**- <***ღჷლ-ორჷკ**-, უმლაუტის გზით). ლაზური ფორმა **ღვერძგ**- (<***ღვლ-ერწკ**-) ასევე უნდა იყოს დაკავშირებული ამ ფუძეთან: (ეს მოვლენა გვხვდება მეგრულ-ლაზურში: **წკ** კომპლექსები, **ჷ**-ის და **რ**-ის წინა პოზიციაში. ნახ. ფენრიხი 2007: 20).

შდრ. ფენრიხი 2007: 40.

7. ***ბანდ-**

ქართ. **ბანდ** : და-**ბანდ**-ებ-ა, ვ-ა-**ბანდ**-ებ, **ბანდ**-ალ-ი

ლაზ. **ბუნდ/-ბოდ** : ო-**ბოდ**-უ „გაჭიანურება, დროის გაყვანა, დროის ფლანგვა“, ი-**ბოდ**-ენ „დროს ფლანგავს, ჯანჯლდება“, ი-**ბუნდ**-ოლ-ენ „ბანდალებს“, **ბუნდ**-უ „ნელა მოძრავი, მოუქნელი, ტლანქი. „ნელა მოძრავი“, **ბუნდ**-ულ-ი „ზანტი, დონდლო“

ქართულ **ბანდ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **ბუნდ/-ბოდ**- (<***ბონდ**-, მეორე ძირში ნ დაკარგულია).

8. ***ბარჷ-**

ქართ. **ბარჷ** : **ბარჷ**-ალ-ი

მეგრ. **ბორჷ** : **ბორჷ**-ი „ფეხი, ბარკალი“

ლაზ. **ბორჷ/-ბროჷ/-ბორჷ** : **ბორჷ**-ი/**ბორჷ**-ი „საქონლის ფეხი, პანდური“, **ბორჷ**-ელ-ა „დიდფეხებიანი, ბარკლიანი“, ო-**ბორჷ**-უ/ო-**ბროჷ**-უ „პანდურის ამოკვრა“, ეკვ-ა-**ბორჷ**-უ „წაიბორძიკა“

სვან. **ბარჷ** : **ბარჷ** „მრუდეფეხება (კოჭლი)“

ქართული ბარკ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ბორკ-**, ლაზური **ბორკ-** და სვანური **ბარკ-**.

ლაზური ფორმები გვხვდება ათინურ-არტაშენული დიალექტში კონსონანტების, კ, ი და ე-ს წინ ჭ პალატალიზაციის გზით: **ბორჭ-ი** (<**ბორკ-**ი). მისი ფუძის სახელური ფორმაა - **ბორკი**, ხოლო ზმნური ფორმა - **ბორკ-** გახლავთ (ათინაში **ბერგ-** „თოხი“, სახელურად – **ბერჯი** და ზმნურად **ბერგ-** არის). ათინური ფორმა მეტათეზისის გზით იქნება: **ბროკ-** (<**ბორკ-**).

შდრ. ფენრიხი 2007: 50.

9. *ბერტყ-

ქართ. **ბერტყ-** : **ბერტყ-ვ-ა**, **ბერტყ-ავ-ს**

მეგრ. **ბარტყ-**: **ბარტყ-უ-ა** „ბერტყვა“, **ბარტყ-უნ-ს** „ბერტყავს“, დო-**ბარტყ-უ** „დაბერტყა“, **ბარტყ-ირ-ი** „დაბერტყილი“

ლაზ. **ვრატკ-/ვრატ-** : **ო-ვრატკ-უ** (არქაბური) /**ო-ვრატ-**უ (არტაშენური) „ბერტყვა“, **ვრატკ-უმ-ს** / **ვრატ-უმ-ს** „ბერტყავს“, დო-**ვრატკ-უ** / დო-**ვრატ-**უ „დაბერტყა“, **ვრატკ-ერ-ი** / **ვრატ-ერ-ი** „დაბერტყილი“...

სვან. **პტყ-** / **ბენტყ-** / **ზენტყ-** : **ლი-პტყ-გნ-ე** „დაპენტვა“

ქართული **ბერტყ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **ბარტყ-**, და ლაზური **ვრატკ-** (<***ბრატყ-** <**ბარტყ-** მეტათეზისის გზით). ლა-ზურში, ამას გარდა, მოხდა ტყ > ტკ და ტკ > ტ პროცესი.

არტაშენული **ჟვატ-** უნდა იყოს <***რვატ-** < **ვრატკ-**-იდან მოსული.

შდრ. ფენრიხი 2007: 59.

10. *ბერწკ-/ბრწკ-

ქართ. **ბრწკ-/ბწკ-** : **ბრწკ-ენ-ა/ბწკ-ენ-ა**, **უ-ბრწკ-ინ-ა/ უ-ბწკ-ინ-ა...**

მეგრ. **ბიწკ-/ბისკ-** : **ბი-ბ-წკ-ონ-გნ-ქ/ ბი-ბ-სკ-ონ-გნ-ქ** „ვბრწკენ“, **ბიწკ-**ონ-უა/**ბისკ-**ონ-უა „ბრწკენა“

ლაზ. **პინწკ-/პიწკ-/პიწ-** : **ნო-პინწკ-ალ-ე/ნო-პიწკ-ალ-ე** „ნაპერწკალი“, **პინწკ-ილ-ი**, **პიწკ-ინ-ა** (ბელღევანური) „პატარა, პაწაწინა, პაწაწკინტელა“, **პიწ-ოლ-და** (არტაშენური) „ნაფოტი“

სვან. **პწწკუ-**: **ლი-პწწკუ-**ე „ჩქმეტა“

ქართული **ბრწკ-**ს ზუსტი ფონემური შესატყვისია მეგრული **ბიწკ-/ბისკ-** (<***ბირწკ-/ბირსკ-**) და ლაზური **პიწკ-/პინწკ-/პიწ-** (<***ბირწკ-**, **წკ** კომ-პლექსი ათინურ-არტაშენულში **წ** იქნება). ბ მარცვლოვანი ***რ** სონანტის რეფლექსია. მომდევნო აბრუპტიულ **წკ** კომპლექსთან ასიმილაციის შედეგად **ბ > პ**. **რ ნ**-დ იქცა **წ**-ს წინა პოზიციაში.

შდრ. ფენრიხი 2007: 60.

11. *ბერწყ-/ბრწყ-

ქართ. **ბერწყ-/ბრწყ-** : **ბრწყ-ინ-ვ-ა**, **ნა-ბერწყ-ალ-ი**

მეგრ. **რწყ-** : **რწყ-ინ-ა/რწყ-ინ-უ-ა/რწყ-ინ-ავ-ი** „ბრწყინვა“, **ვ-რწყ-ინ-გნ-ქ** „ვბრწყინავ“, **მა-რწყ-ინ-ა-ია** „ციცინათელა“...

ლაზ. **პინწყ-/პინჰკ-** : **პინწყ-ო** (ვიწე)/ **პინჰკ-უ** (ხოფა) „ციცინათელა“

ქართული **ბერწყ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **რწყ-** (<***ბრწყ-**) და ლაზური **პინწყ-** (<***ბრწყ-** / **პინჰკ-** <***პინწყ-** **წყ** > **ჰკ** რთული მოვლენაა: მეგრულში, მაგალითად: **შკ** > **ჰკ** > **წყ**, **-შკალა** > ***-ჰკალა** > **-წყალა** „-თან“)

შდრ. ფენრიხი 2007: 60, 61.

12. ***ბეწუ-**

ქართ. **ბეწუ-** : **ბეწუ-**ი/**ბეწვ-**ი (ახ. ქართ.)

მეგრ. **ფაჰვ-/ფიჰვ-** : **ფიჰვ-**ი/**ფიჰუ** „ბეწვი“, დო-**ფაჰვ-**აფ-ა „დახამხამება“

ლაზ. **ფანჰვ-/ფანჰ-** : **ფანჰვ-**ა-ი (ჩხალა) „ბეწვი“, **ფანჰ-**ა (ვიწე) „ვაზის ულვაში“

ქართული **ბეწვ-** (<***ბეწუ-**) ძირის კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ფაჰვ-/ფიჰვ-** და ლაზური **ფანჰვ-** (<***ბეწუ-**, ნ განვითარებულია **ჰ-**ს წინა პოზიციაში).

შდრ. ფენრიხი 2007: 64.

13. ***ბეჯ-/ბიჯ-**

ქართ. **ბიჯ-/ბჯ-** : **ბჯ-**ენ-ა, ა-**ბჯ-**ენ-ს, და-ა-**ბჯ-**ინ-ა

მეგრ. **ბიჯგ-** : **ბიჯგ-**ი „საყრდენი; პატარა ბოძი“, მე-**ბიჯგ-**აფ-ა „საყრდენის გაკეთება; შეყენება“

ლაზ. **ბაჯგ-** : **ბაჯგ-**ი „გატოტვილი ბოძი“

სვან. **ბეჯგ-/ბაჯგ-/ბჯგ-** : ლი-**ბეჯგ** „მიბჯენა“, ხ-ო-**ბჯგ-**წნ-ხ „მიებჯინათ; მიბჯენილი ჰქონდათ“, **ბეჯგ** / **ბაჯგ** „ლობე; სარი“

ქართულ **ბჯ-** (***ბეჯ-/ბიჯ-**) ძირის კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ბიჯგ-** (<***ბიჯ-**), ლაზური **ბაჯგ-** (<***ბეჯ-**) და სვან. **ბეჯგ-/ბაჯგ**.

ქართულ დიალექტებში იხმარება: **ბაჯგ-**ი (ლექს.) „დაბალი ბოძი“, **ბაჯგ-**ა (ზ. აჭარა) „ლობის ჯიშია“ (დლონტი 1984 გვ. 66)

შდრ. ფენრიხი 2007: 65.

14. ***ბზეკ-/ბზიკ-**

ქართ. **ბზეკ-/ბზიკ-** : ა-**ბზეკ-**ა, გა-**ბზიკ-**ა, კუდ-ა-**ბზიკ-**ა

მეგრ. **ზიკ-** : **ზიკ-**ინ-აფ-ა „აბზეკა“, ო-**ზიკ-**ინ-უ-ან-ს „ბზეკს“

ლაზ. **მზიკ-** : ო-**მზიკ-**უ „გარჰობა, შერჰობა; მოუსვენრობა“

ქართულ **ბზეკ-/ბზიკ-** ძირის კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ზიკ-** (<***ბზიკ-**) და ლაზური **მზიკ-** (<***ბზიკ-**).

შდრ. ფენრიხი 2007: 66.

15. ***ბოკუ-**

ქართ. **ბოკვ-** : **ბოკვ-**ი

მეგრ. **ბუკ-/ბიკვ-** : **ბუკ-**ი / **ბიკვ-**ი „კუნძი“

ლაზ. **ბუკ-/ბურკ-/ბუჰ-** : **ბუკ-**ი/**ბურკ-**ი/**ბუჰ-**ი „კუნძი“

სვან. **ბიკ-** : **ბიკ** „კუნძი“

ქართულ **ბოკვ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ბუკ**-
ლაზური **ბუკ**-**ბუჟ**- (<**ბუკ**-, ათინურ-არტაშენულში **ი**-ს წინ **კ**, **ჭ** იქნება) და
სვანური **ბიკ**.

შდრ. ფენრიხი 2007: 71.

16. ***ბორგ**-

ქართ. **ბორგ**-**ბურგ**- : **ბურგ**-ი-ს „ბორგავს; უწესრიგოდ მოძრაობა; შე-
შლა“, **ბურგ**-ალ-ი, **ბურგ**-ნ-ა-ობ-ა

მეგრ. **ბურგ**- : **ბურგ**-ონ-უ-ა/**ბურგ**-ოლ-უ-ა „ბრაგუნით, ბრახუნით,
ხმაურით კეთება რისამე“, **ბურგ**-ონ-ი/**ბურგ**-ოლ-ი „ბრაგუნი, ბრახუნი“

ლაზ. **ბურგ**- : **ო-ბურგ**-ოლ-უ „ჭიდაობა“, **ი-ბურგ**-ოლ-ე-დეს „ჭიდა-
ობდა“

სვან. **ბორგ**-**ზერგ**- : **ლი-ბორგ**-იელ/**ლი-ზერგ**-იელ „ჭიდაობა“, მე-
ზერგ-ელ „მოჭიდავე“.

ქართულ **ბორგ**-**ბურგ**- (<***ბორგ**-) ძირს კანონზომიერად შეესატყვი-
სება მეგრული **ბურგ**- (<***ბორგ**-), ლაზური (არტაშენული) **ბურგ**- (<***ბორგ**-)
და სვანური **ბორგ**-**ზერგ**-.

შდრ. ფენრიხი 2007: 72.

17. ***ბორძღ**-

ქართ. **ბორძღ**- : **ბორძღ**-ალ-ო „მსხვილი ტოტის განაყოფი, წვრილი
ტოტი დედა ტოტზე“

მეგრ. **ბორჯღ**- : **ბორჯღ**-ი „ბორჯღლი, გატოტვილი“ **ბორჯღ**-ოლ-ამ-
ი „ბორჯღლიანი“, **ბორჯღ**-უ-ა „ტოტების გაშლა“

ლაზ. **ბუჯღ**- : **ბუჯღ**-ი „ბორჯღლი, გატოტვილი“, **ბუჯღ**-ონ-ა „ბორ-
ჯღლიანი, ტოპონიმი არტაშენში“.

ქართულ **ბორძღ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული
ბორჯღ- და ლაზური (ათინური და ვიწურში) **ბუჯღ**- (<***ბორჯღ**- <***ბორძღ**-
, რ დაკარგულია, **ო უ** გახდა, **ბ**-ს მეზობელი პოზიციაში).

შდრ. ფენრიხი 2007: 73.

18. ***ბოტ**-

ქართ. **ბოტ**- : **ბოტ**-ი

მეგრ. **ბოტ**-**ბეტ**- : **ბოტ**-ი „ბოტი“, **ბეტ**-არ-ი „ბოტი“

ლაზ. **ბოტ**- : **ბოტ**-ი „ბოტი“, **ბოტ**-იკ-ინა „პატარა ბოტი; ბიჭო!“, **ო-**
ბოტ-უ „ახურება (დედალი თხა)“, **ი-ბოტ**-ამ-ს „ახურდება“

სვან. **ბოტ**- : **ბოტ** „ბოტი“

ქართულ **ბოტ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ბოტ**-
ბეტ-, ლაზური **ბოტ**- და სვანური **ბოტ**-.

შდრ. ფენრიხი 2007: 74.

19. ***ბრტყვ**-

ქართ. **ბრტყვ**- : **ბრტყვ**-ნ-ა, **ბრტყვ**-ნ-ი-ს, **გა-ვ-ბრტყვ**-ენ-ი

მეგრ. **ბურტყ** : **ბურტყ**-ონ-უ-ა „ბრტყენა“, **ბურტყ**-ონ-უნ-ს „ბურტყენის“

ლაზ. **ფურტ** : **ო-ფურტ**-ონ-უ „ბრტყენა“, **პურტ**-ონ-უმ-ს „ბურტყენის“

ქართულ **ბრტყვ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ფურტყ**- და ლაზური **ფურტ**- (<***ბურტყ**-, არქაბულში ყ-იანი კომპლექსების ყ ხანდახან იკარგება: **ჰინჭყველა** (ხოფა) > **ჰინჭველა** (არქაბი) „ნაწლავი“).

შდრ. ფენრიხი 2007: 79.

20. ***ბუღ**-

ქართ. **ბუღ**- : **ბუღ**-ი

ლაზ. **ბუღ**-/**ბურღ**- : **ბუღ**-ი/**ბურღ**-ი „ობი“, **ო-ბუღ**-უ „დაობება“, **ბუღ**-ერ-ი „დაობებული“.

სვან. **ბუღ** : **ბუღ**-ჟ-ირ „ბუღი, ბდღვირი“

ქართულ **ბუღ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **ბუღ**- (**ბურღ**- რ განვითარდა), და სვანური **ბუღ**-.

შდრ. ფენრიხი 2007: 87.

21. ***გლას**-

ქართ. **გლეს**-/**გლის**- : **გლეს**-ა, **გლეს**-ს, **გლის**-ა, **გან-გლეს**-ილ-ი

მეგრ. **გილოს**- : **გილოს**-უ-ა „გლესა“

ლაზ. **ნგლის**- : **ო-ნგლის**-უ „გაჭედვა, ჩატენა“, **მე-ნგლის**-ერ-ი „გაჭედილი, ჩატენილი“, **ო-ნგლის**-ერ-ი „მოღრუბლული და ცხელი ამინდი“

ქართული **გლეს**-/**გლის**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **გილოს**- (<***გლას**-) და ლაზური **გლის**- (<* – <***გლას**-).

შდრ. ფენრიხი 2007: 108.

22. ***გლაჟ**-/**გლეჟ**-/**გლიჟ**-/**გლჟ**-

ქართ. **გლეჟ**-/**გლიჟ**-/**გლჟ**- : **გლეჟ**-ა, **და-გლეჟ**-ა, **და-გლიჟ**-ა

მეგრ. **გურჟ**- : **გურჟ**-ონ-უ-ა „გლეჟა“

ლაზ. **გურჟ**- : **ო-გურჟ**-ოლ-უ „გლეჟა“

ქართული **გლჟ**- ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **გურჟ**- და ლაზური **გურჟ**- (<***გროჟ**- <***გლჟაჟ**-).

შდრ. ფენრიხი 2007: 108.

23. ***გურგჷ**-

ქართ. **გრგ**-/**გურიგუ**-/**რგუ**- : **გრგ**-ოლ-ი, **რგ**-ოლ-ი (ახ. ქართ.), **გვრგვნი** [გჳირგჳნი-ინ-ი], **მ-რგუ**-ალ-ი (მ-**რგვ**-ალ-ი)...

მეგრ. **გურგ**-/**რგვ**- : **გურგ**-ინ-ი „გვირგვინი“, **მო-რგვ**-ი „ძაფის გორგალი; მრგვალი; ეტლის კოჭი“

ლაზ. **რგ**- : **მუ-რგ**-ი „ძაფის გორგალი“, **ო-მუ-რგ**-ონ-უ „დამრგვალება“

ქართული წებ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური წვინტ- (<*წებ-, ნ განვითარებულია).

130. *წა-

ქართ. წა- : წა „გაუცეხავი ბრინჯი“

მეგრ. წა- : წა „კურკა“

ლაზ. მწა- : მწა „კურკა“ (არტაშენში)

ქართული წა- ძირის შესატყვისი შეიძლება იყოს მეგრული წა და ლაზური (არტაშენული კილოში) მწა- (<*მწა- <*წა-, არტაშენულში წა > წ).

შდრ. ფენრიხი 2007: 627.

131. *წუმ-

ქართ. წუმ- : წუმ-ილ-ი, წუმ-ი-ს

მეგრ. წაუმ- : წაუმ-ინ-უ-ა „წკმუილი“

ლაზ. წაუმ-/წუმ- : ო-წაუმ-ინ-უ/ო-წუმ-ინ-უ „წკმუილი“, წაუმ-ინ-ს/წუმ-ინ-ამ-ს „წკმუის“

ქართულ წუმ- (<*წუმ-, შდრ. ბზუ- <*ბზუ-, ფენრიხი 2007: 81) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული წაუმ- და ლაზური წაუმ- (წუმ- ათინურ-არტაშენული ფორმა, ამ დიალექტში წა > წ).

132. *წრუწ-

ქართ. წრუწ- : წრუწ-უნ-ი, წრუწ-უნ-ა

მეგრ. წირწ-/წურწ- : წირწ-ინ-უ-ა/წურწ-ინ-უ-ა „წვრილი ხმის გამოცემა“

ლაზ. წირწ-/წურწ-/წუნწ- : წირწ-ინ-უ-ა „წუწუნა, ღვილი“, მუ-წუნწ-ი/მუწუნწ-ი „წრუწუნა“

ქართულ წრუწ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული წირწ-/წურწ- (მეტათეზისის გზით) ლაზური წუნწ-/წურწ- (<*წრუწ- რ-ს მეტათეზისის გზით, რ ნ-დ იქცა წ-ს წინა პოზიციაში).

შდრ. ფენრიხი 2007: 636.

133. *წყენ-

ქართ. წყენ- : წყენ-ვ-ა

მეგრ. წყაწყ- : წყაწყ-უნ-ს „წეწყავს“, წყაწყ-ვ-ილ-ი „მოწეწყილი“

ლაზ. წაწყ- : ო-წაწყ-უ „ჭეჭევა“, წაწყ-ერ-ი „წყაპიანი, გაწუწული“

ქართულ წყენ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული წყაწყ- და ლაზური (ჩხალური კილო) წაწყ- (<*წყაწყ- დისიმილაციის გზით).

შდრ. ფენრიხი 2007: 641.

134. *წყალ-

ქართ. წყალ- : მო-წყალ-ებ-ა

მეგრ. ჰყოლ- : ჰყოლ-ოფ-უ-ა „წყალობა“

ლაზ. ნჰოლ- : ო-ნჰოლ-უ „გამეტება“, ვა გ-ი-ნჰორ/გ-ი-ნჰოლ-ამ „არ გაიმეტებ“

ქართულ წყალ ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ჰყოლ-ოფ-უ-ა (<*წყალ-) და ლაზური ნჰოლ- (<*ჰყოლ-, <*ჰყოლ- <*წყალ-, ზმნის ძირი იხმარება ათინურ-არტაშენურში. ამ დიალექტში ჰკ > კ იქნება).

შდრ. ფენრიხი 2007: 660.

135. *წყალ-/წყლ-

ქართ. წყალ-/წყლ-: წყლ-ვ-ა, მო-წყლ-ავ-ს, ვ-ი-წყალ-ი, წყლ-ულ-ებ-ა, წყლულ-ი

მეგრ. ჰყოლ-/ნჰყოლ- : ჰყოლ-უ-ა/ნჰყოლ-უ-ა „დაკოდვა, დაჭრა“, ჰყოლუნ-ს „კოდავს, დაჭრის“, ჰყოლ-ირ-ი „დაკოდილი, დაჭრილი“

ლაზ. ნჰკილ-/ნჰილ- : დო-ნჰკილ-უ/დო-ნჰილ-უ „გამოფატვრა, გაჭრა“, ნჰკილ-უმ-ს/ნჰილ-უმ-ს „მოწყლავს, ჰრის; გამოფატვრავს“

ქართულ წყალ-/წყლ- (<*წყალ-/წყლ-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ჰყოლ- (<*წყალ-) და ლაზური ნჰკილ-/ნჰილ- (<*ჰკილ- <*წყლ-).

შდრ. ფენრიხი 2007: 660.

136. *წყენ-/წყინ-

ქართ. წყენ-/წყინ- : წყენ-ა, მო-წყენ-ა, ს-წყინ-ს

ლაზ. ჰკინ-/ნჰკინ- : დო-ჰკინ-დ-უ/დო-ნჰკინ-უ „დაღლა“, დო-ჰკინ-დ-ერ-ი/დო-ნჰკინ-ერ-ი „დაღლილი“, დო-ნო-ჰკინ-დ-ე „დაღლილი“.

ქართულ წყენ-/წყინ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური ჰკინ-/ნჰკინ- (<*ჰკინ- <*წყინ-, ნჰკინ- ათინურ-არტაშენური ფორმაც).

137. *ჰალ-/ჰლ-

ქართ. ჰლ- : მ-ჰლ-ე, და-მ-ჰლ-ებ-ა ...

მეგრ. ჰკოლ- : ჰკოლ-ა „მჰლე“, მა-ჰკოლ-ა „ისეთივე მჰლე, როგორც...“

ლაზ. **ჰოლ-** : მ-**ჰოლ-**ა „მჰლე“ (არტაშენი), ო-მ-**ჰოლ-**ინ-დ-უ „და-მჰლევა, დასუსტება“

ქართულ მ-**ჰლ-**ე ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჰკოლ-**ა (<*მ-**ჰკოლ-**ა; მ ანლაუტში დაიკარგა) და ლაზური მ-**ჰოლ-**ა (<*მ-**ჰკოლ-**ა, **მჰოლა** გვხვდება არტაშენულში. ამ დიალექტში **ჰკ** > **კ** იქნება).

შდრ. ფენრიხი 2007: 664.

138. *ჰარ-

ქართ. **ჰერ-/ჰირ-** : და-მ-**ჰირ-**გ-ა, ი-მ-**ჰირ-**ავ-ნ, და-**ჰერ-**ა

მეგრ. **ჰკორ-** : **ჰკორ-**ი „მონა“

ლაზ. **ჰკორ-** : **ჰკორ-**ი „მონა“, ოსურ-**ჰკორ-**ი „სახლის გოგონა“, **ჰკორ-**ი ჩქიმი! „ჩემო ბავშვო“ (ბედლევანური კილო)

ქართულ **ჰერ-/ჰირ-** (<***ჰარ-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული და ლაზური **ჰკორ-** (<***ჰარ-**).

შდრ. ფენრიხი 2007: 665.

139. *ჰეჰე-

ქართ. **ჰეჰე-** : **ჰეჰე-**ავ-ს, **ჰეჰე-**ვ-ა

მეგრ. **ჰაჰე-/ჰანჰე-/ჰეაჰე-/ჰეანჰე-** : **ჰეაჰე-**უ-ა „ჰეჰევა, ჰეჰეტა“, **ჰეან-****ჰეუნ-**ს „ჰეჰს, ჰეჰეტს“, **ჰეანჰე-**ირ-ი „დაჰეჰეილი, დაჰეჰეტილი“

ლაზ. **ჰაჰე-/ჰანჰე-** : ო-**ჰაჰე-**უ „უხეიროდ რეცხვა, ჰიჰენა“, **ჰანჰე-**ერ-ი „დაჰეჰეილი“

ქართულ **ჰეჰე-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჰაჰე-** (<***ჰაჰე-**, **ჰეაჰე-** და **ჰანჰე-/ჰეანჰე-** ფორმები რეგრესული ასიმილაციის შედეგად, ნ განვითარებულია) და ლაზური **ჰაჰე-** (<***ჰეჰე-**).

შდრ. ფენრიხი 2007: 667.

140. *ჰიჰე-

ქართ. **ჰიჰე-** : **ჰიჰე-**ნ-ა

მეგრ. **ჰინჰე-/ჰეინჰე-** : **ჰინჰე-**ოლ-უ-ა/**ჰეინჰე-**ოლ-უ-ა „სრესა, ჰეჰეა, ჰიჰენა, ჰმუჰნა“

ლაზ. **ჰიჰე-/ჰიჰ-** : ო-**ჰინჰე-**ოლ-უ/ო-**ჰინჰ-**ოლ-უ „სრესა“

ქართული **ჰიჰე-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჰინჰე-/ჰეინჰე-** (<***ჰიჰე-**, რეგრესული ასიმილაციის შედეგად, ნ განვითარებულია) და ლაზური **ჰიჰე-/ჰიჰ-** (**ჰიჰ-** ფორმა ათინურია <**ჰიჰე-**).

141. *ჰუტ-

ქართ. **ჰუტ-** : **ჰუტ-**გ-ა, **ჰუტ-**ს

მეგრ. **ჰკუტ-** : **ჰკუტ-**ა „პატარა ვაშლი, მსხალი (ჯიშია ასეთი)“

ლაზ. **ჰურტ-** : ო-**ჰურტ-**ინ-უ „ხუჰვა, ჰუტვა, დანაოჰება“, უ-**ჰურტ-**ინ-უ „მოუჰუტავს, დაუხუჰავს“, **ჰურტ-**ინ-ერ-ი „დახუჰული“, **ჰურტ-**ილ-ა „ნაოჰიანი, დამჰუნარი“

ქართული **ჰუტ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჰაუტ-** და ლაზური (ათინური კილო) **ჰურტ-** (<*ჰაურტ- <ჰაუტ-, რ განვითარებულია, **ჰკ** კომპლექსი ათინურში **ჰ** იქნება).

შდრ. ფენრიხი 2007: 672.

142. *ჰუჰყ-

ქართ. **ჰუჰყ-** : **ჰუჰყ-**ი

მეგრ. **ჰყოჰყ-/ჰყონჰყ-** : **ჰყოჰყ-**ო/**ჰყონჰყ-**ო „ჰაობი, ჰაობიანი“, **ჰყოჰყ-**ონ-ა „ჰანჰრობი“

ლაზ. **ჰოჰყ-/ჰორჰ-** : **ჰოჰყ-**ი (ჩხალა)/**ჰორჰ-**ი (არტაშენური) „ჰუჰყი, ჰაობი“, **ჰორჰ-**ონ-ა „ჰანჰრობი“

ქართულ **ჰუჰყ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჰყოჰყ-/ჰყონჰყ-** (<*ჰოჰყ- <*ჰუჰყ-, **ჰყონჰყ-** რეგრესული ასიმილაციის შედეგად, **ნ** განვითარებულია) და ლაზური **ჰოჰყ-** (<*ჰუჰყ-, **ჰორჰ-** <ჰოჰყ-, არტაშენში **ყ** დაიკარგა. **რ** განვითარებულია). **ო** > **უ** პროცესია: *ჰონ-, *ჰორ-

ათინური **ჰოჰოხ-**ი/**ჰაჰახ-**ი, არქაბული **ჰონჰოხ-**ი/**ჰანჰახ-**ი (<*ჰოჰოყ- <*ჰოჰყ-).

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგება ***ჰუჰყ-** არქეტიპი.

143. *ჰყაბ-

ქართ. **ჰყაბ-** : **ჰყაბ-**ი

ლაზ. **ჰყოზ-/ჰყიზ-** : **ჰყოზ-**ი „ტლაპო“, **ჰყიზ-**ე-ი „დაჰყლეტილი; გაწული, გალუმპული, ჰუჰყი“, **ო-ჰყიზ-**უ „ჰყლეტა“, **დო-ჰყიზ-**უ „გაჰყლიტა“

ქართულ **ჰყაბ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **ჰყოზ-/ჰყიზ-** (<*ჰყუზ- <ჰყოზ- <*ჰყაბ-).

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგება ***ჰყაბ-** არქეტიპი.

144. *ხიტ-

ქართ. **ხიტ-** : **ხიტ-**ინ-ი „ლიტინი“

მეგრ. **ხიტ-** : **ხიტ-**ონ-უ-ა „ფხანა, ქავილი“

ლაზ. **ხიტ-** : **ო-ხიტ-**ინ-უ/ო-**ხიტ-**ონ-უ „ხიტინი, ლიტინი“, **უ-ხიტ-**ინ-ამ-ს/უ-**ხიტ-**ონ-ამ-ს „უღიტინებს“

ქართულ **ხიტ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრულ **ხიტ-** და ლაზურ **ხიტ-**.

შდრ. ფენრიხი 2007: 687.

145. *ხიტკ-

ქართ. **ხიტკ-** **ხიტკ-**ინ-ებ-ს „ახრამუნებს; ტკვერს“

მეგრ. **ხინტკ-** **ხიტკ-**ორ-უ-ა „დაქუცმაცება“

ლაზ. **ხინტკ-/ხინჭ-** **ხინტკ-**ილ-ი „clitoris“ (ჩხალა), ო-**ხინჭ-**ორ-უ „და-ქუცმაცება“, **ხინჭ-**ორ-და „ნაკუწი“ (ათინურში)

ქართულ **ხიტკ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ხინტკ-** (<***ხიტკ-**, ნ განვითარდა ტ-ს წინ.) და ლაზური **ხინტკ-/ხინჭ-** (<***ხიტკ-**, ათინურ-არტაშენულში **ხინჭ-** <***ხინტ-** <**ხინტკ-** <***ხიტკ-**. **ხინჭ-** ***ხინტ-** ფორმის ექსპრესიული ვარიანტია: ქართული ***ხოტრ-**, მეგრული **ხუჭორ-/ხუტორ-**, ლაზური **ხუტორ-/ხუჭორ-/ხოტორ-/ხუჭორ-**).

შდრ. ფენრიხი 2007: 687.

146. ***ხოკ-**

ქართ. **ხოკ-** **ხოკ-**ავ-ს, **ხოკ-**ვ-ა

მეგრ. **ხოკ-** **ხოკ-**უ-ა „პარსვა“, ბ-**ხოკ-**გნ-ქ „ვპარსავ“ ...

ლაზ. **ხოკ-** ო-**ხოკ-**უ „კაწვრა, ფხაჭნა“, **ხოკ-**უმ-ს „კაწრავს, ფხაჭნის“ (არტაშენური)

ქართული **ხოკ-** ძირის შესატყვისი ჩანს მეგრული **ხოკ-** და ლაზური **ხოკ-**. **ხოკ-** ჩანს არტაშენულ კილოში.

შდრ. ფენრიხი 2007: 688.

147. ***ხორხ-**

ქართ. **ხორხ-** **ხორხ-**ნ-ი-ს „ღრღნის“, **ხორხ-**ნ-ა ...

მეგრ. **ხირხ-** **ხირხ-**ონ-უ-ა „ღრღნა“, **ხირხ-**ონ-უნ-ს „ღრღნის“, დო-**ხირხ-**ონ-უ „დაღრღნა“, **ხირხ-**ონ-ირ-ი „დაღრღნილი“

ლაზ. **ხირხ-** ო-**ხირხ-**ოლ-უ „ღრღნა“, დო-**ხირხ-**ოლ-უ „დაღრღნა“, **ხირხოლ-**უმ-ს „ღრღნის“, **ხირხ-**ოლ-ერ-ი „დაღრღნილი“

ქართული **ხორხ-** ძირის შეესატყვისია მეგრული **ხირხ-** (<***ხორხ-**) და ლაზური **ხირხ-** (<***ხორხ-**).

შდრ. ფენრიხი 2007: 690.

148. ***ხურ-**

ქართ. **ხურ-** : **ხურ-**ინ-ავ-ს, **ხურ-**ინ-ვ-იდ-ა, **ხურ-**ინ-ვ-ა

მეგრ. **ხურხ-/ხირხ-** : **ხურხ-**ინ-ი/**ხირხ-**ინ-ი „ხვრინვა“, ვ-**ხურხ-**ინ-გნ-ქ/ვ-**ხირხ-**ინ-გნ-ქ „ვხვრინავ“, ი-ფ-**ხურხ-**ინ-ი „ვიხვრინე“

ლაზ. **ხურხ-** : ო-**ხურხ-**ულ-უ „ხვრინვა“, **ხურხ-**ულ-ამ-ს „ხურინავს“

სვან. **ხურ-** : **ხურ-**უნ-ი „ხვრინვა“

ქართულ **ხურ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ხურხ-** (<***ხურ-** ხ-ს განვითარების შედეგად), ლაზური **ხურხ-** (<***ხურ-**) და სვანური **ხურ-**.

შდრ. ფენრიხი 2007: 695.

149. ***ჯალ-**

ქართ. **ხალ-** : **ხალ-**ა

ლაზ. **ხოშ-/ხორშ-** : **ხოშ-**ა/**ხორშ-**ა „სარი, ბარჯი“

სვან. **კაშ-/კაშ-** : **კაშ** / **კაშ** „ქერის, ფეტვის... (სარიანი) ზვინი; ჩხა, ორ-კაპა სარი საკიდლად“

ქართულ **ხალ-** (<***ჟალ-**>) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **ხომ-/ხორმ-** (<***ჟომ-** <***ჟალ-**, რ განვითარებულია) და სვანური **კაშ-/კაშ-** (<***ჟალ-**>). **ლ > შ** პროცესის ნიმუშებია: ქართ. **ძველ-** ზან. **ჯვეშ-**; ქართ. **ულვაშ-**, ზან. **ოშმემ-**.

შდრ. ფენრიხი 2007: 701.

150. ***ჟამ-/ჟამ-**

ქართ. **ჟმ-** : **ჟმ-** „ხმა; ხმაური; ამბავი“, მო-**ჟმ-**ობ-ა, მ-**ჟმ-**ობ-არ-ე...

მეგრ. **ხომ-/ხუმ-/ხგმ-** : **ხომ-**ა/**ხუმ-**ა/**ხგმ-**ა „ხმა“, **ხუმ-**ინ-ი „ხმაური“, **ხუმ-**აფ-ა „ხმობა“

ლაზ. **ხომ-** : **ხომ-**ა „ხმა“, უ-**ხომ-**ელ-ი „უხმო“ (ჩხალურში)

ქართულ **ჟმ-** (<***ჟამ-**>) ძირს შეესატყვისება მეგრული **ხომ-** (**ხუმ-/ხგმ-** <***ხომ-**>) და ლაზური **ხომ-**.

შდრ. ფენრიხი 2007: 697.

151. ***ჯიჯლ-/ჯიჯლ-/ჯაჯლ-**

ქართ. **ჯიჯლ-** : **ჯიჯლ-**ი „ქვის შაშვი (*Turdus philomelos*)

მეგრ. **ჯღირჯლ-/ჯღორჯლ-** : **ჯღირჯლ-**ი/**ჯღორჯლ-**ი „ჯიჯლი, *Turdus philomelos*“

ლაზ. **ჯიჯლ-/ჯიჯელ-/ჯაჯლ-/ჯღაჯ-** : **ჯიჯლ-**ან-ი/**ჯიჯლ-**ენ-ი/**ჯიჯელ-**ენ-ი „ლაჟო“, მა-**ჯაჯლ-**ა/მა-**ჯღაჯ-**ი/მა-**ჯღაჯ-**ე „ჯიჯლი“

ქართულ **ჯიჯლ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჯღირჯლ-** (<***ჯიჯლ-**>) და ლაზური **ჯიჯლ-**.

მეგრული **ჯღორჯლ-** ვარიანტის **ო** და ლაზური **ჯაჯლ-** ვარიანტის **ა** ხმოვნების წარმომავლობა ნათელი არაა.

შდრ. ფენრიხი 2007: 717.

ლიტერატურა

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2000.

Klimov, Georgj A., *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages*, Berlin – New York 1998.

Fähnrich, Heinz, *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch*, Leiden – Boston: Brill 2007.

Fähnrich, Heinz, *Kartwelische Wortschatzstudien* Friedrich-Schiller Universität, Jena, 2002.

Irfan Aleqsiva Chaghathai

Contributions of Laz to the Vocabulary of the Proto-South Caucasian Language

Summary

Studies in the comparative linguistics of the South Caucasian languages have provided valuable insights into the grammar – and especially the vocabulary – of the Proto-South Caucasian language. Lexicographical works by scholars such as Georgy A. Klimov, Zurab Sarjveladze, and Heinz Fähnrich, among others, have been published, enabling us to view this vocabulary in a more comprehensive way. However, it should be noted that insufficient data has been collected on Laz, one of the four branches of the South Caucasian language family. As a result, Laz has remained the least represented component in this field of study. The contributions of Marr, Chikobava, and Kartoziya are undoubtedly significant. However, the material they compiled – primarily from a small group of Laz speakers in Georgia – does not fully reflect the breadth and diversity of the Laz lexicon.

In the present study, an attempt is made to incorporate Laz lexical material not included in Fähnrich's *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch* (Brill, Leiden–Boston, 2007) into the broader Proto-South Caucasian lexical corpus. The Laz data presented here were compiled from various Laz dialects by the author. It is hoped that further research and documentation of Laz dialects will contribute additional material to the reconstructed vocabulary of the South Caucasian proto-language.

შ ა ქ ტ ე ბ ი, მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი

გიორგი გოგოლაშვილი

სახელმწიფო პროგრამა ქართული ენის განვითარებისა და განმტკიცების პირობაა...*

(„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ (1989 წ.) – 1978 წ. 14 აპრილის მოტანილი სიკეთე... იდეა, მიზანი და შედეგი „სახელმწიფო პროგრამისა“... „პროგრამა“ ამოქმედდა... ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე „პროგრამისა“... მცდელობა „პროგრამის“ გაცოცხლებისა... „პროგრამიდან“ კანონმდე...).

1978 წლის 14 აპრილის შემდგომ სამთავრობო დადგენილებები ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების თაობაზე არ იყო მთავრობის „ოცნება“!... 14 აპრილის მოვლენებით შეფიქრიანებულმა მთავრობამ ანგარიში გაუწია დედაენის გულშემატკივართა სურვილს და **ეს იყო ერთი კონკრეტული შედეგი 14 აპრილის გამარჯვებისა...**

თუმცა არასაკმარისი...

და 1988 წელს, „პერესტროიკის“ პერიოდში (1985 წლიდან აითვლიან „პერესტროიკას“ იმპერიის დაშლამდე), ენათმეცნიერების ინსტიტუტის იმჟამინდელმა დირექტორმა **ბესარიონ ჯორბენაძემ** აქტივის კრებაზე (ასეთი თათბირები ხშირად იმართებოდა კომპარტის ცენტრალურ კომიტეტში) მთავრობას მიაწოდა იდეა **ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის** შემუშავებისა.

შემდეგ იყო რამდენიმე შეხვედრა ცკ-ში პასუხისმგებელ პირებთან. დაარწმუნა ბ. ჯორბენაძემ „ზემდგომი ორგანოები“, რომ სახელმწიფო ენის განვითარებისა და განმტკიცებისთვის სახელმწიფო ზრუნვაა საჭირო – დაგეგმილი, გათვლილი, გაანგარიშებული... ამისათვის ყველაზე მეტად მოხერხებული გზა სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაა...

ასეთი რამ დიდი სიახლე იყო და, შეიძლება ითქვას, მოულოდნელობაც იმდროისათვის... საჯარო მხარდაჭერა ზოგიერთს იქვე გამოუხატავს...

ენათმეცნიერების ინსტიტუტს (ზოგადად და ბესარიონ ჯორბენაძეს, პირადად) დაევალა ამ პროგრამის პროექტის შემუშავება. მთავრობიდან ამ საქმის ხელმძღვანელობა (კურირება) ცკ-ის მდივანს – ნუგზარ ფოფხაძეს – დაეკისრა...

* მოგონებათა წიგნიდან: „მეც წუთისოფლის სტუმარი ვიყავ, II, ფაქტები, მოვლენები“

ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი; ცკ-ში „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებული კომისია“. კომისიაში შევიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლები. ნუგზარ ფოფხაძე საორგანიზაციო ხელმძღვანელი იყო; პროგრამის შედგენა-შემუშავებას ბესიკ ჯორბენაძე ედგა სათავეში, პირველი სამუშაო პროექტიც მან წარუდგინა კომისიას...

შემუშავდა რამდენიმე ვარიანტი; დაიხვეწა და საინტერესო სახე მიიღო...

გადაწყდა: პროექტი გამოქვეყნებულიყო პრესაში საერთო-სახალხო განხილვისათვის...

ასეც მოხდა: „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ პროექტი **გამოქვეყნდა** გაზეთ „კომუნისტში“ **1988 წლის 3 ნოემბერს**.

მე არ ვიცი, სხვა ენების მიმართ ასეთი პროგრამა არსებობს (ანდა არსებობდა) თუ არა, მაგრამ ფაქტია: ჩვენს სინამდვილეში, ქართული ენის ისტორიაში ეს იყო დედაენაზე ზრუნვის გამოვლენის **ყველაზე სრულყოფილი და მასშტაბური დოკუმენტი**.

2009 წლის 14 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე წერილი „დედაენაზე ზრუნვა ბოლშევიკებისაგან უნდა ვისწავლოთ“-მეთქი. მაგალითები მომეყვდა, თუ როგორ იცავდა გასული საუკუნის დასაწყისში ბოლშევიკური ხელისუფლება ქართულ ენას; როგორ ებრძოდა ქართული ენის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ქმედებას...

ეს საუკუნის დასაწყისში – ბოლშევიკური ხელისუფლების პირველ წლებში...

საუკუნის დასასრულს კომუნისტური ხელისუფლება ქმნის ამ დოკუმენტს – ქართული ენის სახელმწიფო პროგრამას.

გავიმეორებ: **დედაენაზე ზრუნვის მაგალითი კომუნისტებისაგანაც შეიძლება ავიღოთ...**

გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი: 2015 წელს მივიღეთ „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“, რომელიც ავალდებულებდა ხელისუფლებას, შეემუშავებინა სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა... მეცხრე წელი იწურება კანონის მიღებიდან... სადაა პროგრამა? სხვათა შორის, როცა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი შეიქმნა, ნიმუშად მივიტანე 1988-1989 წლებში შემუშავებული პროგრამა. მაგალითად ვაჩვენე, ავუსხენი, ვაჩუქე და წამოვედი...

ეს ისე: თემატური გადახვევა საჭირობოროტო საკითხზე...

სამწუხაროდ, ეტყობა, საჭიროა ვისწავლოთ ბოლშევიკებისაგან (თუ კომუნისტებისაგან), როგორ მივაგოთ პატივი დედაენას...

* * *

მაშ ასე: 1988 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ პროექტი.

თითქმის ცხრა თვის მანძილზე მიმდინარეობდა აქტიური განხილვა პრესასა თუ ტელევიზიაში... შემოდიოდა წერილები – სურვილები, წინადადებები, შენიშვნები... იყო წინააღმდეგობებიც: ქართული ენისადმი ასეთი მზრუნველობის გამოჩენა ჩვენში სხვა ენებისადმი უარყოფით დამოკიდებულებად აღიქვას... სამხრეთ ოსეთში ვითარების დამაბრუნებელის მიზეზადაც კი მიიჩნია ეს პროგრამა მავანმა...

საინტერესო ის იყო, რომ „პროგრამა“ ფაქტობრივ ამოქმედდა დამტკიცებამდე! ის ითვალისწინებდა საწარმო-დაწესებულებებში ქართულის არმცოდნე ან მცირემცოდნეთათვის სასწავლო ჯგუფების შექმნას. ენათმეცნიერების ინსტიტუტი და უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრები მასწავლებელთა მოთხოვნას ვეღარ აუდიოდნენ...

პროგრამაში დასმული საკითხების არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევებიც იყო და კერძო ინიციატივებიც – ქართულის არმცოდნე პირებს სამსახურში არ იღებდნენ, ანდა დათხოვნიტ ემუქრებოდნენ...

გვიწევდა განმარტებითი შეხვედრები, ჩარევები... შემოსული წინადადებები ენათმეცნიერების ინსტიტუტში იყრიდა თავს. ბესიკ ჯორბენაძე ყველა მასალას ეცნობოდა, ვიღებდით დავალებებს... რადიოთი, ტელევიზიით გვიწევდა კონსულტაციების გამართვა, განმარტებების გაკეთება...

ეს პროცესი მიმდინარეობდა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ფონზე... ამანაც შეუწყო ხელი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის იდეის გამარჯვებას...

მერე იყო 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები... გადაიარა ამ მძიმე პერიოდმა და ისევ განახლდა პროგრამის განხილვა და ბოლოს:

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს, გამოქვეყნდა პრესაში 25 აგვისტოს.

მთავრობის დადგენილებაში ეწერა: „...2. დაევალოს რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უზრუნველყონ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელი და დროული შესრულება. 3. ყველა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროგრამის შესრულებასთან, ორი თვის ვადაში დაამუშაოს და წარუდგინოს საქართველოს მინისტრთა საბჭოს კონკრეტული წინადადებები, მათი რეალიზაციის ვადების ჩვენებით“ („კომუნისტი“, 25 აგვისტო, 1989).

ამ პროგრამას იმიტომ მივაქცევთ ასეთ ყურადღებას, რომ (ვიმეორებთ) **ის არის გამოხატულება ქართულზე, როგორც სახელმწიფო ენაზე, იმდროინდელი ხელისუფლების ზრუნვისა**. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა უაღრესად სერიოზული დოკუმენტი იყო. ფაქტობრივ, **ეს იყო მცდელობა სახელმწიფო ენის სტატუსის უზრუნველყოფისა**. მოვიყვან ამ პროგრამის I თავს, რომელსაც ჰქვია „**ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი**“:

„1. ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა სახის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

2. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით – კონტროლი გაუწიოს ქართულის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით – კონტროლი გაუწიოს ქართული ენის ფუნქციონირებასა და სიწმინდის დაცვას: შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებანი სალიტერატურო ენის ნორმათა დასამკვიდრებლად.

4. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ქართული ენის ფუნქციონირებისა და სიწმინდის დაცვის საზედამხედველო და საკონსულტაციო კომისიების შექმნა.

5. ქართულ ენაზე ყველა დარგის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის (მათ შორის – სადისერტაციო ნაშრომების) შექმნისა და გამოცემის ორგანიზაცია.

6. რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეთათვის ქართული ენის დასაუფლებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა (ფინანსური და სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა) ყველა დაწესებულებასა და საწარმოში.

7. „ქართული ენის დღის“ დაწესება (ამ დღეს შეჯამდება, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების საქმეში, გამოიცემა ერთდროული გაზეთი „დედაენა“).

ეს იყო პირველი თავი პროგრამისა; სულ ათი თავისაგან შედგებოდა. გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ენის გამოყენების ყველა სფერო. ყველა პუნქტს ჰყავდა შემსრულებელი და მაკონტროლებელი (ჩვეულებრივ ესენი იყო მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭო, მეცნიერებათა აკადემია...).

ვფიქრობთ, ქართულის, **როგორც სახელმწიფო ენის**, შესახებ მსგავსი დოკუმენტი არ შექმნილა (არც მანამდე და არც მერე!). ფაქტია: იმჟამად ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის იდეამ გაიმარჯვა...

ყურადღებას მივაპყრობ მე-7 პუნქტს, პროგრამის პირველი თავიდან – „**ქართული ენის დღის**“ დაწესების თაობაზე.

გავხაზავთ: „ქართული ენის დღის“ დაწესება ამ პროგრამასთან არის დაკავშირებული. **14 აპრილის** შერჩევა“ 1978 წლის 14 აპრილმა განსაზღვრა.

იდეა ამ დღის დაარსებისა აკადემიკოს **არნოლდ ჩიქობავას** ეკუთვნის. მანვე განსაზღვრა ამ დღის მნიშვნელობა და დანიშნულებაც. **1984 წელს გაცხადდა იდეა ქართული ენის დღის** დაწესების შესახებ: არნოლდ ჩიქობავა აქვეყნებს წერილს „ხალხი, ენა, მწერალი“ („ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი VI), რომელშიც ბატონი არნოლდი კითხვას სვამს:

„ბუნებრივი არ იქნებოდა, გვქონოდა ქართული ენის დღე, იმ ენის დღე, ურომლისოდაც რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას... ზარები არ იგუგუნებდნენ?...“

ბატონი არნოლდი კიდევ ერთ საინტერესო იდეას გვთავაზობს:

„შეიძლება ქართული ენის დღე დაკავშირებოდა ქართული პოეზიის მწვერვალის – რუსთაველის – დღეს: „რუსთაველისა და ქართული ენის დღე“... (დიდებულია: რუსთაველი და ქართული ენა თანაბრად ძვირფასი და საამაყო ჩვენთვის!)...“

არსებითია ისიც, რომ აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ განსაზღვრა მიზანი ამ დღის დაარსებისა, მისი შინაარსი (გთხოვთ, მოაქციოთ ყურადღება):

„ამ დღეს შევაჯამებდით, რა გავეთდა ქართული ენის კვლევისათვის რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებებში... სალიტერატურო ენის ნორმათა სახელმწიფო კომისიაში, რადიოსა და ტელევიზიაში – ნორმათა დანერგვის მხრივ... რა გავეთდა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთა მასობრივი გამოცემების მხრივ. და ასე შემდეგ...“

როცა ამ იდეას აყალიბებდა, არნ. ჩიქობავას სწამდა:

„რუსთაველისა და ქართული ენის დღე“ (თუ „ქართული ენისა და რუსთაველის დღე“) იქნებოდა „ქმნა მართლისა სამართლისა“..., „რაც ქართულ ენას ფაქტობრივ აქვს და ოფიციალურად ეკუთვნის“.

იდეა ძალიან ნათლად და გარკვევით იყო ჩამოყალიბებული...

ეს იდეა საქმედ აქცია და ქართული ენის დღე დააკანონა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამამ“...

ასე რომ, ქართული ენის დღე ოფიციალურად დაწესდა 1989 წელს, როცა დამტკიცდა სახელმწიფო პროგრამა.

ისევ გავამახვილებ ყურადღებას: „ამ დღეს შევჯამდება, თუ რა გავეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების საქმეში“...

დიახ, **14 აპრილი საქმიანი დღე უნდა ყოფილიყო...**

ვაქციეთ კი ისეთივე უფერულ საზეიმო დღედ, უამრავი რომ იყო საბჭოთა ეპოქაში: ვაჭრობის მუშაკის დღე, მელიორატორის დღე და მისთანანი...

ესეც გამოხატულებაა დედაენაზე „ზრუნვისა“ (მაშინდელიც და ახლანდელიც)...

გავუსწარით მოვლენებს...

დავბრუნდეთ ისევ „პროგრამასთან“...

1989 წელს პროგრამა ამოქმედდა...

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივამ, ცალკეულ პირთა თავდადებას და მონდომებას შედეგი გამოიღო... მაგრამ პროგრამა არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი.

დაინგრა საბჭოთა კავშირი, წავიდა კომუნისტური ხელისუფლება, მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და მოვიდა ეროვნული მთავრობა...

თითქოსდა დამოუკიდებელ საქართველოში, ეროვნული ხელისუფლების პირობებში ქართული ენის ბედი უკეთ უნდა წარმართულიყო... არ მოხდა ასე...

ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან. 1991 წლის 6 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე წერილი „დედაენას უანგარო სამსახური სჭირდება“. დავიმოწმებ ერთ მონაკვეთს ამ წერილიდან. ვსაუბრობ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაზე“.

„მათთვის, ვინც პროგრამა ჩაიფიქრა და შეადგინა, ეს იყო ერთადერთი გზა დედაენის სასიკეთო საქმეთა კეთებისა; რადგან გვჯეროდა და ახლაც გვჯერა, რომ ცალკეულ უწყებათა თუ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს თუ ზემოდან არ მიუთითეს, არც დედაენა ახსოვთ და არც დედასამშობლო. ზემოდან მითითების, დავალების მეთოდი იყო საჭირო, ქართველი თანამდებობის პირი ეროვნული საქმის საკეთებლად რომ ამოძრავებულყო. ეს რომ ფაქტია და არ ვაჭარბებ, კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: ქართული ენის შესახებ ნაშრომთა გამოცემის ორგანიზება დაევალა „გამსახვომსა“ და მეცნიერებათა აკადემიას. ქართული ენის პროგრამა 1989 წლის 15 აგვისტოს დამტკიცდა (ნიშანდობლივი ფაქტია ისიც, რომ პროექტის განხილვა 9 თვეზე მეტხანს გაგრძელდა!). წლის ბოლოსთვის კონკრეტული გეგმა მოგვთხოვეს (ამას პროგრამა ავალებდათ), 10 წლის განმავლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტი რა ნაშრომებს მოამზადებდა გამოსაცემად ვადებისა და წიგნის მოცულობის მითითებით. ჩვენც არ დაგვიყოვნებია და ასეთი გეგმა გადავეცით „გამსახვომსა“ და მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 1989 წლის ბოლოს. გეგმაში ისეთი ნაშრომები იყო შეტანილი, როგორებიცაა მრავალტომეული „ქართული ენა“, განმარტებითი, ორთოგრაფიული, ტერმინოლოგიური, თარგმნითი, დიალექტური ლექსიკონები და სხვა. დაგვაიმედეს, მთავრობას პირობა მისცეს, ვიზრუნებთ გამოცემაზე. გამომცემლობა „საქართველოში“ ენისა და ლიტერატურის რედაქცია უნდა შექმნილიყო... კონკრეტულად დღემდე არაფერი გაკეთებულა. გეგმაში შევიტანეთ ისეთი ნაშრომებიც, რომლებიც დიდი ხანია გამომცემლობებში დევს („ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „სვანური ლექსიკონი“, „თუშური ლექსიკონი“...); ვიფიქრეთ, იქნებ ამაღ

დააჩქაროს გამოცემა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ლექსიკონებისა-თქო. არა, ბატონო... ჩვენს ცხოვრებაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალები მოექცა, ვიფიქრეთ, ეს ფაქტი ჩვენს საგამომცემლო საქმეს სასიკეთოდ შემოაბრუნებდა. მივმართეთ ჩვენს გამომცემლებს, შევახსენეთ მოცემული პირობები და რასაც ვერ ვიფიქრებდით, ის პასუხი მივიღეთ: **ის პროგრამა ძველი მთავრობისა იყო...**

დაგვერწმუნებით, ესაა პასუხი იმგვარ „მოღვაწეთა“, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენებთ: თუ მთავრობა დაავალბეს, ეცდებოდა გააკეთოს ეროვნული საქმე, თუ არა – რის დედაენა, რა მამული...

არადა ჩემს არქივში შემონახული მქონია 1990 წლის თებერვლით დათარიღებული წერილი: გამსახვომის თავმჯდომარე რ. ღლონტი სთხოვს მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეს, უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებულ ნაშრომთა დროული წარდგენა:

„პატივცემულო როინ ვიქტორის ძევ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ საბჭოს მიერ დამტკიცებული „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით“ გამომცემლობა „მეცნიერებას“ ევალება მთელი რიგი ნაშრომების გამოცემა.

გთხოვთ, თქვენს ყურადღებას, რათა ინსტიტუტებმა დააჩქარონ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურის დაზუსტება, ნაშრომების წარმოდგენის ვადების განსაზღვრა, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას მათი დროული გამოცემა...

თავმჯდომარე რ. ღლონტი“

იმავე საგაზეთო წერილში (1991 წლის აპრილია) ასეთი კითხვა დავსკვი:

საინტერესოა, რატომ ფიქრობენ ეს „მოღვაწენი“, რომ ქართული ენის სამსახური იმ მთავრობის დავალებით შეიძლებოდა; ახალი მთავრობისათვის ეს ნაკლებად საზრუნავი საქმეა?

თითქოს დავანამუსე და იქვე ზვიად გამსახურდიას აზრიც მოვიშველიე: დასტურად, რომ ვითარება პირიქითაა.

„დიახ, ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში ქართული ენის პრობლემა უმნიშვნელოვანესი იყო და იქნება. „მედროვე მოღვაწეებს“ უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ბატონი ზვიად გამსახურდიას სიტყვა მინდა შევახსენო: „საქართველოს პარლამენტმა თავის უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალური და არა მოჩვენებითი განხორციელება, ქართულ

ენაზე უნდა გადავიდეს საქმის წარმოება ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც ვერ იგუებენ ქართულ ენას თავიანთი ე. წ. საკავშირო დაქვემდებარების გამო, უნდა გამოეყონ ამგვარ დაქვემდებარებას და სრულიად შეწყვიტონ არსებობა... უნდა გაღრმავდეს და გაუმჯობესდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, საქართველოში უნდა დამკვიდრდეს ქართული სკოლის პრიორიტეტი... ქართველი ბავშვები აღარ უნდა იზრდებოდნენ რუსულ სკოლებში“.

კი, ამას ამბობს ეროვნული მოძრაობის უპირველესი ლიდერი, იმჟამად უკვე პრეზიდენტი ქვეყნისა, მაგრამ მერე რა?... სახელმწიფო ენის პროგრამა სულს დაფავს.

გახსოვთ, ბოლშევიკებმა თავიანთი კონსტიტუციის მიღებამდე დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციით მიხედვით რომ იმოქმედეს?

დიახ, ახლა კი პროგრამა სულს დაფავს.

ზემოთ ვთქვით, როგორი აჟიოტაჟი იყო ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფების შესაქმნელად... ეს ჯგუფები თანდათან დაიშალა და დავიწყებას მიეცა...

ბესარიონ ჯორბენაძემ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, ახალ ხელისუფლებაში სახელმწიფო ენის ბედი მოიკითხა. გაირკვა, რომ უზენაეს საბჭოში ქართული ენის კომისიას მისი ყოფილი ასპირანტი ტ. ფ-მე ხელმძღვანელობდა. ამის გაგება ბესიკისათვის სასიამოვნო იყო; დაუკავშირდა და სახელმწიფო პროგრამის ბედიტ დაინტერესდა; აქაც უცნაური პასუხი მიიღო. ის სახელმწიფო პროგრამა კომუნისტებისა იყო... ჩვენ უკეთესს შევიშუშავებთო...

შეცბა მეცნიერ-ხელმძღვანელი ასპირანტის პასუხზე. ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ვთქვი იმჟამად: ქართული ენის პროგრამა არაა არც კომუნისტებისა და არც სხვა პოლიტიკოსთა, ქართველი ხალხისა...

შესანიშნავი განმარტება დაგვიტოვა იაკობ გოგებაშვილმა „დედაენის“ თაობაზე:

„დედაენა“, როგორსაც ახლა ვტოვებ, ასეთივე იქნებოდა ერეკლე მეფის დროს რომ შემექმნაო.

ამას იაკობი 1912 წელს ამბობს; ანუ: მშობლიური ენის საანბანე სახელმძღვანელო თავისუფალ საქართველოში (ერეკლეს დროს) და ანექსირებულ საქართველოში ერთნაირი უნდო იყოსო – პოლიტიკისაგან თავისუფალი...

ასეა ქართული ენის პროგრამაც-მეთქი, შევახსენე მაშინ, მაგრამ...

და „დამევალა“ ისევ ამ თემაზე საგაზეთო წერილის გამოქვეყნება. ადრესატი ახლა უკვე სხვა ხელისუფლება იყო... 1992 წლის 31 ივლისს დაიბეჭდა ვრცელი წერილი: „დროა, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდეს!“ („საქართველოს რესპუბლიკა“)...

დასკვნა ასეთი იყო:

„ერთია: დღეს, უმძიმეს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებაში, შეიძლება ვინმემ თქვას, რა დროს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და ქართული ენის დღეაო. მწერალთა ყრილობაზე მსგავსი რეპლიკა გაისმა მწერლობის მისამართით. მერწმუნეთ, ყოველი დღე საქმეს ართულებს; მოსაგვარებელი საქმის ერთი დღით გადადება კი თვეობით გამოსასწორებელ საქმეს გაგვიფუჭებს... და როცა, ღვთისა და ერის შეწევნით, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები მოგვარდება, გვიანდა არ იყოს „თითზე კბენანი“.

* * *

როგორც ეტყობა, ქართული ენის წინაშე სახელმწიფოსა თუ პიროვნების ვალდებულება საკანონმდებლო უზრუნველყოფას საჭიროებს... და ბესარიონ ჯორბენაძე იწყებს ფიქრს „ენის კანონის“ შემუშავებაზე (ამის თაობაზე ცალკე ვისაუბრებ...)... მაგრამ, საუბედუროდ, ბესიკ ჯორბენაძე „გადის სამოღვაწეო ასპარეზიდან“: 1993 წლის 10 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა...

1994 წელს ბესიკის მეგობრები და მოწაფეები ვეძნით „ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებას“ და ახლა კოლექტიურად ვცდილობთ ჭეშმარიტი ქართველი მოღვაწის მიერ დაწყებული საქმეების გაგრძელებას...

არადა გვენანებოდა ეს სახელმწიფო პროგრამა დასავიწყებლად და დავიწყეთ ფიქრი, როგორ გაგვეცოცხლებინა იგი.

1991 წლიდან აღარ ფუნქციონირებდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია (ესეც გაჰყვა კომუნისტურ მთავრობას)...

* * *

1994 წელია.

ისტორიკოს დურმიშხან ცინცაძესთან ვმეგობრობდი. ამ თემაზე ვსაუბრობდით.. გული გვწყდებოდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ვერ „იცლიდა“ ქართული ენისათვის...

სავალალო თემატური გადახვევა: სხვათა შორის ამ დროიდან ერთი მტკივნეული ამბავიც მახსოვს: შევარდნაძის პარლამენტში დეპუტატი იყო პროფესორი თენგიზ ბუაჩიძე. ერთხელ ბატონი თენგიზი მივიდა ტრიბუნასთან და აღშფოთებულმა ილაპარაკა, რა ქართულით საუბრობთ (დეპუტატებს მიმართა), ჩვენ საქართველო გვისმენსო!...

და...

დარბაზიდან რეპლიკა ესროლეს – „**რა დროს ქართული ენააო!**...“

ჩამოვიდა ტრიბუნიდან ბატონი თენგიზი... დედაენის თემა „დაიხურა“ პარლამენტში...

დურმიშხან ცინცაძემ შემომთავაზა, პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციის წევრს, ისტორიკოს მალხაზ ბარამიძეს ვიცნობ კარგად, წესიერი კაცია, ეროვნული... შევხვდეთ, იქნებ დაგვეხმაროს, იქნებ რაიმეს მი-

ვადწიოთო. იმჟამად პარლამენტი რუსთაველზე იყო, „იმელის“ ყოფილ შენობაში. შემახვედრა დურმიშხანმა მალხაზ ბარამიძეს... ვესაუბრეთ; ვაჩვენეთ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“; ავუხსენით, რა შეიძლება შეცვლილიყო, რა ჩასწორებულიყო „კომუნისტების პროგრამაში“ (როგორც იმ „მოღვაწემ“ გვითხრა...) და იქნებ პარლამენტს ეზრუნა მის გაცოცხლებაზე.

მალხაზ ბარამიძე დაინტერესდა და შეგვახვედრა აფხაზეთის დეპუტაციასთან (თუ არა ვცდები, ფრაქცია ჰქონდათ)...

შევპირდი, ჩვენ, სპეციალისტები, წავიმუშავებდით ახალ რედაქციაზე და შემდეგ ერთად გვემსჯელა...

ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანთან, ძველი ქართული ენის კათედრის გამგესთან, პროფესორ კორნელი დანელიასთან მივდივარ. ავუხსენი ვითარება და ვთხოვე „ის პროგრამა“ მიგვეყვანა იმ კონდიციაში, რომ ამ პარლამენტს მიეღო...

ბ-ნი კორნელი ინტერესით ჩაერთო საქმეში... ჯერ ჩვენ ვიმუშავებთ ტექსტზე. მერე რამდენიმე შეხვედრა გვქონდა აფხაზეთის დეპუტაციასთან... ის ვარიანტი, ბ-ნ კორნელისთან ერთად რომ ვიმუშავებთ, ახლაც შენახული მაქვს...

მოვიშველიებ იმდროინდელ ჩანაწერს: პარლამენტის „მეცნიერებისა და განათლების კომისიაში (თავმჯდომარე რაულ კუპრავა) მეცნიერთა ჯგუფთან თანამშრომლობით გადამუშავდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა: შესაბამისობაში მოიყვანეს დღევანდელობასთან და გადასცეს მაშინდელ მინისტრთა კაბინეტს... მერე ახალი არჩევნები ჩატარდა, ახალი პარლამენტი შეიქმნა და მინისტრთა კაბინეტი გაუქმდა... „ქართული ენის პროგრამა დავიწყებას მიეცა („ბურჯი ეროვნებისა“, №2 (22), 1997).

ესეც იმავე ჩანაწერიდან: „ამას წინათ პარლამენტის სხდომათა დარბაზში ქართული ენის ქვეკომიტეტის სხდომაზე ბატონმა კ. გაბაშვილმა კვლავ დასვა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების საკითხი“... (იქვე). კოტე გაბაშვილი, იმჟამად გერმანიის ელჩი, „საქართველოს რესპუბლიკაში“ აქვეყნებს წერილს – „დედაენის მოვლისათვის ინვესტიცია მუდამ მომგებიანია“ (27 თებერვალი, 1997 წ.). ამ წერილში არის საუბარი „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ შექმნაზე, მის მნიშვნელობაზე. საჭიროა ამ პროგრამის გაცოცხლება („ბურჯი ეროვნებისა“, №3 (20), 1997).

არ გამოვიდა ეს საქმე, ვერ დავაინტერესეთ პარლამენტი... არ უთქვამთ, მაგრამ გვაგრძნობინეს, რა დროს ქართული ენააო...

დავიწყეთ სხვა გზების ძიება...

1994 წლის ოქტომბერში „ბ. ჯორბენაძის საზოგადოებამ“ შეადგინა განცხადება და გავავრცელეთ ტელევიზიითა და პრესით (გაზეთები: „საქართველოს რესპუბლიკა“, „თბილისი“, „ივერია ექსპრესი“, „მსგეფსი“...); აი, ისიც:

„ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების წინაშე დამდგარმა პრობლემებმა აუცილებელი გახადა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ შემუშავება (დამტკიცდა 1989 წელს).

ბოლო წლებში საქართველოში შექმნილმა მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ დავიწყებას მისცა. ვაცხადებთ სრული პასუხისმგებლობით: **ასეთი უგულისყურო, უპატივცემულო, უდარდელი დამოკიდებულება დედაენის მიმართ ამჟამად რომ არის, ბოლო ათწლეულებში არ ყოფილა**. განუკითხავად ირდევდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები პრესაში, რადიოსა თუ ტელევიზიაში, ნებისმიერ დაწესებულებაში; სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სასწავლებლებში შესუსტდა, ანდა საერთოდ იგნორირებულია ქართული ენის სწავლება. არის მცდელობა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩათვლით შეიცვალოს, ანდა საერთოდ უგულებელყოფილ იქნეს...

მივმართავთ ყველას, ვისაც ეს შეეხება:

დაუყოვნებლივ **ამოქმედდეს „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“**. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველდღიურად შეიძლება ისე დაზარალებდეს ქართული ენა, რომ წლები დასჭირდეს წამხდარის გამოსწორებას“.

როგორც ხდებოდა ხოლმე, საზოგადოების თვალში ხელისუფალი მართალი უნდა ყოფილიყო; ბ. ჯორბენაძის საზოგადოების განცხადება, „არ მოეწონათ“; გაზეთ „თბილისში“ ჩვენი განცხადება 1 ნოემბერს გამოქვეყნდა (1994 წ.); 4 ნოემბრის ნომერში პასუხი მოაყოლეს:

„დაველოდოთ ახალ რედაქციას

პრესაში გამოქვეყნდა ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების გამგეობის განცხადება, რომ ბოლო წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ დავიწყებას მიეცა და საჭიროა იგი დაუყოვნებლივ ამოქმედდეს. ამასთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური განმარტავს, რომ 21 ოქტომბერს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ი. მენაღარაშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომა. დაისახა ღონისძიებანი ამ კომისიის შემდგომი საქმიანობის უზრუნველყოფისა და ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ახალი რედაქციის მოსამზადებლად“.

მოპასუხე ამტკიცებს, რომ მთავრობა მუშაობს „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ ახალ რედაქციაზე. – ცხადია, არაა მართალი... ასეთი რამ არ არსებობდა...

რაც შეეხება ბ-ნი ირაკლი მენაღარაშვილის როლსა და მონაწილეობას ამ საქმეში, არ მინდა უყურადღებოდ დარჩეს. ამასაც მოგახსენებთ...

ირაკლი მენაღარაშვილი იყო იმჟამად პრემიერ-მინისტრის მოადგილე. კულტურა, განათლება და მეცნიერება მისი საკუთრატო სფერო იყო... ვისარგებლე პირადი ნაცნობობით და შევხვდით მისი აპარატის ხელმძღვანელის, თემურ კოხრეიძის მეშვეობით. ბ-მა ირაკლიმ გულდასმით მომისმინა. ის კარგად იცნობდა ბესიკ ჯორბენაძის საქმიანობას (ბესიკ ჯორბენაძის მამიდაშვილი იყო) და ძალიან აქტიურად ჩაება ამ საქმეში.

გადაწყდა, უპირველესად უნდა აღგვედგინა ქართული ენის სახელმწიფო კომისია. ბესიკ ჯორბენაძეს შემუშავებული ჰქონდა ქვეყნის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო კომისიის პროექტი (დებულება). მივაწოდე. დამეკითხა, ვინ მოგვეწვია და დაავალა თავის თანამშრომელს, ლამარა უჩანეიშვილს, ორგანიზება გაეწია ამ შეხვედრისათვის.

თათბირი ბ-ნ ირაკლი მენაღარაშვილთან გაიმართა 1994 წლის 21 ოქტომბერს და ხელთა მატებს ამ თათბირის ოქმი.

„თათბირის ოქმი, № 30/96

დღის წესრიგი:

ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის მუშაობის განახლებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები
1994 წლის 21 ოქტომბერი

თავმჯდომარეობდა: საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე

ი. მენაღარაშვილი

თ ა თ ბ ი რ ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

გუჩა კვარაცხელია – ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

გიორგი გოგოლაშვილი – ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

შუქია აფრიდონიძე – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე

ლევან ღვინჯილია – ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის გენერალური დირექტორი მაუწყებლობის დარგში

დავით ზურჭულაძე – მინისტრთა კაბინეტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საკითხთა მთავარი სახელმწიფო მრჩეველი

ლამარა უჩანეიშვილი – მინისტრთა კაბინეტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საკითხთა მრჩეველი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ი. მენაღარაშვილის ინფორმაცია ქართული სალიტერატუ-

რო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის მუშაობის განახლებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

აზრი გამოთქვას: გუჯა კვარაცხელიამ, გიორგი გოგოლაშვილმა, შუქია აფრიდონიძემ, ლევან ღვინჯილიამ.

(მომხსენებლისა და კამათში მონაწილეთა ვრცელ მსჯელობას აქარ მოვიყვანთ, – გ. გ.).

დაადგინეს:

1. მომზადდეს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულების პროექტი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ფუნქციონირების, მისი შემდგომი განვითარებისა და მეცნიერული შესწავლის შესახებ (ვადა 10 დღე).

2. დაევალოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს ერთი თვის ვადაში წარუდგინოს მინისტრთა კაბინეტს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულების პროექტი.

საქართველოს რესპუბლიკის

პრემიერ-მინისტრის მოადგილე (ხელმოწერა)

ამ თათბირზე ვისაუბრე იმის შესახებ, რომ საჭიროა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ ახალი რედაქციის შემუშავება. რომ სახელმწიფო კომისიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ეს უნდა იყოს. რომ საჭიროა კომისიამ პირველ ყოვლისა შეიმუშაოს კანონი ენის შესახებ...

ლევან ღვინჯილიას საუბრის მთავარი თემა იყო ის, რომ საჭიროა შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელსაც პირობითად შეიძლება დავარქვათ „ენის სახელმწიფო პალატა“ და ისაუბრა ამ სამსახურის ფუნქციაზე...

ამ სფეროში ჩემი ხანგრძლივი საქმიანობის მანძილზე იშვიათად შემხვედრია სახელმწიფო მოღვაწე, ასეთი **პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით მოჰკიდებოდა სახელმწიფო ენის პრობლემებს, როგორც ირაკლი მენაღარაშვილი...**

ლირიკული გადახვევისმაგვარი:

მადლობაც ვერ ვუთხარი თავის დროზე, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს მისი – მოქალაქისა და მოღვაწის – ვალდებულება იყო... მაგრამ მერე ცხოვრებამ მიჩვენა, რომ მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი ვალდებულება ყოველთვის არაა „ვალდებულება“... ძალიან დაგვიანებული, მაგრამ მაინც – მადლობა, ბატონო ირაკლი!...

კიდევ რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან და ბოლოს, 1995 წლის 27 იანვარს **ედუარდ შევარდნაძემ** გამოსცა განკარგულება:

„საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი
სახელმწიფო კომისიის შესახებ

უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში ფაქტობრივად არ მოქმედებს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, რაც დღევანდელ პირობებში არსებითად აფერხებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამკვიდრებას, მის შემდგომ განვითარებასა და მეცნიერულ შესწავლას.

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განახლდეს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის თავმჯდომარეობით.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

– ორი თვის ვადაში დაამტკიცოს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულება:

– ერთი თვის ვადაში შესათანხმებლად წარმოადგინოს და შემდგომ დაამტკიცოს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრთა ახალი შემადგენლობა.

3. განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, ირაკლი მენაღარაშვილს.

ე. შევარდნაძე
1995 წლის 27 იანვარი.

ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა უკვე მიღწევა იყო...

ახლა მთავარი საფიქრებელი სახელმწიფო ენის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა იყო... კომისიის შექმნა არ კმაროდა, ენის კანონი უნდა შექმნილიყო.

ამის შესახებაც იფიქრა ბესიკ ჯორბენაძემ თავის დროზე... ბესიკმა მოისურვა შეხვედრა და კონსულტაციების გამართვა ცნობილ იურისტთან, **თედო ნინიძესთან**. ჩვენი პირადი ნაცნობობის წყალობით ეს ადვილად მოხერხდა. თედო არ დაგვზარებია და ენათმეცნიერების ინსტი-

ტუტში რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა... გამოიკვეთა საკითხები, პრიორიტეტები... და ეს საქმიანობა შეწყდა 2013 წელს.

ენის კანონის შემუშავება იუსტიციის სამინისტროს დაევალა...

1995 წლიდან – ქართული ენის სახელმწიფო კომისიას დაეკისრა ეს საქმე...

ხოლო 1997 წელს ლ. ღვინჯილიას მონდომებითა და შემდგომ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ენის სახელმწიფო პალატა. ენის კანონის შემუშავებაც მან გადაიბარა...

ს ა რ ჩ ე ვ ი

თ. ბურჭულაძე – ვინ ნაცვალსახელის სინტაგმატიკის ზოგი თავისებურებისათვის	3
T. Burchuladze – Some Features of the Syntagmatics of the Pronoun <i>vin</i> (“Who”)	9
ლ. ეზუგბაია – XIX-XX საუკუნეების ოჩამჩირის ლაზური თემის ეთნო-ლინგვისტური სურათი	10
L. Ezugbaia – An Ethnolinguistic Picture of the Laz Community of Ochamchire in the 19th-20th Centuries	23
ზ. კიკვიძე – წინასწარი შენიშვნები კომპონენტთა რიგის შექცევადობის შესახებ ქართული ენის ტოლად შერწყმულ კომპოზიტებში	25
Z. Kikvidze – Preliminary Notes on the Reversibility of Constituents in Georgian Copulative Compounds	33
თ. ლომთაძე, ს. გუმბერიძე – საერთოებრაული მოვლენები ებრაელთა ქართულში და მათი კვალიფიკაციის საკითხი	35
T. Lomtadze, S. Gumberidze – Common Georgian Linguistic Features in Jewish Speech and the Issue of Their Classification	51
მ. საღლიანი – ატმოსფერულ მოვლენებთან დაკავშირებული მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების შესწავლისათვის სვანურში	53
M. Saghlani – On the Study of Fixed Phraseological Expressions Related to Atmospheric Phenomena in Svan	62
მ. ფაღავა, ზ. შაშიკაძე – ტაოს ონომასტიკა ოსმალურ წყაროებში 4	63
M. Paghava, Z. Shashikadze – Onomastics of Tao 4 in Ottoman Sources	91
კ. ქირია – ბრუნვათა სისტემის ოპტიმიზაციის საკითხი მეგრულ-ლაზურში	92

Ch. Kiria –The Issue of Optimizing the CaseSystem in Megrelian-Laz 114

ბ. ყანდაშვილი – პეტრე მირიანაშვილი სალიტერატურო ენის სიწმინდის
დაცვის სადარაჯოზე 116

Kh. Kandashvili –Petre Mirianashvili: On Guard of the Purity of the Literary
Language..... 120

ნ. შავრეშიანი – დარგობრივი ლექსიკის ამსახველი ილუსტრირებული
ლექსიკონი სვანურში (XX საუკუნის 40-იანი წლების საარქი-
ვო მასალების მიხედვით) 121

N. Shavreshiani – Illustrated Dictionary of Specialized Vocabulary in Svan
(Based on Archival Materials from the 1940s) 126

ნ. შოშიაშვილი – პერსონაჟთა სახელები ილია ჭავჭავაძის შემოქმედე-
ბაში 128

N. Shoshiashvili – Names of Characters in Ilia Chavchavadze's Works..... 142

ს. ჭაავა – აკადემიკოს არნოლდ ჩიკობავას სამეცნიერო მოგზაურობა აჭარა-
ში მცხოვრებ ლაზებთან (1927-1929 წლების საარქივო მასა-
ლების მიხედვით) 143

S. Chaava – Academician Arnold Chikobava's Scientific Journey to the Laz
People Living in Adjara (Based on Archival Materials from 1927-
1929) 150

მასალები ლექსიკონისათვის

ო. ალექსივა ჩაღათაი – ლაზური წვლილი პროტო-სამხრეთკავკასიური
ენის ლექსიკაში 152

I. Aleqsiva Chaghathai – Contributions of Laz to the Vocabulary of the Proto-
South Caucasian Language 190

ფაქტები, მოვლენები

გ. გოგოლაშვილი – სახელმწიფო პროგრამა ქართული ენის განვითარებისა
და განმტკიცების პირობაა... .. 191

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

მთარგმნელი **რიტა ჯაიანი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**